


BALEJKA

9

644  
1963/4.



U 3 J 0 3 2 8 7 6 0 1 9 6 3





1963/4



# სილსაქი

## შინაარსი

სარკი ვილია — აფხაზეთის მწერლო- ბის საკეთილდღეოდ	3
ღამიანე გოგონისა — წარმატებები და პერსპექტივები	5
ღიმიტრი გულია — ლენინი. ლექსი	13
ბაბრატ შინაშუბა — ლექსები	14
ივანე თარბა — ლექსები	17
ალექსი ლასურია — თავმდაბალი ადა- მიანი. ლექსი	21
შალვა წვიშუბა — ლექსები	23
კონსტანტინე ლომია — ლექსები	24
ალექსი ჯონუა — კოდორი. ლექსი	25
ნელი თარბა — რიწა. ლექსი	26
ალექსი გოგუა — თეთრი ცხენი, ჩა- უქრობელი ცეცხლი. მოთხრობები	27
ივანე ბაბასპირი — საიდა. ნაწყვეტი რო- მანიდან „ქალის ღირსება“	38
გიორგი გუგულია — ლექსები	60
პირშალ ჩახხალია — ლექსები	62
კოსტა გარხელია — მუხის სიკვდილი. ლექსი	65
ანატოლი აჯინჯალი — ლექსები	66
ვლადიმერ ანკვაბი — სადა ხარ, დედა! ლექსი	67
შამილ ფილია — მოგონება. ლექსი	68
მუშენი მიქაბა — ლექსები	69
მიმიკო ჯონუა — როგორ ესროლა სახეკუთმა დათვს. მინიატურა	71
შამილ აპუსუბა — აყვავებული ჩაის ბუჩქი. მოთხრობა	72
კლათონ ბეზინა — ყველაზე ძვირფასი. მოთხრობა	76
შოთა შტაღუა — გზა. მოთხრობა	78

9557

# 9

სექტემბერი

# 1963

გამომცემლობა  
„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურნალი

საქართველოს ალკვ. ც. სსრ და  
მშვიდობის კავშირის ორგანო





<b>მუშენი პაპასკირი — მოხუცი გელაჩი.</b>	
მოთხრობა	82
<b>ალექსი ჯენია — ძმის ნასროლი ტუვია.</b>	
მოთხრობა	87
<b>გორის გურგულია — კაკლის ხე.</b>	
მოთხრობა	89
●	
<b>ჩვენი აღმიანები</b>	
<b>მოსე გვასალია — ქიაშიმ ხუტაბა.</b>	
წვევი	92
<b>მუშენი მიქაბია — ნაცნობი ფეხის ხმა.</b>	
ნარკვევი	96
●	
<b>ქრიგია და კუბლიფისგია</b>	
<b>კონსტანტინე ლომია — შენიშვნები</b>	
აფხაზურ ლიტერატურაზე	101
<b>შალვა ინალ-ივა — გამოჩენილი აფ-</b>	
ხაზი მწერალი	114
<b>ხუხუტი ბლაძეა — ბაგრატ შინკუბა</b>	119
<b>მირიან მირნაილი — ივანე თარბა</b>	124
<b>სვებლანა ქეცბა — ხალხის სიმღერა</b>	127
<b>ანატოლი კაცია — აფხაზეთის მხატ-</b>	
ვრობა	132
<b>ნიკოლოზ კილანაძე — ილია ჭავჭავა-</b>	
ძე აფხაზეთში	136
●	
<b>საგირა და იუმორი</b>	
<b>ალატონ ზაბაძე — საგესა.</b>	
ნაწევრები	
იუმორისტული მოთხრობიდან	140
<b>მეტყველი ფაქტები</b>	146
<b>ჩვენი ავტორები</b>	151

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდუთელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.


## საქართველოს მწერალი

საქართველოს მწერალთა  
კავშირის მდივანი

### აფხაზეთის მწერლობის საკეთილდღეო

ქურნალმა „ციციკარმა“ ეს ნომერი მთლიანად აფხაზ მწერლებს მიუძღვნა. ეს მისასალმებელი ინიციატივაა და მრავალმხრივ იმსახურებს მხარდაჭერას. ქურნალის მიხედვით ქართველ მკითხველს შეუძლია წარმოდგენა იქონიოს აფხაზეთის მწერლობის ახლანდელ მდგომარეობაზე, წარმოდგენა იქონიოს პატარა, მაგრამ ნიჭიერი აფხაზი ხალხის მწერლობის მხატვრულ დონეზე.

ყოველ ერს, მცირეა იგი თუ დიდი, თავისი წვლილი შეაქვს საკაცობრიო კულტურაში. ამ წვლილში ასახულია დოვლათის და სიკეთის შემქმნელი ხალხის სულიერი ცხოვრება. აზროვნების არც ერთ დარგს ისე ზედმიწევნით არ გამოუხატავს ერის ცხოვრება, როგორც მწერლობას. მწერლობაში, როგორც სარკეში, ისეა გამოსახული, თუ რა მიზანს ემსახურებოდა, რა სულიერი ინტერესები გააჩნია, რა ფიქრითა და ოცნებით ცხოვრობდა ესა თუ ის ერი ამა თუ იმ დროში. არაფერს ისე არ წერს ერის ისტორიას, როგორც მწერლობა და ყველაფერი ეს ხდება ეროვნული ენის მეშვეობით. ენა ეროვნული კულტურის ფორმაა და იმ წვლილის შეტანაც კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ამა თუ იმ ერს უწარმოებია, ეროვნული ენების მეოხებით მომხდარა. ენა კი მწერლობის უპირველესი და უმთავრესი ფენომენია. ამავე დროს მშობლიური ენა ერის იარაღია, მისი სულიერი კულტურის ძალაა, მისი ფარხმალია. ცნობილია, თუ რა დიდად აფასებდა დიდი ლენინი რუსულ ენას. ყოველი ერის შვილს შეუძლია სიამაყით განიმეორეს ლენინის პატრიოტული სიტყვები მშობლიური ენის შესახებ. დიდი ლენინი თავად ზრუნავდა საბჭოთა ხალხების ნაციონალური კულტურის და ენების აყვავებაზე. რუსეთის იმპერიაში შემავალ ბევრ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე არ ჰქონია საკუთარი დამწერლობა, ხოლო ვისაც ჰქონდა, ის მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. ეს კი იწვევდა ენის დაქვეითებას. გრიგოლ ორბელიანი ტრაგიკული კილოთი შენიშნავდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“... საქართველო უძველესი ქვეყანაა, მის მწერლობას დიდი ტრადიციები აქვს და ეს მწერლობა ოქტომბრის რევოლუციამდე უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნიჭიერმა აფხაზმა ხალხმა სულ მოკლე ხანში მოახერხა შეექმნა თავისი საკუთარი მწერლობა, თავისი ხელოვნება. აფხაზი ხალხის ისტორიამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა ფართო ფრთები შეასხა ოქტომბრის რევოლუციამ მცირე ერებს და როგორ გავმოიყვანა ისინი დიდ და ფართო ასპარეზზე.



ჩვენ თვალწინ გაიზარდა, ჩვენ თვალწინ გამდიდრდა აფხაზეთის მწერლობა. აფხაზ ხალხს სამართლიანად მოაქვს თავი თავისი მწერლობით. აფხაზეთის მწერლობის კულტურულ დონეზე, მისი სამწერლო ინტელიგენციის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ნაწარმოებებიც, რომლებიც დღეს ჩვენს ჟურნალ „ცისკარში“ ქვეყნდება. ქართველ მწერლებს დიდად ახარებს აფხაზი მწერლების ეს მიღწევები. აფხაზები ჩვენი ძმები არიან, ჩვენ მონათესავე ხალხი ვართ. ერთი მიწის, ერთი ცის, ერთი ზღვისა და ერთი მთის შვილები. მსგავსი ადათებისა და ხასიათების, მისწრაფებებისა და ისტორიის მქონე ქართველი ხალხი და აფხაზეთი ისტორიულადაც ერთად იყვნენ და დღესაც ერთად არიან. ლხინიც ერთი გვექონია ჩვენ და გასაჭირიც; ლხინშიაც ძმები ვყოფილვართ და გასაჭირშიაც ერთად გვიბრძოლია. ამიტომ გვახარებს ჩვენ ყოველი მიღწევა საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილისა — აფხაზეთისა.

ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე ქართველი მკითხველები, როგორც ქართველი მწერლების წიგნებს, ისე გაეცნობიან აფხაზი მწერლების ამ ნაწარმოებებს. სიყვარულით, პატივისცემით და მაღლიერების გრძნობით წაიკითხავენ აქ დაბეჭდილ ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს.

ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ აფხაზ მწერლებს, ჩვენს ძმებსა და მეგობრებს, ახალ წარმატებებსა და ახალ მიღწევებს ერთიანი სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ, აფხაზეთის მწერლობის საკეთილდღეოდ.





## დამინაე გომონია

საქართველოს კომუნისტური პარტიის  
აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

### წარმატებები და პერსპექტივები

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლის საფუძველი და ძლიერების წყარო პარტიულობის ლენინური პრინციპია, ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ყოველთვის შეურიგებლად ებრძოდა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გატარებულმა ჭეშმარიტად რევოლუციურმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს როგორც მასების შემოქმედებითი ინიციატივის სრულ გაშლა-გაფურჩქვნას, ასევე სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, არის როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების განუხრელი ზრდის, ასევე საზოგადოების შემოქმედებითი ძალების, მისი სულიერი კულტურის უჩვეულო ზრდისა და აყვავების წყარო.

პარტიის ახალ პროგრამაში, ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე დგას საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, როცა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად ახალი ადამიანის—კომუნისმის ეპოქის ადამიანის აღზრდა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ისტორიულმა შეხვედრებმა ჩვენი ქვეყნის შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ — „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი ძალაა“, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის, მისი პარტიულობისა და ხალხურობის შესახებ ლენინური იდეების შემდგომ განვითარებას, მამობილიზებელი და დამრავლებელი როლი შეასრულა შემოქმედების დიდ ფრონტზე ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა სინათლე შეიტანა სოციალისტური რეალიზმის საკვანძო თეორიულ საკითხებში, მოგვცა ფაქტების ღრმა ანალიზი და განსაზღვრა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების გზები.

პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იდეოლოგიაში მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგება მიუტკევებელი შეცდომაა და სამსჯავროზე გამოიტანა აბს-

ტრაქციონიზმისა და სხვა ჯგურის ბურჟუაზიული „იზმების“ ის რეციდივები, რამაც თავი იჩინა საბჭოთა ხელოვნების ცალკეულ შემოქმედებაში.

ისე, როგორც მთელმა ჩვენმა ხალხმა, მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის შემოქმედებებში ინტელიგენციამ, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა ზემოაღნიშნული პარტიული დოკუმენტები საბრძოლო პროგრამად მიიღეს და თავიანთი შემოქმედებითი კოლექტივების კრებებზე კრიტიკულად გადახედეს დღემდე გაწეულ საქმიანობას. ამ ღონისძიებებმა ნათელსყო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ერთსულოვანი დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი მზადყოფნა, — მთელი ძალები მოახმარონ ჩვენი დიდი თანადროულობის შესაფერი სი ნაწარმოებების შექმნას.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღევანდელ დონეზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, აუცილებელია თვალი გადავაგვლოთ წარსულს და მოკლედ შევეხოთ ისეთ ფაქტებსაც, რომელიც მკითხველისათვის ახალი არ იქნება.

ოქტომბრის რევოლუციამდელი აფხაზეთი, როგორც ეკონომიკის, ასევე კულტურის მხრივ, მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი მხარე იყო. ცარიზმი ყოველნაირად ახშობდა პროგრესულად განწყობილ მოღვაწეთა კულტურულ წამოწყებებს. ოქტომბრის რევოლუციამდელ აფხაზეთში მოსახლეობის დაახლოებით ცხრა მეათედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. რევოლუციამდელ აფხაზეთში აქა-იქ იყო დაწყებითი სკოლები, ხოლო რევოლუციამდე გახსნილი საშუალო სასწავლებლები ზედაფენებისათვის იყო განკუთვნილი. არ იყო კეთილმოწყობილი და ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკები. თეატრსა და სამეცნიერო დაწესებულებებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

გვიან შეიქმნა აფხაზური დამწერლობა. მართალია, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სამოციან წლებში იყო ცდები შეექმნათ აფხაზური ანბანი, დამუშავებულ იქნა აფხაზური ენის პირველი ელემენტარული გრამატიკაც, მაგრამ იგი ფართოდ ვერ გავრცელდა და ამდენად არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ხალხის სულიერ ცხოვრებაზე.

1892 წელს ქ. თბილისში გამოვიდა დ. გულიას და კ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი „აფხაზური ანბანი“. ცარიზმის პირობებში არც ამ ანბანს გაუღიმა ბედმა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველი მხატვრული წიგნი აფხაზურ ენაზე გამოვიდა აღნიშნული ანბანის გამოცემიდან ოცი წლის შემდეგ — 1912 წელს: ეს წიგნი იყო დ. გულიას ლექსების კრებული. აღნიშნული თარიღი აფხაზური პოეზიის დაბადებადაა მიჩნეული.

აფხაზმა ხალხმა, რომელსაც დიდხანს არ გააჩნდა დამწერლობა, თავის ენაზე შექმნა ორიგინალური პოეტური სიმღერები, ლეგენდები და ანდაზები, საგმირო ეპოსისა და სატრფიალო ლირიკის არაერთი ნიმუში, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა თავისუფლებისმოყვარე ხალხის შინაგანმა პოტენციამ. ზეპირსიტყვიერების ეს საუნჯე ესტაფეტასავით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ზრდიდა ადამიანებს სიკეთის, მამაცობის, სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, ამხედრებდა მათ ბოროტებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომაც, აფხაზური ფოლკლორი ღარიბთა აფხაზურ ფაქეზში საუკუნეების მანძილზე წიგნის მაგივრობას სწევდა. ზეპირსიტყვიერების ისეთმა შედევრებმა, როგორცაა: „თქმულება ნართებზე“, „ამბავი მამაცი მანჩასი — ფშკიაჩის შეილისა და მშვენიერი მადინასი“, „თქმულება აბრსკილზე“ და მრავალი სხვა, ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინეს აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე.

დამიტრი გულიამ, რომელსაც წინამორბედი არ ჰყოლია, ფართოდ გამოიყენა აფხაზური ფოლკლორისა და რუსული და ქართული კლასიკური ლიტერა-

ტურის ტრადიციები და საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ მწერლობას. მისი ლექსები: „ხოჯან-დუ“, „აბრსკლი“, „სიყვარულის ბარათი“ აფხაზური პოეზიის ნამდვილი მშვენიერებაა. დ. გულისა რომანი „კამაქიჭი“, რომელშიც აფხაზი ქალის ცხოვრების ფონზე რევოლუციამდელი აფხაზეთის უაღრესად რეალისტური სურათებია ნაჩვენები, მოთხრობა „ელქანი“, პოემა „ჩემი კერა“ და სხვა ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. გულისა პოეზიის პოპულარობაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ლექსი „პარტია“ 78 ენაზეა თარგმნილი.

დ. გულიამ აფხაზურ ენაზე თარგმნა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, რუსული ფოლკლორის შედევრი — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოს, ი. ტავკუაძის, ა. წერეთლის, დასავლეთ ევროპის კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლების — გოეთესა და შილერის და მხატვრული სიტყვის სხვა გამოჩენილ ოსტატთა ნაწარმოებები. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი წერილი და გამოკვლევა ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. იგი იყო პირველი აფხაზური დასის შემქმნელი და პირველი აფხაზური გაზეთის („აფსისი“) რედაქტორი.

ზემოაღნიშნულმა გაზეთმა, რომლის პირველი ნომერი 1919 წლის 27 თებერვალს გამოვიდა, მკითხველებს გააცნო მომავალი აფხაზი მწერლების: ს. ჭანბას, ი. კოლონიას, მ. ლაქერბაის, მ. ხაშბას და სხვ. სადებიუტო ნაწარმოებები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გამოჩენილი აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სამსონ ჭანბა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ დრამატურგიას და ამასთან განსაკუთრებული როლი შეასრულა აფხაზური სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. მისი პიესა „მაჰჯირები“ დიდი მხატვრული უშუალობით გვისურათებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის ცხოვრებას; პიესაში „ქერაზი“ ნაჩვენებია აფხაზეთის პარტიზანთა მგზნებარე რევოლუციური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მისი ვრცელი მოთხრობა „სეიდიყი“, რომელიც ჯერ კიდევ 1934 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე და დაიბეჭდა ყურნალ „მნათობში“, საკოლმეურნეო მშენებლობისადმი მიძღვნილი პირველი ნაწარმოები იყო აფხაზურ პროზაში. მისი მოთხრობები: „ბერსუხა“, „მატარებელი №6“, „პაპისეული კერის ქვა“, ლექსები: „საკოლმეურნეო სიმღერა“ და „მთების ასული“ აფხაზური ლიტერატურის ნამდვილი მარგალიტებია.

აფხაზური პოეზიის განვითარებაში წარუშლელი კვალი დატოვა ი. კოლონიამ. იგი 26 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ბუერის თქმა მოასწრო თავისი რვა პოემით და რამდენიმე ათეული ლექსით. ლაკონიურობამ და გულში ჩამწვედომმა სისადავემ ფართო პოპულარობა მოუპოვა ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს; ამიტომაც მის ნაწარმოებებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფხაზური ლიტერატურის ანთოლოგიებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ოცდაცხრა წლის ასაკში, დიდი სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაეცა ნიჭიერი პოეტი ლევარსან კვიწინია. მისი შესანიშნავი ლექსები: „ჩემი აფხარცა“, „ოთხი მარტი“, „გამოთხოვება აფხაზეთთან“, პოემა „შარიზან“ დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველებში.

ნიჭიერი პოეტი და ბელეტრისტი ქიაზიმ აგუმაა დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. ბრინჯის ტყეში იგი გმირ საბჭოთა პარტიზანებთან ერთად უტევდა ფაშისტ დამპყრობლებს. ქ. აგუმას ლექსები — „მოსკოვი“, „ბალადა

სალამურზე“, ლექსების ციკლი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „პარტიზანის დღიურიდან“ და მოთხრობები აფხაზური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

აღრე გამოაკლდა აფხაზ ლიტერატორთა რიგებს პოეტი ლეონტი ლაბახუაძე. იგი მხოლოდ ხუთიოდე წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აფხაზურ ლიტერატურაში, მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაში ბევრი კარგი პოეტური ნაწარმოები შექმნა.

ნიჭიერი პოეტი, დრამატურგი და ბელეტრისტი ალექსი ლასურია აფხაზური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე გამოცემულია ა. ლასურიას ორი წიგნი.

აფხაზური პროზის გამოჩენილი წარმომადგენელია ივანე პაპასკირი. მისი რომანები: „თემირი“ და „ქალის ღირსება“ თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე. ქართულ ენაზეა თარგმნილი მისი მესამე რომანი „ერცახუს კალთებთან“. პაპასკირის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მოთხრობა და ნოველა.

აფხაზური პროზის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მუშნი ხაშბამ (ამჟამად საბავშვო ჟურნალ „ამცაბზის“ რედაქტორი) და მიხეილ ლაყერბაიძე. დიდი პოპულარობა ზედა წილად ლაყერბაის „აფხაზურ ნოველებს“, რომელიც გამოცემულია რუსულ და ქართულ ენებზე. ცალკეული ნოველები ამ წიგნიდან თარგმნილია ინგლისურ, არაბულ, პოლონურ და კორეულ ენებზე. ამასთან, ლაყერბაის მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის აფხაზური დრამატურგიის განვითარებაში.

აფხაზური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელია ბაგრატ შინკუბა. მის კალამს ეკუთვნის რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულენი“. შინკუბამ დაამთავრა ახალი რომანი ლექსად — „კლდეების სიმღერა“, რომლის მთავარი პერსონაჟია ცნობილი სახალხო გმირი ხაჯარათ კიახბა. მისი ლექსები — „მანდილი“, „შიშნან“, „დაკრილის სიმღერა“, იუმორისტული ლექსი „იარუმა“ და ბევრი სხვა ხალხმა სიმღერებად აქცია. დიდი უშუალობითა და პროფესიული ოსტატობითაა აღბეჭდილი მისი „აფხაზები ლენინთან“, „სახსოვარი“, „ჩემს ლექსებს“, „გაფრინდი, ჩემო ქარო“ და მრავალი სხვა ლექსი.

მრავალფეროვანია ნიჭიერი აფხაზი პოეტის ივანე თარბას შემოქმედება. მის ნაწარმოებებში უმთავრესია ხალხთა ლენინური მეგობრობის თემა. გასულ წელს ი. თარბამ დაამთავრა კინოსცენარი „ვინ შეკავშავს ცხენს“. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ მალე დაამთავრებს ამ სცენარის მიხედვით ფილმის გადაღებას.

ნაყოფიერად მუშაობს პოეტი შალვა წვიება. მისი ლექსები და პოემები, განსაკუთრებით კი საბავშვო ნაწარმოებები, მეტად პოპულარულია.

ლექსებისა და პოემების რამდენიმე წიგნის ავტორია ნიჭიერი პოეტი ალექსი ჯონუა. იგი ჟურნალ „ილაშარას“ რედაქტორია და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა.

მრავალმხრივი და საინტერესოა პოეტისა და ბელეტრისტის — ჰიჭიკო ჯონუას შემოქმედება. აფხაზური ლიტერატურის ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები არიან პოეტი კონსტანტინე ლომია და ახალგაზრდა ბელეტრისტი ალექსი გოგუა.

აფხაზური მწერლობის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს: შამილ აკუსბას, პლატონ ჭკადუას, დარ-იფა ეთიმს (ძაძ დარსალია) და მუშნი პაპასკირს.

ჯანსაღი იუმორითა და სისადავით გამოირჩევა კირშალ ჩაჩხალიას ლექსები და პოემები. უკანასკნელი წლების მანძილზე აფხაზურ მწერლობაში გა-





მოჩნდა ახალი სახელები. მათგან აღსანიშნავია გიორგი გუბლია, შოთა ჭყაღუა, კონსტანტინე გერხელია, პლატონ ბებია, ანატოლი აჯინჯალი, ვლადიმერ ანკვაბი, ბორის გურგულია, შამილ ფილია, ალექსი ჯენია, მუშნი ლასურია, ბორის ტუბა, პირველი აფხაზი მწერალი ქალწ ნელი თარბა; იგი ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორია. მიმდინარე წელს სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა დადგა ნ. თარბას პიესა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ცნობილი აფხაზი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები: ხუხუტი ბლაჟბა, შალვა ინალ-იფა და სხვები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური ლიტერატურული კრიტიკა სათანადოდ ვერ ეხმარება აფხაზური მხატვრული ლიტერატურის დიდ წინსვლას.

აფხაზეთის მწერალთა შემოქმედებითს კოლექტივში ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი მწერლები. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აფხაზეთში ქართულ ენაზე 8 რომანი, 35 მხატვრულ-ლიტერატურული კრებული და „ლიტერატურული აღმანახის“ 11 წიგნი გამოიცა. ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს მსკოვანი მწერალი ქალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს მწერლებმა და პოეტებმა: შ. აკობიამ, ი. გვასალიამ, ე. გოგიავამ, მ. მირნელმა, ზ. ნაყოფიამ, დ. გიგიბერიამ, ა. ჯიქიამ, ბ. გაგუამ, მ. ჩაჩუამ და სხვებმა.

მიმოხილვითი ხასიათის წერილში, ცხადია, შეუძლებელია ათეული წლების მანძილზე შექმნილი ლიტერატურული პროდუქციის ანალიზი. ამდენად, ჩვენი შენიშვნები ზოგადი ხასიათის იქნება.

აფხაზური მწერლობის ძირითადი თემა ყოველთვის თანადროულობა იყო, მაგრამ დღემდე არც ერთი ნაწარმოები არაა შექმნილი ჩვენი ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე; საერთოდ, საბჭოთა ქალაქი ჯერ კიდევ არ ჩანს აფხაზურ მწერლობაში, მისასაღმებელი ნაბიჯი გადადგა იე. პაპასკირმა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესს მიუძღვნა რომანი „ერცახუს კალთებთან“; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომანში მეშახტეთა ახალი ქალაქის შექმნის პროცესი მკრთალადაა ნაჩვენები და ყურადღების ცენტრი გადატანილია სოფელზე, კერძოდ, იმ სოფლის კოლმეურნეობაზე, რომელსაც ამ ახალშენებლობასთან უშუალო კავშირის დამყარება დასჭირდა.

არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების აფხაზურ პოეზიაში მომრავლდა მხატვრულად სუსტი, ზერეღე ლექსები. რამდენადმე შესუსტდა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივები, გაძლიერდა პლაკატურობა და ყალბი პათეტიკა. კარგი ლექსების გვერდით ხშირად იბეჭდება სუსტი ნაწარმოებები. ამაში სცოდავენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელიც. ლიტერატურული კრიტიკა ხშირად არ ამხელს სერიოზულ ნაკლოვანებებს, იშვიათად გამოჩნდება ბასრი, პრინციპული კრიტიკული წერილი. ამ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მთელი პირდაპირობით ითქვა შემოქმედებითი ინტელიგენციის თათბირზე, რომელიც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას და შემდგომ ამოცანებს მიეძღვნა.

აფხაზური ლიტერატურის თარგმნასა და პოპულარიზაციას დიდი ამაგი დასდეს ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაზე თარგმნილია აფხაზ მწერალთა ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. შემოქმედებითი თანამეგობრობის ეს სასახელო ტრადიცია წარმატებით გრძელდება და გაგრძელდება მომავალშიც.

ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინ თბილისში ჩატარებულმა დეკადამ ცხადყო აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი დონე. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა და უდავოა, აფხაზური ლიტერატურა აღმავლობის გზით

მიდის, თუმცა ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც ფართო აღიარება ჰპოვეს.

წარსულს ჩაბარდა ის ავადმოსაგონარი წლები, როცა ხელოვნურად ბრკოლდებოდა აფხაზური კულტურის განვითარება. ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ აფხაზმა მწერლებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში დიდი წარმატებები მოპოვებული თეატრალური ხელოვნების დარგში. ოქტომბრის რევოლუციამდე აფხაზეთს არ ჰქონდა ეროვნული თეატრი. იგი მხოლოდ 1929 წელს შეიქმნა და ამჟამად საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე თეატრალური კოლექტივია. აფხაზურ დასთან მჭიდრო თანამეგობრობით დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ქართული დასი.

აფხაზური ეროვნული თეატრის ჩამოყალიბება და მისი განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ქართული თეატრალური კულტურის სახელოვან წარმომადგენელთა სახელებთან; აფხაზური დასის მსახიობთა უმრავლესობამ თეატრალური განათლება თბილისში მიიღო ქართული ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა ხელმძღვანელობით. ფასდაუდებელია თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის როლი აფხაზ მსახიობთა მომზადებაში. უკანასკნელ წლებში ინსტიტუტთან შეიქმნა სპეციალური აფხაზური ჯგუფი, სადაც გამოჩენილი მსახიობების — აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით მომზადდა აფხაზი მსახიობები და რეჟისორები, რომელნიც წარმატებით მუშაობენ სოხუმის დრამატულ თეატრში.

ამჟამად აფხაზურ დასს სათავეში უდგას ნიჟიერი აფხაზი რეჟისორი ქალი ნ. ეშბა, რომელმაც თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სპექტაკლებმა: „ივანე-აფხაზმა“, „თანამედროვე ტრაგედია“ და სხვ. მკაფურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური და ქართული დასები წარმატებით ახორციელებენ რუსული, ქართული და საზღვარგარეთელი კლასიკური დრამატურგიის, აგრეთვე თანამედროვე რუსი, ქართველი და აფხაზი დრამატურგების საუკეთესო ნაწარმოებთა დადგმას.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ აფხაზეთში უკანასკნელ წლებში მომრავლდა სახალხო თეატრები. საზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენებულმა სახალხო თეატრებმა უკვე დაიმსახურა მკაფურებლის სიმპათია.

უკანასკნელ ხანებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს აფხაზეთის მხატვრებმა. საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილებაში, რომლის თავმჯდომარეა აფხაზი სკულპტორი ქალი მარინე ეშბა, 30-ზე მეტი აფხაზი, ქართველი და რუსი მხატვარია გაერთიანებული. ისინი ქმნიან ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურის თვალსაჩინო ნაწარმოებებს. ქ. სოხუმში ხშირად ეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. აფხაზეთში დავაჟკაცდა ბევრი ნიჟიერი მხატვარი. ხშირად ეწყობა მათი ნამუშევრების საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენები. საერთო მოწონებას იმსახურებს მხატვრების — ი. ცომაიას, ჭ. კუკულაძის, დ. გაბიტაშვილის, ნ. თაბუკაშვილის, ო. ბრენდელის, ი. შენგველიას; სკულპტორების — ბ. ლოღობერიძის, მ. ეშბას, ს. რაზმაძის, ი. რუხაძისა და სხვათა ნამუშევრები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა აფხაზური მუსიკალური კულტურა. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი მუსიკალური შემოქმედებითი კოლექტივია. ისინი წარმატებით ემსახურებიან აფხაზური მუსიკა-



ლური კულტურის განვითარებას. ხალხურ მუსიკალურ კოლექტივებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ პროფესიული კოლექტივები.

მუსიკალური კულტურის განვითარებას განსაკუთრებით უწყობენ ხელს კომპოზიტორები: ი. ლაკერბაი, მ. ბერიაშვილი, ა. პოზდნეევი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: ი. კორტუა, შ. გორგაძე, ა. ჩიჩბა, რ. გუნბა, ი. დარახველიძე და სხვ.

ფასდაუღებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონსერვატორიის როლი აფხაზეთის მუსიკალური კადრების მომზადების საქმეში. აფხაზეთის მუსიკალური კოლექტივები, სასწავლებელი და სკოლები ძირითადად თბილისის კონსერვატორიის აღზრდილებითაა დაკომპლექტებული.

საბჭოთა აფხაზეთში განსაკუთრებით განვითარდა სახალხო განათლება. ამჟამად ვერ იპოვით სოფელს, სადაც არ იყოს სკოლა. რესპუბლიკაში 444 სკოლა არის. მათგან 194 დაწყებითი, 138 არასრული და 112 საშუალო. 1962—1963 სასწავლო წელს აფხაზეთის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში, მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ჩათვლით, სწავლობდა 82,2 ათასი მოსწავლე. მარტო 1962 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 1900 ახალგაზრდამ. მათ შორის 627 ახალგაზრდამ საშუალო განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო.

აფხაზეთში ფართო განვითარება ჰპოვა საშუალო სპეციალურმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. საქმარისია ითქვას, რომ ამჟამად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებების ჩათვლით, სწავლობს 7600 კაცი, მათგან 6400 კაცი — უმაღლეს სასწავლებლებში.

აფხაზეთში სახალხო განათლების საქმეს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, გამოჩენილმა პედაგოგმა ა. ჭოჭუამ, რომელიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ამჟამადაც განაგრძობს სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენასა და რედაქტირებას.

მეცნიერების განვითარებას კარგად ასახავს შემდეგი ფაქტები: დღეისათვის აფხაზეთში 14 სამეცნიერო დაწესებულებაა. უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს 500-მდე მეცნიერ-მუშაკი, მათ შორის 200-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. მათ დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. აფხაზეთში მომუშავე მეცნიერების მიერ შექმნილია არა ერთმა შრომამ ფართო აღიარება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მეცნიერ-მუშაკებიდან ბევრია აფხაზი, მათ შორის ცნობილი მეცნიერები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: გ. ძიძარაა, ს. არშბა, ზ. ანანაძე, შ. ინალ-იფა; მეცნიერებათა კანდიდატები: ხ. პლაგბა, ა. ხონელია, კ. შაკრილი, შ. ტრაფში, ხ. არგუნი, მ. დელბა, ა. კვარჩელია და მრავალი სხვა.

საბჭოთა აფხაზეთში მრავალადაა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. სოფლებსა და ქალაქებში 300-მდე მასობრივი ბიბლიოთეკა, 214 კლუბი, კულტურის სახლი და თეატრი და 170-ზე მეტი კინოდანადგარია. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან: აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, ხალხური შემოქმედების სახლი და სახელმწიფო ფილარმონია.

აფხაზეთში მრავალი სპეციალური სასწავლებელია შექმნილი კულტურის მუშაკთა მოსამზადებლად. მათ რიცხვს განეკუთვნება მუსიკალური და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლები, მხარჯართა და მუსიკალური სკოლები, რომლებშიც 2 ათასამდე ახალგაზრდა სწავლობს.

დიდად განვითარდა აფხაზეთში წიგნების გამოცემა. რესპუბლიკაში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე ყოველწლიურად მრავალი წიგნი და ბროშუ-

რა გამოდის. აფხაზურ ენაზე გამოიცა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებები, საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში გამოიცა 1600-ზე მეტი სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომლის საერთო ტირაჟი 3,5 მილიონზე მეტია. მარტო 1961—1962 წლებში გამოიცა 150-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი დაახლოებით 250 ათასია. აფხაზეთში გამოდის სამი საოქტო გაზეთი აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. მკითხველების დიდი სიყვარული დაიმსახურეს აფხაზურმა ჟურნალებმა „ალაშარამ“ და „ამცაბზმა“.

ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული დიდი წარმატებები კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია. პარტიის ეს ლენინური მზრუნველობა ნათელ პერსპექტივებს სახავს ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებების მოსაპოვებლად.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერმუშაკები და რესპუბლიკის მთელი ინტელიგენცია, რომლებმაც იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები საბრძოლო პროგრამად მიიღეს, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, ერთსულოვნად დარაზმულნი, იბრძვიან კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლის — კომუნიზმის ასაშენებლად და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მომავალში კიდევ უფრო გაამრავლებენ წარმატებებს სოციალისტური კულტურის დიდ ფრონტზე.







ღ ე ნ ი ნ ი

როცა რუსეთი აღმოდებული  
აღსდგა, ამხედრდა მტარვალთა რისხვად,  
როცა სიბნელე, ჩასაფრებული,  
ემუქრებოდა სინათლეს მზისას, —

მაშინ ილიჩის აზრმა ნათელმა  
ქვეყნად სიმართლის დარეკა ზარი  
და მტარვალეების გადასათელად  
დასძრა მასები ცეცხლით და ქარით.

მონურ ცხოვრების უარყოფელი  
აღსდგა, ამხედრდა მშრომელი ხალხი:  
დიდი ლენინის სიბრძნის მშობელი —  
რუსეთი გაჰყვა ლენინის ძახილს.

გვასოვს მშრომელთა ხსნად მოვლენილი  
„ავრორას“ ელვა, გამკვეთი ბნელის  
და ჯაფნოსანზე მდგარი ლენინი  
მომავლისაკენ გაწვდილი ხელით.

და ჩვენს გულებში, როგორც სინათლე,  
გაბრწყინებულა სახელი მისი,  
ვსუნთქავთ ილიჩის სიბრძნე-სიმართლით,  
შევხარით კრემლის ვარსკვლავთა ციმციმს.

და ნათელ ხსოვნად რჩება მომავალს  
დამამხობელი ამქვეყნად ბნელის,  
ვინც წინ აღუდგა ყოფას ონავარს  
დიად მიზნისკენ გაწვდილი ხელით.

## ბაკრაჯ შინკუბა



უცებ დასცხო წვიმა,  
ციდან დიდხანს ჟონა,  
მაგრამ ღრუბლებს მოსწყდა  
მზის სხივების კონა.

ლამაზ გოგოს მხრებში  
ატანს წვიმა ცივი  
და ნაწნავებს სცვივა  
უთვალავი მძივი.

არ ატირდა გოგო,  
თუმცა წვიმა ცრიდა,  
შეებრაღა მზეს და  
გადმოსძახა ციდან:

— ძლიერ გცივა, განა?  
ვხედავ ვერსად თბები,  
ჰა, სხივების ძნა და  
გაიმშრალე თმები.

თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ



### გზი და ფიჭვი

შემოვიარე სამყარო ვრცელი,  
ყველგან შენ მახლდი, მზეო მაღალო,  
ამ მიწას ვთელავ ორმოცი წელი,  
შენი შემყურე მე რამ დამღალოს.

ანთიხარ ჩვენი სიცოცხლის ფასად,  
გვატყვევებს შენი ზღაპრული ბრწყინვა,  
გინდა — დააშრობ მშფოთვარე ზღვასაც,  
გინდა — ერთ წამში დააღწიო მყინვარს.

ზოგჯერ ეფლობი ყელამდე თოვლში,  
 სახეს გიკაწრავს ქარბუქი მკაცრი,  
 მზეო, შენს სუნთქვას ვერ უძლებს თოში,  
 შენ ზამთრის ყინვას ძალ-ღონეს აცლი.

ვხედავ — ერცახუს როგორ აცხრები,  
 ტანზე ედება მწვერვალს ხანძარი,  
 ისევ აგემე მას დამარცხება  
 და ყინულების მთები დასძარი...

მთელი სამყაროს შენ ხარ მჭვრეტელი  
 და ვერ დაგფარავს ვერარა რიდე,  
 შენი ნათელი დაუშრეტელი  
 ყველაფერს წვდება კიდიით კიდე.

როცა მე შენსკენ ვისწრაფი, მზეო,  
 უკან მომყვება ცახცახით ჩრდილი,  
 როცა ჩემს უკან ანათებ, მზეო,  
 წინ გარბის იგი, მკრთალი და ფრთხილი.

ვიცი, სულ ერთად უნდა ვიაროთ,  
 მე ერთ რამეზე მაინც გემდური,  
 გზები მექნება შენი ზიარი  
 და მინდა გითხრა ეს საყვედური:

თუმცა შენია სივრცე მაღალი,  
 შენით ელვარებს ლურჯი ტატნობი,  
 ფიფქის, რომელსაც ჰქვია ქალარა,  
 არ შეგიძლია, მზეო, დადნობა.



დაასაფლავეს მოხუცი ქალი.  
 სოფლად ჩამოწვა ბინდი გვიანი,  
 საფლავთან დარჩა საბრალო ქმარი;  
 მოხუცი მშვიდი და დარდიანი.


სიკვდილის ლანდი გადაეღობა,  
 გრძნობს, მოაკლდება ზრუნვა და სითბო,  
 მან სიკვდილის წინ ძვირფას მეგობარს  
 ბოლო სათქმელი ვერ უთხრა თითქოს.

რამდენი წელი ერთად იარეს,  
 გაუძლეს რამდენ დარდს და მოლოდინს,  
 ქირი და ლხინი ჰქონდათ ზიარი,  
 ბედის ერთგულნი დარჩნენ ბოლომდის...

☆ ლექსები ☆  
 ☆ შინაგან ☆  
 ☆ ბაბრატ შინაგან ☆

ვისთანაც განვლო ცხოვრება დიდი,  
 ცივი სამარის ფარავს კარები,  
 მოხუცის მხრებმა როგორღა ზიდოს,  
 როგორ იტვირთოს ეს მწუხარება.

მაგრამ გაივლის შიში და დაღლა,  
 ტანჯვის წუთები, ესოდენ ძნელი...  
 საფლავის პირას ბერიკაცს ახლა  
 ჩვილი ბადიშის ამხნეებს ხელი.



### კლდეზე

უფსკრულის თავზე, ლურჯი ცის ახლო,  
 დაშორებული სიცოცხლის ფეთქვას,  
 გედევით მქროლავ ღრუბელზე მაღლა,  
 სალი კლდის წვერზე პატარა ხე დგას.

რამ გააღვიძა სიცოცხლე ქვაში  
 და რამ აქცია იმ კლდის ნაწილად,  
 იქნება აპყვა ქარიშხალს საშიშს,  
 ან აიტანა იქნებ არწივმა?

ცად აზიდული, ამაყად მდგარი  
 დაბჯენილია ფესვებით ქვაზე,  
 ვერაფერს აკლებს ყინვა და ქარი,  
 მგონია, მუდამ დარჩება ასე.

ცა იქუფრება და ზოგჯერ ელავს,  
 მაღალ მწვერვალებს ეცემა მეხი,  
 ხე უმკლავდება მარტოკა ყველას,  
 მტერთან ბრძოლაში წარბსაც არ შეხრის.

ამოვარდება გრიგალი ამ დროს,  
 გლეჯს ფესვიანად ვეება მუხებს,  
 არ ეშინია პატარა ავდრის, —  
 მკერდით იფარავს ფრიალო რუხი.

ზოგჯერ გრილით წამოვა ზვავი,  
 ტოტებს აღეწავს ტანმაღალ ნაძვებს,  
 ის კი დგას ისევ, უდრეკი თავით,  
 სივრცეს გაპყურებს ურჩი და გამძლე.

თითქოსდა მწვდება მისი შრიალი,  
 ხარობს, ვით ალვა ედემში რგული,  
 ცაში ამაყად აჭრილ ფრიალოს  
 ფესვით კი არა, შეზრდია გულით.

თარგმნა ემზარ კვიციანიშვილმა





აფხაზეთის ანსრ-ს მთავრობის სსსახლე



სსსახლე „აფხაზეთი“



სოხუმი. ლენინის პარკი





ბაზრის კლამში



## ივანე თაბუა

### მსახიობ ქალს

ჯერ რამდენია კიდევ სავალი,  
ჯერ რამდენია კიდევ საფიქრი,  
და მეშინია, იასამანი  
აყვავებული რომ არ ჩამიქრე.

ხან საყვირებით და დაფდაფებით  
და ხან სიჩუმით სავსე სცენაზე  
იწვის, ანათებს და იფერფლება  
შენი სიტურფე, ხმა და სინაზე.

რაც ვერ იპოვე ჩემს გულში, იქნებ  
მას ეძებ ახლა და იტანჯები,  
ვილაც გეძახის და ხელებს გიქნევს  
და ვილაც გაღრჩობს რკინის კლანჭებით.


და მე გიყურებ და მე გიყურებ,  
დარბაზში მართო მე დაერჩი თითქოს,  
გადარჩენილი, გამორიყული,  
მონატრებული შენს ხმას და სითბოს.

და წკრიალებენ ხმლები, დეზები,  
ვილაცის რკინის მკერდზე ქვეითინებ,  
იპოვე ჩემზე უკეთესები,  
იტირე, უფრო მწარედ იტირე.

ჯერ რამდენია კიდევ სავალი,  
ჯერ რამდენია კიდევ საფიქრი  
და მეშინია, იასამანი  
აყვავებული რომ არ ჩამიქრე.

ო, ხელოვნებაე, შენი ნილაბი  
ასე დაცივით რატომ მიცქერის?  
ერთი წამის წინ ჩემი იყავი,  
ახლა სიცივე უცებ ვიგრძენი.

757






და რაინდების ელავენ ხმლები,  
 და ყველა ხმალი მაჩენს ჭრილობას,  
 და შენს ხსოვნაში ნელ-ნელა ვჭრები,  
 რადგან გეძახის სხვისი გმირობა.

მიენდე სცენის ბრწყინვალე მორევს,  
 მე ვითმენ ჩუმად, ჩუმად გიყურებ,  
 და რაც გითხარი — წამომცდა თორემ  
 არ კი მინდოდა... რაც ვთქვი — ვიხუმრე.

ვიხუმრე, რადგან არ არის ძალა,  
 რომ დაგვაშოროს... არა, არ არის  
 და შენი სულის ჩურჩული წყნარი  
 ჩემს გარდა ქვეყნად ესმის არავის...



**საჩუქარი**

გათენებამდე ზღვისპირას ჩუმად  
 ჩვენ მივდიოდით, თითქოს ვიცოდით,  
 სად მივდიოდით... ზღვის აბრეშუმში  
 ფოსფორის ცივი ცეცხლით იწვოდა.

რა იყო მაინც! იქნებ არ გახსოვს,  
 რა ღამე იყო, არ გახსოვს იქნებ,  
 შენმა სიჩუმემ ისე ამავესო,  
 ვემალებოდი საკუთარ ფიქრებს.

მარტო შენ მყავდი ამ ქვეყანაზე...  
 ზღვა განაბული გვიცქერდა ისე,  
 როგორც უყურებს სცენას დარბაზი,  
 იგრძელებს ცნობისმოყვარე კისერს.

და მისი სუნთქვა უცებ ვიგრძენი  
 და აღტაცების მომესმა ტაში,  
 და წაგეკიდა უცებ ცისფერი  
 ფოსფორის ალი და მარტო დარჩი.

მარტო ზღვის პირას... და ზეცა ენთო,  
 ვით მაღალ კოშკზე გუშაგის ჩალა.  
 ბნელს შევეფარე და ვთქვი: ო, ღმერთო,  
 რომ ზღვა ვაჩუქო, მომეცი ძალა.

ო, გთხოვ, მომეცი, ვრცელი და ჩუმი  
 და განაბული ზღვა დიდებული!  
 და ზღვა მოგართვი... თურმე გაჩუქე  
 ჩემი სიცოცხლე და ჩემი გული...

თარგმნა თამაზ კილაძემ



## ბარღაცვალა ალამიანი

ის ცხოვრობდა მარტოხელად, აწუხებდა არვის.  
ნათელ შუბლზე არ ეხატა ნაღველი და ჯავრი.  
ქმადნაფიცი არ ჰყოლია, მაგრამ გულის ნაწილს  
გასაჭირში გაგიყოფდა გულკეთილი კაცი.

ის მხედარი არ ყოფილა დამლეწავი ციხის,  
ბრძოლის ველი არ ისმენდა მისი რაშის ჭიხვის.  
ის უბრალო კაცი იყო, სულ უბრალო მართლაც;  
თითქოს იღვა სიცოცხლეშიც დავიწყების კართან.

გამრჯე იყო, სხვებთან ერთად ბარავდა და სხლავდა...  
ზოგჯერ, როგორც მიწის მუშა, უჩიოდა აედარს.  
შვილი ჯარში დაეკარგა, დარდს გადაჰყვა ცოლი...  
სწევდა ჩიბუხს, თითქოს დარდებს იქარვებდა ბოლით.

არ ტიროდა?! — ცრემლი არვის არ უნახავს მისი;  
თითქოს დარდიც თუთუნეივით შეინახა ქისით.  
რა უყვარდა? — დუმილი და სულ უბრალოდ ჩაცმა!  
ბილიკებით სვლა იკმარა უწყინარმა კაცმა.

სოფელს სადღაც გაერია მისი კერის სითბოც...  
მაგრამ ერთ დღეს ყველა საქმე მოისტუმრა თითქო.  
შინ დაბრუნდა დაქანცული და ლოგინში ჩაწვა...  
მიიძინა სამუდამოდ მარტოხელა კაცმა.

ქალმა კარი გამოაღო მეზობლისამ დილით  
და ის იყო უნდა ეთქვა — მასესხეო ფქვილი,  
გაყინულმა მდუმარებამ უცებ ზარი დასცა...  
და წაიღო შავი ცნობა სახლში ფქვილის ნაცვლად.

და იმ კაცზე ერთი სიტყვაც თუმც არ უთქვამს გაზეთს,  
თუმცა ცრემლმა გააცილა უკანასკნელ გზაზე,  
ის მოჰგავდა ბევრ რამეში გაუგებარ ნახატს...  
მას, უთუოდ, სხვებისაგან ანსხვავებდა რაღაც.

ო, იმ კაცში გასაგები იყო მხოლოდ ერთი,  
რომ მსუბუქად აიტანა უმძიმესი ხვედრი.  
დანარჩენი რომ გაიგოთ, ადვილია განა?  
დანარჩენი უნდა ჰკითხოთ მიტოვებულ ყანას!

დანარჩენი უნდა ჰკითხოთ ცრემლებს, ფუძის წაშლას,  
უნდა ჰკითხოთ მისგან ნათევ ღამეების ლაშქარს.  
აწ გარდასულ ღამეებმა აწ გარდაცვლილ კაცზე  
უნდა გითხრან, ჩაგაფიქრონ და თავზარი დაგცენ.

ივანე თარბა ☆ ლემსები ☆


იყო... ყველას დაუმალა ნაღველი და ჯავრი,  
 ამით დარდი საკუთარი არ აპკიდა არვის!  
 იტირებდა ჩუმად, მარტო, როგორც ტყეში ნისლი,  
 თითქოს ამას ავალებდა სიხარული სხვისი.

კერის ღველფი ძეგლად დარჩა, არ ჩაუქროთ ბარემ!  
 თორემ იგი სამარეშიც დაიკვნესებს მწარედ.

აფხაზურიდან თარგმნა შოთა აკობიამ



საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობა



## აღმუსი დასუკია

### თავმდაბალი ადამიანი

ცხოვრების გზაზე  
 მიდიოდა ჩუმი და დინჯი,  
 არ უკრებოდა სიძნელეებს  
 ცხოვრების გზაზე.

და უცებ  
 მარად უწყინარი და მორცხვი ბიჭი  
 მრისხანე ომში  
 ჯარისკაცად წავიდა ასე.

და თუმცა მკერდზე  
 დაეძგერა ავი ქარბუქი  
 დან ლამის სისხლი გაეყინა  
 თოვლით და თოშით, —

ჯარისკაცულად,  
 შეუდრეკლად იდგა ჭაბუკი,  
 ერთგული ფიცის  
 და მამულის ფრიალა დროშის.

ხან მიწვებოდა ერთი წამით  
 გზა-შარის თხრილთან,  
 კვლავ წინ გარბოდა  
 მოუღლეელი, მოუდუნარი,  
 იყო მარჯვე და გამბედავი,  
 ქედს არა ხრიდა,

არ წუწუნებდა,  
 სალ კლდესავით იყო მდუმარი.  
 იტანდა ყველა გაჭირვებას,  
 შიმშილს და წყურვილს,

არ დასცდენია გმინვა  
 იმის დაშაშრულ ბაგეთ.  
 სიცოცხლისათვის თავდადებულს,  
 მას მთელი სულით  
 სჯეროდა ჩვენი გამარჯვება,  
 იბრძოდა აგრე.


ამიტომ

ჭირი მხნედ აზიდა  
 მან თავის წილი,  
 არ შეერთო მია გული  
 ბრძოლის ქარცეცხლში მამაცს.  
 მშობელი ხალხის  
 ღირსეული ის იყო შვილი,  
 თავის ოჯახის —  
 ერთგული და მზრუნველი მამა.  
 ის არ ეძებდა დიდებას და  
 ორდენს ბრჭყვიალას,  
 ამიტომ კი არ მიატოვა  
 მშობელი მთები.  
 ორდენზე მეტი  
 მკერდზე აჩნდა ვაჟკაცს იარა,  
 როცა დაბრუნდა ის ომიდან  
 გაშლილი მხრებით.  
 და ჰა,  
 გამართა კვლავ გუთანი გლეხის ხელებმა.  
 სახნისმა ხნული  
 გაიტანა კვლავ ძველებურად.  
 გადააფიწყდა  
 ომის ყველა საშინელება  
 და იგრძნო მიწამ,  
 რომ პატრონი დაბრუნებულა.  
 ღიმილი  
 ოდნავ მორცხვი,  
 მაგრამ ხალისიანი,  
 არ შორდებოდა იმის თვალებს  
 და იმის ბაგეთ.  
 მოკრძალებული  
 და მოძულე ყველა სიავის,  
 ასე ცხოვრობდა,  
 იცხოვრებდა ამქვეყნად აგრე.  
 მაგრამ რას იზამ,  
 წუთისოფელს აქვს წესი მკაცრი...  
 და ის წავიდა,  
 მიატოვა თბილი კარავი.  
 გამოეთხოვა მზეს და ზეცას  
 მშრომელი კაცი.  
**დათმოს ამ ქვეყნის სიხარული**  
**და ჭირ-ვარამი.**  
 გამოეთხოვა  
 უსაყვარლეს კეთილებს, მოყვრებს,  
 მათთან ცხოვრებით  
 გულგამთბარი რომ იყო მარად.  
 მოკვდა აფხაზი დედის შვილი,  
 კეთილი მოყმე



და თავის შვილთა  
 უანგარო, ერთგული მამა.  
 ერთ დილას  
 ცრემლი დაედინა მამულ-დედულის,  
 ნატყვიარებზე  
 ყვავილები გადავაფარეთ.  
 არ დაგვიცლია  
 ქვემეხების ზალბი მხედრული,  
 მშობელ მიწაში  
 იგი ისე დავასაფლავეთ.  
 დატოვა სახნავ-სათესები,  
 ბალი და ეზო,  
 ჯარისკაცული  
 ტკივილები, თოვლი და წვიმა.  
 თითქოს დაუთმო სავალი გზა  
 ახლა სხვა მეგზურს  
 და გადგა განზე,  
 რომ მისი გზა განაგრძოს იმან.  
 და ძეგლებივით  
 აღიმართნენ მაღალი მთები,  
 სალი კლდეები  
 მფარველია მისი საფლავის.  
 და ჩვენ ვფიქრობდით:  
 უკვდავებას შერჩება გზნებით  
 ამ მორიდებულ  
 და თავმდაბალ კაცის ამბავი.

თარგმნა ლადო სულაბერიძემ



## შალვა ნუშია

### მდინარე დებრინი


შენ ძველებურად მიქრი და ლელავ  
 და ალბათ გახსოვს და ალბათ იცი, —  
 აქ გამოვცადე სიმწარე ყველა  
 და ყველა ტანჯვა ცისა და მიწის.

მე ხომ აქ სიკვდილს ვუმზერდი თვალში.  
 გოდება ჩემი აღწევდა ცამდი  
 და თუკი მაინც ცოცხალი დავრჩი,  
 მხოლოდ იმიტომ, შენს წყალსა ვსვამდი.

### უცნობი ხე

არ შევხებივარ იმ ხეს ხელემით,  
 მხოლოდ სახელის ცოდნა ვინატრე...  
 ტოტებზე ენთო ცისარტყელები  
 და ყვავილები ღვრიდნენ სინათლეს.  
 და ვერ გავიგე სახელი მისი...  
 რა მოხდა მერე... კიდეც და კიდეც  
 ტოტებზე ენთო ცისარტყელები  
 და ყვავილები სინათლეს ღვრიდნენ.

თარგმნა ნელი გაბრიჩიძემ




### კონსტანცინა ღმრია



ჩვენ ყველას გვძინავს დიდი ხანია...  
 ცარიელ ეზოს დარაჯობს მთვარე,  
 და ცას წყნარსა და ლოყახალიანს  
 ქარი უხუჭავს ოქროსფერ თვალებს.

ჩვენ ყველას გვძინავს და სიზმრებს ვხედავთ...  
 უცებ სიჩუმეს შეაკრთობს ჩქამი,  
 დედას არ ძინავს, არ ძინავს დედას,  
 დგას შუალამის ფერმკრთალი ქამი.


დილით ვიღვიძებთ, ღია კარიდან  
 დედას ბილიკზე მიმავალს ვხედავთ.  
 ნეტავი საით მიეჩქარება,  
 ნუთუ არასდროს არ ძინავს დედას?..



მე შენ მიყვარდი და დავიწყებაც  
 მე ბევრჯერ ვცადე შენი ღიმილის...  
 არ შეიძლება, არ შეიძლება  
 გულთ ატარო მუდამ ტკივილი.

მე ბევრჯერ ვცაღე... ზოგჯერ მეგონა  
გათავდა უკვე და დამავიწყდი,  
გათავდა — ლოდი გადავიგორე,  
აღარ ვიფიქრებ, აღარ დაგიცდი.

მაგრამ ამოდ... და ისევ გელი  
და დავიწყება არ შემიძლია.  
ახლა ვიგრძენი, გული ხარ ჩემი,  
შენი სიცილი ჩემი სისხლია...



### თოვლი ღამით


ცა არის თუ წისქვილია...  
ნათურებთან ბრწყინავს ფიფქი,  
შენს წასვლაზე მიფიქრია  
ასე თეთრი, თეთრი ფიქრით.

ჩაურაზავთ მაგრად კარი  
და ბუხარში მღერის შეშა,  
ასკინკილით დახტის კარი  
და ნაძვის ხეს წვერს უჩეჩავს.

თოვლი თითქოს ყვება ზღაპარს,  
უცნაურად ხატავს ფანჯრებს.  
ყინვა — მკაცრი თოვლის პაპა,  
ბუზღუნებს და კარებს ანჯღრევს.

ნეტავ თოვლში დაგეძებდე,  
თოვლი თეთრი ზღაპარია...  
დგას ბუნება, როგორც ძეგლი  
და ზეწარი აფარია.

თარგმნა თამაზ კილაძემ



## აღეხი ჯონა

### კოდორი


ვიწრო ხევხუვში გარინდებულს ფიქრი მებგევა,  
ჩემ წინ კოდორი მითქარუნობს თეთრი რაშვივით.  
მისი ზვირთები თავგანწირვით კბოდეს ეხლება,  
მდინარის ფერხთით იჩოქებენ კლდენი დაშლილნი.

მთებს რომ გაივლის, ეგებება მინდორი მწვანე,  
 წყნარდება, ქვეყნად აღარავის ედიდგულება.  
 მოსევადებულ ვერცხლის ქამრად ერტყმება ყანებს,  
 ხოლო ტალღები უთეთრდება ბამბის ქულებად...

დეგ-მთათა ძუძუნაწოვარო, დევივით ჰქუხარ,  
 გამოგყოლია მშობლის გული, ღონე და ჯანი.  
 მთანი მალაღნი ნიაღვრებით გკვებავენ უხვად,  
 გულმუხბლდაულღელს და უძღვეველს გლოცავენ მთანი.

მთათა მრავალი ნაკადული ძალ-ღონეს გივსებს  
 და შენაც მკერდი სიამაყით ამიტომ გიძგერს...  
 ცხოვრების გზაზე კაციც ღონით მდიდრდება ასე,  
 როდესაც მრავალ მეგობარს იძენს.

თარგმნა აკაკი გეწაძემ



## ნელი თაჩბა

### რიწა

ამ სიმაღლეზე ამღერდი როგორ,  
 ან ამ კლდეებზე როგორ ახველი...  
 ყველა სიმღერას და ყველა გოგოს,  
 ყველა ფიქრს ჰქვია შენი სახელი.

ყველა ზღაპარზე დიდო ზღაპარო,  
 ჩემი სულია შენი ნაპირი,  
 და ვარსკვლავების წყნარი სამყარო  
 გეძებს და გიხმობს ოქროს საყვირით.

ასე მრავალი ათასწლეული  
 მთაში სუნთქავდი, როგორც ირემი,  
 ნეტავ ვინ იყო კაცი რჩეული,  
 აქ რომ გიბოვა ტბა მშვენიერი.

სად, რომელ მხარეს არ წამიყვანეს  
 მისმა მკაფიო ნაფეხურებმა,  
 უცებ ვიგრძენი და გავიხარე,  
 სადღაც მეგობრად რომ მეგულება.

ეს სიხარული, ვით შენი მთები,  
 ლამაზია და მზით არის სავსე,  
 მათხოვე შენი ლამაზი ფრთები,  
 მეც ვარსკვლავები მელიან ცაზე.

თარგმნა თამაზ ჭილაძემ



# მედიანი

მოთხრობა

სოფლის გასადევარზე ხეხილის ბაღში წაბლის დაბალი სახლი მოჩანს. ეზოს გარს უვლის ვაზის ლერწმებისაგან შეკრული ღობე, მთიდან დაქანებული პატარა მდინარე ზედ ჭიშკართან ჩაუდის კარმიდამოს.

მწვანეში ჩაფლული სახლის ფანჯრები ცეცხლივით გიზგიზებენ დაისის მზეზე. მთიდან მხოლოდ გამოხუნებული ფიქალი სახურავის დანახვა შეიძლება.

პარმალის სვეტებზე ჯეირნებისა და ბებური ჯიხვების ვეება, თითქოს საგანგებოდ დაგრებილი რქები ჰკიდია, წაბლის ფიცრებს ჟამთასვლაში ქარვისფერი დასდებია და ახლა ასე გეგონება, კედლებში მზის სინათლე ჩამდგარაო.

დღე არ გაივლის, იმ სახლში ვინმე მგზავრმა არ შეუხვიოს. სტუმრისათვის იქ ყოველთვის მოიძებნება ყველი და ჭადი, ღვინო და ალერსიანი სიტყვა; მერე სტუმარს ჭიშკრამდე მიაცილებენ და გზას დაულოცავენ.

„ბედნიერი ოჯახია!“ — ფიქრობს მადლიერი მგზავრი, მიდის და მიაქვს სიკეთით სავსე გული.

მაგრამ ხალხი ტყუილად როდი ამბობს: — სხვამ რა იცის, ჩემს გულს რა ეკალი სჩხვლესო!

... მოამდე არსან ახუბას ბადალი არა ჰყავდა სოფელში, როგორც მოჯირითეს. შავი, ბრილა თვალეზი, კეხიანი ცხვირი

და კობტად დაყენებული უღვაშები მარილს მატებდა ისედაც წარმოსადგ არსანას.

არც ერთი მარულა ისე არ ჩაივლიდა. რომ მისი ცხენი პირველი არ მისულიყო ცხრამუხასთან, სადაც სარბენი მანძილი მთავრდებოდა.

— ერთი უყურეთ არსან ახუბას, ხანი ვერ მოერი! — ამბობდნენ აპრილის ტყემლებივით გათეთრებული ბერიკაცები.

არსანას ვაჟი ახრა ნამდვილი ასლი იყო მამისა, მასავით ახოვანი და მხრებგაშლილი. ხასიათიც მისი ჰქონდა. როდესაც მამა-შვილი საზაფხულო იალაღებზე საქონელს გარეკავდნენ, უცნობ მწყემსებს ისინი ღვიძლი ძმები ეგონათ.

განთქმული მონადირე და მოჯირითე არსან ახუბა ხშირად იტყოდა ხოლმე: — ახრა ერთ რამეში მაინც მჯობნისო, წიგნი ისწავლა და კოლმეურნეობის ბეითალი გახდაო.

დაიწყო ომი. მამა-შვილი ფრონტზე ერთად წავიდნენ, მაგრამ შინ მარტო არსანა დაბრუნდა.

შუალამისას, როდესაც ოჯახში ქალეზი დაიძინებდნენ, არსანა შვილის საწოლთან მივიდოდა და მის ბალიშში თავს ჩარგავდა. ტიროდა? არა, მისი ტირილი არავის გაუგონია... მერე წამოდგებოდა, ახრას ქამარ-ხანჯალს და-



ხედავდა, შვილის ბოხოს გულში ჩაიხუტებდა და ჩუმად იტყოდა:

— ახრა, დად! რატომ შენ გაყრია გულზე ომის შავი მიწა და არა მე? მე ჩემი კალო უკვე გავლენე, შენ კი ახლა იწყებდი ცხოვრებას, შვილო!

ახრა, დად!

წვიმადა, შემოდგომისაგან შეყვითლებული ხეები, როგორც ბედურები ავდარში, გზის პირას აბურძგვნილნი იდგნენ და ნელა ირხეოდნენ. არსან ახუბა და მისი ცოლი ხიფაფი შუაუცხლთან ისხდნენ. დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს.

თეთრად აქაფებული წვერ-ულვაში დარდისაგან დაღმეჯილ ბაგეს უმაღავდა არსანას. ცოლისაკენ არ იხედებოდა, მისი გული ვეღარ უძლებდა ხიფაფის ჩაღამებულ თვალებს. გარეგნულად ცოლ-ქმარი დამშვიდებული ჩანდა, აუჩქარებლად საუბრობდნენ ოჯახურ წვრილმანებზე, მაგრამ ორივეს გულში ახლა ერთი და იგივე ცეცხლი ტრიალებდა, ერთსა და იმავე ფიქრებს წაელო მათი გულისყური.

„ბებერ თხმელებზე შავი იზაბელა უკვე დამწიფდა, ვეება მტევნები მკრეველს ეძახიან, ახრა, დად!“

არსანა თვალეზე ხელს იფარებს. იქნებ როგორმე თავიდან მოიშოროს ეს მოლანდება.

ახრა, დად! იძახიან თხმელიდან შავი მტევნები... საქორწილო თასებს ღვინო სწყურიათ.

გასცქერის არსანა ჯიხვების დაგრეხილ რქებს და მოგონების ბურანში ეხვევა.

ერთხელ მამა-შვილი სანადიროდ წავიდნენ მთაში.

გათენებისას ჯეირნებს წააწყდნენ. არსანამ ბოხოს ბეწვი ამოაცალა და ჰაერში გაუშვა. ნიაფის მიმართულება რომ გაეგო. ბეწვმა თავზე გადაუარა არსანას. ახრა თამამად წავიდა ჯეირნებისაკენ და კლდეს მოეფარა.

არსანა განაბული ელოდა, მაგრამ შვილის თოფის ხმა იგვიანებდა. „შეიძ-

ლება თოფმა უმტყუნა“, — გაიფიქრა მამამ, რომ უეცრად ახრა საფარიდან გამოვიდა და ხმამაღლა დაუსტვინა.

ჯეირნები თვალის დახამხამებაში ადგილიდან მოსწყდნენ და კლდეებში მიიმაღნენ.

არსანა სახტად დარჩა.

— რა მოხდა, ბიჭო! — ჰკითხა ახრას.

— ოჯახი იყო, მამავ! დედალს უკვე საესე ჰქონდა ჯიქანი, მუცელი ისე ჩამოწოდა, საცაა მოიგებს. მშვიდად სძოვდა, მამალი კი შორი-ახლო იდგა და ჰაერს ყნოსავდა. ვერ ვესროლე! — თავი იმართლა ახრამ.

არსანამ მხოლოდ ჩაიცილა.

— ამათაც იციან, შვილო, სიყვარული!

... წვიმა გადაილო, ზღვიდან წამოსულმა ქარმა ღრუბელი გაჰფანტა, მზემ გამოიხედა.

არსანას შინ გული არ დაუდგა. კედლიდან აღვირი ჩამოიღო და ცოლს უთხრა:

— წავალ, თეთრას მოვძებნი... — ეზოდან რომ გავიდა, ცოტა ხანს ბოჯირთან შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო.

ფოთლებიდან ბრჭყვიალა წვეთები ცვიოდნენ.

გზაზე დამდგარ გუბეებს ჭავლი უვლიდა. წვიმამ თვალში გამოახედა შემოდგომის პირზე მიმჭკნარი ზალახი.

არსანამ მდინარისკენ გაუხვია. ხეობიდან ყრუ გუგუნი ისმოდა, — ეტყობოდა, მდინარე მოდიდებულიყო.

... ის თეთრი ცხენი ახრამ გამოზარდა.

იმ საღამოს, როდესაც ისინი ომში მიდიოდნენ, თეთრა ღიდი კაკლის ძირში ზალახობდა. ახრამ კვიცს კისერზე ხელეები მოხვია და მის ჭკვიანს თავს ლოყა მიაღო, მერე შუბლზე აკოცა და წავიდა.

კვიცმა ჭიხვინი დაადევნა.

იმ დღის შემდეგ თეთრა არავის იკარებდა. გატყუორდა, ხშირად მთელი

კვირა მინდორ-ველად დაშლიგინობდა და როდესაც სახლს მოაკითხავდა, კაკლის ძირში მივიდოდა და დიდხანს ყნოსავდა იმ ადგილს, სადაც ცხენი და პატრონი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

— ახრა, დად! — ამოიკვნესებდა უბედური დედის გული და თეთრას კისერზე მოეფერებოდა.

ერთხელ ხიფაფმა შეამჩნია, თეთრას ფაფარი ვიღაცას საგანგებოდ დაეწნა.

— ნეტავ ვინ შეიჩვია ცხენი! — გაუკვირდა ხიფაფს. ცხენი გულმოდგინედ შეათვალიერა, მაგრამ მის ზურგზე უნაგირის კვალც ვერ იპოვნა.

„ალბათ ტყეში ეშმაკებმა თუ დაუწნეს, — გაიფიქრა ხიფაფიმ. — აკი ამბობენ: — ეშმაკებს ცხენის ფაფართან თამაში უყვართო“.

— ცული ამბავია!  
— კარგი, ქალო! ცხენმა ლაპარაკი არ იცის, ჩვენ კიდეც არაფერი არ დავგინახავს! ცული რატომ უნდა იფიქრო! — ამშვიდებდა არსანა ელდანაცემ ცოლს.

დაბერდა თეთრი ცხენი. კისერზე ნაკეცი დააყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ტოლს არავის უგდებდა.

... არსანა ფონში გავიდა და მიიხედ-მოიხედა. მის წინ გაშლილი ჭალა იყო. ხელმარცხნივ წიფლნარი მოჩანდა. ჭალის ბოლოში მეტყვევის ოდა იდგა.

მეტყვევს შინას ეძახდნენ. წყნარი, გულჩახვეული კაცი იყო შინა. რაც უნდა გაჭირვებოდა, იშვიათად თუ ვისმეს შეაწუხებდა.

ისმოდა შაშვების ჭახჭახი, ნაწვიმარზე ბალახი ისე ბრწყინავდა თითქოს ზედ აღმასის საყურეები ეკიდა. ჰაერი სუფთა იყო და წკრიალა.

უეცრად არსანამ ტყის პირას თეთრა დინახა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცოცხალი ცხენი კი არა, ვერცხლის ქანდაკება იდგა.

არსანამ შუბლზე ხელის გული მოიჩრდილა, ტყისპირს დააკვირდა. ეს ვინ არის ცხენის კისერს რომ ეხვევა, ნუთუ ხიფაფი მართალია?! არა, თვალი არ ატყუებს არსანას. მან კარგად გაარჩია — ცხენის დახრილ თავთან პატარა

ბიჭი იდგა და თეთრას უშიშრად ეხვეოდა.

„პირდაპირ სასწაულია, ჩემი თეთრა ხბოსავით თვინიერი გამხდარა!“.

არსანა აჩქარდა. ფეხის ხმაზე ცხენმა ყურები სტკეიტა და თავი მოაბრუნა, მაგრამ პატრონი იცნო და უმაღლედ დაწყნარდა.

ბიჭი დაფრთხა, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გადაიწია და მოახლოებულ არსანას აღმაცერად გადახედა.

— ვისი ხარ, დად? — ჰკითხა არსანამ.

— ცხენი არ წამართვა! — ბიჭმა ცრემლი ჩუმად გადაყლაპა და ჯიუტად დაუმატა — ეს ჩემი ცხენია.

— კარგი, დად, შენი იყოს, არ გართმევ. — გაუცინა არსანამ და თავზე ხელი გადაუსვა.

ბიჭუნას გული მიეცა.

— დიდი რომ გავიზრდები, ჯირითში ყველას ვაჯობებ, — თქვა მან.

— ყოჩალი ბიჭი ხარ, გეტყობა. — არსანამ ბავშვის წინ ჩაიმუხლა და მხარზე ხელი მოხვია.

— ვისი შვილი ხარ, დად?

— შინასი.

— ამ ცხენის არ გეშინია, ბიჭო, ასე ახლო რომ მისულხარ! რომ დავამარცხოს?

— არა, ძალიან წყნარია, — მკვირცხლად მიუგო ბიჭუნამ და ისე თამამად შეხედა თვალეებში არსანას, რომ ეტყობოდა, წედანდელი შიში სრულიად გაქრობოდა.

— შენ თუ გეშინია, მე დაგიჭერ ცხენს! მე და ჩემი დედა ყოველდღე მოვდივართ მასთან და სიმინდს ვაჭმევთ, დედასაც ძალიან უყვარს ეს ცხენი. იცი, დედა რას მეუბნება? დიდი რომ გახდები, შენ ამ თეთრ ცხენზე უნდა შეჯდე და ყველას უნდა გაუსწრო ჯირითშიო.

მოხუც არსანას კარგად ახსოვს შინას მელღლე. ახრა ჯერ კიდევ ცოცხალი

აღექსი გოგუა  
თეთრი ცხენი

იყო, როდესაც იგი ყველაზე ღამაზე და სანატრელ პატარძლად ითვლებოდა ახლომხალხო სოფლებში.

— კიდევ რას გეუბნებ, ბიჭო, დედაშენი?

— რასა და... ეს თეთრი ცხენი ერთს ძალიან გულად კაცს უყვარდაო! ჯირითში ის მუდამ პირველი იყო... მე იცი რა ვუთხარი! მალე გავიზრდები და მეც იმასავით გულადი ვიქნები-მეთქი! დედამ მაკოცა, მერე დაჯდა და ტირილი დაიწყო! მე არ მიტირია...

არსანამ ცხენს შეხედა და უეცრად თვალწინ დაუდგა მივიწყებული სურათი: შებინდებისას ახრა თეთრას შეკავშავდა და მეზობელ სოფელს მიაშურებდა... სად მიდიოდა? ალბათ ამ ღამაზე გოგოს შეხვდებოდა სადმე გზის პირას, ალვის ხეებთან.

არსანა ხედავს, როგორ ეფერება მათი ხელები თეთრას ღონიერ კისერს და ამ ფერებაში ქალ-ვაჭი თითქოს ერთმანეთს ეალერსება.

დაიწყო ომი და ახრა სოფელს გამოეთხოვა. ობლად დარჩენილი ცხენი უთუოდ ხშირად მიაკითხავდა ნაცნობ ადგილს. მას იქ დახვდებოდა თვალცრემლიანი ქალი, თავს თავზე მიადებდა თეთრას და ვინ იცის, რომელი რომელს ანუგეშებდა.

— შემსვი ცხენზე, — უთხრა ბიჭუნამ და არსანას ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

მოხუცმა ბავშვს ხელი მოხვია და თეთრას ზურგზე შეასკუბა. ოდესღაც არსანამ ასევე შესვა ცხენზე თავისი პატარა ახრა, შესვა და დალოცა, კარგი ცხენოსანი და მოჯირითე დამდგარიყო.

ცხენი დაიძრა. მოხუცმა ბიჭუნას მკლავზე ხელი მოჰკიდა და გვერდზე გაჰყვა. უცქერდა მის გაბრწყინებულ პირისახეს და მოხუცის თავში ტკბილმწარე ფიქრები ირეოდნენ.

ცოტაზე გაიარეს, გაისივინეს, მერე ბიჭი ცხენიდან ჩამოხტა.

— შინ უნდა წავიდე, დედა მელოდება. — და უეცრად დიდი კაცისვით ჰკითხა: — ეს ცხენი შენია?

— ჩემია, დად. რათ მეკითხები?

ბიჭი ერთ ხანს ჩუმად იდგა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა. მერე არსანას მორცხვად გაუღიმა და სთხოვა:

— იცი რა? თეთრას ნუ დააბამ, მოვიდეს ჩვენთან, თორემ დედა იტირებს.

— კარგი, დად, არ დავაბამ. გინდა — სულ გაჩქებ. დიდი რომ გავიზრდები, ატარჩას ხელს დაავლებ და უნავირზე შეფრინდები.

არსანას ხმა უკანკალებდა.

— ატარჩა რა არის? — ჰკითხა ბიჭმა.

— ატარჩა?.. როგორ გითხრა... ჯირითის დაწყებაზე ერთ-ერთი ცხენოსანი რაიმე ნიშანს — ატარჩას, მაგალითად თამბაქოს ქისას ხელში დაიჭერს და ცხენს გააქროლებს. დანარჩენები უკან გამოუდგებიან, ცდილობენ ატარჩა წაართვან, ბიჭობა ის არის, ნიშანი ბოლომდე მიიტანო! გაიგე?

— გაიგე, — თავი დაუქნია ბიჭმა. — მე ვერაფერ წამართმევს ატარჩას.

— რა გქვია, დად?

ამ დროს ჭალიდან ძახილი მოისმა:

— ახრა-ა-ა!

— ახრა? შენ ახრა გქვია? — ჰკითხა ელდანაცემმა არსანამ.

— ახრა, — დაუდასტურა პატარამ: — უნდა წავიდე, დედა მეძახის.

— წადი, დად, — არსანამ პატარას ლოყაზე აკოცა და ზურგზე ხელი წაჰკრა. — წადი, თორემ დედა ძებნას დაგიწყებს.

— ახრა-ა-ა! — ისევ მოისმა ჭალიდან.

— მოვიდვარ! — გასძახა ბიჭმა.

— არ დამივიწყო, დად! გესმის? მოდი ჩემთან.

— მოვალ, — სიტყვა მისცა ახრამ და ჭალისაკენ მოუსვა.

არსანამ დიდხანს უცქირა მიმავალ ბიჭუნას. მერე უეცრად მოეჩვენა, რომ იგი, არსანა, ვითომ ახალგაზრდაა და აკერ ბალახებში მისი შვილი, პატარა ახრა მიცუნცულეებს. საიდანღაც შორიდან ქალის ხმა ისმის, შვილს ეძახის!

ღმერთო ჩემო, რამდენი ალერსია ამ ძა-  
ხილში, ამ ერთ სიტყვაში: — „ახრა“.

მირბის ბიჭუნა მზისაგან გახასხასე-  
ბულ მინდორზე, მიიჩქარის, თითქოს  
უნდა მშესთან მიიღბინოს და ხელები  
მოხვიოს, როგორც წელან ცხენის კისერს  
ეხვეოდა.

მინდორში ჩანჩქერით თეთრი ცხე-  
ნი დგას და ნელი ჭიხვინით მიაცილებს  
თავის პატარა პატრონს.

არსანა ახუბას სახლიდან წასული  
სტუმარი, სანამ სერს გადაივიდეს,  
მალლიდან გადმოხედავს მასპინძლის  
კარ-მიდამოს.

მოაგონდება იმ სახლში მიღებული პა-  
ტივისცემა, ორი ტკბილი მოხუცი და პა-  
ტარა ბიჭი, რომელსაც ოდესღაც გან-  
თქმული მოჯირითე არსან ახუბა ცხენზე  
ჯდომას ასწავლის.



## ნაჰერკველი მხხლი

მოსხრობა

ამთრის ცივი დღეა. მოაჯირის  
მომწვანო ბეტონს ხმაურით ეხეთ-  
ქება ქაფიანი ტალღები. რაიკომის თეთრი  
შენობა ზღვას გადასცქერის, თითქოს  
ყურს უგდებს დაულალავ ზვირთცემას.

მუხის კარები მძიმედ გაიღო და კიბე-  
ზე გამოვიდა შუატანის პირთეთრი კაცი.  
ქუდი ხელში ეჭირა. სუფთად გადაპარ-  
სულ თავზე სუსხიანმა ქარმა წყლის შხე-  
ფები შეაფრქვია, მაგრამ კაცმა ქუდი მა-  
ინც არ დაიხურა.

ლამაზად შეკერილი პალტო ყველა  
ღილზე შეეზნია, მხოლოდ თეთრი, ქათქა-  
თა პერანგის საყულო მოუჩანდა.

იგი ერთ ხანს შეფიქრიანებული დასც-  
ქროდა ქუდს, თითქოს არ იცოდა, რაში  
გამოადგებაო. მერე თავზე ხელი გადაიხ-  
ვა და ქუდი დაიხურა.

რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის  
განყოფილების გამგემ შიმა ზვამბამ ამ  
ღილას თავის კაბინეტში შესვლა ვერ მო-  
ასწრო, — ტელეფონმა დარეკა — ზვან-  
ბას რაიკომის პირველი მდივანი ეძახდა.

— კლდეეთში უნდა წახვიდე! დღეს იქ  
საერთო კრებაა მოწვეული. მალე თესვა  
უნდა დაიწყონ, — უთხრა მდივანმა.

ზვანბამ წარბები შეჰყარა:

— მე სხვა კოლმეურნეობაზე მიმამაგ-  
რეს, — უთხრა მან.

— ვიცი... მაგრამ შენ მგონი კლდე-  
ეთიდან ხარ.

— იქაური ვარ.

მდივანს უეცრად გაეღიმა.

— მერე რას უყურებ, შე კაი კაცო!  
ადექი და მოინახულე შენი სოფელი, მოე-  
ლაპარაკე მეზობლებს, ნაცნობებს. ისინი  
თავისიანს გულს უფრო გადაუშლიან,  
უფრო მეტს ეტყვიან, ვიდრე გარეშე  
კაცს. შენ ხომ იცი, იქ ყველაფერი რიგზე  
არ არის.

ეს მოსაზრება იმდენად სამართლიანი  
იყო და თანაც მოულოდნელი, რომ შიმა  
მდივანს სიტყვა ვერ შეუბრუნა. თუმცა  
კლდეეთში წასვლა ახლა რატომღაც არ  
უნდოდა. გული არ მიუწევდა.

შიმა ზვანბა დაბნეული და გულნატკე-  
ნი, გამოვიდა რაიკომის შენობიდან. ერთ  
ხანს ზღვისპირას იდგა და თეთრი ყაბა-  
ლახით თავწაქრულ ერცახუს გაჰყურებ-  
და. მისი სოფელი იმ კლდეების ძირში  
იყო შებუდრული.

ხალხმა მრავალი სააღერსო სახელი  
შეარქვა ერცახუს. ამაყი ერცახუ, ჭადარა  
ერცახუ, ლამაზი ერცახუ... ის კი ცივია,  
უსიცოცხლო... ზამთარ-ზაფხულ ყინვას  
შეუკრავს და, რამდენადაც იგი ცივია და  
მიუკარებელი, იმდენად მღელვარეა და

ალერსიანი მის წინ უსაზღვროდ გაშლილი ქაფქაფა ზღვა.

დაღამდება თუ არა, მთიდან სუსხიანი ქარი დაუბერავს, მაგრამ ქალაქის ბაღში ნაზი მიმოზები უკვე გრძნობენ გაზაფხულის მოახლოვებას. მათი ტოტები უკვე შებუმბულა და გაზაფხულის პირველი მახარობელი — მიმოზის ფაქიზი სურნელება უკვე შეპარულა სუსხიან ჰაერში.

ხალხი ტყუილად როდი ამბობს, ვინც გაზაფხულს ელოდება, იმას მისი სურნელება შორიდან მიედინებაო; მაგრამ ყველაფერი ეს ახლა შიმას არ აინტერესებს. მას მხოლოდ ერთი რამ აწუხებს, თავის სოფელში უნდა წავიდეს, თანაც ისეთ დროს, როდესაც თესვა იწყება.

შიმამ რაიკომის წინ ჩანწკრივებულ მანქანებს გადახედა. აგერ კლდეეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცისფერი ავტომობილიც. შიმამ ყოველთვის გაკვირვებული იყო: გადაწყდებოდა თუ არა კლდეეთში ვინმეს გაგზავნა, ეს ცისფერი მანქანა დაბარებულივით გაჩნდებოდა რაიკომის შენობის წინ.

— ნეტა საიდან გაიგებენ?!—ჯავრიანად გაიფიქრა შიმამ და მანქანას მიაშურა.

მანქანამ მოედანი გადასჭრა, მუხების ხეივანში ჩაიჭროლა და საურმე გზაზე გავიდა.

თიხნარი ფერდობები ჩაისათვის უკვე მოეხნათ და დაეკვალათ.

შიმას თავი პალტოს საყელოში ჩაერგო და გაყურებულიყო. მანქანის პატარა სარკეში შოფერი ხედავდა მგზავრის უმაყოფილო პირისახეს.

მანქანა შეცვრად მოცურდა და ღობეს კინაღამ შეეხეთქა. შიმამ შეკრთა, თითქოს ბურანიდან გამოფხიზლდა. პალტოს საყელო გადაიკეცა და შოფერს უთხრა:

— მოდი, ერთმანეთი გავიცნოთ, მე შიმამ ზვანბა ვარ.

შოფერმა მოიხედა. გაოცებული შესცქეროდნენ შიმას თაფლისფერი, ბაღლური მიამიტობით სავსე თვალები.

— მე კი რასიმას მეძახიან, — მიუგო შოფერმა.

ტურები ჩუმმა ღიმილმა შეურხია. მერე საჭისაკენ მიბრუნდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

რასიმი... ამ სახელმა ბევრი რამ მოაგონა შიმას. ხუთმეტი წელიწადი არც ისე მცირე დროა. ამ ხნის განმავლობაში პატარა პერანგა ბიჭი ისე შედრდება — გუთანსაც მოეკიდება. სწორედ ხუთმეტი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რაც შიმამ სოფლიდან დაბა-ქალაქში გადაიყვანეს. ახლა მასაც შეივერცხლა საფეთქლები.

შიმას არც დედა ახსოვს, არც მამა. მშობლების მაგიერობა პატარა ბიჭს პირქუშმა, დაუყოლიებელმა კაცმა უფროსმა ძმამ და ერთმა კეთილმა მეზობელმა ქალმა, თაკუნამ გაუწია...

სოფლის სკოლა რომ დაამთავრა, შიმამ სამუშაოდ კოლექტივში დარჩა, პარტიი-შიც იმ კოლექტივმა მიიღო. მერე პარტი-ბიუროს მდივანდაც აირჩიეს. შიმამ ზვანბამ კარგი სახელი დაიგდო სოფელში, ამიტომ არავის გააკვირვებია, როდესაც იგი დაბა-ქალაქში გადაიყვანეს.

პირველ ხანებში შიმამ ზვანბა რაიად-მასკომის პატარა ოთახში იჯდა. გაუჩვევლი, მელანში მოსვრილი თითებით კალმისტარი ეჭირა და მიწერ-მოწერას არჩევდა. ოთახში ჰაერი არ ყოფნიდა, აივანზე ხშირად გადიოდა და მთებს ნაღვლიანად გასცქეროდა.

შიმას რატომღაც ეგონა, რომ იგი სოფელში უფრო საჭირო იყო და გამოსადეგი, ვიდრე აქ, ამ დაბუთულ ოთახში.

დაუცხრომელი ტალღები პირდაპირ შენობას ეხეთქებოდნენ, შრიალით ავსებდნენ მის ოთახს. ეს ხმაური შიმას ამშვიდებდა, აგონებდა კლდეზე დაკიდებულ ჩანჩქერების შორეულ გუგუნს.

შიმამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ იგი დააფასეს და სამუშაოდ ქალაქში გადმოიყვანეს. სოფელში შიმამ თავისი საქმე კარგად იცოდა. იგი თამამად შეეკამათებოდა ხოლმე არა მარტო ადგილობრივ ხელმძღვანელებს, არამედ ქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებსაც. რა თქმა უნდა, შეეკამათებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში.



აქ კი, აღმასკომში, პირველად ცოტა გაუჭირდა შიმას. თანაც არ მოსწონდა, რომ ზოგიერთები მოწყალე თვალთუყურებდნენ და ალერსიანად დატუქსავდნენ ხოლმე, როცა შიმა ზვანბას რამე შეეშლებოდა.

ამას მიჩივებია, ერთი მაგრაღ შემახურონო, ფიქრობდა იგი.

მაგრამ გავიდა დრო და შიმა ზვანბამ თანდათან შეისწავლა ადმინისტრაციული მუშაობის ხელოვნება. მას უკვე თავისუფლად შეეძლო საანგარიშო მოხსენების დაწერა, კოლმეურნეობის მუშაობის შემოწმება, კრების ჩატარება. შეეძლო მიეცა სწორი რჩევა-დარიგება და თუ საჭიროდ მიიჩნეოდა, ადგილზევე გადასწყვეტდა სადაო საკითხს.

დაკორებული ხელები გაუთეთრდა და ფაფუკი გაუხდა. მსუბუქი აფხაზური ხალათი კარგად მორგებულმა კოსტუმმა შესცვალა. დაცოლში იღვწოდა. ქონი მოერია. მაგრამ სადღაც გონების კუნჭულში სამუდამოდ ჩარჩა ერთი მოუსვენარი ფიქრი და შფოთვა რომ მის, შიმა ზვანბას, კეთილდღეობას რაღაც აკლდა. მაგრამ რა?

იქნებ შიმას ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ აქ, ამ ოთხ კედელში მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე იქ სოფლის ფერდობებსა და ჭალებში. სოფელში იგი ერთი უბრალო აქტივისტი იყო, ახლა კი რაიაღმასკომის სასოფლო სამეურნეო განყოფილებას ხელმძღვანელობს. განა ეს ცოტაა?

წარსულ წლებში შიმა ორჯერ თუ სამჯერ იყო კლდეტში. ისიც გავლით. მაშინ მეზობლებმა უთხრეს, სოფელს ახალი ხიდი სჭირდებაო. მაგრამ შიმამ რატომღაც ამ საქმეს ყურადღება არ მიაქცია. თუმცა მისი ფიქრები მაინც არ ივიწყებდნენ მშობლიურ ადგილებს. მეტადრე მაშინ, როდესაც რაიმე ანკეტას ავსებდა. კითხვაზე — დაბადების ადგილიო, შიმა კარგა ხანს ჩაფიქრდებოდა... თვალწინ დაუდგებოდა ხეობა, სადაც სანადიროდ დადიოდა, მინდორი, სადაც ჯერ ჩალის ცხენს დააჭენებდა, მერე კი ოყიან თოხს უბათქუნებდა... თვალწინ დაუდგებოდა მეზობლები, ტოლ-ამხანაგები.

— რასიმ! — დაუძახა შოფერს და მხარზე ხელი დაადო: — მეც ხომ აქაური ვარ! შენ ალბათ სოფლის ბოლოში ცხოვრობდი. გიყურებ და ვერ გამოხსენებია, შენი სახე თითქოს მეცნაურება.

— საკვირველი არაფერია — ბავშვური მიაშიტობით საესე თვალბმა შიმას ისევ გაუცინეს: — მე დაუთას ბიჭი ვარ, დაუთა აქაბასი.

შიმამ თვალბი დააჭყიტა: — „რას ამბობ? ნუ თუ შენ მართლა რასიმია ხარ? როგორ გაზრდილხარ, დაგაჟაკებულხარ. ახლა დაუთა რომ ცოცხალი იყოს... ღმერთმა აცხონოს საწყალი“.

— რა დაემართა იმ საცოდავს? — იკითხა მან.

— წყალში დაიხრჩო! — სულმოუთქმელად დაიწყო რასიმმა: — ერთ ღამეს პატარა გოგო ავად გაგვიხდა. სარქაროდ ექიმი უნდა მოგვეყვანა. ექიმი კი მდინარის ვაღმა ცხოვრობდა. გაზაფხული იყო. მთაში თოვლი დნებოდა. მდინარე მოდიდებულიყო, მაგრამ მამჩამეს ხომ იცნობდით. გამბედავი კაცი იყო და უკან არ დაიხია. ფონი ვიცო, ასეთ დროს ვაღმა რამდენჯერ გავსულვარო. თქვა და წავიდა. იქ კი, ვინ იცის, რა მოხდა... როდესაც წყალი დავარდა, შლამში ჩამარხულ წიფლის ტოტებზე მისი ყაბალახის ნაფლეთებილა ვიპოვნეთ.

— საწყალი, კარგი ვაჟაკი იყო! — მიუსამძიმრა შიმამ, მერე ფრთხილად ჰკითხა: — ხიდი ჯერ კიდევ არ აგისენებიათ?

— აქამდე დაპირებით მაინც გვიბრდებოდნენ, აგისენებთო... ახლა გახსენებაც ეზარებათ.

— სოფლის საბჭო რას ამბობს?

— რას იტყვის! კვერს უკრავს ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარეს. მიხას კი ხიდიც ფეხებზე ჰკიდია და ხილზე მოსიარულეც! ჩემი უფროსია! — განუმარტა რასიმამ და ეს უკანასკნელი სიტყვები ისე გულჯავრიანად წარმოსთქვა, რომ შიმამ ახალგაზრდა ბიჭი ცნობისმოყვარეობით შეათვალღერა.

ალექსი გოგუა  
ჩაუქრობელი ცეცხლი



„მამას ჰგავს!“ — გაიფიქრა შიმამ და გაისხენა, თვითონაც როგორი ფიცხი იყო ჯეელობაში.

უეცრად რასიმს სიცილი წასკდა.

— იცით, სოფელში საბჭოს თავმჯდომარეს რას ეძახიან? მიხას ლანდს. და მართლაც, ორივეს ერთად რომ შეხედო, გაგვიცინება. ეს ჩვენი მიხა რუმბივით გასიებული კაცია, ლოყებდაბრაწული. საბჭოს თავმჯდომარე კი ერთი დალეული ბიჭია, ხმაც ისეთი აქვს, გეგონება, სული აგერ-აგერ, გაძვრებაო.

კლდეეთის კოლექტივი რაიონში მოწინავე მეურნეობად არ ითვლებოდა, მაგრამ თვითონ მიხა კი რატომღაც გამოცდილ თავმჯდომარედ მიაჩნდათ, რაიონში კარგი სახელი ჰქონდა.

— როგორც ჩანს, ხალხს არ უყვარს თქვენი თავმჯდომარე, — თქვა შიმამ.

— არ უყვარს, — მაშინვე დაუდასტურა რასიმმა. — მაგრამ მიხა რას დაეძებს ხალხის სიყვარულს!

— მერე თქვენ რა, პირზე ბოქლომი დაიდეთ?

— ჯერჯერობით არაფერი გამოვიდა. მიხას კარი ვერ შეუმტვრიეს. მის ასავალ-დასავალს კაცი ასე ადვილად ვერ გაიგებს. გეგმას ვასრულებთ, საყვანე მიწებს ვაფართოვებთ... ხიდი კი მაინც არა გვაქვს, არც კლუბი, არც საავადმყოფო. მაგრამ ყველაზე ცუდი, იცით, რა არის?! ჩვენმა თავმჯდომარემ ხალხს ისეთი შალაშინი გაუსვა, ახლა ისინი მიხას ყველაფერში ეთანხმებიან. ზოგმა კიდევ ხელი ჩაიქნია და განუხადგა. შორიდან რომ შეხედო, კოლექტივში თითქოს ყველაფერი რიგზეა. მართალია, დიდი მიღწევები არა გვაქვს, მაგრამ არც დიდი შეცდომები გვაქვს! და მიხაც ფონს ადვილად გადის. პირდაპირ საკვირველია, როგორ გახდა კოლექტივის თავმჯდომარედ?

— მე კი ის მიკვირს, აქამდე თავის მანქანაზე შენ რომ გამუშავებს! ასჯერ მიუტანდნენ ენას, შენი შოფერი შენზე ასე და ისე ლაპარაკობსო!

— პირში ვეუბნები ყველაფერს, ერთხელ კიდევ ვუჩივლე, მაგრამ კამეჩის

მარტენალ ხარს რქები არ შერჩებაო. მეც ისე დამემართა! ისევ მე გამამტყუნეს. ახლა შემთხვევას უტდის. ერთი პატარა ავარია რომ მომივიდეს — ზურგზე მომჯდება და არ გამახარებს.

— ცუდად ყოფილა თქვენი საქმე.

— ძალიან. ხალხს შენი იმედი აქვს.

— თუ რამე შეეძელი!

— ჯერ კიდევ შარშან გვინდოდა შენი ნახვა. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი სოფლიდან ხარ. ყველაფერს გაგვიგებ. მაგრამ პერიკაცებმა არ გამოგვიშეს. შიმას ნუ შეგაწუხებთო. ჯერ ჩვენი თვითონ გაეწიოთ უღელი, და თუ არაფერი გამოვიდა, მანა ადვილად და იმას სთხოვეთო. მთელი სოფელი მოუთმენლად გელის.

— რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, თავს არ დავზოგავ! — თქვა შიმამ და თითქოს თავის თავს არწმუნებდესო, მაშინვე გაიმეორა: — თავს არ დავზოგავ.

გზაზე წყლის გუბები იდგა. მინდვრებში კაცი არსად ჰკანაგბდა. ქარი სწიწდა მიველეების შარშანდელ კარვებს, ანიაგებდა აქა-იქ დარჩენილ ნაცარს. ტყვიისფერი ღრუბლები გუნდგუნდად მოიქაროდნენ ზღვისაკენ. მზის ერთი სხივი ხან გამოეპარება ამ ღრუბლებს, ხან ისევ მიიმალება და გზაზე უეცრად ჩამოხნელდება.

მანქანამ ორღობეში შეუხვია და ყვერის ფარდულეთან გაჩერდა, სადაც კოლექტივი მინერალურ სასუქს ინახავდა. შორი-ახლო აგურებზე შეყენებული ძველი საბარგო მანქანა მოჩანდა. იქვე ეყარა რაღაც რკინები და ავდრისაგან გაშავებული ყუთები.

ერთ-ერთ ფარდულეთან მოხუცი კაცი იდგა, კალთებშეპცვილი ფარაჯა ეცვა, თავზე ნაზდის ქუდი ეხურა. მანქანის ხმა რომ გაიგონა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და გზას გახედა.

— დილა მშვიდობისა, ბაქლა, — მიესალმა რასიმს და მანქანიდან გადმოვიდა.

— იცოცხლე, შვილო.

— ჩვენი უფროსი არ გინახავს?

— არ მინახავს, — მიუგო ბაქლამ და რასიმს თვალი ჩაუკრა, ეგ რა ფრინველი მოგიყვანიაო. ბიჭმა რაღაც წასჩურჩულა.

ბაქლას ღიმილი მოერია, მანქანასთან მივიდა და შიმას ხელი ჩამოართვა.

— მიხარია შენი ნახვა, დად! კეთილი იყოს შენი მოზრძანება. მიხარია, როდესაც ჩვენი სოფლელი ბიჭი ქალაქში დიდი კაცი გახდება და ჩვენ მაინც არ დაგვივიწყებს. ნახე, როგორ ვცხოვრობთ. რა გვიჭირს და რა გვიღიხნის! ძალიან გავაწვალა ამ უხილობამ. სანამ წყალი არ დაიკლებს, გაღმა ვერც სასუქი გავგიტანია და ვერც მანქანის ნაწილები.

ცოტა ხანს ისაუბრეს, მერე შიმა და რასიმო მოხუცს გამოეთხოვეს და მდინარის ნაპირს ფეხდაფეხ გაჰყვნენ.

— აი ჩვენი ხიდი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა! — თქვა რასიმამ და მდინარეზე გადებულ მორბეზე მიუთითა. წყალი მოდიდებული იყო, საცალფეხო ხიდზე ალაგ-ალაგ მღვრიე ტალღები გადადიოდნენ.

შიმამ ხმა არ გასცა. მან არემარეს თვალი მოავლო და მაშინვე მონახა ნაცნობი პატარა სახლი, ის ორი პატარა ფანჯარა, მათი დავიწყება რომ არ შეიძლებოდა.

იმ სახლში თაკუნა ცხოვრობს. ...სად წავიდა შენი სიღამაზე, თაკუნა? რამ ჩაგიქრო ცეცხლი თვალეში? სადღა შენი სქელი ნაწნავები? თავზე ვინ დაგაყარა ერცახუს მთიდან ჩამოტანილი თოვლი?

თაკუნა, დედასავით ტკბილ თაკუნა! თაკუნას კერასთან შიმას ფეხი მოურთხამს და ნაღვლიანად უტკერის მოხუც ქალს.

სალამოს კლუბში რასიმმა ყველას გასაგონად სთხოვა შიმას, ამ ღამეს ჩვენთან წამოდიო. დედაჩემმა შენი ჩამოსვლა რომ გაიგო, ძლივს დავაწყნარე, კლუბში წამოსვლა უნდოდა. დავპირდი, მე თვითონ მოგიყვან-მეთქი.

თავმჯდომარეს მაინცადამაინც არაფრად ექაშნიკა ეს დაპატიჟება. ვინ იცის, რას არ ეტყვის ის არჯალი დედაკაცი! მაგრამ ხალხში არ შეიმჩნია და სტუმარს უთხრა:

— წაჰყევი, შიმა, მოხუცი ქალის გაწბილება არ შეიძლება...

შიმა მთელი დღე კოლექტივის კარმიდამოს ათვალეირებდა და რაც უფრო მეტს ნახულობდა, მით უფრო აღარაფერს აღარ ეკითხებოდა მიხას, რომელიც სამაგიეროდ ენად გადაიქცა და პატარა ხბოსაც კი არ გაუშვებდა, რომ სიტყვების კორიანტელი არ დაეყენებინა.

ჩაის პლანტაციებში გაცხოველებული მუშაობა იყო. შიმა ხედავდა, როგორ დაუზარებლად მუშაობდნენ ახალგაზრდები, მუდამ დაუღლეელი სოფლის ქალები და მის გულში თანდათან იღვიძებდა მიწისადმი განულებული სიყვარული.

მიხა კი უდარდელად იცინოდა და ხალხს ეუბნებოდა, ხედავთ, ვინ მოგიყვანეთო.

გლეხები შიმას გარს ეხვეოდნენ, მხარზე ხეკუს უტყაპუნებდნენ და გულითად სიტყვებს ეუბნებოდნენ.

სანამ კრება დაიწყებოდა, შიმასთან ბევრი დარბაისელი კაცი მივიდა, სტუმარს თავისი გულისნადები და წუხილი გაუზიარა, მაგრამ კრება რომ დაიწყო, ყველამ რატომღაც პირში წყალი ჩაიკუბა და საჭირბოროტო საკითხებზე სიტყვა არავის არ დაუძრავს.

ლაპარაკობდნენ ზოგადად, რალაც წვრილმანებზე და უმნიშვნელო ამბებზე. შიმა მიხვდა, ნავსი პირველად მას უნდა გაეტეხა, მას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი მიხას მუშაობაზე, კოლექტივის დღევანდელ მდგომარეობაზე. მაგრამ შიმამ ყოყმანი დაიწყო. თავმჯდომარის გაკრიტიკება ადვილი იყო, მაგრამ შიმა შეშინდა, ვაი თუ მომავალი მუშაობის გეგმები კარგად ვერ დავსახო და შევრცხვეო! თან იმასაც ფიქრობდა, ვაი თუ ხალხმა მხარი არ დამიჭიროსო. ამას იმიტომ ფიქრობდა, რომ ხედავდა, როგორ დაბღვერილი უტკერდა კოლექტივის თავმჯდომარე ტრიბუნასთან დამდგარ სოფლელებს, თითქოს ყველას აფრთხილებდა, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, თორემ რაიონიდან ჩამოსული კაცი ისევე უკან გაბრუნდება. მე კი აქ დავრჩებიო.

ალექსი გოგუა  
ჩაუქრობელი ცეცხლი



გამოვიდეს და ყველაფერი გულახდილად თქვას? მერე კი რა მოხდება! მისი ერთი გამოსვლა შესცვლის აქ რაიმეს? შიმას ვერ გადაეწყვიტა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იგი ხედავდა, რადიდ საყვედურს ეუბნებოდნენ მას რასიმას თვალები. მერე ბიჭი ადგა და კარი გულმოსულად გაიჯახუნა.

შუალამე გადასული იყო, შიმა თაკუნასთან რომ მივიდა.

კერასთან ჩუმად სხედან. თაკუნას ხმა ვერ ამოუღია. ეშინია, ფიქრმორიელ სტუმარს ხელი არ შეუშალოს, მყუდროება არ დაურღვიოს.

დადლილი, ნაღვლიანი თვალებით თაკუნა ცეცხლს მისჩერებია და ხმადაბლა ლაპარაკობს:

— ნანა, შენი ჭირიმი, რომ არ დაგავიწყდა ჩემი კერიის ცეცხლი. გამჩენს ვთხოვ, ჩემი სახლის გზა არასოდეს არ შეგშლოდეს.

კერაზე მხიარულად გიზგიზებს ხმელი წიფლის შეშა. შიმა მისჩერებია ცერაზე შემდგარ ალს და მისი ფიქრი თაკუნას წარსულს დასტრიალებს. იგი სულ ახალგაზრდა იყო, დაუთა აქაბას ცოლად რომ გაპყვა, მაგრამ ყმაწვილმა ქალმა სოფელში ტოლი არავის დაუგდო, კერაზე ნაკვეთჩხალი გააღვივა და მალე დაუთას სახლის თავზე რგოლებად დახვეული მსუბუქი კვამლი გამოჩნდა. იმ დღიდან მოკიდებული თაკუნას კერაზე ცეცხლი არასოდეს აღარ ჩამქრალა. ბავშვები იზრდებოდნენ, მშობლები სიბერეში შედიოდნენ, თაკუნას კერაზე კი დღეცა და ღამეც ღულუნებდა მხიარული ცეცხლი. ბნელ ღამეში, ავდარში ხალხი ხედავდა ამ სინათლეს. ეს ცეცხლი თავისკენ ეძახდა დაგვიანებულ მგზავრს, გზადანეულ მონადირეს თუ მწყემსს და კარზე მომდგარ სტუმარს სითბოსა და მყუდროებას შეაგებებდა.

დაძინების წინ თაკუნა ნაკვერცხალს ღადარში შეახვევდა, რომ კერაზე ცეცხლი არ ჩაქრობოდა.

შიმა ზვანბა ამ კერასთან გაიზარდა. მან პირველად თაკუნასაგან გაიგონა აღერსიანი სიტყვა „ნანა“. როდესაც უფროსი ძმა სამუშაოდ, ან სანადიროდ

წავიდოდა, სიცვიისაგან აკანკალებული შიმა სწორედ ამ კერასთან მიირბენდა, სადაც მისთვის ყოველთვის ეგდო პატარა ჯირკი.

შიმას ფიქრებს თითქოს თაკუნამ გაცა პასუხი:

— მიხა აღარ იხედება ჩემი სახლისაკენ. სანამ ახალი თავმჯდომარე იყო, დაუთასთან ხშირად მოდიოდა რჩევა-დარიგების საკითხავად. ახლა კი გადიდკაცდა, ერთხელაც არ დაინტერესდა, როგორ ცხოვრობო. თუ კაციშვილს გულში ცეცხლი გაუნელდა, ის ხალხს ვერ შეიყვარებს.

შიმას გული ეტკინა, თითქოს ამ საყვედურს მარტო მიხას კი არა, მასაც ეუბნებოდა მოხუცი ქალი.

თაკუნამ კარი გამოაღო და ბნელს ყურით მიუგდო.

— რატომ იგვიანებს ჩემი რასიმი? — შეშფოთებით ჩაილაპარაკა მან და ისეც ცეცხლთან დაბრუნდა.

შიმას მთლად მოეშალა გუნება. იგი მიხვდა, რასიმი რატომ იგვიანებდა. „ჩემთან შეხვედრა არ უნდა, გულმოსულია!“

— ნან! ხალხი ამბობს, შიმა ჩვენი საქმეების მოსაგვარებლად ჩამოვიდაო. მართალია?

შიმას ეძნელებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ გაჩუმებაც არ შეეძლო, იცოდა, დედობილს ეწყინებოდა.

— მართალია, დედი. ვეცდები, რამე გავაკეთო.

— განა ჩვენ არ გვესმის, ნან, რომ შენ ბევრი საქმე გაქვს. მაგრამ რაკი ჩამოხველ, კიდევ უნდა დაგვეხმარო. შენ ყოველთვის მართალი და პირში მოქმელი ბიჭი იყავი.

შიმა უხერხულად შეიშმუნა. ხალხს მისი იმედი აქვს, ხალხი მას ენდობა. ის კი რაიკომის მდივანს ძალად რომ არ გამოეგზავნა, კლდეეთს არც გაიხსენებდა.

რა თქმა უნდა, რაიკომში შიმა ზვანბას მხარს დაუჭირენ. სოფელს განა მარტო ხიდი სჭირდება, აქ ახალი თავმჯდომარე უნდა მოვიდეს, შრომაც და ხალხიც რომ ეყვარება.

ფოში ძალღმა დაიყვია. მერე ალერ-  
სიანი წკმუტუნი მოისმა.

— რასიმი მოვიდა! — წამოვარდა თა-  
კუნა.

შიმას დიდ ოთახში გაუშალეს ლოგი-  
ნი. გარეთ ყინავდა. ქარი ზუზუნით აწვე-  
ბოდა კარებს, თითქოს სახლში შემოსვლა  
უნდოდა, ქრიალებდნენ ფანჯრის დარა-  
ბები. მაგრამ შიმას მაშინვე ჩაეძინა —  
დაღლილი იყო, ან იქნებ ღვინო მოეკი-  
და! ვახშმად მთელი დოქი გამოსცალეს.

სიცვიემ გამოადვიდა. კერაზე შეშა  
იფრფლებოდა. შიმამ საბანი მოიხვია და  
წამოდგა, დარაბა გამოაღო. პირსახეზე  
ფანჯრის მინებიდან წამოსული ცივი პაე-  
რი მოხვდა. კაკლის ტოტებში ნამგალა  
მთვარე გახლართულიყო. შიმა საწოლ-  
თან დაბრუნდა.

„რა გქნა? გავადვიძო თუ უკითხა-  
ვად წავიდე!“ — გაიფიქრა მან და ჩაც-  
მა დაიწყო.


— რა თქმა უნდა, გაპარვა მირჩენია,  
მათ თვალებს მაინც არ დავინახავ, იმე-  
დით რომ შემომცქერიან! არ გავიგონებ  
ჩემდამი ნდობით აღსავეს სიტყვებს!

და უეცრად შიმა ზვანბას ისევ ის ნაღ-  
ველი შემოაწვა გულზე. შეგიძლია წახ-  
ვიდე, დაივიწყო ხიდი, დაივიწყო მიხა,  
მაგრამ საკუთარ თავს სადღა გაექცევი?  
შენ თვითონ ხომ იცი, რომ შენი ადგილი  
აქ არის, აი — ამ ხალხთან.

თენდებოდა, როდესაც შიმა საცალფე-  
ხო ხიდზე გავიდა და ერცახუდან ჩამო-  
სულ ნისლში მიიმალა. სოფელი ისე გაი-  
არა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

უკან ისინი იხედებიან, ვინც დაბრუნე-  
ბას მალე არ აპირებს.

აფხაზურიდან თარგმნა მერი ნიჟარაძემ



სოხუმის ხედი კულტურისა და დასვენების პარკიდან





ნაწყვეტი რომანიდან „ქალის ღრისმა“

1

3 ატარა ბიჭმა მკვახე ატმები მოკრიფა და ბარკში ჩაყარა. ეცოტავა და კიდევ ჩაუმატა. ამ დროს სახლთან მანქანა მოსრიალდა და ნაცნობი საყვირის ხმა გაისმა.

— მამა, ძია ლევარსა მოვიდა!

ბიჭი ქუჩაში გავარდა და ბიძას წამოუსკუპდა მანქანაში.

— ალხაზ, ნამდვილი მეზღვაური ხარ!

ბიჭს კობტად ადგას მეზღვაურის ტანსაცმელი. ამ ბიძამ უყიდა ეს ტანსაცმელი და სწორედ იმ დღეს ომიც გამოცხადდა. მაშინ წლინახევრისა იყო ალხაზი, ეს ტანისამოსი რას გამოადგებოდა. ახლა კარგადა აქვს, პირველად დღეს ამოიღეს და დღეს ჩააცვეს. ბიჭს თავი მოსწონს მეზღვაურის ტანსაცმელში და ბიძას აცივებდა:

— მამ, ნამდვილი მეზღვაური ვარ! ლევარსამ მანქანა ისევ დააყვირა.

— მოვდივარ, — ხმა მისცა ზაურმა და იალსეს ფართიფუთით დაუბარა — კირწყალი, რაც დაგვრჩა, არ დაგავიწყდეს კენჭებს მოასხა მანდარინებთან.

ეზო დაწკრიალებულია, მოაჯირი, კიბე და აივანი ცისფრად შეღებილი. ეტყობა, ვილაცას ელიან.

სიცხეა, მაგრამ ამ სიცხეში ზაურს ლურჯი შალის კოსტუმი აცვია. ეს კოსტუმი ომამდე შეიკერა, ცოლიც იმ ხანებში შეირთო. მაშინ კარგად ადგა, ახლა ცოტა განიერი აქვს ბეჭებში. ლურჯ-ზოლებიანი რუხი პალსტუხი და რუხი კეპი ახალი ნაყიდა. ზაურს შავგვრემანი სახე წმინდად აქვს გაპარსული, დიდრონი თვალები უბღღვრიალებს.

— ხომ არ დავიგვიანეთ? — ჰკითხა ზაურმა ლევარსას, როცა მანქანაში ჩაჯდა.

ლევარსას გაელიმა და საათს დახედა.

— ერთ საათს კიდევ იქ ვიყურებტებო.

— ალხაზ, მანდ სად წამოსკუბულ-  
ხარ, ბიძის ხელს შეუშლი, — უთხრა  
შვილს ზაურმა და თავისთან გადმოსვა.  
ბიჭს პარკი გულზე ჰქონდა მიხუტე-  
ბული.

— ალხაზ, ეგ რა გიჭირავს?

ბიჭმა ხმა არ ამოიღო. ზაურმა პარკში  
ჩახედა.

— ეს მკვახე ატამი რად გინდა?

— დედას უნდა ვაჭამო.

— დედას? — ზაურს გაეცინა. — ეს  
მკვახე ატამი რა საჭმელია. გადაყარე.  
ბიჭმა პარკი დამალა.

— გადაადე, ალხაზ.

ალხაზმა პარკიანი ხელი გაპყო ფან-  
ჯარაში და პარკს არხში გადაუძახა.

— აი, ეგრე, ჭკვიანი ბიჭი ხარ!

ალხაზი მამას ბარტყივით მიეკრა.  
ორივენი გაჩუმდნენ. ორივენი დედაზე  
ფიქრობდნენ. დღეს ჩამოვა და ნახავს  
დედას ალხაზი. ზაურს აგონდებდა ბრძო-  
ლის მძიმე დღეები. არავის ეგონა, თუ  
კიდევ მოესწრებოდა ამ დღეს!

— რას გაჩუმებულხარ, ბიჭო, თქვი,  
გახსოვს დედაშენი?

თავი მოაბრუნა ლევარსამ.

— გახსოვს.

— თუ გახსოვს, აბა, მითხარი რო-  
გორია?

— როგორია?

ბიჭმა თვალები დახუჭა და ორივე ხე-  
ლი მაგრად მიიკრა გულზე.

— აი, ასეთია!

ზაურს გაეცინა.

— გიყვარს დედა?

— ძალიან მიყვარს. დედაჩემი ლამა-  
ზია, თოვლივით თეთრია, — თავგამოდე-  
ბითა თქვა ბიჭმა.

— თოვლივით თეთრი კი არა, დედა-  
შენი შაბანივით შავია, — უთხრა ზა-  
ურმა.

შაბანი ზანგი იყო და ხანდახან მათ-  
თან მოდიოდა.

— ბიძია, განა დედაჩემი მართლა  
შაბანივით შავია?

ალხაზმა ხელები გასწია და ბიძას შე-  
მოჰხვია ყელზე.

ლევარსამ თავი გაიქნია.

— არ დაიჯერო, ალხაზ, მამა გეხუმ-  
რება.

სოხუმს მიუახლოვდნენ. ზღვა ლურ-  
ჯად ლივლივებს, მწვანე ფერდობებზე  
თეთრი სახლებია შეფენილი. ორთქლმა-  
ვალმა დაიკვილა და გზიდან ისე გამოჩნ-  
და თითქოს ზღვაზე გადაიქროლა მა-  
ტარებელმა.

ქალაქის ქუჩებზე ოლეანდრის სურნე-  
ლება დგას. პრიალა მწვანე ფოთლებში  
თეთრად ანათებენ მაგნოლიის გადაშლი-  
ლი ყვავილები. კვიპაროსების ხეივნიდან  
წიწვის ფიციბი სუნი მოაქვს ნიაგს.

— უჰ, რამდენი ხალხია! — შესძახა  
ალხაზმა და ტაში შემოჰკრა.

— დედა სად არის?

ბიჭმა რომ ბევრი ხალხი დაინახა,  
დედას დაუწყო ძებნა. ზაურს გაეცინა.

— დედას აქ რა უნდა, დედა მატა-  
რებლით მოდის.

ალხაზი მოიღუშა, — როდისღა ნახავს  
დედას!

— მალე მოვა მატარებელი? — ჰკი-  
თხა მამას ალხაზმა.

— სადგურზე მივალთ და გავიგებთ.

ლევარსამ მანქანა მოედანზე გაიყვანა  
და სადგურის წინ დააყენა.

— ახლავე გავიგებ მატარებლის ამ-  
ბავს, — თქვა ზაურმა და მანქანიდან  
გადმოვიდა.

— მეც წამოვალ, — სახელოზე მოე-  
ჭიდა ალხაზი.

— შენ აქ იყავი, მე ახლავე მოვბრუნ-  
დები.

ზაურმა სადგურის დიდი შენობისაკენ  
გასწია. ლევარსამ კარი გააღო და გად-  
მოვიდა. ალხაზიც გადმოჰყვა და ბიძის  
დიდ ხელს ჩაებღაუჭა.

— ჩვენც წავიდეთ, ძია ლევარსა.

— არა, მამას ავცდებით.

სადგურის წინ ხალხი ირევა, მაგრამ  
ალხაზმა შორიდანვე მოჰკრა მამას თვა-  
ლი.

— რა გაიგე? — ჰკითხა ლევარსამ,  
როცა დაძმარებული ზაური დაინახა.

ივანე პაპასკირი  
საიდა

— ხუთი საათით იგვიანებს მატარებელი.

ალხაზმა ძიას გაუშვა ხელი და მამას მივარდა.

— მამა, როდის მოვა მატარებელი?

— მალე, მალე მოვა.

გერმანელები ტუპსეს რომ მოადგნენ, უღელტეხილზე გვირაბები ააფეთქეს. იმის შემდეგ გზა შეაკეთეს, მაგრამ მიწა ცურავს და მალ-მალე ხან ერთი გვირაბი ფუჭდება, ხან მეორე.

— რა ვქნათ, აქ რა გზგვაჩერებს, — უთხრა ზაურმა ცოლისძმას.

— მოდი, ლუბასთან წავიდეთ!

ლუბას ძალიან გაეხარდა სტუმრების მისვლა.

— მატარებელს რომ არ დაეგვიანა, ხომ არ მოვაგონდებოდით. — საყვედურებით აავსო. აღარც კი გახსოვთ ჩემი სახლის კარები. ვითომ თქვენც ნათესავეები ხართ.

— შინ არ გვეგულებოდი, — თავი იმართლა ზაურმა.

— ჩვენი სახელოსნო დროებით დაკეტეს.

— რა ამბავია?

— უნდა გააფართოვონ. ომი ვათავდა, ხალხს ჩაცმა უნდა! — თვალი ჩაუკრა ლუბამ და სტუმრებს ბალი მიართვა.

ალხაზმა შავად დამკრახული ბალი დაბლუჯა და ჯიბისაკენ იტაცა.

— რასა შერები, ალხაზ!

ალხაზმა თავი გაიქნია.

— დედას უნდა წავეულო! ატამი გადამაყრევიანე, მკვახეაო, ეს ხომ კარგია!

— შენ ეგ ბალი შეჭამე, დედასთან ბალს მე გაგატან, — უთხრა ლუბამ.

ბიჭმა ბალს პირი არ დააკარა, ვიდრე ლუბამ პარკი არ აავსო და ალხაზს ხელში არ მისცა.

— თქვენც პირი გაისველეთ, — მიუბრუნდა ლევარსასა და ზაურს, — მე ეხლავე მოვალ, მეზობელთან უნდა გადავიდე, — მოუბოდიშა სტუმრებს ლუბამ. — ეგებ ნუცა იქ იყოს!

ლუბა მიხვედრილი იყო, ნუცას ლევარსა უყვარსო და სწორედ ამიტომ წავიდა მეზობელთან ნუცას გადმოსაცვანად.

„შტერ კამუგასთან გავლილი ქალი მე რალად მინდა!“ — გაიფიქრა ლევარსამ და ცუდ გუნებაზე დადგა.

„ეგებ სადმე მოიხელთა კიდევ და აკოცა“.

ლევარსამ გადაწყვიტა, ჩვენ შორის ყველაფერი ვათავდაო და აღარც შეხვედრია, აღარც წერილზე უბასუხა. თუ სადმე შეხვდა, როგორც კარგ ნაცნობს, ისე შეეხვედებო.

ლუბას ნატერა აუსრულდა, ნუცა მეზობელთან დახვდა.

— ლევარსა მოვიდა.

— ლევარსა?

— ჰო, სიძე-ცოლისძმა დღეს საიდას უხვდებიან. წამოდი, ჩვენც დახვდეთ.

— მართლა წამოვალ, — უთხრა ნუცამ და ლუბას გამოჰყვა.

ზაური წამოღვა და კარებში მიეგება ქალიშვილებს. ლევარსამ ფეხი აითრია. კი ამბობდა, როგორც ნაცნობს ისე შეეხვდებო, მაგრამ ნუცა რომ დაინახა, მიხვდა, სულ ტყუილად ფახიფუხობდა. ერთმანეთი უბრალოდ მოიკითხეს. ლუბას გაუკვირდა, ასე რად შეხვდნენო, მაგრამ გულში გაუხარდა, კარგად უჭირავთ თავი, კაცი ვერაფერს შეატყობსო.

ლუბა სამზარეულოში გავიდა. ზაური უკან გაჰყვა.

— პირში ერთ ლუკმას არ ჩაეიდებ, ვიდრე საიდე არ დაჯდება სულრაზე.

ლევარსამაც კვირი დაუკრა, მატარებლის მოსვლამდე რალა დრო დარჩა, საცაა უნდა წავიდეთო და ალხაზი დაანახვა. ბიჭს პარკი ისევ ხელში ეჭირა და ტანტზე გარდიგარდმო გაშხლართულს ჩასძინებოდა. მწიფე ბალს პარკი აქა-იქ დაესველებინა და დაეხია.

— ღამე გვიან დაიძინა და დღეს ადრე ადგა. ლოდინით დაიღალა, — თქვა ზაურმა.

— სხვა პარკში ჩავუყრი, თორემ სულ დაეძინევა.

ნუცამ მძინარე ბავშვს პარკი ფრთხილად გამოაცალა ხელიდან, გაზეთის ახალი პარკი გააკეთა და ბალი შიგ ჩაუყარა.

— არ დაეგვიანოთ! — წამოღვა ზაური და ბავშვი გააღვიძა.

— ალხაზ, დედასთან მივიდვიართ.

თავზე გადაუსვა ხელი ზაურმა. ბიჭი უცებ წამოხტა და მაშინვე პარკს დახედა. გაეღიმა და მამას ჩასკიდა ხელი.

— წავიდეთ, წავიდეთ! ჩქარა წავიდეთ! — ფეხები დააბაკუნა მოუთმენლად ალხაზმა.

ყველანი ეზოში ჩავიდნენ, ნუსცა უკან ჩამორჩა, აღარ უნდოდა წასვლა, სწორედ ამ დროს ლევარსამ მანქანის კარი გააღო.

— ყველანი ჩავეტყვიო!

ნუსცა გაწითლდა და მანქანაში ჩაჯდა. მატარებლის მოსვლას სულ რაღაც წუთები აკლდა. ზაური ბაქნისაკენ გაიქცა. ყველანი სადგურზე გავიდნენ. ნუსცამ დრო იხელთა და ლევარსას ჰკითხა.

— ვერაფერი გამიგია, რად მეზღვირები?

— არაფერსაც არ გეზღვირები.

— მაშ, რატომ არ მელაპარაკები ხეირიანად?

— როგორ გელაპარაკო?

— თუ გაჯავრებული ხარ, უნდა მი-თხრა.

— რა უნდა ვითხრა?

— ჰო, ამისხენი, რა გაწყენინე!

— მე არ მეგონა, თუ ჩემთან შეხვედრას კიდევ მოინდომებდი. მაშ, თუ ეგრე გინდა, პარასკევს სოხუმში ვიქნები, პირველი საათისათვის ზღვისპირზე მოდი. ძველ ადგილზე, სკამზე რომ ვისხედით.

ლევარსას ვიღაც ჩემოდნიანი კაცი დაეჯახა და სიტყვა გააწყვეტინა. მატარებლის კვილი მოისმა. ლევარსამ და ნუსცამ ფეხს აუჩქარეს და ზაურს დე-წვივნენ.

სალამოს ბინდში უძრავად გადაკიმულნი ზღვა თვითმფრინავის ალუმინის ფრთასავით ეღვარებდა. საიდა მატარებლის ფანჯრიდან გამოსცქეროდა ქალაქს.

„დამხვედება ვინმე?“

„მიიღო ზაურმა დეპეშა?“

საიდა ბოლო ვაგონში იყო, დამხველურები კი წინა ვაგონებისკენ გაიქცნენ. საიდამ მიიხედ-მოიხედა, ხალხი მოათვალიერა, იფიქრა, არავინ დამხვედაო და ჩემოდანს ხელი დაავლო.

საიდასაკენ მსუქანი ქალი მორბოდა, უკან-უკან იყურებოდა და ვიღაცას ხელს უქნევდა.

— აქ არის, აქა!

საიდამ ლუბა იცნო. ლუბა მოეხვია და კოცნა დაუწყო. საიდა ისევ ლუბასა ჰყავდა ღონიერ მკლავებში ჩაკრული, როცა ზაურიც დაინახა, ზაურის გვერდით ლევარსა, ვიღაც ქალი და ბიჭი მორბოდნენ.

— ალხაზ!

ბიჭი შედგა და მერე ისევ დედისკენ გაექანა. პარკი ხელიდან გაუვარდა და ბალი დაეპნა.

— რამოდენა გამხდარხარ!

საიდამ ბავშვი ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. ალხაზი კისერზე შემოეხვია დედას.

— რამოდენა გაზრდილხარ! — სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა საიდას.

საიდას სამხედრო ტანისამოსი ეცვა. ძველებურად მიმზიდველი იყო, მაგრამ ზაურმა შეამჩნია, პირისახეზე სვედის იერი დაჰკრავდა.

ზაურმა ლევარსასკენ გააპარა თვალი, ის გახარებული შეჰყურებდა დას. მიღებული არ არის, ხალხში ცოლს გადაეხეო, როცა ცოლისძმაც აქვია, პატივი უნდა სცე ძველ ადათს და ვაჟკაცურად უნდა დაიჭირო თავი, მაგრამ ზაურმა ვეღარ მოითმინა და დედა-შვილი გულში ჩაიკრა. ალხაზმა ერთ ხელი მამას მოხვია კისერზე, მეორე დედას.

ნუსცა განზე იდგა. ის ალტაცებული უყურებდა აფხაზ ქალს. მისი საგმირო საქმეები ყველამ იცოდა. ორჯერ დაიჭრა და ბერლინამდე მანაც ჩავიდა. შავგვრემან სახეს ეს გამოხუნებული პილოტურაც უხდებდა, მკერდს უმშვენებს „სამამულო ომის ორდენი“, „წითელი ვარსკვლავი“ და მედალი „მამაცობისათვის“.

„გმირი ეს არის, მე ხომ თავის დღეში მაგისტანა ვერ ვიქნები. ტყუილად მაქებს ლევარსა“.

ივანე პაპასკირი  
საიდა

საიღამ ნუცას შეასწრო თვალი. ნუცა მივიდა და ისიც გადაეხვია.

— ჩემთან წამოდი, ცოტა ხანს ჩემთან დაისვენეთ, — შეეხვეწა ლუბა.

საიღამ დიდი მადლობა გადაუხადა ლუბას და მალე ლევარსას მანქანა სოფლისაკენ მიჰქროდა.

— ის ვინ იყო, ნათესავივით რომ გადამოკცნა? — იკითხა საიღამ.

— ლუბას მეზობელია, მონადირე სოფელი ხომ გაგიგონია, იმისი ქალია, — უთხრა ზაურმა. ლევარსას ხმა არ ამოუღია.

— სოფელს ვიცნობდი. ქვეყანი გოგო ჩანს. როგორი გოგოა, ლევარსა? — ჰკითხა ძმას.

— მე რა ვიცი, ეგრე ახლო კი არ ვიცნობ, — ცივად მიუგო ლევარსამ. ლევარსას ხელები საჭეზე ეწყო და გზას გასცქეროდა.

კარგა ბნელოდა, როცა მანქანა ზაურის სახლის წინ გაჩერდა.

2

საოჯახო საქმეებზე მიდგა თუ არა საქმე, ზაურმა ისევ სახლის აშენებაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— სახლის აშენება რას აგიჩემებია, — გაეღიმა საიდას.

— დრო არ არის, როდისღა ავაშენო?! — თავი გაიქნია ზაურმა.

— მაგასაც მოვესწრებით, — არ უთმობდა საიდა.

— ხე-ტყის მასალა კიდევ მოვიშადავ, ახლა დავიხიო უკან?

— შენი მოჭრილი ხეები ჯერ ტყეში აწყვილა.

— აწყვილა და ჩამოვიტან. იმის ჩამოტანას რა უნდა!

საიღამ თავი გაიქნია.

— ზაურ, წინ მიდიხარ თუ უკან?

ზაურმა გაოცებულმა შეხედა ცოლს.

— ჰო, შენ გეკითხები, წინ მიდიხარ თუ უკან! რა დროს სახლის აშენებაა! არა, ახლა სახლს ვერ ავაშენებთ.

— ავაშენებთ! — თავისაზე იდგა ზაური.

ალხაზი საუზმობდა და ხან დედას უყურებდა, ხან მამას.

— მერე ალხაზს რას უშვებენ? — ჰკითხა ზაურმა.

— ალხაზი რა შუაშია?

ალხაზმა საუზმე გაათავა, სკამიდან ჩამოხტა და მამის მუხლებზე გამოიჭიმა. რაკი ალხაზი ახსენეს, ბავშვმა ყურები სცქვიტა. ზაურმა ბიჭს ხუჭუჭ თმაზე ხელი გადაუსვა.

— დიდი, ღამაში სახლი უნდა ავიშენო, გესმის, ალხაზ?

— როგორი სახლი, ზღაპარში რომ არის ხოლმე? — ალხაზი დაფიქრებული შესცქეროდა მამას.

— ჰო, როგორც ზღაპარშია. მე მინდა, შენც ისეთ სახლში იცხოვრო. დედაშენი კი...

— ზაურ, არა ფიქრობ... — საყვედურით გააწყვეტინა საიღამ.

— მე მინდა, ჩემმა შვილმაც იცოდეს, ჩვენ რასაც ვაკეთებთ.

საიღამ თავი გაიქნია.

— სისულელეთი თავი დაანებე.

ალხაზმა დედას შეხედა, მერე მამას, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

— წადი, ალხაზ, ეზოში ითამაშე, — უთხრა ზაურმა შვილს და მუხლებიდან ჩამოსვა.

— იალსეს კიტრის მოკრეფა უშველე, — ხელი მოუთათუნა მხარზე საიღამ.

— შენც მოგიტანო კიტრები? — ჰკითხა ალხაზმა დედას და ბოსტინისაკენ მოჰყურებდა.

— არა, სახლი უნდა ავაშენო! — ისევ მტკიცედ თქვა ზაურმა.

საიდა ზაურს მიუახლოვდა, კარისაკენ გააპარა თვალი, ხომ არავინ გვიყურებსო და ბეჭებზე ხელი მოხვია.

— სახლის აშენებას ვინ დაგიშლის, მაგრამ ჩვენ თვითონ რასა ვფიქრობთ?

— რა უნდა ვიფიქროთ?

— აქეთ-იქითაც ხომ უნდა გავიხედოთ!

— როცა მორები უკვე გამზადებული მიწყვილა, ახლა შევჩერდე შუაგზაში?

— არ უნდა მოგეჭრა. რა გეჭკარებოდა. სახლის აშენებასაც მოვესწრებით. ჩვენ ახლა სახლი რომ დავიწყობთ, ვინ რას იტყვის?



ზაური გაჩუმებული უკვებდა ყურს, სიამოვნებდა მისი ლაპარაკის კილო. ცოლს კარგად იცნობდა, მაგრამ ახლა ყოველდღე რაღაცას ამჩნევდა ახალს.

— ვისაც ძველი სახლიც თავზე ენგრევა და შემკეთებელიც აღარ მოუვიდა, იმას როგორ შეხედავ თვალბში? ხალხი წელში გამწყვდარია და შენ ავიჩემბია, ახალი სახლი უნდა ავაშენოო.

ზაურმა იცოდა ცოლის ხასიათი, რასაც იტყოდა, კიდევ გაიტანდა.

— მაშ, შენ რა გინდა, რა გავაკეთო?

— რა გააკეთო და ჯერ სახლის აშენებას თავი დაანებე. ჯერ საერთო საქმე წამოგაყენოთ და მერე ჩვენს თავზე ვიფიქროთ.

— შენ რას აპირებ? — გაჯავრებულმა ჰკითხა ზაურმა.

— მე რას ვაპირებ? მე მინდა ერთი პეტტარი მიწა ავიღო და კარგი მოსავალი მოვიყვანო.

— ნაკვეთზე ვინ გეტყვის უარს, რატომ არ მოგცემენ, ხვალვე გამოგიყოფენ საუკეთესო ნაკვეთს.

— სწორედ ეგ არ მინდა. მოუვლელ ნაკვეთს ავიღებ და იმ ნაკვეთს გაეხდი სანიმუშოს. გესმის, ზაურ?

— შესძლებ? — ჰკითხა ზაურმა.

— რატომ ვერ შევძლებ!

ზაურს ეგონა, ფრონტიდან ჩამოსული საიდა სახლში დატრიალდებოდა. ახლა კი სხვანაირად გამოვიდა.

— მოერევი საქმეს?

— რატომ ვერ მოვერევი.

ზაურმა იფიქრა, საიდამ დილიდან სალამომდე პლანტაციაზე რომ იმუშაოს, ისედაც დაღლილია და რა მოუვაო? მაგრამ უცებ გაიფიქრა: „პირველობა რომ აიღოს, მაშინ ხომ კარგი იქნება!“

ზაურს გაელიმა, მაგრამ უცებ ისევ მოიღუშა. „მაშინ უყურეთ სოფლის ლაზლანდარებს, რა დღეს დამაყრიან, ცოლმა აჯობაო, რომ ვერ აიღოს პირველობა!“ ზაურმა ნახად ხელი მოჰხვია მხარზე.

— ჯერ დაისვენე და მუშაობაზე მერე იფიქრე.

— მე დასვენებული ვარ. თუკი შენ ჯერ ჭრილობები არ მოგრჩენია და ყვე-

ლაზე ძნელი ბრიგადის ბრიგადირობა იკისრე, მე რად მიშლი მუშაობას?

ზაურს გაელიმა.

— მე სახლის აშენებას თავს დავანებებ და შენ ნაკვეთს დაანებე თავი, — გაცინა ზაურს.

საიდამ საყვედურით გადააქნია თავი.

— სად სახლის აშენება და სად ნაკვეთი! განა მე დაგიშალე, თამბაქოს პლანტაციაზე ნუ იმუშავებ-მეთქი. პირიქით, მინდა გაიმარჯვო, პირველობა აიღო.

ზაურს უნდოდა ეთქვა, ჩემი საქმე სხვა არის და შენი საქმე სხვა არისო. ძველად ასე უყურებდნენ ქალს მამა-პაპანი. ზოგ ოჯახში ახლაც ასეა, ცოლს ედიდგულებიან. ქალს ჰკუა ვინ მისცაო, ან მუშაობისა რა იცისო. ცოლს თუ თავისი შრომით შემოაქვს რამე, ეს კი უნდათ, მაგრამ თუ ცოლი ხალხის თვალში უკეთესი გამოჩნდა, ამაზე კი უკაცრაზად, ეს კი აღარ ესიამოვნებათ. ამისთანა ქმარმა ცოლი შეიძლება შეიძულოს კიდევ, ჩემზე ჰკვიანი რადა ჰგონიათ, ჩემზე მეტ პატივს რადა სცემენო.

ზაური და საიდა ასე ხომ არ იყვნენ. საიდამ თავიდანვე ისე დაიჭირა თავი, ზაურს თავის ცოლი არასოდეს არც დაუმიცირებია, მას არც ამპარტავენულად მოქცევია.

— რამ ჩაგაფიქრა? — ჰკითხა საიდამ.

— არაფერმა.

ზაურს შერცხვა თავისი ფიქრებისა.

საიდას გაელიმა და ისეთი მეგობრული კილოთი ჰკითხა, რამ ჩაგაფიქრაო, რომ ზაური უცებ მოლბა. ყოველთვის ასე იყო, ბოლოს მაინც დაიყოლიებდა ხოლმე საიდა და ეს დაყოლიება არასოდეს სანანებლად არ გახდომია ზაურს. საიდას უბრალო რამ არ გაიტაცებდა, სისულელეს არ აჩემებდა, არ აჩქარდებოდა, არც ფიცხი იყო. ზაური კი ჩქარიც იყო და ფიცხიც. ზოგჯერ ეს სიჩქარე და სიფიცხე საქმეს უფუჭებდა.

„მოხუცები იტყვიან, ცოლის ჰკუაზე დადისო, ჩემისთანა ცოლი იმათ არ ჰყო-

ივანე პაპასკირი  
საიდა

ღიათ, თორემ ისინიც ცოლის ჭკუაზე ივლიდნენ. შეადარონ თავიანთი ზუკუო, ქათათარი ცოლები ჩემს ჭკვიან ცოლს, ნახონ, რა ცოლიცა მყავს და მერე ილაპარაკონ!”

— რასა ფიქრობ, ზაურ?

— რასა ვფიქრობ? — ზაურს გაეღიმა, — ჩემისთანა ცოლი არავისა ჰყავს-მეთქი.

საიღამ თავი გადაიქნია.

— რვა წლის ცოლ-ქმარი ვართ, ამ რვა წელიწადში სხვა ვერაფერი მოიფიქრე?

— ბევრია რვა წელიწადი? — ჰკითხა ზაურმა.

— ბევრია თუ ცოტაა, მე კი დავბერდი.

— მაინც ყველასა სჯობიხარ!

ზაური უცებ კარგ გუნებაზე დადგა. წელიწადელმა გაჯავრებამ გაუარა და მხიარულად უთხრა:

— სახლს მაინც ავაშენებ, აი, ნახავ!

— ჯერჯერობით მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— ეგრე იყოს, ნულარ ვილაპარაკებთ. ზაურმა არა თქვა, რა გადაწყვიტა და ამაზე ლაპარაკი აღარ გაუგრძელებიათ.

— აქამდის რომ დედა ვერა ვნახე, — უთხრა შეწუხებულმა საილამ ზაურს.

— რატომ ვერა ნახე?

— აბა, რა ვიცი. ერთმა კვირამ როგორ გაირბინა, ვერც კი გავიგე. მერე ვინ იყო ჩემი ბიჭის პატრონი? შახუსნა! დედობა ვინ გაუწია ალხაზს? ისევ შახუსნამ. ამ კვირას უსათუოდ უნდა ვესტუმროთ, ზაურ.

— ლევარსას ვეტყვი და ის გადაგვიყვანს, იქ გადასვლას რა უნდა!

ზაურს დედ-მამა აღრე დაეხოცა. ერთადერთი და ჰყავდა და ისიც მოუკვდა. საილას ახლობლები ახლა იმის ახლობლებიც იყვნენ.

შახუსნა საილას მამის ცოლი იყო, შეუხედავი, უბრალო ქალი. მაგრამ რა ადამიანობა გამოიჩინა! სხვას დასანახავად შესძულდებოდა საილა, იმან კი ხელი მოჰხვია და შვილივით მიიღო. ბარძიკვასთვის, საილას მამისთვის ერთი საყვედური არ უთქვამს შახუსნას. საილამ მერე

და მერე დააფასა შახუსნა. ლევარსასაც მერე გაუგო ხასიათი. ლევარსას დედის კეთილი გული ჰქონდა. საილა ბარძიკვას უკანონო შვილი იყო. ასტანდასაგან შეეძინა. ბარძიკვა ერთი უნდილი კაცი იყო. საილას დედა ძველმა დრომ შეიწირა. ძველი დრო რომ ყოფილიყო, საილაც დაიღუპებოდა.

კვირა დღეს ლევარსა მანქანით მოადგა ქიშკარს.

— მივდივართ, ალხაზ!

ალხაზი გაიქცა და ბიძას მოუსკუბდა გვერდში. რამდენს უშლიან, მაგრამ აქ ჯდომამ ყველაფერს ურჩევნია.

მანქანა მოკირწყულულ გზაზე მიჰქრის, ამ გზის გაკეთება ომამდე დაიწყეს და დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრეს. ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდე მისვლას წინათ დიდიდან შუადღემდე უნდებოდნენ, ახლა კი დალაპარაკებას ვერ მოასწრებ, იქა ხარ!

— ამას ვისა ვხედავ, ჩემო თვალისჩინო! — გამოეგება სტუმრებს მოხუცი შახუსნა და საილა გულში ჩაიკრა.

— რაკი იმასაც მოვესწარი, რომ ჩემმა გაწყალებულმა თვალებმა ვიხილეს, — ბუტბუტებდა მოხუცი.

— შენც კარგადა ხარ, დედა.

— ჩემი კარგად ყოფნა შენი კარგად ყოფნა!

— არ დაბერებულხარ.

— ღმერთმა ჯანი მოგცეს, უფრო დამშვენებულხარ! — შახუსნა თვალს არ აშორებდა საილას. — ალხაზი სადღაა, არ წამოიყვანეთ ჩემი გვრიტი? — შეწუხებულმა შახუსნამ მიიხედ-მოიხედა.

— არ მოგიყვანეს, მაშ, გალანძღვის ღირსები არ არიან? — უთხრა ლევარსამ.

შახუსნა აქეთ-იქით იხედებოდა.

— ერთი კვირაა აქ არიან და ერთმანეთის ცქერით ვერ გაძლნენ, — გაეღიმა ისევ ლევარსას.

— მე მაგას არ ვემდურები, რატომ იმ დღესვე არ გამოიქეცი-მეთქი, ალხაზი რატომ არ მომიყვანეს, ესა მწყინს.

ამ დროს მანქანიდან ალხაზი გადმობტა, გამოექანა და დიდდას ყელზე შემოეხვია.

— დედა, ჩვენი ბრალი არ არის, დამალვა ამ ვაჭბატონმა, — საიღამ ხელი გაიშვირა ლევარსასაკენ, — და ალხაზმა მოიგონეს. ჩვენ კი გვითხრეს, ხმა არ ამოიღოთო.

— ამ ხნის ქალს დამალობანა მათამაშეთ! — ყასიდად გაჯავრდა შახუსნა. ისევ ჩაიკრა გულში ალხაზი და ისევ ჩაპკოცნა.

— ჩემო სიხარულო, მაშ, დამემაღე?! შახუსნამ საგულიგულოდ გაშალა სუფრა.

მოხუცი ქალი საიდას თვალს ვეღარ აშორებს — უფრო დაქალბებულა და დამშვენებულა, მაგრამ გული უკვდება, თვალღების გარშემო ნაოჭები გასჩენია და თმაშიც ქაღარა გამორევია.

„იმ ცეცხლიდან რომ ცოცხალი დავვიბრუნდა, კიდევ ბედი გექონია“, — გულში ამბობს შახუსნა და ოთახში ფუსფუსებს.

— წამოდი, ჩემი გარაჟი გაჩვენო, — უთხრა ლევარსამ ზაურს, როცა სუფრიდან ადგნენ. ალხაზიც იმათ გაჰყვა. შახუსნამ დანიმარტოხელა თუ არა საიდა, მაშინვე გული გადაუშალა.

— ცოლს არ ირთავს ლევარსა, შენ ხომ არ იცი, რასა ფიქრობს?

— არ ვიცი.

— ერთხელ მითხრა, გოგო მყავს შეთვალეირებულიო და ახლა ისევ გაჩუმდა. საიდა მიხვდა, ვისზედაც ეტყოდა ლევარსა და გაეღიმა.

— ნუ გეშინია, დედა, რადგან წამოსცდა, მაშ, მოიყვანს კიდევ, მალე რძალი დაგიტრიალდება ოჯახში.

ოთახში ალხაზი შემოვარდა.

— ძია ლევარსას გარაჟი ვნახეთ.

ალხაზს კაცებიც შემოჰყვენენ.

— მოგეწონა გარაჟი? — ჰკითხა საიდამ ზაურს.

— ძალიან მომეწონა.

— სახლის აშენებას რად უშლი? — მიუბრუნდა ლევარსა დას. ეტყობა, ზაურმა უჩივლა ლევარსასთან.

— ცისტქეშ ხომ არა ვართ, — მტკიცედ მიუგო საიდამ.

ზაურს გაეღიმა.

— დროა, კარგად ვიცხოვროთ.

ლევარსა დას უჭერდა მხარს, მაგრამ ამის თქმა მოერიდა. არ უნდოდა, ზაურისთვის ეწყენინებინა. ზაური ყოჩალი ბიჭია, რასაც ხელს მოჰკიდებს, რჯულს გააგდებინებს და გააკეთებს. მოაგონდა, რომ ზაური უმაღლესში აპირებდა შესვლას და ამაზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ინსტიტუტში რომ გინდოდა შესვლა, რა ჰქენი?

— კიდევაც მინდა.

— კარგს იზამ.

— საამშენებლოზე ვაპირებ. დავამთავრებ და ისევ სოფელს დავუბრუნდები. განა აქ ცოტაა ასაშენებელი?

— ყოჩად!

— სახლის აშენებასაც იმიტომ ვიქარობ. ერთი დღით გადადებული ერთი წლით გადადებულიო, — ნათქვამია. მე რომ ინსტიტუტში შევიდე, მერე სახლს ვინ ააშენებს?

ალხაზს მოსწყინდა დიდების ლაპარაკი და შახუსნას კალთაზე მოსწია.

— ბაღში წავიდეო.

— ახლავე, ჩემო ჩიტო.

— წავიდეო!

კარებთან მისული შახუსნა მოტრიილდა.

— ახლა ყველა ახალ სახლს აშენებს. ძველ სახლში ცხოვრებას აღარავინა კადრულობს.

შახუსნას ამით უნდოდა ეთქვა, ზაური მართალიაო.

ზაურს გაეღიმა, ჯიბიდან ქალღაღდი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა თავისი ხელით დახაზული სახლის გეგმა.

ლევარსამ გეგმა გასინჯა, მაგრამ არაფერი უთხრა. საიდას გეგმისკენ არ გაუხედია, თუმცა გეგმას პირველად ხედავდა. ზაურს საქციელი წაუხვდა, გაწითლდა და მოიღუშა.

— მეც გაჩვენებ გეგმას, — თქვა ლევარსამ და მეორე ოთახში გავიდა.

საიდას ზაურისთვის ხმა არ გაუცია.

— აბა, ნახეთ, როგორია ჩვენი სოფლის გეგმა.

ივანე შაპასკირი  
საიდა



ლევარსამ გეგმა გაშალა. ზაური ახლო მივიდა და გეგმას დახედა, საიდაც აქვე იდგა და გაფაციცებული დასცქეროდა.

— ეს სოფლის ცენტრია, — უხსნიდა ლევარსა. — ხედავ, აქ ხეებია ჩარიგებული. შუაში რას გააკეთებენ, ჯერ არქიტექტორმაც არ იცის.

— შადრევანი იქნება, — ჩაერია ზაური.

— შეიძლება მართლა შადრევანი გააკეთონ. შეიძლება ქანდაკება დადგან, ან სხვა რამ, ხომ გეუბნები, ჯერ არქიტექტორმაც არ იცის. გარშემო ყვავილნარი გაშენდება.

— კარგი გამოვა! — ჩაერია საიდა.

— ჰო. აქ სასეირნო ადგილი იქნება. ამას ხედავთ, ეს კოლმეურნეობის ახალი კანტორაა.

— იქ რა უჭირდა, სადაც იყო? — ჩაერია ზაური.

— ეს კოლმეურნეობის გარაჟია. ეს ჩვენი მდინარეა. ბონდის მაგივრად ბურჯებიან ხიდს ავაშენებთ.

— როდის იქნება, როდის აშენდება ეგ ყველაფერი! — შეაწყვეტინა საიდამ.

— აგერ სამხეზხაო. აქ ტყე გაიკაფება და ბალ-ვენახი გაშენდება. ეს რძის ქარხანაა.

— შენ საქმის გაკეთება თქვი, გეგმის დახაზვას რა უნდა! — თქვა ზაურმა.

ლევარსას ჩაელიმა და განაგრძო:

— აი, აქ, მოშორებით მეფრინველეობის ფერმაა. ეს უკვე აშენებულია. ეს შენობები — კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლებია. რითი არ არის ქალაქი?

— მშვენიერი გეგმაა! — საიდას ისე აქვს სახე გაბრწყინებული, უკვე აშენებულია ხედავს, რაც ამ გეგმაზეა.

— აბა, აქ სადა ჩანს ქალაქია თუ სოფელი? მე რომ მკითხო, მირჩენია იმათ ქალაქს ასეთ მოწყობილ სოფელში ცხოვრება! — თქვა ზაურმა.

— მეც მირჩენია, — კვერი დაუტრა ლევარსამ. — მაგრამ ჯერ ყველაფერს ვერ გავაკეთებთ. ჯერ ამის თავი არა გვაქვს. მერე კი, როცა კოლმეურნეობა მოლონიერდება, გიყვარდეს, ჩვენ ფრთებს გავშლით.

ზაურმა კოლმეურნეობის გეგმის ქვემოთ მოყოლილი თავისი სახლის გეგმა ჩუმად გამოაცურა, ოთხად მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— ცენტრალურ ნაგებობათა აშენებაში კი დავეხმარებიან, სამშენებლო მასალას მოგვცემენ. — განაგრძო ლევარსამ. — მაგრამ მე ჩემი მოსაზრებაცა მაქვს, პატარა ცვლილება მინდა შევიტანო ამ გეგმაში.

— მერე შეიტანე, — უთხრა ზაურმა.

— რაიონის ხელმძღვანელებსაც უნდა ვკითხო, ვნახოთ, ისინი რას იტყვიან.

— რა ცვლილება გინდა შეიტანო? — ჰკითხა ზაურმა.

— რა ცვლილება? ამას წინათ ერთი კოლმეურნეობის პროექტი ჩამივარდა ხელში.

— კარგი პროექტი იყო? — ჰკითხა ზაურმა.

— ძალიან კარგი, — განაგრძო ლევარსამ. — მოგეწონებოდა! იცი რას მივაქციე ყურადღება? ორსართულიანი შენობები იყო შეტანილი, ჩვენს გეგმაში კი ორსართულიანი შენობები არ გავვითვალისწინებია.

— მერე გაითვალისწინეთ, — უთხრა ზაურმა.

— ხომ გეუბნები, ხვალიდან ვიწყებ რაიკომში მუშაობას და ვეცდები, ჩემი გავიტანო. ორსართულიანი შენობა გჭკირდება საშუალო სკოლისა და საავადმყოფოსათვის.

— კარგი, კიდევ რომ დაითანხმო, აშენებას ხომ ფულიც უნდა, მარტო სურვილი არა კმარა, — თქვა ზაურმა.

— ეგ ხომ ეგრეა, — გაეცინა ლევარსას.

— რისი იმედი გაქვს, ქალაქი თქვენ ფულს არ მოგცემთ, — გადაჭრით უთხრა ზაურმა.

— ჩვენ ქალაქის იმედი არცა გვაქვს. კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით უნდა ააშენოს სკოლაცა და საავადმყოფოც.

— კოლმეურნეობის სახსრებით? მერე კოლმეურნეობას რა სახსრები აქვს?

— აქვს, — გაელიმა ლევარსას.  
 — მაინც? — ჩაეკითხა ზაური.  
 — აი, ახლავე გეტყვი, — დინჯად დაიწყო ლევარსამ და ჩამოსათვლელად თითები მოამზადა. — ყოველწლიურად გეგმის გარეშე საზამთროსა ვთესავთ? ვთესავთ. — თითი მოკეცა ლევარსამ. — ლობიოსა ვთესავთ? ვთესავთ. სოიას?  
 — სოიასაც ვთესავთ, — დაეთანხმა ზაური.

— ჰოდა, ყველაფერი ფულია, რასაც გაყვიდით. ახლა ამას მიუმატე ხილი. ხილის შემოსავალიც ხო ჩვენა გვრჩება.  
 — ერიპა! — შესძახა საილამ. — მაშ თქვენ კოლმეურნეობის წესდებას არღვევთ?  
 — რად ვარღვევთ.  
 — დარღვევა არ არის, მაშ, რა არის, — გაელიმა საილას.  
 — დარღვევა მაშინ იქნებოდა, ბოროტად რომ ვიყენებდეთ. ჩვენ კი...  
 — მაინც რას ახმართ ამ შემოსავალს?

— რას ვახმართ ხომ გითხარი, ნაწილს ახალი შენობების აშენებას, ნაწილი ტრანსპორტის შეკეთებაზე იხარჯება.  
 — კიდე? — ჩაეკითხა საილა.  
 — კოლმეურნეებს ვეხმარებით გაჭირვების დროს.  
 — კარგად გაგინაწილებიათ! — უთხრა საილამ.

— მაგ შემოსავლით ბევრი ფული გაქვთ დაგროვილი? — ჰკითხა ზაურმა.  
 — ამ შემოსავლით? ახლავე გეტყვი, ასი ათასი გვექნება.  
 — ოჰო! ბლომად გქონიათ! საილამ და ზაურმა ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს.  
 — ერთი სიტყვით, ისეთი შენობები უნდა ავაშენოთ, რომ ხვალ აღარ ვიფიქროთ აშენებაზე.  
 — ახალ ადგილზე დაგინიშნეს და შენ მაინც კოლმეურნეობას არ ეშვები, — გაეცინა ზაურს.

— ჰო, ვერც მოვეშვები.  
 — ერთი ეს მითხარი, ლევარსა, შარშან თქვენს კოლმეურნეობაში შრომადღეზე რამდენი გამოიმუშავეს?  
 — ოცდაათი კილოგრამი სიმინდი

დავარიგეთ, ოცი მანეთი ფულად გავეცით, შიგადაშიგ წვრილ-წვრილად ვაძლევდით ლობიოს, ღვინოს, ხილს. წელს უფრო მეტი ერგებათ შრომადღეზე.

— მე რა მინდა გკითხო, — ჰკითხა საილამ, — ახლა როცა რაიკომში გადაგიყვანეს, რას იზამ, რას გააკეთებ, რომ ყველა კოლმეურნეობა წამოსწიო და შენი კოლმეურნეობასავით დოვლათით აავსო? ლევარსას გაუკვირდა, ჩემს გულში ჩაიხედაო? სწორედ ამაზე ფიქრობდა დღე და ღამე.

— მეც მაგაზე ფიქრობ, — მიუგო ლევარსამ. — როგორ გავხადო მთელი რაიონი მოწინავე? ახლა ყველა ამას იკითხავს, რას გააკეთებსო ლევარსა? როგორ გამოასწორებს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების საქმესო! — ლევარსას ჩაეცინა და კითხვაზე კითხვით მიუგო. — ჩემს ადგილზე თქვენ როგორ მოიქცეოდით?

— მე როგორ მოვიქცეოდი? — ჰკითხა საილამ.

— ჰო. ამ საქმეზე თქვენ ხომ შეგტკივთ გული!

საილას მოეწონა, ლევარსამ ტრაბახი კი არ დაიწყო, ასე და ასე ვაპირებო, ჯერ ამათა ჰკითხა, თქვენ რას იზამდითო. პასუხის გაცემა არც ისე ადვილი იყო და საილამაც იეშმაკა.

— აბა, მე რაიკომის მდივნად არ დამნიშნავენ და რად მინდა მაგაზე თავი ვიტეხო.

— რათა გგონია, რომ არ დაგნიშნავენ? — ჰკითხა ლევარსამ.

ლევარსამ იცოდა, რომ ჰკვიანი და ჰყავდა და აფასებდა.

— გინდა, მე გეტყვი, როდის გამოსწორდება საქმე? როცა ყველა იმუშავებს, — თქვა ზაურმა.

— განა ახლაც ყველა არა მუშაობს? — ჰკითხა ლევარსამ.

— ყველა როგორა მუშაობს, ზოგი თავის ნებაზეა მიშვებული, თუ უნდა, გამოვა სამუშაოდ, თუ უნდა, არ გამოვა. ასე საქმე არ გაკეთდება.

ივანე პაპასკირი  
 საილა



ლევარსამ თავი დაუქნია.

— თავის ნაკვეთზე, გიყვარდეს, ოფლსა ღვრის, აბა, კოლმეურნეობის ნაკვეთზე იმუშაოს ეგრე გულიანად.

— ეგ რისი ბრალია, იცი? ზოგს შეგნება აკლია, სხვისთვის რად ვიმუშავოო, ის კი არ იცის, სხვისათვის კი არა, თავისთავისთვისა მუშაობს.

— იმას რომ თავისი მოვალეობა ესმოდეს, ეგრეც არ მოიქცეოდა.

— შეგნება აკლია ზოგს, — თქვა ისევ ლევარსამ. — ვინ უნდა შეაგნებინოს? ვინა და ხელმძღვანელმა.

საიდას კოსტა მოაგონდა და ჩაელიმა.

— თუ ის არა მუშაობს, სხვებიც იტყვიან, ჩვენ რაღაზე მოვიკლათ თავიო. იმისგან უნდა აიღოს ხალხმა მაგალითი.

— ჩვენი კოსტაც ეგრე არ არის? — გაეცინა საიდას. ლევარსამ თავი გააქნია.

— ყველა რო მუშაობდეს, მაშინ რა გეჭირდა! რა გეგმა გამაცნო საოლქო კომიტეტის მდივანმა! ამ გეგმით სამოთხედ გადაიქცევა აფხაზეთი. მალე მილიონი ევკალიპტის ნარგავი დაამშვენებს ამ მიწასო.

— ევკალიპტი რა ჭირად უნდა ხალხს, ჯერ სული მოათქმევინეთ და ევკალიპტები მერე დარგეთ, — თქვა ზაურმა.

— მოდი, კოლმეურნეობაში გავიაროთ! — უთხრა ლევარსამ.

— გავიაროთ!

ამ დროს შახუსნამ შემოაღო კარი, ქარვასავით ვაშლები და მსხლები შემოიტანა, ალხაზიც უკან შემოჰყვა, მძიბერთელა ვაშლი გულზე მიეუბტებინა. ალხაზიმ თევზიდან რამდენიმე ვაშლი აიღო, ჯერ დედას მისცა, მერე ზაურს და ლევარსას, დიდი ვაშლი კი თავისთვის დაიტოვა.

— ევ როგორ არის შენი საქმე? — ჰკითხა ზაურმა.

ბიჭს გაეცინა.

— დიდი ვაშლი შენთვის დაიტოვე, პატარები ჩვენ დაგვირიგე.

— ეს ვაშლი ჩემთვის მოვწყვიტე, — ჩაილაპარკა ალხაზმა, გაწითლდა და ვაშლი ზურგსუკან დამალა.

შახუსნას ბაღში საქმე ჰქონდა და უკან გატრიალდა.

— მაშ, წავიდეთ? — ჰკითხა ისევ ლევარსამ.

— სად მიდიხართ? — შარვალზე მოებლაუჭა ალხაზი ბიძას.

— კოლმეურნეობაში საქმე გვაქვს, — მიუგო ლევარსამ.

— მეც წამიყვანეთ.

— ჩვენ მალე მოვალთ, — უთხრა საიდამ და ბავშვს აკოცა.

— ჰო, მალე მოგბრუნდებით, — ზაურმა ალხაზს მხარზე ხელი დაჰკრა, ვითომ, უკვე ვაქცაცი ხარო.

ყველანი ეზოში გავიდნენ. ალხაზს ძალიან უნდოდა დიდებთან ერთად მანქანით გასეირნება და ისევ იმათ უტრიალებდა.

— ნამდვილი აფხაზია ალხაზი, — გაეცინა ლევარსას. — აფხაზს შინ ჯდომას ცხენზე ჯდომა ერჩია. მე და ალხაზიც ასე ვართ. ორივეს გვიყვარს მანქანა.

— ჩემთან მოდი, — დაუძახა შახუსნამ, — აი, შე მოლაღატე, შენა, მე მართო მტოვებ?

ბიჭი ისევ ჯიუტობდა, არ მოელოდა ბიძისაგან ასეთ მუხანათობას.

ლევარსამ მანქანა გზაზე გაიყვანა.

— ერთხელ კიდევ მინდა გადავხედო კოლმეურნეობას, — უთხრა ლევარსამ. — თქვენიც მინდა გაჩვენოთ, სად რა უნდა აშენდეს.

ლევარსამ მანქანა წყლისპირას შეაჩერა. აქ ერთი ხუხულასავით სახლი იდგა. ამ სახლში ცხოვრობდა პატუხუ.

— ამ სახლს რას უშვრებთ? — ჰკითხა საიდამ ძმას.

სახლი ყვავის ბუდეა ჰკავდა.

— პატუხუს პაპის, აღმასას ნაბუდარზე ორსართულიან სკოლას ავაშენებთ. წყლის პირზე კი ბაღი გაშენდება.

ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ და ნაკვეთი დაათვალიერეს.

— რა ქნა პატუხუმ! — თქვა საიდამ, როცა გავერანებულ კარ-მიდამოს გადახედა.

— რა ჰქნა და სამარცხვინოდ გაათავა თავისი სიცოცხლე, — თქვა ზაურმა.

— ჰო, ვითომ ამქვეყნად არცა ყოფილა! უშკუო კაცი იყო, ცხოვრებისა არაფერი ესმოდა.

— უშკუო კი არა, გაბოროტებული იყო და თავს ვეღარ მოერია. ავი და კარგი ვეღარ გაარჩია! — თქვა ლევარსამ.

ისინი ისევ მანქანაში ჩასხდნენ და ფერდობს აუყვნენ. ფერდობზე პალმებსა და მაგნოლიებში ჩაფლული, კულტურის სახლის თეთრი შენობა წამოჭიმულიყო. ვეება ევკალიპტები ცასა სწვდებოდნენ.

— რა სურნელებაა! — შესძახა მანქანიდან გადმოსულმა საიდამ.

მაგნოლიის ხასხასა ფოთლებში თეთრი ვეებერთელა ყვავილები ლიფლიფებივით ეკიდა.

იქვე ოლენდრები ჰყვავდა.

— ახლა ყველა ეზოში ოლენდრა ჰყვავის. დღე ერთია და სანერგეში მომსვლელი ათასი. სანერგეც ამისთვის გავაშენეთ.

საიდას მოაგონდა, როგორ მოეწონა ეს სახლი, როცა აქ პირველად მოვიდა. მაშინ ჭერი ჯერ არ იყო მოხატული!

— ვინ იტყვის, რომ სოფელში ვართ! — თქვა საიდამ და მოაგონდა, მეზო და ის როგორ ცეკვავდნენ აქ და გუნდშიაც მღეროდნენ.

კიბეზე ლეუა შეხვდა სტუმრებს.

— აქ რა გინდა, ლეუა? — ჰკითხა საიდამ.

ლეუა მოწინავე კოლმეურნე იყო და გაუკვირდა, კლუბის გამგედ როგორ დადგაო.

ლეუას ძალიან გაუხარდა საიდას ნახვა და სთხოვა, ჩვენს კლუბში გამოდი და ხალხს უამბე, როგორ იბრძოდი, შენ ყველა გიცნობს, ფრონტელი ქალები არც ისე ბევრნი ხართო.

ლეუამ სტუმრებს კულტურის სახლი დაათვალიერებინა. სხვადასხვა წრიები მცეადინეობდნენ.

ყველაზე მეტი ყურადღება ჭრა-კერვის წრემ მიიქცია. აქ ბევრი ნაცნობები ნახა საიდამ.

— ახლა ხო გესმის, — რად მიმძიმდა კოლმეურნეობიდან წასვლა.

— როგორ არ მესმის, — უთხრა საიდამ ძმას.

მათ აივანიდან გადახედეს მიდამოს, სოფელი ხელისგულივით იყო გადაშლილი. წითელი კრამიტით გადახურულ სახლებში საცოდავად მოჩანდა საიდას მამისეული, ძველი ყვარით გადახურული სახლი. მოჩანდა მეფრინველეობის ფერმის ახალი შენობა, ორიათასზე მეტი ქათამი დაუდით ეზოში. ორი გრძელი ფარდული მსხვილი რქოსანი პირუტყვი-სათვის, მოშორებით დაუმთავრებელი სალორე. იქვე ბეტონის სათბურები იყო ჩარიგებული.

შორს ჩაის პლანტაციები იყო გადაშლილი, მანდარინის ბაღები. ახლადჩაყრილი ხეხილის ბაღი. ბაღში მსხალი და ატამი ერთმანეთს მისდევდა.

— ატამი ადრე იძლევა მოსავალს, მაგრამ ადრეც ბერდება, — თქვა ლევარსამ. — როცა ატამი გახმება, გაკაფავ. მსხალი კი მაშინ აყვავდება და თოვლივით თეთრი ყვავილებით გადაიპნტება ბაღი.

— ჭკვიანურია ხეხილის ეგრე დარგვა, — უთხრა ძმას საიდამ.

— ქალაქმა კი არ დამავიწყოს სოფელი, აი, რისი მეშინია, — თქვა ლევარსამ.

— შენ მაგისი ნუ გეშინია, — უთხრა ზაურმა. სოფელში გაზრდილი კაცი სოფელს ვერ დაივიწყებს.

შინ გვიან მიბრუნდნენ.

— ახლა ყოველდღე ამ გზაზე უნდა ვიარო.

— სოფლიდან ივლი? — ჰკითხა შახუსნამ.

— ჰო, აქედან ვივლი, — უთხრა ლევარსამ.

შახუსნას გაეხარდა და თვალეზე ცრემლები მოერია.

— როცა ცოლს შეირთავ და შეილევით აივსები, მაშინ სადაც გინდა იქ გადადი, მაშინ ქალაქშიაც გადმოგყვები. აი, ამათან გაძლევ პირობას. შენც პი-

ივანე პაპასკირი  
საიდა

რობა მომეცი, რომ ცოლს მალე შეირთავ, — უთხრა შახსუნამ.

მთვარე იყო ამოსული, როცა ლევარსამ მანქანით წამოიყვანა სტუმრები.

3

მთელი ხალხი იმათ უცქეროდა. იმათკენ იშვერდნენ ხელს — ესენი არიან ჩვენი გმირებიო.

საიდას სამხედრო გიმნასტურა ეცვა, ორდენებითა და მედლებით დაემშვენებინა მკერდი. თავზე კოსტად მოეჯდო პილოტურა. ზაურციც სამხედრო ტანისამოსში იყო, იმასაც მედლები და ორდენები ეკეთა. ერთად მოვიდნენ კრებაზე. ზაური ამაყად მოსდევდა თავის მეუღლეს.

— ზაურ, პრეზიდიუმში ამოდი.

ზაური გამგეობის წევრი იყო და პრეზიდიუმში მიიწვიეს. საიდასაც ბევრი სთხოვეს, პრეზიდიუმში დაჯექო, მაგრამ საიდა ცივ უარზე დადგა. კოსტა ჩააცივდა და იმასაც მოკლედ მოუჭრა, მადლობელი ვარ, დარბაზში მიჩრევიანო.

— აბა, უყურე, საიდა როგორა ცხოვრობს!

— ნახე, ზაურს რა ოჯახი აქვს! — ამბობდნენ ქმრები და ძმები ოჯახში და საიდასა და ზაურს აქებდნენ.

— სულ სხვანაირად დააყენა ოჯახი!

— იმას ძველისა აღარაფერი ეტყობა!

— მეც მაგისტანა ოჯახი მინდა მქონდე!

ვინც საიდას შეხედავდა, იმას ძველებურად ცხოვრება აღარ მოუნდებოდა.

წინათ საიდა ქალებს ათვალისწინებული ჰყავდათ, ამრეზით უყურებდნენ სოფლის დედაკაცები, — ეგ ვინ მოიყვანა ზაურმაო!

ზურგი შეაქციეს საიდას, როცა სოფელში დაინახეს. ასე უყურებდნენ ამ ათი წლის წინათ. ახლა კი ეს ჭორიკანა დედაკაცებიც ეხვევიან, ჰკოცნიან, ულოცავენ საიდას მშვიდობით ჩამოსვლას.

დიდი დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც ეს ქალები ზედ არ უყურებდნენ საიდას. უპ, რა დიდი დრო გასულა! ათი წელი ას წლად ეჩვენება საიდას.

საიდას ეხვევიან თავის ტოლი გოგონები, მოწინავე თანასოფლელები, ყველას უნდა ისეთი იყოს, როგორიც საიდაა, რომ იმასაც გაზეთში ახსენებდნენ, იმაზეც ლაპარაკობდნენ.

კრება ყარამანმა გახსნა და ხალხს პარტიისა და მთავრობის დადგენილება გააცნო.

მერე საიდას გადახედა.

— ამხანაგებო, ფრონტიდან დაბრუნებული საიდა თხოულობს, ცუდი ნაკვეთი მომეცით და იმ ცუდ ნაკვეთს მოვუვლიო. ვცდები, კარგი მოსავალი მოვიყვანო! — თქვა ყარამანმა.

უცებ ტაშმა იგრიალა. ყარამანის მერე კოსტამ ილაპარაკა.

— კარგა გიფიქრია, მაგას რა სჯობია, — შეაქო საიდა.

კოსტას შემდეგ გამოსული ამხანაგები პირდაპირ მიმდინარე საკითხებზე გადავიდნენ — ჩამორჩენილ ბრიგადებს დასცხეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ხმა არ ამოუღიათ. ორი ბიჭი, ყორა კიუტი და გაჩი აჩბა მაგრად გაათახეს. ბავშვებმა სკოლის მერხიდან პლანტაციასი ამოჰყვეს თავი და ფრონტზე წასული ამხანაგების ადგილი დაიჭირეს. ბიჭები ცუდლუტობდნენ, დროზე არ მოდიოდნენ. ამას წინათ ჩაით საეცე კალათები მოეპირქვევებინათ. ამათი ტოლი გოგონები უფრო მუყაითები გამოდგნენ.

ყორა კიუტმა კრებას გამოუცხადა, გამოვსწორდები. ორ ნორმას შევასრულებო და გაჩი გამოიწვია შეჯიბრში.

გაჩი მოსული ბიჭი იყო. სულ იმასა ნატრობდა, ერთი უღვაშები ამომივიდესო. ამხანაგს მიუგო, ვიღებ შენს გამოწვევასო.

ბიჭების წასაქმებლად კანტიკუნტად დაჰკრეს ტაში. ამ დროს გაჩი მიუბრუნდა ამხანაგს და ხმადაბლა უთხრა, მაგრამ დარბაზში მაინც გაიგონეს: — ყორა, ხომ არ გასულედი, ნახევარ ნორმას ძლივს ვასრულებთ, ტყუილადა ვიბრდებით, ორი ნორმის შესრულება ხომ ოთხჯერ მეტი ჩაის მოკრეფას ნიშნავს. მოდი, ვუთხრათ, ჩვენს ნორმას გათორკეცებთ-თქო!

— მეც სწორედ ეგ მინდოდა მეტქვა, ეგრე ჩასწორონ.

დარბაზში სიცილი გაისმა. გაჩი ამხანაგთან მივიდა და მუჯღუტუნე წაპკრა.

— ჭკუის კოლოფო, თვლაც არ იცი. ჟორამ ხელი აუქნია. დამაცადე, რა დღე დაგაყენო!

ბიჭები მეზობლები არიან, განუყრელი მეგობრები. მინდორში ერთად მოდიან, უუ დაგვიანებაა, ერთად იგვიანებენ. თუ ერთს ძილქუში დააწეება, მეორე მირბის გასაღვიძებლად. სამუშაოზე კი ცალცალკე არ მოვლენ.

„ბიჭო, შეჯიბრში გამოიწვიეთ ერთმანეთი!“ — რანდენჯერ უთბრეს, მაგრამ ბიჭებს ყურიც არ გაუბერტყიათ. ყველაფერში ერთნაირები არიან, გარეგნობით კი სულ არა ჰგვანან ერთმანეთს.

გაჩი შავგერემანია, შავი გიშერიგით თმა უბზინავს, თვალები მწიფე ალუბლებს მიუგავს. ჟორა ჭლალ-თმიანია, ქერა წარბები აქვს და ჩხია თვალები. ქალების ბრიგადაში მუშაობენ. ხუმარა ბიჭები არიან, ყველას თავი შეაყვარეს; ცუდლუტობენ, მაგრამ ამათი ცუდლუტობა არავის აბრაზებს, ყარამანისც არაფრად ავადებს.

— ნელ-ნელა მიეჩვევიან მუშაობას, უქმად რომ არ დაეხეტებიან, ესეც კარგია.

დღეს კი წაძიძგილადნენ ბიჭები. ყველას გაეხარდა, ბიჭებმა ერთმანეთი რომ გამოიწვიეს. წამოიზარდნენ და მალე კარგი მუშა-კაცები დადგებიანო.

ცაცუმ მოიყვანა ეს ბიჭები პლანტაციას. ცაცუმ წააქეხა ბიჭების მშობლები, ჩაის პლანტაციასი გამოგზავნეთო. ცაცუმ ასწავლა ნორჩი ფოთლების კრეფა. ბიჭები ვერც მარდალა კრეფდნენ და არც ფოთლებს უყურებდნენ, სად იყო წასაცლელი. ამიტომ შეპყურებს ცაცუ ბიჭებს ასე გახარებული. თუ ბიჭები მარჯვედ მოიქცევიან, ცაცუს გამარჯვება ეს იქნება.

საიდასაც ახსოვს ეს ბიჭები. ყვინჩილები იყვნენ, როცა პლანტაციაში ცაცუსთან ვაშლები მოჰქონდათ. ახლა კი

დიდი ბიჭები არიან, შეჯიბრში იწვევენ ერთმანეთს!

საიდას გვერდში ხამიდა უზის. საიდა რომ ფრონტზე წავიდა, ბრიგადაში ხამიდას დარჩა პირველობა და ყარამანის მაგივრადაც ხშირად ხამიდა მუშაობდა.

სიტყვა ხამიდამ აიღო. თუმც თმაში თეთრი გამორეგია, ჯერ ისევ ყოჩაღად გამოიყურება, თავზეც ამიტომ წაუკრავს ქალაქურად წითელ-ყვითლად აპრელეზული თავსაფარი.

„...შე, აი გიდა და ბებრდე!“ — ეღიმიება საიდას და თავის ყოფილ მოქიშპეს უყურებს.

სწორედ ამ დროს ხამიდა საიდას მიუბრუნდა.

— რად გვეგონა, საიდა ჩვენს ბრიგადაში მოვაო? საიდა უფრო ჭკვიანურად მოიქცა ჩემს ნაკვეთზე ვიმუშავებო. რა გუყვოთ, რომ თავმჯდომარის ხბორები დაკუნტრუშებდნენო, ახლა მე ვიცი, როგორც მოვეუვლიო.

ხამიდამ გადაუბღვირა კოსტას. კოსტამ მხრები შეათამაშა, ვითომ მე არაფერ შუაში ვარო. ხალხს გული მოფხანა მისმა სიტყვამ. ხამიდამ მკვახხ-მკვახხეები იცოდა, მაგრამ სამართლიანად მოახვედრებდა ხოლმე და ლაპარაკს არავინ უშლიდა.

— ჩვენი თავმჯდომარე ამბობს, ცუდი ნაკვეთის დამუშავება კოლექტივისთვის ზარალიაო, — განაგრძო ხამიდა. — მე „ცოცხალი“ სამეურნეო აღრიცხვა ვარ, მე დამიჯერეთო. გარედან არ ეტყობა, შიგნით კი თავი რიცხვებითა აქვს გამოტენილი: რამდენი უნდა ავიღოთ გვემით, რამდენი შევასრულეთ. ღამე რომ გამოაღვიძო და ჰკითხო, გეტყვის, დღეს ამდენი პროცენტით შევასრულეთ გვემაო.

დარბაზში ისეთი სიცილი ატყდა, ყარამანმა ფანქარი დააკაუნა გასაჩუმებლად. კოსტამ მუჯღუტუნე წაპკრა, ვითომ რასა ბედავსო. ყარამანმა მხრები აიწია, მე ვერ დავუშლი ლაპარაკს, მართალიაო. ხამიდამ კი ვერ გაიგო, ვის უკაკუნებდა ყარამანი ფანქარს და დაუ-

ივანე პაპასკირი  
საიდა

ძახა, ფანქარს ნუ მიკაკუნებ, შენი მოსწავლე კი არა ვარო. ყარამანმა უთხრა, ფანქარს ხალხის დასაწყენარებლად ვაკაკუნებ, რომ ყური კარგად დაგზიდონო. ხამიდას გაეღიმა. კოსტამ დაუძახა, თუ ლაპარაკობ, საქმეზე ილაპარაკე, ნუ მიედ-მოედებო. საქმეზე ვლაპარაკობო, უთხრა ხამიდას და განაგრძო:

— თუ საქმისათვის კარგი გვინდა, სწორედ ცუდი პლანტაცია უნდა დავამუშაოთ! მაშ, საიდა კარგად მოქცეულა. და ჩვენც, იმისი ამხანაგები ასე ვფიქრობთ, რომ საიდა სწორედ მოიქცა. რა ვუცოთ, რომ წელს ცოტას მოჰკრეფს და ჯილდოს ვერ მიიღებს! ნაკვეთს სხვაზე კარგად მოუვლის და მომავალ წელიწადს სხვაზე მეტს მოიყვანს და ჯილდოსაც აიღებს. ახლა ვინ გამოვიდა სწორი, საიდა თუ კოსტა? იზარალა კოლმეურნეობამ თუ მოიგო? კოსტა, კოსტა, აქაც გეშლება სამეურნეო ანგარიში!

ხალხში ისევ სიცილი გაისმა. კოსტა წამოდგა.

— მე რას მასწავლი, შენზე წინ მე მივულოცე საიდას.

მეტ ჩაის მოგვრეფო, ამით დაამთავრა სიტყვა ხამიდას. ცაცუ და უარდანაც ხამიდას აჰყენენ. ყარამანს გაეხარდა და თავი დაუქნია, ყოჩად თქვენაო!

ამ ქალებს მთელი ბრიგადა აჰყვა და ხამიდას გამოაცხადა, წელს ჩაის მოკრეფის გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთო.

— ხო ხედავ, ჩვენც ვავთამამდით, — წასჩურჩულა ხამიდას საიდას.

კოსტა კმაყოფილი ისვამდა უღვაშებზე ხელს. ყარამანმა კოსტას გადახედა და გულში გაიფიქრა: — „შენ გეშინოდა, საიდა ხელს შემიშლისო და ბირიქით კი გამოვიდა“.

კრების ბოლოს სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულებები დაიდო ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის.

ხალხი წამოშლას აპირებდა, მაგრამ ზაურმა ითხოვა სიტყვა და ისევ დასხდნენ.

— თქვენც გეცოდინებათ, ლენინის

სახელობის კოლმეურნეობა ელექტროსადგურის გაფართოებას აპირებს, შემოგვიერთდით და ერთად ავაშენოთ.

— კარგი იქნება!  
— მაგას რა სჯობია!  
— ბნელაში სული შეგვეცხუთა!  
გაისმა ხმები. ყარამანმა ხელით ანიშნა ხალხს, დაწყენარდითო და ზაურმა განაგრძო:

— კოსტა ამბობს, თავისუფალი მუშახელი არა გვეყავსო. კარგი კი არის, რომ სოფელს შუქი ჰქონდეს, მაგრამ სადგურს ვინ ააშენებსო.

ხალხი აჩოჩოლდა.  
— ყველას აქვს შუქი!  
— ჩვენ არ გვინდა?  
— უარს ვერ ვიტყვით მაგ საქმეზე.  
— ახლა თქვენ იცით, მოვითათბიროთ, რა გქნათ. ისე კი ჩვენთვის ძალიან კარგი საქმეა, — დაამთავრა ზაურმა.

საიდა წამოდგა და სიტყვა ითხოვა.

— მე ვიცი, ბევრს არ ესია მოვინება ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. აბა, იქითკენ გაიხედეთ, — საიდას ხელი გაიშვირა გრძელი მაგიდისაკენ, რომლის ვარშემო კრების პრეზიდიუმი შეკრებილიყო.

— ვინ არიან ესენი?  
დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. პრეზიდიუმი ხელმძღვანელები ინლაურებივით აიფხორნენ.

— ვინ არიან და კოლმეურნეობის გამგეობაა, — ველარ მოითმინა კოსტამ.

— ეგ მეც ვიცი, რომ გამგეობაა, — მიუგო საიდას. — მერე ვინ არიან ამ გამგეობაში? ვინ არიან და კაცები არიან. დარბაზში ვინ არიან? — დარბაზისაკენ მიტრიალდა საიდა. — ვინ არიან და ქალები არიან. ჩაის ქალები ჰკრეფენ, სიმინდსა და თამბაქოს ქალები სტეხენ, რა მოხდა? კაცებს ხელები არა აქვთ? იმიტომ რომ კაცები მიჩვეულები არიან, ქალები უნდა იმუშაოს, კაცმა კი ბრძანებები უნდა გასცეს. სად არიან კაცები? კაცები გამგეობაში სხედან, კაცები ფარდულეებში არიან შეყუჟულები, ბრიუადირებიც კაცები არიან. ერთი სიტყვით, სადაც ხელის განძრევა არ არის



საჭირო, იქ კაცებს მოუკალათებიათ. ახლა მიუმატეთ ბულალტერი, მოლარე, მნე — ერთი კარგი ბრიგადა გამოვა. მართალი თქვით, თქვენი ხელით ჯერ ხომ ჩაის ერთი ფოთოლიც არ მოგიწყვეტიათ, ერთი ტარო არ მოგიტეხიათ, დიახ, ამხანაგო ხელმძღვანელებო!

დარბაზში ვილაცას გაეცინა და შეძახილები გაისმა, დასცხე მავათო!

— ეგრე მოუხდებათ! — ადგილიდან დაიძახა ხამილამ.

ყარამანს სახეზე ეტყობოდა, მოსწონდა საიდას ლაპარაკი.

— სწორი არა ხარ! — მუშტი დაურტყა მაგიდას კოსტამ. — რაო, ხელმძღვანელობა რომ საჭიროა, ახალი ამბავია შენთვის? — ჰკითხა მან საიდას და თვლები გადაუბრიალა.

— ეგ უშენოდაც ვიცი.

— ფრონტზე პოლკოვნიკები და გენერლები თხრიდნენ სანგრებს?

— დიახაც რომ ასე იყო. ჩვენი მეთაური, ლეიტენანტი ლევან ადამიძე, როცა საჭირო იყო, თავშესაფრის გაკეთებასაც გეშველოდა, სანგარსაცა თხრიდა, ზარბაზნებსაც დაათრევდა. მაგრამ, კოსტა, არც შენა მყევხარ გენერალი და არც პოლკოვნიკები გისხედან გვერდში.

ზაურს არ ეგონა, საიდა ასეთ მკვახე-მკვახეებს იტყოდა, ხალხი რას იფიქრებს, ქმარიც არ დაინდო, მუქთახორად მონათლაო, მაინც მოეწონა ცოლის თამამი გამოსვლა. საიდა თითქოს მიუხვდა, რასა ფიქრობდა ზაური.

— მე კი არ ვამბობ, ყველანი უსაქმურები ხართ-მეთქი. კარგი ბრიგადირებიც ხომ არიან, — ზაურს გაეღიმა. — მაგრამ ამ პატარა კოლექტივისათვის მაინც ბევრი არა ხართ? ამხანაგო კოსტა, აქაც ხო არ გეშლება სამეურნეო ანგარიში!

მთელი დარბაზი გატრუნული უჯღებდა ყურს.

— შენ როგორ გვეტყვი, როგორ მოვიტყეთ? — სიტყვა გააწყვეტინა კოსტამ.

— ის კი არ უნდა გეტქვა, მუშახელი მაკლიაო, უნდა კარგა დაგეთვალა.

კოსტა ისეთი გახდა, სულ ცოფებსა ჰყრიდა.

— ქალები ესა ხართ, ისა ხართ, პატივისცემით ქალებსაო, ეს არის თქვენი პატივისცემა? ქალები მინდორში დაიწვიით მშუზე და კაცები კანტორებში ჩასხდნენო, ვინა თქვა!

ხამიდა წამოდგა, ახლო მივიდა და პირდაღებული შესცქეროდა. სხვა ქალებიც წინ წამოვიდნენ.

კოსტა ქარხალივით გაწითლდა, ყელზე ძარღვები დაებერა, თვლები გამოაჭყიტა. წინათ ვინ გაუბედავდა ასეთ ლაპარაკს! რაიკომში, მართალია, გაჰკენწლავდნენ ხოლმე და ზოგჯერ მაგრადაც შეახურებდნენ, მაგრამ ხუთი წელი ხომ იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ!

— ჩემგან რა გინდა, მე რას ჩამაცივდი, თუ ჩემი ადგილი გინდა, მოზრძანდი და დაჯექი! — კოსტამ ფეხი წაჰკრა სკამს.

— შენი სკამი მე რად მინდა, შენთვისა გქონდეს. მე ის მინდა, ისე ვიმუშაოთ, რომ აღარ თქვან, ჩამორჩენილი კოლმეურნეობააო.

ხალხმა ისევ ტაში დასცხო. პრეზიდენტის ვაიხა შეძახილები. კოსტამ რომ დაინახა, ყარამანი ტაშს უკრავსო, თვითონაც თავისი ფუნჩულა ხელები დაჰკრა ერთმანეთს, მაგრამ ტაში უხმო გამოუვიდა.

ელექტროსადგურის შესახებ ყარამანსაც უნდა ელაპარაკა, მაგრამ აღარაფერი თქვა, რაკი საიდამ დაასწრო. მხოლოდ ეს დაუმატა.

— კოლმეურნეობის გამგეობას დავავალოთ, ხელშეკრულება შეადგინოს და თანხა და მუშახელი გამოჰყოს.

ყარამანმა კენჭი უყარა ამ წინადადებას, ერთი-ორის გარდა ყველა მომხრე იყო. თავი არავინ შეიკავა.

— რადიოს გაყენანასა თხოულობს სოფელი, — განაგრძო ყარამანმა. — ამასაც ხომ მუშახელი არა სჭირდება. ესეც ხომ ელექტროსადგური არ არის!

ივანე პაპასკირი  
საიდა

— ეგ ადვილია, — წამოდგა კოსტა. —  
მაგას გავაკეთებ.

ისევ ტაშმა იგრიალა.

— კიდევ ერთი, ამხანაგებო, აქ ითქვა  
მამაკაცები უნდა მუშაობაში ჩავაბათო.  
ეს საკითხი, ვთხოვ, კოლმეურნეობის  
გამგეობამ განიხილოს და საერთო კრე-  
ბას მოახსენოს.

— ეგრე ჰქენით!

— კარგი იქნება!

— ტყუილად რად უნდა სცდებოდეს  
კაცი! — აქეთ-იქიდან ბანი მისცეს ყარა-  
მანს.

კრება დახურეს. კოსტამ ცერად გა-  
მოჰხედა ყარამანს.

„განზე გამიღვიქი?“

კოსტამ ხალხი გაარღვია და ზედ არა-  
ვისთვის შეუხედავს, ისე გაიარა.

ღრუბლებში მიმალულ მზეს ცერად  
გაუბამს სხივები. ქარი ხის კენწეროებს  
ეთამაშება.

საიდა ჩაის ბურქებში გაბარდულ მაყ-  
ვალს ძირიანად იღებს. — მზე ისე იკბი-  
ნება, წვიმამ კი არ დასცხოს, — საიდა  
ცას უყურებს.

კარგა დიდი მინდორია გასაწმენდი.

— როგორ არიან დაგვალულები! —  
ბურქებს ხელს უსვამს საიდა. — დამე-  
ჩაგრენ!

დიდი ჩაღის ქუდა ჰხურავს. მზეზე  
მაყვლის ბურქები სამაგიეროს უხდიან —  
დამწვარი მკლავები დაკაწრული აქვს.

ქარმა წამოუბერა, ღრუბლები გადმო-  
ყარა.

„ისე აგრილდა, უსათუოდ იწვიმებს“.

საიდა ისევ მაყვლის ბურქებს ეჯაჯ-  
გურება, ნახევარი მინდორი გაწმინდა  
კიდევ.

უცებ დაიქუხა და ეღვა, აქვე, თუთის  
ტოტებში გაიხლართა. წვიმამ დასცხო.  
საიდა ძლიერს მოასწრო, თუთასთან მირ-  
ბენა.

წვიმის მოსვლა და გადაღება ერთი  
იყო! ღრუბლები ისევ ზღვისაკენ გაცურ-  
დნენ, ცა მოიწმინდა.

გაგრილებულ მინდორზე უფრო სახა-  
ლისოა მუშაობა, ისევ შეუტია საიდამ.  
წვიმამ თუთაც გააგრილა და საიდაც,  
სიცხისაგან ჩახუთული ხე მოცოცხლდა.

მზემ ისევ დააცხუნა. ბული დადგა.  
სული შეეხუთა საიდას, ბურკას ფოთლე-  
ბი თუთის ძირში გაშალა და მიწვა. ზა-  
ფხულის ცხელი დღეა. პაერი არ ინძრე-  
ვა. ერთი პატარა ჩიტი ჭიკჭიკებს. ისიც  
დაიქედურტულებს და გაჩუმდება, იმასა-  
ცა სცხედა.

მზემ გააღვიძა, სახეზე მოსდგომოდა  
საიდას.

— კარგა მძინებია!

საიდა წამოხტა, თავისი დიდი ქუდი  
მოიღო თავზე და ისევ საქმეს შეუტია.  
უცებ მინდორში მგზავრს მოჰკრა  
თვალი.

— ვინ არის ნეტა? ამ გავანია სიცხე-  
ში თავი ვინ ვაიმეტა!

მგზავრი კი შორიდან ხელს უქნევდა.

— უჰ, ნან, ვისა ვხედავ! — გაექანა  
საიდა მგზავრისაკენ.

ლევანიც გახარებული მორბოდა მის-  
კენ. მათ მხიარულად ჩამოართვეს ხელი  
ერთმანეთს.

— აქ საიდან გაჩნდი? — საიდა არა  
მალავდა თავის ვაოცებას.

— როგორა ხარ, როგორ! — თავისი  
მხრივ ჰკითხა ლევანმა. — ვილაც გოგო  
მეგონე.

— გოგო არა ვარ! — ვაცინა საიდას  
და ლევანი თუთისაკენ წაიყვანა  
ისინი თუთის ძირში დასხდნენ.

— ამ ქუდში სულ პატარა გოგოსა  
ჰგეხვარ!

— როგორ მომაგენი, ლევან? — ჰკი-  
თხა საიდამ.

— კოლმეურნეობის გამგეობაში გი-  
კითხე. ვილაც ბრიგადირმა მომასწავლა.  
თამბაქოს ფარდულამდე თვითონ გად-  
მომაკილა.

საიდა მიხვდა, სხვა ვინ, ზაური იქნე-  
ბოდაო, მაგრამ არაფერი თქვა.

— აქ როგორ გაჩნდი, ლევან?

— როგორა და აგრონომად დამნიშ-  
ნეს.

— ჩვენთან დაგნიშნეს? რას ამბობ!

— ჰო, სწორედ თქვენთან.

საიდას მოაგონდა, ყარამანი ამბობდა,  
მალე ახალი აგრონომი მოგვივადო, რა  
იცოდა, რომ ლევანი ჩამოვიდოდა.

ლევანს უყვარდა საიდა, აქაც იმიტომ ჩამოვიდა, საიდასთან ახლო ვიქნებო, ხანდახან ვნახავ კიდევ და ამით ჩემს სატკივარს წამალი დაედებაო, მაგრამ მიხვდა, რომ სატკივარი კი არ დაუამდა. ისევ აეშალა.

საიდა სულ სხვა იყო ზაფხულის კაბაში. თმა ჩამოზრდოდა და ქალიშვილივით ეყარა მხრებზე. გაშაგებულყოფი და ღერი მოსვლოდა. ლევანს უნდოდა ხელი გადაესვა თმაზე.

საიდამ იგრძნო, რომ ლევანი უყურებდა და უხერხულად, რომ არ შეემჩნევიან, თავის მუშაობაზე დაუწყო ლაპარაკი.

— რა ცუდი ნაკვეთი გაქვს, საიდა!  
— მე თვითონ მოვიწოდებ ამ ნაკვეთზე მუშაობა.

— მერე არ გაგიჟირდება?  
— გამიჟირდება და მოვერევი. ამისთანები გვინახავს, — უთხრა საიდამ. ისევ მოაგონდა, ბრძოლით დაღლილები როგორ მიეყრებოდნენ ხოლმე მიწაზე და ისევ გაიბა მათ შორის ძაფი.

— რაც გაუფუდა ჩვენს აქ არ ყოფნაში, ისიცა კმარა, ლევან.

— ეგ მართალია, მაგრამ ცხოვრება მიდის. ეს ახალგაზრდობა უცებ გაგიფრინდება.

— გამიფრინდება და გამიფრინდეს! — საიდამ გაოცებული შეხედა ლევანს.

— ცხოვრებას ყველაფერი უნდა გამოსტაცო.

საიდამ ისევ შეხედა ლევანს.

— შენა გგონია, ადვილია ამ მინდვრის გაწმენდა?

— ბევრი რამ არ არის ადვილი, ის ადვილი იყო, მტერს რომ ვებრძოდით?!

— მაშინ ომი იყო.

— ახლაც ომია, — მიუგო დიმილით საიდამ. — ამ მინდორს მოვერევი, გავწმენდავ, ბუჩქებს მყვალს მოვაშორებ და უცებ წელში გაიმართებინა ჩაის ბუჩქები.

ლევანი მიხვდა, ასე არ უნდა მეთქვაო.

— მძიმე სამუშაოა და იმიტომ ვამბობ.

— გახსოვს, ფრონტზე პატარა წიგნი მაჩუქე. — სიტყვა ბანზე აუგდო საიდამ.

— წიგნი გაჩუქე? რა წიგნი გაჩუქე? საიდამ აბგიდან პატარა შემოცვეთილი წიგნი ამოიღო.

— აი, ეს მაჩუქე.

ლევანმა წიგნი გადაშალა. ჩაის პლანტაციებს ეხებოდა. ომამდე გამოსცა საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტრომ.

— ამითი სწავლობ?  
— ჰო, მაგრამ ბევრი რამ ვერ გავიგე. ახლა ხომ შენ მიშველი, ლევან?  
— გიშველი, რა თქმა უნდა, გიშველი.

ლევანს ისევ თავბრუ დაახვია საიდას სიტყვებმა.

— შენ იქაც მამხნეებდი, ლევან! — უთხრა საიდამ ლევანს.

— შენა? შენ არ მაძლევედი ძალას? ლევანმა ხელები დაუჭირა, საიდა გაწითლდა.

— წერილებიდან ჩვენებაც გიცნობენ. ზაურს როგორ გაეხარდება შენი ნახვა. ზაურის ხსენებაზე ლევანმა ცივად გაუშვა ხელი საიდას. ისინი ისევ გაჩუმდნენ. საიდა მიუხედა ლევანს, მაგრამ ხმა არ ამოიღო. საიდას სწორედ ეს უნდოდა ეთქვა, სწორედ ეს უნდოდა გაეგებინებინა.

ლევანს ნახევრად დამწვარი, დამახინჯებული ადამიანის სხეული მოაგონდა.

„მაშ, ზაური ცოცხალია! მაშ, საიდას ისევ ოჯახი აქვს?“

— არ უნდა ჩამოვსულიყავი, მოვტყუვდი, საიდა.

— საქმე, ლევან?

— საქმე? მარტო საქმე ხო არ აცოცხლებს ადამიანს!

ლევანი ბილიკს დაადგა, მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, საიდას თვალი არ მოუშორებია, ვიდრე გორაკს არ მოეფარა.

ივანე პაპასკირი  
საიდა

ახალი შებინდებული იყო, კოსტა და ყარამანი ზაურის ჭიშკარს რომ მიაღ-  
გნენ.

— შინ მობრძანდით! — შეიპატიჟა  
სტუმრები ზაურმა.

— უდროო დროს კი მოვედით! — მო-  
ბოლოდითა ყარამანმა.

— საქმეზე მოვედით, ტყუილად კი  
არ მოვსულვართ! — დაუმატა კოსტამ.

— საიდა შინ არის?

— შინ არის.

ზაურმა სტუმრები ოდა-სახლში აიყ-  
ვანა.

— გიკვირთ, ალბათ, ამ შუალამეში  
რამ მოახეტათო?

— რას ამბობთ!

— საიდა, დატრიალდი!

— არა, გვეჩქარება, საქმეზე მოვე-  
დით.

— ჯერ თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ  
და საქმეზე მერე ილაპარაკეთ.

— არა, არა! მაგისტვის არ მოვსულ-  
ვართ.

— ეს მეც ვიცი, რომ მაგისტვის არ  
მოსულხართ.

— არაფერი არ გვინდა.

საიღამ მაინც გაშალა სუფრა, ზაურმა  
ღვინო შემოიტანა.

— საიდა, ფრონტიდან როდის დაბ-  
რუნდი?

— დიდი ხანი არ არის.

— ნაკვეთი როდის მოგეცით?

— არც იმის შემდეგ გასულა დიდი  
დრო.

— ეს მეც ვიცი, რომ დიდი დრო არ  
გასულა.

— მერე, როგორია ახლა ის შენი ნაკ-  
ვეთი?

— როგორია? — ჰკითხა კოსტამ.

— ავი თვალით არ ინახვის! — თქვა  
ყარამანმა.

— კაცი ცქერით ვერ გაძღება! — და-  
უდასტურა კოსტამ.

— ბურჭები ისეა გადაშლილი, გაგე-  
ხარღება!

— ამ დილით ჩამოვიარე, ყველა ნაკ-  
ვეთს შენი ნაკვეთი სჯობია, — კვერი და-  
უკრა ყარამანმა.

— კარგი, ეგრეც ნუ მაქვებთ, — შერ-  
ცხვა საიდას.

— კი არ გაქვებ, ეგრეა.

— ვისი სახელია, თუ იცი, შენ რომ  
კარგი ნაკვეთი გაქვს?

— ვისია და ჩემი სახელია.

— შენი სახელი კი არა, ჩვენი სახე-  
ლია!

— ჰო, მთელი კოლექტივის სახე-  
ლია! — ისევ კვერი დაუკრა კოსტამ ყა-  
რამანს.

— აიღეთ რამე, მოწამლული კი არ  
არის! — შეიპატიჟა სტუმრებს ზაური.

— მოწამლული რად იქნება.

— ღვინო დალიეთ, ეს ერთი ჭიქა არ  
დაგათრობთ. — ღვინო დაუსხა ზაურმა  
სტუმრებს.

— ჯერ საქმეზე მოვილაპარაკოთ, —  
დაიწყო ისევ კოსტამ.

— საქმეც იყოს და ღვინოც დავ-  
ლიოთ.

— იმ საქმეს გაუმარჯოს, რომელ  
საქმეზეცა ვართ მოსულები!  
ყარამანმა და კოსტამ ჭიქები მიუჯა-  
ხუნეს ზაურს.

— საიდა, უნდა გვიშველო!

— რა უნდა გიშველოთ?

— შენი სახელი, წელანაც გითხარი,  
მართო შენი სახელი როდია, ჩვენი სა-  
ხელიც არის!

— ერთი საქმე უნდა დაგავალოთ.

— რა საქმეა, თუკი შემოძლია, უარს  
როგორ გეტყვით.

კოსტამ ყარამანს გადახედა, შენ  
იტყვი, თუ მე ვთქვაო. ყარამანმა თავი  
დაუქნია, შენა თქვიო.

— ყველა კოლმეურნეები ვალდებუ-  
ლებებს იღებენ და შენც უნდა აიღო  
ვალდებულება.

— ავიღებ. — უთხრა საიდას.

კოსტამ ისევ გადახედა ყარამანს, ხო  
კარგად დავიწყო. ყარამანმა ისევ თავი  
დაუქნია.

— უბრალო ვალდებულება კი არ  
გვინდა, უნდა შრომის გმირის სახელი-  
სათვის იბრძოლო.

— საიდა შეერთა.

— ადვილია, კოსტა?

— შენთვის ადვილია, სხვისთვის ძნელია.

— ჩემთვის როგორ არის ადვილი?

— შენს მეტი ამ ვალდებულებას ვერაფერს აიღებს, — სიტყვა ჩაურთო ყარამანმა.

— ვინ აიღებს! — თქვა ისევ კოსტამ. ზაურმა საიდას გადახედა და ისევ დაასხა ღვინო.

— შენ უნდა მისცე სხვებს მაგალითი! შენ უნდა გამოაფხიზლო!

— ჰო, ამ დღეებში კრებას მოვიწვევთ და ამ კრებაზე იტყვი, ვალდებულებას ვიღებ-თქო.

— კრებაზე გამოვალ.

— აფხაზეთში არსებულ ჩაის კრფის რეკორდს უნდა გადააჭარბო!

საიღამ ხელისგულით შუბლი მოისრისა და თვალები მოჭუტა.

— კოსტა, მაგისტანა ვალდებულებას როგორ აიღებს, — ჩაერია ლაპარაკში ზაური.

— რამ შეგაშინათ, საქმე ის არის, რომ საიდას სხვებიც აპყვებიან.

— თუ გინდათ, კრებაზე გამოვალ და ვიტყვი ორ ნორმას მოვკრეფ-მეთქი, — თქვა საიდამ.

— ცოტაა!

— ცოტა როგორ არის, თუ მერე უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწევთ, ამას რა სჯობია.

— კარგი, ეგრე იყოს!

— ორ ნორმას მოვკრეფო, — ჯერ ასეთი ვალდებულება არავის აუღია ჩვენს სოფელში.

ყარამანი შიხვდა, საიდა ვერ აიღებდა ისეთ ვალდებულებას, რასაც ვერ შეასრულებდა. ხალხს ვერ მოატყუებდა.

— შენისთანა მარდი მკრეფავი ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც არა ჰყავთ, — უთხრა კოსტამ.

— არა ჰყავთ. — დაუდასტურა ყარამანმა.

— კაი კოლმეურნეობაა, ვინ ამბობს, — განაგრძო კოსტამ, — სხვა მაჩვენებლების შესრულებაში ვერ შევეჯიბრებით, მაგრამ სანაძლეოსა ვღებ, ჩაის კრეფაში შენ აჯობებ. ტყუილად ხარ ლევარსას და?

ზაურს უსიამოვნოდ ჩაეღიმა. „აი, თურმე სადა მარხია ძაღლის თავი“.

— მაშ, ამ საქმეს გაუმარჯოს! — თქვა ყარამანმა.

— გაუმარჯოს! — ჭიქა მიუკაკუნა კოსტამ.

— ხვალ საუკეთესო ნაკვეთს გამოგიყოფთ, — უთხრა ყარამანმა.

— ისეთ ჰექტარს გამოგიყოფ, ბუჩქები თვითონ გეტანებოდნენ ხელეებში, არიქა, მოგვეწყვიტო! — გაიცინა კოსტამ.

— ჩაის კალათს შენ ხელი არ მოპკიდო.

— შენ არ დაუწყო თრევა.

— აბა, ვინ ათრევს?

— დამხმარე მუშას გამოგიყოფ.

— დამხმარე მუშა სადა გეყავს? — გაეღიმა საიდას.

— ბიჭი რომ არის, რა ჰქვია?

— გაჩი.

— ჰო, გაჩი გიშველის.

— საქმეს მაინც ბევრს არაფერს მიკეთებს. სჯობია, შენ მოგეხმაროს.

— რასაც შეიძლებს და მოკრეფს, ისიც კარგია.

— მე რომ ახალ ნაკვეთზე ვიმუშაო, ჩემს ნაკვეთს ვინ მოუღლის?

— შენს ნაკვეთს, — კოსტას გაეცინა. — სახელმწიფო საქმეს გავაღებთ და რა დროს შენი ნაკვეთია!

ყარამანი წამოღდა, კოსტაც წამოღდა.

— აბა, შენ იცი, საიდა.

— არ გვიღალატო.

— როგორ გიღალატებთ, — დინჯად მიუგო საიდამ.

— მაშ, მოიტა ხელი, — კოსტამ ფუნჩულა ხელი გაუწოდა საიდას.

სიბნელეში ალაყაფის კარებმა გაიჭრილა.

— ელარ გაათენებდნენ! — თქვა ზაურმა.

— ამ შუალამისას რა დროს საქმე იყო!

— ხალხს მოერიდნენ.

ზაურს არაფერი უპასუხნია. უცებ

ივანე პაპასკირი საიდა



ცულ გუნებაზე დადგა. მოაგონდა დღე-  
ვანდელი დღე, უცნობი, რომელიც თამ-  
ბაქოს ფარდულამდე მიჰყავდა.

საიღამ ლოგინი დაავო.

— აქა ცხელა, — თქვა ზაურმა, ბა-  
ლიშა და ზეწარს ხელი დაავლო და  
სასტუმრო ოთახში ტახტზე დასაწოლად  
გავიდა.

საიღამ ლამბა ჩააქრო. ფრთხილად  
შეაღო სასტუმრო ოთახის კარი და ტახტ-  
ზე ჩამოჯდა. ზაურს არ ეძინა, მაგრამ  
ხმა არ გაუცია, არც გადმობრუნებულა  
საიდასაკენ.

## 6

ასეთი დღე არ გასთენებია კოლმეურ-  
ნეობა „ალაშარას“. ჩაის პლანტაციებით  
ამწვანებულ გორაკებზე არბიან და ჩარ-  
ბიან, ერთმანეთს გასძახიან.

— რა ამბავია?

— კარგი ამბავია, კარგი!

— საიღამ ნახევარ დღეში რამდენიც  
უნდა მოეკრიფა, იმდენს გადააჭარბა.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

— აფირცხა, საიდა!

— ყოჩაღ, საიდა!

ხელს ართმევენ კაცები.

— შენ ოქროს ხელებს ვენაცვალე!

— ამას რას მოვესწარიო!

— ახლაც იტყვიან, ჩამორჩენილი  
კოლმეურნეობააო!

— ისე შენ გაიხარე, როგორც ჩვენ  
გაგვახარე!

ეხვევიან გოგოები საიდას, ლამის  
კოცნით დაახრჩონ.

— ხო ამოვიყარეთ ჯავრი! — გულში  
მუშტს იკრავენ დედაკაცები.

არუთანის ჩაჩხილი ბუჩქები გათამა-  
მებულა, გაფურჩქნულა. სწორედ აქ  
მოაწყეს სახელდახელო კრება. აქ მოი-  
ყარეს თავი ბრიგადის წევრებმა. კოსტაც  
აქ არის. ყარამანმა სიხარულისაგან ლა-  
მის ფეხი გაუსვას. კრებას ისევ შეძახი-  
ლები მოჰყავს.

— იღვებოდლე, საიდა!

— იცოცხლე!

— სანამ ჭადარა ერცახუ ლაქვარდს  
ეამბორება, იქამდე იცოცხლე!

58

კოსტა განზე დგას, ცერები ქამარში  
ჩაუსყრია და თითებს ღიბზე ათამაშებს.

— რაო, კოსტა, შენ კი არ გიხარია?

— როგორ არ მიხარია!

— რა ვიცი, ნიკაპი კი გაგიშვებია  
მაშიჩემისაკენ!

— შენსავით რომ არ ვიდრიჭები!

— იდრიჭები კი არა, თავ-პირი ჩა-  
მოგტირის.

— თავი გამანებე!

— იქნება ისე გერჩია, როგორც ვი-  
ყავით, ყველაში გამოწყვეტილები!

— მომეშვი, ყარამან!

— ახლა ჩვენ ამბავს ქვეყანა გაიგებს,  
გაზეთებში დაწერენ!

— მერე შენ რა გინდა!

— მე რა უნდა მინდოდეს, შენ იღარ-  
დე, რომ კბილს გამოგიჩიჩქნიან.

ყარამანი ბევრს ეჩიჩინა, მაგრამ ვერ  
მოარჯულა კოსტა. გაბრაზებულია და  
ახლა ხალხისაც აღარ ერიდება.

რაც ლევარსა რაიკომის მდივანად გა-  
დაიყვანეს, კოსტამ მოსვენება დაჰკარგა,  
ლევარსა მე არ გამახარებსო. ლევარსა  
მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომა-  
რე იყო და კოსტას ამბები ზეპირად იცო-  
და. როცა ლევარსას საოლქო კომიტე-  
ტის მდივანთან შეხლა-შემოხლა მოუფი-  
და, კოსტამ იფიქრა, ეს არის, მეშველაო.  
ახლა სახლში მითქმა-მოთქმაც ატყდა,  
ლევარსას დღეს არა, ხვალ სამუშაოდან  
გათავისუფლებენ, ეკალიბატების დარ-  
გვა ჩაშალაო. კოსტას გული მიეცა და  
საიდას ისე აღარ ელოლიაგებოდა. დღეს  
კი თავისი აკოკოლაგებული გეგმები  
უცებ ჩაეფუშა.

— შენც ბევრი იშრომე, კოსტა! —  
გადმოსძახა ხამიღამ. — სად გავიწილა,  
თავმჯდომარე ასე იკლავდეს თავს!

ხალხში სიცილი გაისმა.

— გმირი ხარ, კოსტა, გმირი!

ხამიდას ლაპარაკს მიჩვეულები არიან,  
არ შეიძლება, ვინც კბილის გასაკრავია,  
კბილი არ გაჰკრას და ხალხიც ვუღიანად  
იციან. ამ დროს ღობეზე, სადაც წინათ  
ალავე იყო, კაცი გადმოძვრა და ხალხი-  
საკენ წამოვიდა. თან ფრთხილად მოდი-  
ოდა ბილიკზე, ბუჩქები არ გავაფუჭოო.

— ეკ ოხერი, ღობეზე რომ მოძვრება, გზა საით არის, არ იცის?!

გაჯვარებულმა ჩაიბუტბუტა კოსტამ. ყარამახის სიტყვები და ხალხის ხარხარი ჯერ ისევ ყურებში უდგას. უცნობი მოუახლოვდა ხალხს. ყარამანმა ხელი მოიჩრდილა.

— ჩვენი მეგობარი არუთან გვაძბაა! — დაცინვითა თქვა ყარამანმა.

— მაგას აქ არ მოვუშვებ! — შესძახა ხამილამ და მუშტი მოიღერა.

ხალხი შეჩოჩოლდა.

— ვერ უყურებთ, რასა ბედავს! აბა, ბიჭებო, მომყევით, ერთი მაგრად დაეზილოთ!

ხამილას ყორა და გაჩი უკან გაპყვნენ.

— არ გადაიროო! — ყარამანმა გზა გადაუღობა. ბიჭები, ეტყობა, მართლა უპირებდნენ არუთანს დაბეჭვას. არუთანმა ჩაჩეხა ამ მინდორზე ჩაის ბუჩქები. ხალხი უკმაყოფილო იყო, სასამართლომ ორი წელი პირობითი სასჯელი რად მისცაო. კოსტამ ხმა არ ამოიღო, შორიდან უყურებდა სეირს.

არუთანი მოშორებით დადგა და ხალხს მორიდებით მიესალმა. მერე მიიხედ-მოიხედა, საიდასთან მივიდა და მიულოცა.

არავინ განძრეულა.

— ვტყუივარ, საიდა, შენთანაც ვტყუივარ და ამ ხალხთანაც — მილოცვას მიაყოლა არუთანმა. — თუ ისევ თქვენთან მიმიღებთ, მე ვიცი, როგორც ვიმუშავებ.

— უყურე ამას! — შესძახა ხამილამ.

— იმ ამბის მერე, აქ როგორ გაზედე მოსვლა! — დასტყვილა კოსტამ. არუთანი შეიშმუშნა და ისევ დაიწყო.

— თუ თქვენს კოლმეურნეობაში მამუშავებთ...

— როგორა ბედავ!

— თქვენი არც საქმელი მინდა, არც სასმელი, არც სახლი, ნურც შრომადღებებს დამაწერთ. ჩემთვის ცივ მიწაზე მივეგდები თამბაქოს ფარდულში.

ხალხი შეტორტმანდა. ერთმანეთს გადახედეს. ზოგს შეებრაღა, ზოგს ჩაეღიმა. არუთანი ერთ ადგილზე გაქვადა. კიდევ რომ მოეკლათ ცემით, ის ხელის შენებრუნებელი არ იყო.

— ვტყუივარო, ამბობს, უნდა ვაპატიოთ! — თქვა საილამ და ხალხს გადახედა. — ეს კაცი ისევ ჩვენ უნდა წამოვაყენოთ.

— რას ამბობ, საიდა, დაგავიწყდა, ჩაის ბუჩქები რომ ჩაგჩეხა! — შესძახა ხამილამ.

— რაც მოხდა, მოხდა, კაცი შეველას გეტხოვს, ხელს ხომ არა ვკრავთ.

— ის მაინც აღარ გახსოვს... — ხამილამ აღარ დაასრულა.

საიდა მიხედა, რაც უნდა ეთქვა ხამილას, ეს არ იყო, რომ მოგიტაცაო. საიდას ახლა აღარათურად ეჩვენება მოტაცების ამბავიც და ჩაის ბუჩქების ჩაჩეხვაც. იმდენი რამ გამოიარა იმის შემდეგ, იმდენი უბედურება გადახდა თავს... ღირს კი ახლა იმ წერილმანი ამბების მოგონება!

— რაც იყო, იყო, ხომ არ დეაღრჩობთ! — თქვა ისევ საილამ. — არუთანი ახლად დარგავს ჩაის და ახლად გაზრდის.


— მეც ეგრე მგონია, ისევ ჩვენ უნდა გავუწოდოთ ხელი. — სიტყვა მიაშველა ყარამანმა.

— რაკი საილამ გაიმარჯვა, ახლა რასაც ის იტყვის, შენც კვერს უკრავ. — კბილებში გამოსცრა კოსტამ.

ხამილა და სხვა ქალებიც გაოცებულენი შესცქეროდნენ საიდას. ვერ გაიგეს, იგი რად მოიქცა ასე და პარტორგანიზაციის მდივანმაც საიდას რად დაუპირა მხარი.

არუთანის განცხადება კოლმეურნეობა „ალაშარის“ გამგეობამ მეორე დღესვე განიხილა და იგი ისევ წევრად მიიღეს. საილამ თავის ბრგადაში მიიღო არუთანი. არუთანი ისევ კაცად იქცა.

თარგმნა ქეთევან ქუჩუკაშვილმა



## ბიოგრაფია

### საგაზაფხულო ფიქრები

მზისკენ მივილტვი ძლიერი ლტოლვით  
და ვისმენ მძლავრი ქარების შრიალს,  
და მთიდან ზეგავად დაძრული თოვლი  
შმაგ მდინარეებს ზღვისაკენ მიაქვთ.

ზეცა მიწის ორთქლს ისრუტავს, ისრობს,  
ზეცა უღიმის შეფოთლილ ხეხილს.  
მე ვერიდები,  
ფერთხილობ და ვშიშობ,  
რომ არ დავადგა ყვავილებს ფეხი.

დღეს გაზაფხული სიმწვანით მავსებს  
და კვირტის ძალას ძარღვებში ღვიძავს...  
მთელი სხეულით,  
ძლიერად ასე  
ჯერ არასოდეს მიგრძენია მიწა.

ეს მე ვიღლები გარჯით და ზრუნვით  
და ქვეყნად ლამაზ სიცოცხლედ ვფეთქავ —  
და ნედლი მიწის ორთქლი და სუნი  
მე მსიამოვნებს ყველაზე მეტად.

დაკოჭრილ ხელით ვკიდივარ გუთანს  
და სახნისს, როგორც იმედს ვუცქერი.  
მე მაამაყებს ეს მიწა მუდამ,  
მუდამ ამ მიწით ვარ მოუცლელი.

ყოველთვის მინდა,  
ყოველთვის ვცდილობ,  
რომ სტრიქონს მარცვლის სიურჩე მივცე-  
ღრუბლის მჩატე და ქათქათა ტილო  
შუბლს უმშრალეზდეს ვეება სივრცეს.

მგონია, ყველა სიძნელეს დაეძლევ  
 და მე ვხმაურობ,  
 ებორგავ და ველეავ,  
 რომ ჩემი მიწა დასაბამს აძლევს  
 კაცობრიობის სიკეთეს ყველას.

ამინდი უღვას საბარავ-სახნავს,  
 გარშემო მზე და ნათელი უფლობს.  
 და მე ლამაზი მგონია ახლაც  
 ჩემი ქვეყანა ათასჯერ უფრო.



**ბაკურიანში**


სიტბოდ იღვრები, კეთილო მზეო,  
 შენა ხარ შორს და  
 შენა ხარ ცხელი.  
 თითქოს ავდივარ ღრუბლების ზემოთ  
 და ზეცას ვწვდები ორივე ხელით.

აქ გაზაფხულის დღეების რიგი  
 მოჯირითდება ერთბაშად, უცებ.  
 ახლადშობილი სიცოცხლე იის  
 ნაზამთრალ მიწას გულივით უცემს.

თოვლში შენს ლამაზ ნაკვალევს ვეძებ...  
 აქა-იქ მწვანედ ბიბინებს მოლი.  
 ერთ ხანს შერჩებათ მწვერვალებს ყელზე  
 ყაბალახები ქათქათა თოვლის.

თითქმის ყოველთვის იმედი მმოსავს  
 და ვაგვიანებ სურვილებს ჩემსას.  
 ნეტავი ადრე მომესწრო მოსვლა,  
 რომ მთის ჰაერი რძესავით მესვა...

თარგმნა ტაგუ მებურიშვილმა



☆  
 ბიორბი გუბელია ☆  
 ლექსები ☆

## პირად ჩაჩხალია

### ჩემი კერა

სოფელს ჩაუდის პატარა ღელე,  
და ღელის პირად დგას ჩემი სახლი,  
ამ სახლში კერა ანთია ძველი  
და ლურჯი კვამლი მიიწევს მაღლა.

გამურულ სხვენზე ჰკიდია ჯაჭვი  
ძველი და გამძლე, როგორც ზღაპარი,  
იგი წარსულზე ოცნებას მაჩვენებს  
და მახსენდება მე წინაპარი.

მშობლის აღერსით მათობდა კერა,  
აქ მიდიოდა ჩემი ბავშვობა,  
არ გაუვლია იმ სითბოს ჯერაც,  
დრომ იმ სიამეს ვერ დამაშორა.

ჩვენს კარ-მიდამოს აგნებდა უმაღ  
მგზავრი ქვეითი, ანდა მხედარი,  
ცეცხლი ათობდა გათოშილ სტუმარს,  
თან მიჰყვებოდა სითბო ნეტარი.

ძვირფასი კერა დღედაღამ ენთო,  
მეწამულ დროშად ფეთქავდა ალი,  
ირგელივ სითბოს და სინათლეს ჰვენდა,  
ირგელივ ყველაფერს მატებდა ხალისს.

კერასთან ვპოვეთ გზა და მიზანი,  
აქ მივეჩვიეთ ჩვენ მტერთა ცნობას,  
ავი და კარგი აქ შევიცანით,  
აქ შევითვისეთ ნამდვილი ძმობა.

აქ მოსკოველი გვყავდა სტუმარი,  
ის იჯდა დინჯად და მოკრძალებით,  
ცეცხლს უყურებდა იგი მღუმარედ  
და უელავდა ლურჯი თვალბი.





იყო ხალისი და გატაცება, —  
 ბევრი გვიამბო, ვუამბეთ ბევრი,  
 კაცური კაცის პატივსაცემად  
 ჩვენ ორმოცი წლის მოგზაადეთ ქვევრი...

ხშირად გვეყოლია სტუმრად ქართველი,  
 მკვირცხლი ჩერქეზი; ჩვენ მათი გეჯერა,  
 მათგან გვესმოდა სიტყვა მართალი,  
 ალალი გულით ლოცავდნენ კერას.

წავიდნენ, სითბო წაიღეს მკერდით.  
 ჩვენც გვახარებდა მათი იერი,  
 არ დარჩენილა სტუმარი ერთიც,  
 არ ყოფილიყო ის მაღლიერი.

ასე წარმტაცი არ იყავ მუდამ,  
 გახსოვს სიმწარე ნაღვლიან დღეთა,  
 ამაზე ფიქრი ჩემს გულსაც ხუთავს,  
 კერავ კეთილო, შენს წარსულს ვხედავ.

ვინც შეარყია სამყარო ძველი,  
 ზღვარი დაუღო ჩაგრულთ გოდებას,  
 იყო, ლენინი—მსოფლიოს მხსნელი,  
 ქვეყნად აღგავა მან ბოროტება.

და მამაჩემმა — გლეხმა საწყალმა,  
 მომავლის გზები იხილა მაშინ,  
 ბრძოლის წადილმა ერთ ხანს აწვალა  
 და რაზმელებთან წავიდა მთაში.

ის გაზაფხულზე დაბრუნდა, მახსოვს,  
 არ დასცდენია დაქანცულს კენესა,  
 თქვა: გაუთენდა დაჩაგრულ ხალხსო,  
 ბოლო მოეღო წამებას ჩვენსას.

მას შემდეგ კერა ანთია მძლავრად,  
 ანთია მუდამ, არასდროს ჰქრება,  
 კერასთან თბება ყოველი მგზავრი  
 და ისმის ფუძის ლოცვა და ქება.

მხოლოდ მან იცის აფხაზთა წესი,  
 ალალი გულით სტუმარს ვინც ელის  
 და როცა მისი ძახილი ესმის,  
 იტყვის: მობრძანდი, ვარ მასპინძელი.

★  
 ლემუში  
 ★  
 ლემუში  
 ★  
 ლემუში  
 ★



### მერცხალი

შენ დანავარდობ ღრუბლებში, ზემოთ,  
მე კი აქ გიცდი, მერცხალო ჩემო.

დაეშვი ციდან მსგავსად შურდულის,  
მასმინე შენი ტკბილი ჟღერტული.

მშვიდად იცხოვრე მაღალ სარკმელთან,  
სითბო და ზრუნვა არ მოგაკლდება.

ლუქმას გაგიყოფ, მოგეფერები,  
შენ სიყვარულზე თქვი სიმღერები.

როცა ზაფხული შეაჰკნობს ფოთოლს,  
შენ გამოჩეკე ბარტყები თოთო.

დააფრთიანე, ასწავლე ფრენა,  
დავიცავ მათ და დაგიცავ შენაც.

როს გადაფრენის დადგება ჯერი,  
მე გაგაცილებ სევდიან მზერით.

დაგრჩება ბუდე თბილი და წყნარი,  
ვერას დააკლებს წვიმა და ქარი.

ამაზე, კარგო, ნუ გეფიქრება,  
გაზაფხულამდე ასე იქნება.


როცა არ ვისმენ მე შენს გალობას,  
სევდიანი მაქვს მუდამ თვალები.

რა სიყვარულით გელი და გხვდები,  
ზედნიერებას მოიტან ფრთებით.

კვლავ მყუდრო ბინა დაგხვდება დადლილს,  
ვარდ-ყვავილებით ამივსე სახლი.

ყოველ გაზაფხულს მესტუმრო მინდა,  
რომ მოვისმინო გალობა წმინდა.

თარგმნა ემზარ კვიციანიშვილმა



## ქოსვა გერხელია

### მუხის სიკვდილი

აქ შრიალეზდა, აქ იდგა იგი,  
მზეს გასცქეროდა, უსმენდა ქუხილს...  
დარჩენილია დღეს მხოლოდ ჯირკი  
იმ მხრებგანიერ ამაყი მუხის.


ვიგონებ ახლა, ვნანობ და ვწუხვარ  
და თვალწინ მიდგას თითქოსდა დღესაც,  
როგორ დაქანდა მოჭრილი მუხა,  
როგორ აღმოხდა განწირულს კენესა.

ცულს მიეყინა ჩემი ხელები  
და ნაფოტები გაიბნა თოვლში...  
და იმ მაღალი ხის ნამსხვრევეები  
ელავდნენ, როგორც დამწვარნი თოშით.

იმ დღეს პირველად გავიგე ბავშვმა  
შრომის სიმძიმე და შრომის ფასი  
და სამუდამოდ ხსოვნაში ჩამრჩა  
წაქცეულ მუხის მომწვანო ხავსი.

აქ შრიალეზდა, აქ იდგა იგი,  
მზეს გასცქეროდა, უსმენდა ქუხილს...  
დარჩენილია დღეს მხოლოდ ჯირკი  
იმ მხრებგანიერ ამაყი მუხის.

თარგმნა ფაშა ციციაშვილმა




## ენაჴმლი აჴინჴალი

### მე და ჴლვა

რას არ მიამბობს ტალღის შრიალი,  
 რას არ მაგონებს ჴავლის სიცივე-  
 ვარ დასაბამით შენი ტრფიალი,  
 ასე თამამად მიტომ მიცინი.  
 და გიხარია დანახვა ჩემი,  
 უფრო ხმიანობ, უფრო ლაღღები;  
 როგორც მამაცი ჴარისკაცები,  
 ჩამომწკრივე ჩემს წინ ტალღები.  
 მოვდივარ შენთან, თავს დაგკანკალებ, —  
 როგორ აცოცხლებ მოწყენილ ნაპირს.  
 მსურს მოგეფერო და ვერ გაკავებ,  
 ხელზე მადნება ჴალარა ჴაფი.  
 შენ კი ნებივრობ... ან რას დაეძებ...  
 უმზერ სამყაროს მწვანე თვალებით.  
 და განისვენებს, ჴღვაო, შენს ფსკერზე  
 აურაცხელი იღუმალება.  
 და მე მიამბობ ტალღის შრიალით  
 უამრავ ჴლაპარს და საოცრებას,  
 რითაც მალღღება ადამიანი.  
 სადაც იწყება წვა და ოცნება.  
 მე მჯერა შენი ძალის და ნების,  
 შენ არ ბობოქრობ, ჴღვაო, ამაოდ...

მზეს უღიმიან ლურჯი ჴავლები,  
 და შენი ტალღა შორს მიქანაობს



### ტალღები


მძლავრი ტალღები, როგორც ცხვრის ფარა,  
 ჴათქით აწყდება კლდიან ნაპირებს,  
 აწყდება კლდეებს და ჴაფით ფარავს  
 მღვიმეებს, თითქოს წარღვნას აპირებს.

ჭალარა თმები უნთიათ შუქად,  
 სულ წინ იწვიენ ცისფერ სვეტებად  
 და ზოგჯერ მიტომ იხევენ უკან,  
 რომ უფრო მძლავრი იყოს შეტევა.

უმძიმეს ღრუბლებს გზავნიან ცაში,  
 ხმელეთს გრიალით უვსებენ უბეს  
 და თუ დამშვიდდნენ, იციან, მაშინ  
 გადაიქცევა ზღვა დამბალ გუბედ.

და სულ ერთია მზეა თუ ქარი...  
 ქვეყანა ზვავმა წალეკოს თუნდაც.  
 ისინი მუდამ გზაში არიან  
 და ამიტომაც ცოცხლობენ მუდამ.

თარგმნა ფაშა ციციაშვილმა



## პლაქიმეი პეკუპი

### სადა ხარ, დედა!


შენ ძმაო, ვისაც მწარე გაქვს ხვედრი,  
 ვინც ახლა დედის საფლავს ევლები,  
 ბედი გაქვს, იცი საფლავი დედის,  
 — მე ვის საფლავზე ვღვარო ცრემლები.

ო, დედავ, მტვერიც არ დარჩა შენი,  
 მხოლოდ სურათი, ძველი სურათი.  
 იქნებ აქვე ხარ და ვერა გშველი,  
 იქნებ საფლავშიც დარდობ, სულმნათი.

მაგრამ სანამ მეც სიკვდილი დამშლის,  
 შენი წამებით ვერ მოვისვენებ.  
 ყველა უცხოში და ყველა ქალში,  
 შენ გპოულობ და გკარგავ ისევე.

მე ისევ გეძებ, ყველაში გხედავ,  
 გპოულობ, მაგრამ გკარგავ ისევე,  
 სადა ხარ, დედა, მე ვყვირი, დედა!  
 ნუთუ არასდროს არ გამიხსენებ.

თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა






## შაშიც ზინია

### მოკონება

მაინც უმისოდ ვღელავ და ვბორბავ,  
 რადგან ის არის სიმშვიდე ჩემი...  
 მიშხუის,  
 ამსხვრევს სიჩუმის ბორკილს  
 ჩემი თეთრი და ლამაზი გემი.  
 გაღვივებული ღრუბლების იქით  
 რატომღაც ახლა ვისწრაფი უფრო.  
 მთენთავს,  
 მაწვალებს უთქმელი ფიქრი  
 და მსურს ლაქვარდში გაფრენა უფროდ.  
 თვისკენ მიხმობენ ტალღები ახლა  
 ლამაზი, გრძელი ხელების ქნევით.  
 ჭაღარა მთებო, რა კარგად ჩანხართ,  
 მშობელო მთებო, ვამაყობ თქვენით!..  
 ჩემს გულში თქვენზე სიმღერა ჟღერდა  
 ახლებური და ძლიერი თანაც,  
 თქვენ, თოლიებო, რა გინდათ ჩემგან,  
 თვალყურს გადევნებთ, კარგებო, განა.  
 სად მიხვალთ:  
 ხომ არ გეცვალათ მხარი?  
 მეგობარს ეძებთ,  
 თანატოლს ეძებთ?  
 თუ დაღლილი ხართ, მითხარით ბარემ,  
 ჩამოისვენეთ ცოტახნით გემზე.  
 დღეს ჩემთან ერთად არ არის სატრფო,  
 გზა უნდა განველო შფოთვით, წვალეებით.  
 ვდგავარ გემბანზე,  
 ვუხმობ და ვნატრობ  
 და ზღვა შემყურებს მისი თვალეებით.

თარგმნა ტაგუ მებურიშვილმა



## მუხნი მიქაი

### აზსაჯეთი

მე განუყრელად შენთან ვიქნები,  
როგორც ეს ცა და ლურჯი მთებია.  
შენსკენ ილტვიან ჩემი ფიქრები  
და ფუტკრებივით თავს გვევლებიან.

მაცურებინე შენი ცის თავანს,  
შენი მაღალი მზის სხივით დამწვი.  
მე თან წავიღებ, თუ სადმე წავალ  
შენი კლდეების უმცირეს ნაწილს.

ლამაზო მიწავ, ერთო მტკაველო,  
და მაინც დიდო და უნაპირო,  
მე გულით დამაქვს შენი მთა-ველი,  
შენით ვსულდგმულობ,  
შენით ვაპრილობ.


შენგნით შევიცან მშვენება სრული,  
ყველგან რომ მახლავს და არ იმღერევა,  
ვით არ გიწოდო სამყაროს გული,  
ჩემო ყველაზე დიდო სიმღერავ.

რამდენ ჭირ-ვარამს, რამდენ ქარიშხალს,  
რამდენ სისხლიან დღეს გაუძელი,  
მაინც ეგ სული ვერვინ დანისლა,  
მაინც გათელე მტერი უძღები.

დგახარ ამაყად, შენმა შვილებმა  
გამართეს მხრები, მტერთა მმუსრავი  
და მოგიტანეს შგება, დიდება  
ზღაპრულ გოლიათ ერცახუსავით.

და ვით ჩანჩქერი, მთით მოვარდნილი,  
თავის კვალს ტოვებს უსაზღვრო ზღვაში,  
შენც შეგაქვს შენი პატარა წველილი,  
შენც სკედავ ხალხთა მძლეთამძლე კავშირს.

ლამაზო მიწაე, ერთო მტკაველო  
და მაინც დიდო და უნაპირო,  
უფრო აყვავდეს შენი მთა-ველი,  
შენით ვსულდგმულობ,  
შენით ვაპრილობ.




უკანასკნელად დარეკეს ზარი, —  
ხარ მოწყენილი და ფიქრიანი.  
იზრდება სევდა, შრიალებს ქარი  
და მოყვითალო თმებს გიფრიალებს.

მატარებელი კი მგზავრებს უხმობს  
და სულ ერთია მისთვის ყოველი...  
ჩვენ ვდგავართ ასე უცრემლოდ, უხმოდ  
და განშორების წამებს მოველით.

...მატარებელი დაიძრა... მიდის...  
ირწევა კვამლი ცად აკლაკნილი:  
და როგორც თეთრი, ლამაზი ჩიტი  
ფრიალებს შორით შენი მანდილი.

თარგმნა ფაშა ციციაშვილმა



სოხუმი, რუსთაველის პროსპექტი

# ჩემი ქალი ხაბჯუთმა ცოლი

მინიატურა

ხაბჯუთს დღე და ღამე ლანძღავდა და წყევლიდა ცოლი. ღირსიც იყო ამის.

— შენს დაბადებას ჯობდა, გოგრა გაეჩინა დედაშენს, ერთს მაინც წაიგახსმებდა თქვენი ოჯახი, — ტყუოდა ხოლმე ცოლი ხაბჯუთს.

— ქალს რომ შეშვენიის, ისე მოიქეცი და ილაპარაკე, ბარზანია-ფხა, — ბრაზობდა ხაბჯუთი.

ჯერ ცოლისათვის ნამდვილი სახელი არ დაუძახნია ხაბჯუთს. რაღაც უცნაური „ბარზანია-ფხა“ შეარქვა და სულ იმას ეძახდა.

— შენისთანა უშნო მეორე არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში. კაცის საქმესაც მე ვაკეთებ და ქალისასაც; ხომ ხედავ, ჩამოვხმნი, შე გულქვა!

— დავბერდი, ბარზანია-ფხა, თავი დამანებე, დავბერდი, — გაიძახოდა ხაბჯუთი.

— კი არ დაბერდი, სისხლში გაგიჯდა სიზარმაცე და სიგლახე, — ეუბნებოდა ცოლი.

ერთ დღეს ხაბჯუთი ჩვეულებისამებრ კერიასთან იჯდა და ცეცხლს ეფიცებოდა (ცეცხლთან ხშირი ჯდომით წვიგები აპრელებული ჰქონდა) და ყალიონს აბოლებდა.

— თუ ქალი ხარ, ბაღჩაში გადადი ერთი, ჭყინტი სიმინდი მოტეხე, შევწვავ და თავს შევიტყვე, — გული შეუწუხა ხაბჯუთმა ცოლს.

ქალს მოწყინდა ქმრის ღირღიტი და მისი სურვილის შესასრულებლად წა-

ვიდა. ბაღჩა იქვე იყო, სახლის გვერდით. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ გულგახეთქილი ცოლი სახლში შემოვარდა.

— ადექი, კაცო. ჩვენს ბაღჩაში დათვი შემოსულა, სიმინდს ანადგურებს.

გარდა იმისა რომ ზარმაცი იყო, ხაბჯუთი მხდალიც გახლდათ.

— თოფი მომეცი ჩქარა, თოფი, — დაიღრიალა ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული ხაბჯუთმა.

ცოლმა მაშინვე ჩამოხსნა თოფი კედლიდან და ქმარს მიაჩეჩა.

— ჩქარა ესროლე, გადააბრუნა მთელი ბაღჩა, — აგულიანებდა იგი ხაბჯუთს.

ხაბჯუთმა ფანჯარაში გაპყო ლულა, ჩახმახი შემართა და აკანკალებულმა ცოლს შეეკითხა:

— გახედე, ბარზანია-ფხა, სწორად თუ მაქვს დამიზნებული?

— კი გაქვს, ესროლე, — დაიყვირა შიშისაგან თავგზააბნეულმა ცოლმა.

ხაბჯუთმა თვალი მოხუჭა და თოფმა იგრიალა. საკმაო დრო გავიდა, ვიდრე იგი თვალს გაახელდა და ფანჯარაში გაიხედავდა; უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი ზაჯბაჯით აღიოდა ფერდობზე.

— ჯობდა ეს თოფი შენთვის მეთხლიმა თავში, რატომ გამაბრიყვე, სწორად გაქვს დამიზნებულიო, — ცოლს დაუწყო გამტყუნება საქციელწამხდარმა ხაბჯუთმა.

კედელზე მიყუდებული თოფის ლულიდან დიდხანს ამოდიოდა შავი კვამლი.

თარგმნა ემზარ გურგენიძემ



# სოფელექტროში

მოთხრობა

დღე-ღამე თავსხმაში ვბრუნდებოდი. გზაზე ნი-  
აღრები მოდიოდა და მანქანა უბედუ-  
რად ბუქსაობდა. „სოფელექტროში“ ვმუშაობდი  
და იმედი გადავიწყვიტე, სამუშაო დღე ისე დამ-  
თავრდება, ველარავის მიუხსნრებ-მეთქი. როგორც  
იყო. მეშველა და ქალაქის განაპირა უბნები და  
რკინიგზის ესტაკადა ვამოჩნდა. წვიმისაგან ნაად-  
რევად ჩამომდგარ ბინდში ფარნები ბუქტაედა. ახ-  
ლა კი რაღა დარჩა, მისული ვარ და ეს არის-მეთ-  
ქი. გავიფიქრე. სწორედ ამ დროს ერთმა შემ-  
თხვევამ კიდევ ერთი საათით დამაგვიანა.

ხილთან მოვუხვიე თუ არა, ქოლგის ქვეშ ორ  
საკოდავად აბუზულ გოგოს მოკვარი თვალი. ერ-  
თი მაშინვე ვიცანი და გულმა დაგადუკი დამი-  
წყო. მანქანა უცებ დაეამუხრუშე, კარი გავალე  
და ვთხოვე, დაბრძანდით-მეთქი. გოგოებმა შემ-  
ტყეს, რომ გულწრფელად ვუთხარი და ჩასხდნენ.  
დღედაღამ შახუსნაზე ვფიქრობდი და ახლა ის  
იჯდა ჩემს მანქანაში! ნეტავ ცოტა ხნით მარტო  
დამტოვა შახუსნასთან, რომ გული გადავუშა-  
ლო-მეთქი. ვფიქრობდი. სწორედ ამ დროს შახუს-  
ნას ამხანაგმა მთხოვა, მანქანა გამეჩერებინა.

— თქვენ საითლა წავიყვანოთ, შახუსნა? —  
ვკითხე შახუსნას. როცა ორნი დავრჩით.

მან გაოცებულმა შემომხედა.

— საიდან იცით ჩემი სახელი?

— როგორ არ ვიცი, დიდი ხანია, გიცნობთ  
შორიდან და სულ იმის ნატვრაში ვიყავი, ნეტა-  
ვი, როგორმე გავიცნო-მეთქი.

არა, ჯერ ასე ბედს ჩემთვის არ გაუღიმა,  
როგორც იმ ნაადრევად ჩამომხეულულ წვიმიან  
სალამოს გამიღიმა. შახუსნა თავის სახლში მივიყ-  
ვანე და ისიცა ვთხოვე, შევხვედეთ-მეთქი.

„ახლა ვინ ეშმაკილა დამხვედება „სოფელექტ-  
ტროში“? ვფიქრობდი ჩვენი კანტორისაკენ მიმ-  
ვალი. მაგრამ როგორ გამიხარდა, როცა ფან-  
ჯრებში შეუქი დავინახე.

გამოცარიელებულ ოთახში ქალადგებსა და  
დავობრებში ჩაფლული ჩვენი მონაგარიშე არით-  
მომეტრს გამჭარბული ატრიალებდა.

ასე ოცდაათ წელს გადაცილებული, მუდამ  
შუბლშეკრული ეღვაცი ახლახანს მოეწყო „სოფელ-  
ექტროში“. მე ხშირად მიხედებოდა აქეთ-  
იქით სიარული საკომლმურნო ელექტროსადგუ-  
რების მშენებლობაზე და ერთმანეთს ხეირიანად  
არც კი გამოვლაპარაკებებოდათ. ვიცოდი, სამამუ-  
ლო ომის მოწაწილე იყო. პატიოსანი და წესიერ  
მომუშავედ ითვლებოდა. მაგრამ ისე გულჩახვეუ-  
ლი და მიუკარებელი კაცი უნდა ყოფილიყო.

კარების გაჭირალებაზე ერთი კი მომხედა და  
ისევე თავის საქმეს მიუბრუნდა.

მე კი სული მიგუბდებოდა, ისე ვიყავი სიხა-  
რულით აღვსილი. მოთმინება არა მყოფნიდა, ისე  
მინდოდა ვისმესთვის შეხარებინა, ვინც ჩემსაკით  
ალტაცებელი შეხვედებოდა ჩემს სიხარულს. კან-  
ტორაში კი, ჩემს ჯიბრზე, ბაიყუშივით მარტო  
მიმჯდარი ეღვაცის მეტი არავინ იყო. აბა, სად  
ეღვაცი და სად ამისთანა ამბები!

— ე, ეღვაც! ეღვაც! განა შენ ოდენმე განვიც-  
დაი ის, რაც ამ რამდენიმე წამის წინ ბედმა გან-  
მაცდევინა? მე რომ უცებ ავმღერდე, ან აუხარ-  
ხარდე, განა გამოიგებ?

— ეღვაც, — შეფახე — გინახავს ოდენმე „ჩა-  
ძინებული მდინარე“? — და მისკენ წავედი.

— კარგა გამოპრუტულხარ! — ცივი წყალივით  
გაღამასხა ეღვაცმა.

ეტყობა, მართლა ნასვამსა ვგავდი. მაგრამ მე  
ვუთხარი, ღვიწით არა ვარ-მეთქი მთვრალი. მა-  
შინ ეღვაცმა არითმომეტრი მისწია და ჩემი ამპის  
მოსასმენად მოეშინადა.

მე უნად გადავიქციე. ეღვაცი კი უნდლივით  
იჯდა. პაპიროსის ფერფლს თუ დაბერტყავდა.  
წმინდად გამარსულ სახეზე შევატყვე, რომ თავი  
მოვაწყინე ჩემი ლაქლაქით. ერთი არ შეუწყვე-

! აფხაზური ხალხური თქმულებით, ვინც ჩა-  
ძინებულ მდინარეს ნახავს, ცხოვრებაში ბედ-  
ნიერი იქნება.



ტონებია, არ უთქვამს, ეს რა ბედი გქონია, რომ ამ წვიმიან საღამოს სწორედ ის შეგხვდაო. არც ის უთქვამს, კარგი იქნებოდა, რომ ის ორი გოგო წინ არ დაგხვედროდნენო.

გართუ კი ისევ შხუილით ჩამოდიოდა წვიმა სახურავიდან. ისე ვლამპარაკობდი, მე თვითონ მაკვირვებდა ჩემი მჭევრმეტყველება. ელგაცი ისევ გაჩუმებული იჯდა და კანტორის კედელს მიმტერებოდა.

„შე ოხერო ჩემო თავო, რას დამდგარხარ და მოშლილი წისქვილივითა ფტაკე!“ — კვითხე ჩემს თავს.

„ან ამასთან ტრახახი რაში გპირდება!“

„ან ვის გადაუშალე გული!“

ვუსაყვედურე ჩემს თავს. უცებ ლამპარაკის მადა დამეკარგა და სეიფისაკენ წავედი ნახაზების შენახახად. ახლა შევამჩნიე, ნახაზები ისევ ხელში მეჭირა.

— აბა, ერთი ეს სურათი ნახე.

მე ელგაციასკენ მივტრიალდი. ელგაცმა უჯრა გამოსწია და ფოტოსურათები ამოალავა.

განივრფარფლებიანი ქუდი ეხურა სანდომიანი სახის გოგოს და ილიმებოდა.

— გული შემვარდა, — უცებ მითხრა ელგაცმა. — მგონი, სარაიონო საბჭოს დეპუტატიც უნდა იყოს. შენ რაიონში დადიხარ ხშირად, არსად შეგხვედრის?

სურათს დაეხედე თუ არა, მაშინვე ვიციანი: ამ ორი წლის წინათ ერთ სოფელში ელექტროსადგურის ვაშენებდით. ეს გოგო იქა ენახე. იმის მამასაც დავეშვამაკციე. მაშინ სულ პატარა გოგოსა ჰგავდა.

— ეგებ კიდევ მინახავს სადმე. — ვუთხარი და სურათი დავეუბრუნე.

— ლამპარაკი არ უნდა, მშვენიერი გოგოა, — განავრძო ელგაცმა. — ბედმა გამიღიმა და სწორედ ამ გოგოს სოფელში მოგხვდით.

ელგაცმა სურათს სიყვარულით გადაუღვა ხელი. მერე საკანცელარიო სამკლავურები მოიხსნა და მომიბრუნდა: ეგებ ჩემი ამბის მოსმენა არც კი გინდა?

— რას ამბობ, როგორ არ მინდა.

— ერთხელა ენახე და სამუდამოდ კი ჩამრჩა გულიში.

სწორედ ახლა მომაგონდა, რომ ამ გოგოს ახლო სოფელში ქორწილში ვიყავი მიპატივებულნი. ჩემი ნათესავი — კოლმეურნეობის ბრიგადირი — ცოლს ირთავდა. მაგრამ ხმა არ ამოიღია, ჯერ ყურს ვუგებდები.

— მოდი, რაც იყოს, იყოს, თავიდან ვიამბობ. ის დღე დღევანდელი დღესავით მახსოვს. ზაფხული იყო, მთელი ივნისი გადალუღებლად წვიმდა. ერთ კვირა დღეს ძლივს შუმე გამოაჰყვითა. ჩვენმა თანამშრომლებმა, სადაც მამინა ემუშაობდი, რაკი ამინდი გამოვიდა, აიტყხეს, საშეფო კოლმეურნეობაში წავიდეთო.

მე მენახა, როგორ მუშაობენ საკოლმეურნეო პლანტაციებში, მაგრამ ჩემი ხელთ ერთი ფოტოლი არ მომეწყვიტა.

თქომი ნადმის ნამტვრევი ჩამომყვა ფრონტიდან და ქალაქში დავრჩი საცხოვრებლად. სპეციალობა შევიძინე. ჰოდა, გამიგებ, რა სულს სიმწარით მენდომებოდა სოფელში წასვლა. ვიდრე ჩვენ ოლქოროლოებზე ვიარეთ და პლანტაციის მივალწით, შუმე კარგა შემოიმაღლა, იქიდან ერცაუს მთა ახლო ჩანდა, იტყუარი, აქვემო.

ჩაის პლანტაციას თვალს ვერ ვუწვდენდი, ზღვასავითა ლულავდა, წელამდე გვემბოდა ბურჭები. ავროტექნიკოსი ვამოკვლავამარაკა და გეითხრა. ყველაზე მეტი ფასი ახლადამოყრილ ჩაის ნორჩ ყლორტებსა აქვს, ამოიყრის თუ არა, უნდა მოწყვიტო, თორემ მერე ხვედება და თხმელის ფოთლის ფასიც აღარ აქვსო.

— შენ ის მითხარი, იმ გოგოს სად შეხვდი? — შევწყვიტინე ლამპარაკის მადაზე მოსულ ელგაცს.

ელგაცს ჩაეღიმა და საათს დახედა.

— ხო არსად გეჩქარება?

მე თავი გაგაცნიე — არ მეჩქარება-მეთქი.

— ჰოდა, გადალუღებელი წვიმები იყო და კოლმეურნეობის დიდი ხანა მინდევნიდა არც ეპსულიცვნივ. — განავრძო ელგაცმა. — ბურჭები ერთიანად ნორჩი ყლორტებით იყო დაბურული. ერთი სიტყვით, სწორედ კვი დროს მივედიოთ. თუ ბიჭი ხარ, გამოიჩინე თავი! წვეილ-წვეილად დაეცაპით და ბურჭებს დაეუხვიეთ. კალათები არ გვეყო, ფოთოლს ვინ ქულში ჰყრიდა, ვინ კანისა ან ხალათის კალთაში, მე კი მაისურა გავიხადე და წინაფარივით შემოვიკარი. პატიოსნად ბეტსვი, კრეშა რო დავიწყე, ვიფიქრე: ამის რჯული არ იყოს, ერთი ოცდაათი კილოგრამი როგორ ვერ უნდა მოეკრიფო-მეთქი. ვახუთებში ხომ წამიკითხავს, ამა ამ ქალმა დღიურად ორმოცი კილოგრამი მოკრიფაო. მე რაღა ჯანდაბა მომივა, კაცი ვარ, ომგამოვლილი, ამდენი ვერ მოვკრიფო-მეთქი.

— ჩაის კრეფა ფლავის ქაბა ხომ არ გეგონა? — გამეღიმა.

— სწორედ ვერ ვიფიქრე. როგორც ავროტექნიკოსმა ვგასწავლა, მეც ისე შევედგეო საქმეს ვექებ ნორჩ, ოდნავ მოყვითალო, ბლანტ ყლორტებს. ბიჭი ხარ და იპოვე მწვანედ გახასხასებულ ბურჭებში ოდნავ მოყვითალო ყლორტი! ხელიც ვაჭაფული უნდა გქონდეს, თვალიც შეჩვეული ჩინჩახვგატენილი მამალივით, ხო გინახავს ტაროს როგორა კორტნის, მეც სწორედ იმ მამალივით ხან აქ ვეცემი, ხან იქ. მაგრამ ერთ ბურჭს მაინც ვერ გავციე. წინსაფარს ხელი მოვუსვი — ელდა მეცა! ნეტავ ფოთოლი ხო არ მეფანტებმა-მეთქი. ჩემი ნაცოდვილარი მუქაში ჩამეტეოდა და ფოთლებიც ისე იყო დამხმარი, ახლაც ვარგოდა ჩაის დასაყენებლად. ახლა დრო როგორ გაუპიანურდა, მზე საქორჩესა მწვავდა, ბუერას ფოთლები ავიღე და ქულდვით დავიკრიფე. უბედურ დღეში ჩავვარდი — ხან ბურჭებს ვეცემი. ხან წყლის კასრისაკენ ვავრბივარ — წყლის სმით

შამილ აკუსბა  
აყვავებული ჩაის ბურჭი

მოკვდი. ჩემს ნაყოფილარს კი არა ემატება რა. ბოლოს, მოთმინება აღარ მეყო, სასწოროს მივირბინე. ერთ კილოგრამზე ცოტა მეტი გამოვიდა. ოცდაათს ვინ ჩივის. ნეტავ, სულაც თავი არ მომეპურას, ხუთი კილოგრამი მაინც მომპოვებინა-მეთქი! მაშინ გავიგე, რასა ნიშნავს დღეში ორმოცი კილოგრამის მოკრეფა. გავიგე, როგორა მუშაობენ მკრეფავები, ვისზედაც გაზეთებში წერენ. ნეტავ, ფორიდან მაინც მაჩვენა ასეთი მკრეფავი-მეთქი, ვფიქრობდი.

შუადღისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩამოგვიარა.

— ახალგაზრდებს გაუმარჯოს, რამდენ-რამდენი მოკრიფეთ?

ჩვენ გულახდილად ვუთხარი, ჯერ სამ-სამი კილოგრამი ძლივს მოკრიფეთო. უნაგირიდან გადმოწეულმა თავმჯდომარემ ჩვენს ცარიელ ყუთებში ჩაიხედა და უღელსებში ჩაეცინა.

— თქვენმა საუკეთესო მკრეფავმა რამდენი მოკრიფა? — ვკითხე მე.

— ერთმა ოცდაათიკილოგრამიანი ყუთი კიდევაც გაავსო.

ყურებს არ დაუფჯერეთ.

— ვინდათ, იმ მკრეფავის სახელსაც გეტყვიოთ და გვარსაც. — გვითხრა თავმჯდომარემ. — კუეიზა სანაგუაა, გაზეთშიაც წერენ ხოლმე ამ გოგოზე. მარჯვე გოგოა. გამოგიგზავნით და ის გასწავლით, როგორ უნდა ჩაის კრეფა. — თავმჯდომარემ ისევ ჩაიციხა და წავიდა.

დღიე კაკლისძირში დავსხედით დასახეინებულად. გოგობამაც აქ მოიყარეს თავი, სადაც არ უნდა წავიდე, ჩემი ფოტოაპარატიც თან მიმაქვს.

— თქვენში რომელია კუეიზა? — ვკითხე გოგობს.

გოგობმა გზისაკენ გაიშვირეს ხელი. ერთი ყმაწვილი გოგო ვიღაც ბიჭს ჩაის ფოთლით სავსე ყუთების ურემზე დაწობასა შევლოდა.

მათკენ წავიდე. უცებ კუეიზა ჩემსკენ მოტრიალდა, სახტად დაერჩი. ის გოგო იყო!

— სურათი უნდა გადაგილოთ-მეთქი. — გუთხარი.

შეკრთა, უარზე დადგა. ამ დროს ჩვენი თანამშრომლები შემოხევივნენ, გვასწავლე, ამდენს როგორა კრეფავო. მაშინ ხომ სულ დაიბნა. მზომოკიდებულ სახეზე სიწითლემ გადააჭკრა. ცეცხლი მომეღია, ისე მომეწონა. ყმები გვერდზე მოგვექცა თხოვნით, როგორც იყო, დავიყოლიეთ. კუეიზამ კალათი ჩამოიბა, თათმანები ჩაიცვა და ბურქს შეუღტია. ჩემსკენ გვერდით იდგა და ხელებს ვერა ეხედავდი, ისე კი ვატყობდი, მარჯვედ ათამაშებდა ხელებს ბურქებში, ვარშემო შემოხევეულ ხალხში ხან ერთი დაიძახებდა ყოჩაღ შენო, ხან მეო-რი. ალბათ, შეიც გეტყობდინება, ფოთლის მოწყვეტას რაღაც ჭრიალი მოსდევს. თუ ვინდა გაიგო, რამდენი ფოთლი მოწყვიტე, დათვლი, რამდენჯერ გაიჭრიალა ბურქმა. კუეიზას ბურქს კი ისეთი შხაპუნი გაჰქონდა, გვერთხობდა, კოკისპირულადა

წვიმსო. ვინც ვიწწნით, ჩაის კრეფა რა იყო, ამ ქალის სიმარდემ გაგვაოცა. ქალი კი არა, ქაჯი იყო!

ვიღრე ჩვენ პირდაღებულები შევცქეროდით, კუეიზამ კალათი კიდევ გაავსო, ქულქვეშიდან დარცხენილი გამოგვექეროდა, თითქოს იმისი ბრალი იყო, რომ ჩვენ დაბდურეზივითა ვმუშაობდით.

„ნეტავ მაგისი მადლიანი ხელები ერთი ამ ხალხის წინ დამაკონინა-მეთქი“, — გულში გავიფიქრე.

ედგაცი გაჩუმდა და პაპიროსს მოუკიდა.

— ჩამწვარხარ, ძმაო და ეგ არი — თავი ვერ შევიმაგრე და ვუთხარი ედგაცს.

— არ დაგიმალავ, მომეწონა, თითქმის მთელი ფირი იმის გადაღებზე დავხარჯე.

ედგაცმა სურათების დასტა ამოიღო და წინ დამიწყო: კუეიზა ჩალის ქუდით, უქუდით, ჩაის კრეფის დროს, ტოლებში.

მაშინ კი ვეღარ მოვითმინე.

— მე, ძმაო, შენს კუეიზას ძალიან კარგა ვიცნობ.

ედგაცმა გაოცებულმა შემომხედა.

— იმის მამასაც კარგად ვიცნობ, ფრანა სანაგუას. და ხვალ სწორედ იმათ მეზობელ სოფელში ქორწილია, იქ მივდივარ და შენც წამოდი, იქიდან კუეიზას გაუვართო.

ედგაცმა არაფერი მითხრა და განავრძო:

— იმ ღამეს იქ დავრჩით, მეორე დღესაც კოლმეურნეობაში უნდა გვემუშავა. ზედმა გამიღონა, მე და ჩემი ორი ამხანაგი სწორედ კუეიზას სახლში წავგიყვანეს ღამის გასათევად. ჩემს თვალებს არაფერი გამოჰპარვია, ცეცხლიც იმან დაანთო, ძროხებიც იმან მოწველა, სულრაც იმან გაშალა და ააღლა. ერთი სიტყვით, რაღა დაგიძალი, იმ დღიდან იმისი ტყვე ვარ.

— ასეა საქმე, ჩემო მეგობარო. თუ ის, ვისაც ამ საღამოს შეხვდი, ოდნავ მაინცა ჰგავს კუეიზას, ვუერთდები შენს ალტაცებას და გუეზნები: შეირთე, მორჩა და გააივდა! დამილოცინიარო.

ედგაცმა თავი ასწია და შემომხედა. თვალები უცინოდა. ჩემი ნათქვამის მერე ეგონა, ქორწილზედა ჩემი და კუეიზას საქმეთ. სცოდნოდა, რა ელოდა!

— ვერც იმ საღამოს მოვახერხე მეთქვა რამე კუეიზასთვის, ვერც მეორე დღეს, — განავრძო ედგაცმა. — გინახავს აყვავებული ჩაის ბურქი? არ ვიცო, ეგებ იმიტომ რომ კენწერობს აპრიან, ყვავილები ბურქებზე კი არა ყვავილობენ, კი არ გეკიბნებიან, ასე ეთქვათ, შემოგხედე, დასტკიბი ჩვენი ცქერითო, ფოთლებში იმალებიან, მაგრამ რა სურნელებას აფრქვევენ! ჩემი კუეიზაც სწორედ ამ ყვავილსა ჰგავს. გული მწყედება, რატომ აქამდე არ გამოვუტყდი, მაშინაც ვერა და ვერ დავიმარტობდე. ზოგჯერ ეჭვი გამეპრავს ხოლმე,

ხომ არ გამირბოდა? წავიდეთ, რაკი ეგრეა, უარს როგორ გეტყვი, მეც გამოგყვენი ქორწილში.

ედგაცმა ხელი მოუსვა ფოტოსურათებს და უჯრაში ჩადო.

კანტორიდან გვიან გამოვედით. ედგაცი შინ მივიყვანე. გზაში დანალექიანდა, ალბათ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა.

მეორე დღეს მანქანაში ჩავსხედით და გვაქროლეთ, ქორწილში გვიან მივედით. ხალხი სუფრასთან იჯდა და ჩვენც საპატიო სტუმრებთან დაგვსხეს.

მოადრევებით გვიანდოდა წამოგუსულიყავით. მაგრამ, გაგიგონია, დილაშდის თავი ვერ დავაღწიეთ.

მზეს მოემალღებინა და იქიდან დასცქეროდა მთებს, როცა კარგა შექეიფიანებულენი სუფრიდან ავდექით. ასეთი ადათია — პატარძლის უნახავი ვერ წამოხვალ ძლივს გავარღვიეთ აივანზე შეგროვილი ხალხი და პატარძლის ოთახში შევედით. აბრეშუმის პირბადე ჩამოფარებული პატარძალი კედელთან იდგა. შე და ედგაციც პატარძალს წინ გამოვეჭიმეთ და ვიდრე პირისანახავს მივართმევდით, შე სიტყვაც ვუთხარი, როგორც ეს მიღებულია. ამ დროს პატარძლის ტოლშა გოგომ ლარნაკი მომწოდდა საჩუქრის ჩამოსართმევად. მეორე გოგომ სინით ღვინო და შშრალი საჭმელი შემოგვტავაზა.

— არც ახლა გვაჩვენებთ პატარძალს? — შევძახე, როცა ეს ცერემონია დამთავრდა.

მესამე გოგომ ამ დროს ადათით სათქმელი გაზეპირებული სიტყვები სეტყვასავით დაგვაყარა.

— იყოს ნება თქვენი, ძვირფასო სტუმრებო, ნახეთ ჩვენი პატარძალი!

და პატარძალს პირბადე ახადა. ჩვენს წინ შენკრთალი, თვალუბახრილი, მშვენიერი კუეიზა იდგა. დავიხეი. საქციელი წამიხდა, ედგაცს ვერც შევხედე. ვერც ვერაფერი ვუთხარი. მიხეცენ რომ მიგტრიალდი, ედგაცი იქ აღარ იყო, თავი ჩაეღუნა და ჩქარი ნაბიჯით კარებისაკენ მიდიოდა. მეც უკან გავყვეი, სხვა რაღა დამჩრეწოდა.

გზაში ედგაცს ხმა არ ამოუღია. მკვდარივით იყო. სიბრალულისაგან გული მეტანჯებოდა არ ვიცოდი, როგორ დამეყენებინა კარგ გუნებაზე.

— რა ყრუები ჩამოგიყრია! — ხმა გავეცი ედგაცს.

ედგაცმა ნალვლიანად შემომხედა და ნამცივნივით შეათამაშა მხრები.

— აბა, რაღა ვთქვა, ვის დავაბრალო. დავიგვიანე! — ამოიოხრა ედგაცმა.

— ჯერ ცხოვრება წინა გვაქვს. ეგ არ იქნება, სხვა იქნება, ჩვენ ჩვენი ბედი მოგვებნის... არ გავაბოლოთ?

გაზს მოვუმატე, უნდა ავჩქარებულყავი. ქალაქში მეგულებოდა ჩემი შახუნა და სულ არ მინდოდა. მეც ედგაციის დღეში ჩავვარდნილიყავი.

თარგმნა ქეთევან ქუჩუკაშვილმა





# ყველანაღვ კვირფასი

## მოთხრობა

მზიანი დღე იდგა. ფრაჩი ბაღში მუშაობდა—ხეხილს ძირებს უფხვიერებდა და სასუქს უყრიდა. ფრაჩი სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ შინ გული არ უდგებოდა. უქნარა კაცი დიდხანს ვერ იცოცხლებსო, — ამბობდა ხშირად.

ფრაჩი წელში გაიმართა და ყური მიუჯდო. მისი შვილიშვილი კუჩირი თავის მეგობარს კადირს ეკამათებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ღობეზე გადმოხტნენ და ფრაჩს მიუახლოვდნენ.

— პაპა, რა უნდა გვიყვარდეს ყველაზე უფრო? — ჰკითხა კუჩირმა ბაბუას.

— გზაში კამათი მოგვივიდა და ვერ შევთანხმდით, — დაუმატა ყადირმა.

— აბა ჯერ ის მითხარი, პირველად რა უნდა გავეკეთებინათ?

კუჩირმა და ყადირმა ერთმანეთს შეხედეს და მხრები აიჩეჩეს.

— ჯერ სალამი უნდა გეტქვათ, ბიჭებო!

ბავშვები შეცბნენ და თავები ჩაღუნეს. ფრაჩმა ხის ძირში მოიკალათა, ბავშვები გვერდით მოისხა და უთხრა:

— აბა ახლა მითხარით, რაზე კამათობდით.

— ჩვენ გვინდოდა გავგეგო, რა არის ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის?

— რაც ყველაზე უფრო გიყვარს! — დარწმუნებით წარმოსთქვა კუჩირმა.

— ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ ყველაზე უფრო რა გიყვართ?

— მე აფსნი მიყვარს ყველაზე უფრო, — უპასუხა ყადირმა.

— შენ კუჩირ? — მიუბრუნდა ფრაჩი შვილიშვილს.

— ჩემი კვიცი.

— ყადირ, აბა მითხარი, რატომ გიყვარს აფსნი? — ჩაეძინა მოხუცი.

— მამას ძალიან უყვარს აფსნი. სულ იმას ამბობს — რაც კარგი მახსოვს, აფსნისთან არის დაკავშირებულიო. გარდა ამისა, აფსნი ჩვენი სამშობლოს ულამაზესი მხედარია. აი რატომ მიყვარს იგი.

— მე კი ჩემი კვიცი მიყვარს. მისი ბადალი არსად მოიძებნება. ისეთი გრძელი ფაფარი და ლამაზი კული აქვს, ისე კობტად დადის, რომ... — აღარ დაუცადა შეკითხვას კუჩირმა.

— მისმინეთ, ბავშვებო, — თქვა მოხუცმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ერთ ზღაპარს გიამბობთ და მერე მიხედვით, რა არის ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის.

მოხუცმა დინჯად ამოიღო ქისა, ყალიონი გატენა, კვეს-აბედით მოუკიდა და კვამლის ბოლქვებში გაეხვია.

ბავშვები მოუთმენლად შეჰყურებდნენ მოხუცს.

— ძველად ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად ჟიკუა, — დაიწყო ფრაჩმა — ძალიან მშრომელი კაცი იყო, უსაქმოდ ერთ დღესაც ვერ გაჩერდებოდა. რაღა



თქმა უნდა, ასეთი კაცი მდიდარიც იქნებოდა და სახელოვანიც. ჟიკუსა ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, მიზა, — გამოუსწორებელი ლოთი. მიზა შინ მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა, მთელ დღეებს ჩრდილში უსაქმურად იჯდა და ფულსაც დაუზოგავად ფლანგავდა. ბოლოს მამამისს მოთმინების ფიალა აეცხო, შვილი მოიხმო და უთხრა:

— შე ვებრძები, ჯანი აღარ მომდევს, შენ კი არ გინდა საქმეს მოეიდო და შენი თავი მაინც შეინახო. დღეიდან ჩემგან ერთ კაპიკსაც ვეღარ მიიღებ, სანამ საკუთარი ოფლით ნაშოვნ ფულს არ მომიტან.

მიზა შეშფოთდა. მან იცოდა, მამამისი სიტყვის კაცი იყო; იგი მეორე დღესვე სახლიდან გავიდა და მხოლოდ მესამე დღეს დაბრუნდა, მხიარული და კმაყოფილი.

— მამა, აი ფული! — მიზამ მუჭა გაშალა და მამას ფული გაუწოდა. ჟიკუსამ ფული გამოართვა და ცეცხლში ჩააგდო. მიზას ხმა არ ამოუღია. ჟიკუა მიხვდა, შვილი ფულს რომელიმე მეგობარს გამოართმევდაო და ეს უთხრა:

— ეს ფული საკუთარი შრომით არ გიშოვნია! წადი და შრომაში აღებული ფული მომიტანი!

„ალბათ ძალიან მალე დავბრუნდი და მამა იმიტომ მიმიხვდაო“, — გაიფიქრა მიზამ და ისევ წავიდა სახლიდან. ამჯერად ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა და მამას ფული მიუტანა. ჟიკუსამ ფული კვლავ ცეცხლს მისცა. მიზა არც ახლა აღელვებულა.

— წადი, დამეკარგე, ჩემი მოტყუება ეგრე ადვილი არ არის, — უთხრა ცეცხლებულმა მამამ.

„როგორ ხვდება, მეგობრები რომ მაძლევნ ფულს!“ — გაოცდა მიზა და გა-

დაწყვიტა, მამა აღარ მოეტყუებინა. მთელი ორი კვირა იმუშავა, შინ დაბრუნდა და წვალეებით ნაშოვნი ფული მამას გაუწოდა. ჟიკუსამ ფული ცეცხლში ჩააგდო.

მიზას გულსაკლავი გმინვა აღმოხდა.

— ბოლოს და ბოლოს შრომის ფასი გაგივია! — კმაყოფილებით წარმოსთქვა ჟიკუსამ.

მიზას შერცხვა და თავი დახარა...

მოსუცმა ზღაპარი დაასრულა, კვლავ ყალიონი გატენა და შემდეგ ბავშვებს ჰკითხა:


— ახლა ხომ მიხვდით, რა არის ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი?

— ჰო, მივხვდით, ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა, — რასაც საკუთარი შრომით მოიპოვებ.

— სილამაზუც ძალიან კარგია, მაგრამ მარტო ეს ვერ შექმნის დიდ სიყვარულს: აი, შენ კუჩირ, იმიტომ გიყვარს შენი კვიცი, რომ უფლი და პატრონობ! მამაშენს კი, ყადირ, იმიტომ უყვარს აფსნი, რომ მრავალჯერ უბრძოლია და სისხლი დაუღვრია მისთვის. შენც ასე შეგიყვარდება შენი ქვეყანა, როცა მის წარსულს გაეცნობი და მისთვის იბრძოლებ. მაშინ მთის ანკარა ნაკადულივით არაკარაკდება შენს გულში სამშობლოს სიყვარული. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ყოველივე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, შრომასთანაა დაკავშირებული.

მოსუცი წამოდგა და კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა. ბიჭები კი ერთ ხანს ჩაფიქრებულნი ისხდნენ ღობესთან და აყვავებულ ხეებს გასცქეროდნენ.

თარგმნა ანდრეაფარ ჭეიშვილმა





# გზა

## მოთხრობა

— გზა მშვიდობისა, შვილო! შაბათს გელით.

დედამ შუბლზე მაკოცა. ავტობუსი ნელა მოსწყდა ადგილს. უკან დარჩა სოხუმი, მერე ოჩამჩირე. ახლა მთებისკენ მივდივართ. ოთხნი ვართ, ახალგაზრდა ექიმები. მეგობრები ჰყვებიან სასაცილო ამბებს, ხარხარებენ. მე აღარ ვერევი მათს უღარდელ ლაყბობაში — ასფალტის გზას ვუყურებ. მოგონებებს აღმიძრავს ეს გზა.

... იმ დღეს პირველი ჯამაგირი ავიღე. ასჯერ მაინც გადავთვალე ტკიცინა ქალღღებში, ვტკბებოდი მათი ცქერით, თითქოს მანამდე თვალით არასოდეს მენახოს ფული. ეს ფული უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ის, მამა რომ მაძლევდა ხოლმე სახარჯოდ, მისი მოცემული შემძლო სულელურად დამხეარჯა, ეს კი...

სკოლა რომ დავემთავრე, ინსტიტუტში მიხდოდა შესვლა, მაგრამ ვერ შევედი. შახტში წავედი სამუშაოდ. ბრიგადირმა შემაქო. ნეტავი ჯერ რას მაქებს-მეთქი? თურმე შახტისა რომ არ მეშინია, ადვილად არ ვცივდები და მადნის ქანები თავზე არ მეცემა. ვაშასადამე, ნამდვილი მუშახტე ვყოფილვარ. და აი ჩემი პირველი, ორი კვირის ჯამაგირი. ამის მეტად მე ფული არაფერში ამიღია, ოთხასი მანეთი იყო — ჩემი ოფლითა და შრომით ნაშოვნნი! რა ვიცილო ამ ფულით?

ბევრი რამ მესაჭიროება: პალტო, კარგი კოსტუმი, პერანგები, ფეხსაცმელი. მაგრამ ყველაფერი არ მომივა. იაფსა და ყველაზე აუცილებელ რამეს ვიყიდი. უცებ გამახსენდა მამა, დედა, ძმები, და რა თქმა უნდა, მათ არ ეწყინებათ, თუ არაფერს ვუყიდი, მაგრამ მე რა გუნებაზე ვიქნები? ქალაქის ქუჩებში მივდივარ და ასე მგონია, ჩემზე მდიდარი კაციშვილი არ დადის აქ. ვიცქირები მალაზიებისაკენ, ფასებს ვაკვირდები. ჯერ კიდევ არ ვიცი, რას ვიყიდი. აი ტირიც. მამა-ჩემის მოცემული ფული რომ მქონდეს, უსათუოდ შევივლიდი... ახლა კი არა, არ შემიძლია.

შევდივარ ყველაზე დიდ მალაზიაში. აუარება ხალხია. ახალგაზრდა კაცი სარკესთან იზომებს მაკინტოშს; მეორე მიზეზიანად ათვალეირებს ლურჯი დრაპის პალტოს. ერთ პირთეთრ გამყიდველ ქალიშვილს ვეკითხება:

- რა ღირს აი, ის პერანგი?
- ასშვიდი.

„ახლა ზამთარია, პერანგი კი საზაფხულოა“, — ვფიქრობ მე.

- აი ის წითელი ფეხსაცმელი?
- სამასი!
- ეს კაბა?

ვგრძნობ, რომ გამყიდველს მოთმინება ეკარგება. საქციელი მიფუჭდება.

- კაბა ას ოთხმოცდაათი ღირს.

გადგწყვიტე დედისთვის მეყიდა.

— შემიხვიეთ.

ამ დროს თვალი მოგკარი თავშალს, რამაც მყის გამახსენა ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანი.

— მოითმინეთ! მამაკით, ქალიშვილო, კაბა არ მინდა. აი ის თავშალი მომეცით, თუ შეიძლება.

ქალიშვილი უკვე ჯავრობს:

— ყმაწვილო, აქ თქვენს გარდა...

— მამაკით, თუ შეიძლება. მე სწორედ ეგ თავშალი მინდა.

— ეს პლედია, — მისწორებს ქალიშვილი.

პლედის საბანივით ფართო, სქელი და თბილია. სწორედ ეს მინდა, ესე იგი მე კი არა, ჩემს ბებია ნანდუს. მთის კალთაზე ცხოვრობს ნანდუ, იქ თოვლია, ცივა, მას კი არა აქვს ასეთი თავშალი.

— რა ღირს?

— ზედ აწერია.

ქალიშვილი ირონიულად იღიმება.

— ას სამოცდაათი!

დინჯად, დარბაისლურად გადავთვალე ფული. ძლივს არ ვიშოვნე ყველაზე აუცილებელი რამ?!

— მიიღეთ, ქალიშვილო, ჩემი პირველი ხელფასის პირველი მანეთიანები — და ნახვამდის!

სანდომიანი ქალიშვილი ყველაფერს ხვდება. ღიმილით შემომცქერის.

— ნახვამდის, — მპასუხობს ისიც. — ყოველ ხელფასზე შემოიარეთ ხოლმე!

დღეს შაბათია. ბებიას ავაკითხავ. ტყვარჩელიდან შორს არ არის. რაც სკოლა დავამთავრე, ბებია ნანდუსთან აღარ ავსულვარ. რა უსინდისო ვარ! წყავალ, გაგახარებ ჩემს საყვარელ ბებუკოს, ბიძას, ბიცოლას. ჩემი ჩასვლა მათთვის ზეიმიდა ხოლმე. როგორ გაეხარდება შალი! ჯერ უბრალო თავსაკრავიც კი არ მიჩუქებია მისთვის, ძალზე მოხუცია ჩემი ნანდუ, — ხანმა და ჯაფამ მოხარა წელში. მაგრამ რა კეთილია, რა ზღაპრები იცის! ახლა ვაშლებს არ იკითხავთ — რა გემრიელი ვაშლები მოდის მის ბაღში! ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და ბალახი ვიცი მის ბაღსა და ეზოში. მე ხომ იქ ავიდგი ფეხი.

ბადურა ვიყიდე, გაგავსე ტკბილეულით და პაპიროსით — ბებია თამბაქოს ეწევა. სოფელში მიმავალ გზას მიყვები. გული მიმიწვევს თოვლიანი მთებისაკენ. მათ ძირში ცხოვრობს ბებია. წინათ ხელცარიელი დავდიოდი ხოლმე მასთან, იქიდან კი დატვირთული ვბრუნდებოდი. ახლა მეც ხელდამწვენიებული მივდივარ.

რა უბედურებაა ეს გზა — ოღრო-ოღრო, ტალახიანი. აქ იშვიათად თუ გაივლის მანქანა. ჩემს ბედად რომელიღაც დანჯღრეულ სატვირთო მანქანას გაუბედავს ამ საშინელი გზით წამოსვლა. შოფერმა უსიტყვოდ გააჩერა მანქანა, დამელოდა, სანამ ძარბავ ავფრებოდი და კვლავ აჯაყჯაყდა ამ ოღრო-ოღრო გზაზე. მანქანა ხტოდა, გვერდზე იხრებოდა, ვაივავლახით ამოდიოდა ორმოებიდან, ჭრიალებდა, ცახცახებდა და ფრუტუნებდა. გული მისკდებოდა, საცაა დაიფუშება-მეთქი, მაგრამ აკი მიმიყვანა გადასახვევთან. დავუაკუნე და როცა მანქანა გაჩერდა, ვადმოვხტი და შიგ ტლაპოში ჩავვარდი. შოფერმა კარი გამოაღო, ვიფიქრე, ფულსა მთხოვს-მეთქი და გავუწოდე, მაგრამ მან ხელი ამიქნია და წინ გზას გაჰხედა. მერე გადააფურთხა და ბრაზით მიიხეთქა მოცახცახე კარი. ყველაფერი ისე გააკეთა, კრინტიც არ დაუძრავს.

ზევითკენ მიმავალ ბილიკს მიყვები და უკან აღარ ვიხედები. აქეთ მანქანები დარშიც კი არ დადიან. გზას აღარ ვარჩევ, მხოლოდ იმას ვცდილობ, ცხენის ნაფეხურში ჩავდგა ფეხი. რა დღეში მაქვს ფეხსაცმელი! შარვალს ხომ აღარ შეეხებება — წინდებში ჩავიყოლიე! მუხლამდე ტალახში ვარ. მაგრამ არა უშავს, წინ ხომ ნანდუს კერიის სითბო მელის. აი გადასასვლელიც, აქა-იქ დევს თოვლი. აქედან მოჩანს მდინარე ულისი, სადაც ზაფხულობით ვბანაობდით ხოლმე ბიჭუბი. ავე სოფელიც: ვხედავ ბებიას სახლს. გონების თვალთ ვხედავ, თუ რას აკეთებენ ახლა ჩემი ბებრები: ბიძა ბოსელში ტრიალებს. ბიცოლა ქათამს წვავს შამ-

შოთა ჭკადუა

გზა

ფურზე, ქონი ნაკვერცხალზე წვეთავს და მადის მომგვრელად შიშინებს. ბებია აბისტას ხარშავს. მეზობლები იქვე, ნაკარში წვავენ წაბლს და თან მხიარულ ამბებს ყვებიან. ბებიასთან გუდამ ასეა ხოლმე.

როგორც იქნა მივადწიე. ნელა შევიდევარ, რომ ჭიშკარმა არ გაიჭრიალოს. მინდა უცებ გავახარო მოხუცები. მაგრამ ძალღმა, ბებერმა მინამ დამინახა და მიცნო. არ დაუწყია მხიარული ყეფა და ხტუნვა, როგორც იცოდა ხოლმე, რომ მოხუცებისთვის შეეტყობინებინა ჩემი მოსვლა; მუხლზე გამეგლოსა, კული გააქნია, მერე სამზადისკენ წახანხალდა და კართან შეჩერდა გაუბედავად. საწყალი მინა, ნუთუ ისე დაბერდი, რომ ყეფის თავიც აღარა გაქვს? რა დაგემართა? ძაღლი რატომღაც ძალზე ნაღვლიანად მიცქერის, მაგრამ სადა მცალია ახლა იმის გასარკვევად, მინა რა გუნებაზეა? სახლში არედივარ. კვამლითაა სავსე. უჩვეულო არეულობაა. უცნობი შავოსანი დედაკაცი ტრიალებს კერასთან, სველ შემას სულ შიშინი გააქვს. ვგრძნობ, რომ ღიმილი სახეზე მეყინება.

— ჩვენები სადღა არიან?  
დედაკაცი შემკრთალი წამოვდა.

— ვუი, გიცანი! ნანდუს შვილიშვილი ხარ? საცოდავი ნანდუ როგორ გელოდა!

ძარღვებში სისხლი გამეყინა.  
— რა დაემართა?

— ოდაში წევს. ფილტვების ანთება აქვს ორივე მხარეს. იმედი თითქმის გადაწურულია.

სახლისკენ გავრბივარ. ბებიას ოთახში უამრავი ხალხია. თამბაქოს კვამლი თითქოს ჰაერში ჰკიდიაო, ისეა გაჩერებული. ლოგინთან მივდივარ. თვალცრემლიანი მუხლებზე ვეშვები ბებიას წინ.

— რა მოგივიდა, ჩემო ტკბილო ნანდუ?

ხელს ვუსვამ მის წვრილ, ცივ ხელებს, შუბლზე ვკოცნი.

— დედა, შვილიშვილი მოგივიდა, აკი ელოდი, — ეუბნება ბიძაჩემი.

დაბრანჭული, გაქვავებული სახე შეუკრთა ბებიას, ნელა ასწია ჩაყვითლებული ქუთუთოები.

დიდხანს მიცქერის და ვხედავ, როგორ უბრუნდება გონება. მისი სახე კმაყოფილებას გამოხატავს. მიცნო!

— ჩამოხვედი, გენაცვალე, — ძლივს გასაგონად ჩურჩულებს.

— პო, ნანდუ, ჩამოვედი, გული არ გაიტეხო, ექიმს ჩამოგიყვან, აუცილებლად მოგარჩენს, — აჭკარებით და, როგორც მე მგონია; დამაჯერებლად ვეუბნები.

— პო, პო... — ჩურჩულებს ბებია.

რამდენიმე წამში საგრძნობლად მოიხედა. მოხუცები ამბობენ:

— აი ხედავთ, შვილიშვილი მოუვიდა და მანაც მოიხედა.

ამის შემხედვარე ბიძაჩემმა მეზობლებს სთხოვა, წაბრძანდით და დაისვენეთო. იმათ ღამე ეთიათ თურმე ბებიასთვის. გამოვეყვით გასაცილებლად. ბიცოლამ მალღა ასწია ჭრაქი, რომ გზა გაენათებინა. ჭრაქის აღს გარს ესოდნენ თოვლის ფანტელები. შორიდან ისმოდა მდინარის ნაცნობი შხუილი. ბიცოლა შინ შევიდა, მე და ბიძაჩემი კი გარეთ დავრჩით. ბიძაჩემი მონადირეა და მუდამ ელის ხოლმე პირველი თოვლის მოსვლას; ახალ თოვლზე ისე კითხულობს ნადირის კვალს, თითქოს ხელში წიგნი უჭირავს. მაგრამ ახლა რა ენადირება.

— წავალ, ექიმს მოვიყვან. ახლავე წავალ.

— ექიმი გუშინ იყო. ახლა აღარ წამოვა, — ნელა ამბობს ის.

— რატომ?

— ხომ ხედავ, რა გზაა. ეშმაკმა იცის, როდის გვეღირსება გზა!

— ცხენს წავიყვან და წამომყვება, — არ ვიშლი ჩემსას.

— სულ ერთია, არ წამოვა. განა მე არ ვუთხარი ეგ, მაგრამ ცხენზე ჯდომა არ სცოდნია, მეორედ ასეთ გზაზე ექვს კილომეტრს აღარ გამოივლის. მძიმე ავადმყოფები მყავს, ვერ დაგტოვებო. მეზობლის ბიჭი გავგზავნე ქალაქს წამლე-

ბისთვის — რომ არ დაადგა საშველი მის მოსვლას! დასწყევლოს ღმერთმა ეს გზა! უძღურების გრძნობა ცრემლით მივსება თვალს. „წყვეთი გზა!“ — ვიმეორებ გულში. საავადმყოფოში ბებიას ხელად მოარჩენდნენ, მაგრამ სული ძლივს უდვას და გზატკეცილამდე როგორ გინდა მისი ჩაყვანა საკაცით? ქალაქამდე რას ჩაატანს? ბოლმისაგან მუშტებს ვკუმშავ.

ოთახში ვბრუნდებით.

— დაწვეით, თქვენი ჭირიმი, უკეთა ვარ, დაწვეით, — სუსტი ხმით ვთხოვს ბებია. — შვილიშვილი არ გამიცოცხლოთ, თბილად დაახურეთ.

მე და ბიძა დიდ ოთახში ვწვებით. ბიცოლა კი ბებიასთან რჩება. ვწევარ და ვფიქრობ, ყურს ვუგდებ ულისის შხუილს. მესიზმრება, რომ ექიმი ვარ. ვსინჯავ ბებიას, ვაძლევ წამალს და მაშინვე ფეხზე დგება. ყველას გვიხარია, ვკოცნით ბებიას. მეზობლები გაიძახიან: „აი, ექიმიც ამას ჰქვია. სწორედ ასეთი ექიმი ესაჭიროება ჩვენს სოფელს!“

კარგ გუნებაზე გამედვიძა. თენდებოდა. ბიძაჩემის ლოგინი ცარიელი იყო. სასწრაფოდ ჩავიცვი და ბებიას ოთახისკენ წავედი. მაგრამ შივ არ შემიშვეს.

— კვდება, — მიუბნება შავოსანი დედაკაცი.

ოთახში შევედი. ბიძა და ბიცოლა ჩემად დგანან ნანდუსთან. ბებიას ჩემი ჩამოტანილი შალი ახურავს.

— ჩემო საყვარელო ბიჭო. თბილად ჩაიცვი, არ გაცივდე. შალი გიყიდა ჩემთვის. გმადლობთ, ძალიან თბილია. სად გქონდა ამის ფული, ბიჭო!

ბებია ძლივს ლაპარაკობს, სულ უფრო და უფრო უწყდება ხმა.

— გადით ყველანი, შენ კი დარჩი, — მოულოდნელად მტკიცედ უთხრა მან ბიძაჩემს, თავის უფროს ვაჟს.

ჩვენ გამოვედით, მაგრამ დავაყურადეთ.

— ნან, ჭკუა, გტოვებთ, ერთად არ გაჩენილვართ და ერთად რანაირად მოკვდებით. დედა ვარ თქვენი და თქვენზე ადრე უნდა წავიდე. ჭკუით იყავით.

ველარ გავძელი და ბებოსთან შევიტყირა.

— მე არა ვკვდები, ბიჭუნო. თქვენ ცოცხლობთ და, მაშ მც ვიცოცხლებ. მაგრამ ძალზე დავიღალე და უნდა დავისვენო... თავს მოუარე...

ნანდუმ სცადა შალი ზემოთ ამოეწია, მაგრამ ხელი უღონოდ ჩამოეკიდა. ბიძამ გულზე დაუკრიფა ხელები...



მეგობრები გაოგნებით მიყურებენ. მანქანიდან გადმოვდივარ და მივდივარ ქვის გალავნიან საფლავთან. პატარა, უბრალო ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „აქ განისვენებს ნანდუ. 1951 წლის 28 დეკემბერი“.

ნაცნობი კოლმეურნე მიახლოვდება და შეპატიჟება, ჩვენსას შემოიარეთ, დანისვენეთო, მაგრამ მე უარს ვუბნები.


— სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ, — მითხრა მან. — ახალ შახტზე ექიმად დაუნიშნინხართ, მართალია?

— ჰო, მართალია, — ვუბნები და საფლავის ქვას ვუყურებ. — მაგრამ თქვენ სოფელსაც მოვეხმარები. თუ დაგჭირდეთ, გამომიძახეთ ხოლმე.

ჩვენ გზა განვაგრძეთ. მე გავიფიქრე: „ნანდუ დღესაც ცოცხალი იქნებოდა, ექიმს რომ შესძლებოდა მაშინ აქ ამოსვლა. ახლა მეც ექიმი ვარ, სოფელშიც საუცხოო გზატკეცილი მიდის, მაგრამ აღარაა ჩემი ტკბილი ბებია“.

მოსასულტებელი ფართო გზატკეცილი, სწორედ ის, რომელსაც ოდესღაც ბრაზით მიაფურთხა სიტყვაძუნწმა შოფერმა, მთებში მიემართება — იქ, სადაც ხმაურობს და გრიალებს ახალი შახტი.

თარგმნა ციალა ჩხეიძე





# მოსეკა ელდა

მოსხრობა

I

ვირაღლე მზიანი გათენდა. ყველაფერი ხარობდა. მხოლოდ მუღამ ხალისიანი მოხუცი გედლაჩი იყო უგუნებოდ. ჯოხს დაყრდნობილი, მძიმედ, კოჭლოებით ავიდა სახლის შუშაბანდში, ამოიხსრა და ხის საწოლზე დაეშვა. ფერი არ ედო ღღეს მოხუცს.

სამზადი სახლისკენ მიიხედა და დაიძახა:

— ჭიჭიკო, ერთი აქ ამოდი, დად!

ქერა ჭაბუკი წაღღს ლესავდა. მოხუცის დაძახებაზე საქმეს თავი ანება, კიბე აირბინა და მამას მიაჩერდა.

მოხუცმა დაღვრემით უთხრა:

— დაჯექი, დად, სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო!

სინამე ჩამოვარდა. გედლაჩმა ზურგს უკან ბალიში ამოიღო და ზედ მიეყრდნო; წამით თვალები დახუჭა, მერე გრძელტიანი ჩიბუხი გააბოლა, შვილს ასედა და სათქმელს შორიდან მოუარა:

— დად, ჭიჭიკო, ერთი რამ უნდა გკითხო... ოდესმე თუ გაგიგონია, მოხუც გედლაჩს ტყუილი უყვარსო? თუ გაგიგონია, გედლაჩს ოდესმე ეტრაბახოს, ეცრუოს, შავი თეთრად მოეჩვენებინოს?!

ჭიჭიკოს თავი დაეხარა და ყურადღებით უსმენდა მამას.

— პატროსანი კაცის საქმე არაა ტყუილი, დად. აქამდე როგორ ვერ მიხვდი ამას? მე არ მჩვევია ტყუილი და არც

ჩემს შვილებს მივცემ ამის ნებას, გემის, დად?!

— მე ვინა მოგატყუე? — ფრთხილად ჰკითხა ჭიჭიკომ.

— არ იცი, ხომ? მე მეკითხები, ხომ? ვაი ჩემს ღღეს, რატომ ფეხები არ მომტყდა გუშინ, რამ წამიყვანა კოლმურნეობის კრებაზე? ნეტავ სმენა დამსშობოდა და შენი ის ტყუილები არ გამეგონა! რისი პირობა მიეცი გუშინ კრებას? შენ შეჰპირდი, ჰექტარზე ათას ფუთ სიმინდს მოვიყვანო. ეს არაა ტყუილი? თუ იმის იმედი გაქვს, შემოდგომამდე დაავიწყდებათო?

ამ დროს გედლაჩის ძმისწული კუჩიტა მოადგა კარს.

— ბაბა<sup>1</sup>, — ჩაერია ლაპარაკში კუჩიტა, — ჭიჭიკოს სიტყვები როგორ დაავიწყდებათ, ისე გაეხარდათ და ოქმში ჩაწერეს!

— სად ჩაწერესო?

— ოქმში. და ისეთი ტაში დაავრიაღღეს, ყურთასმენა აღარ იყო.

— კიდევ კარგი, მე აღარ გამიგონია, დროზე გავცეალე სირცხვილს და თავისმოჭრას. ოქმში ჩაწერესო! ჭიჭიკო, მართალს ამბობს ეს ბიჭი? ვერაა კარგი ამბავი...

<sup>1</sup> ასე მიმართავენ ახალგაზრდები მოხუცებს პატივისცემის ნიშნად.



— ჩემი დარდი ნუ გაქვს, მამა, — მტკიცედ მიუჯოჭიჭიკომ. — ჩვენ კომკავშირული ჯგუფი ჩამოვაყალიბებთ, მე ვხელმძღვანელობ იმ ჯგუფს: არხინად იყავი, პატიოსნად ვიმუშავებთ და ყველა ვალდებულებას შევასრულებ!

— პატიოსნად მუშაობა კარგი საქმეა, დად, — წაიბუტბუტა მოხუცმა და ჩიბუხი ისე მოჰქაჩა, თამბაქოს ბოლში გაეხვია. — იმუშავე პატიოსნად. ოღონდ განა პატიოსნებაა, ისეთი პირობა დასდო, რასაც ვერ შეასრულებ? ვაი ჩემს მოსწრებას. მეც ვიყავი ახალგაზრდა და რკინაზე უფრო მაგარი მკლავები მქონდა, მაგრამ ყველაზე მოსაველიან წელსაც კი არ მომიყვანია ამ ნაკვეთზე სამოცდათხუთმეტ ფუთზე მეტი სიმინდი. მკლავები კი რკინისა მქონდა, დად. ათასი ფუთი ჰექტარზე! ამის ფიქრიც კი შეაშინებს კაცს! ჩვენს გვარში ტრაბახა არავინ ყოფილა, სიტყვა და საქმე მუდამ ერთი იყო. ცოტა უნდა შეჰპირდე და მეტი უნდა მოიყვანო. აი, ჰქუა ეს იქნევა. შენ კი პირიქით იქცევი.

— მე არ შემოიძლია ერთს ვფიქრობდე და სხვას ვამბობდე.

— პირწავარდნილი დედაშენი ხარ! — მწარედ წამოიძახა მოხუცმა და კვლავ ბოლში გაეხვია. — პირწავარდნილი დედა ხარ სახითაც, ხასიათითაც, ლაპარაკითაც! სული ცხვირში გაქვთ! არც მას უყვარდა ანდაზა: მოჩქარეს მოუგვიანდესო.

ჭიჭიკომ ჯიუტად თქვა:

— შარშან მეტიც კი მიიღეს.

— სად?

— სად და სხვა რაიონებში.

— სხვა რაიონებში რა ხდება, მე აქედან ვერა ვხედავ. მე ვხედავ მხოლოდ ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებს. აქ ვერასოდეს ვერ ავიღებთ ამდენ მოსავალს.

მოხუცს ხველა აუვარდა, ჩიბუხი საწოლის კუთხეში მიაგდო, წამოდგა, ჯოხი მოიშველია და ოთახში შვეიდა.

ფანჯარასთან სართავს მისჯდომოდა მისი ხანგრძლივი ცხოვრების თანამგზავრი ნანაშა. ალერსიანი დაცინვით შეაგლო ქალმა ქმარს შავი თვალები. ჭიჭიკო

კარებში შეჩერდა. ნანაშამ სართავს თავი ანება და მუხლებზე დაიწყო ნაჯაფი ხელები — მინდვრად ნამუშევარი კოლმეურნი ქალის ხელები.

— ტყუილად იხეთქავ გულს, ბერიკაცო, — უთხრა ტკბილად. — ჩვენი ჭიჭიკოსთანა მუშა ამ კოლმეურნეობას არცა ჰყავს. შენ ხუთი წელია ავადმყოფობ და შინ ზიხარ, ამიტომაც აღარ იცი, ვინ როგორ მუშაობს ახლა მინდვრად.

— აბა, იმასაც მოესწრო მოხუცი გედლაჩი, რომ საკუთარი ცოლი უქნარას ეძახის, ვაჟიშვილი კი ისმენს ამას და კრინტსაც არა სძრავს, — გაჯავრდა მოხუცი. — რა ვქნა, თუკი მუხლები დამეხუთა? შინ ვზივარ, მაგრამ აბა რომელი წნავს ჩემზე უკეთეს კალათებს კოლმეურნეობისათვის?!

— გული ნუ მოგდის, არც მიფიქრია შენი წყენინება. — კვლავ ტკბილად უთხრა ნანაშამ და ისევ სართავს მიბურუნდა. — მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ ჩვენ შვილს სიტყვა არასოდეს გაუტეხია.

მოხუცი ფეხზე წამოდგა, ჯოხიანი ხელი ზევით აღმართა, ოდნავ შესიებულ სახეზე ფერი აღარ ედო და წარმოთქვა უფრო ხმამაღლა, ვიდრე საჭირო იყო ამ პატარა ოთახში:

— თუ შემოდგომაზე ჭიჭიკომ ჰექტარზე ათასი ფუთი სიმინდი მოიყვანა, მე ჩემს ოთხმოც წელს არად ჩავაგდებ, აღარც ავადმყოფობას გავიხსენებ და ისევ გავალ მინდვრად!

ესა თქვა და ჯოხი იატაკზე დააბრახუნა.

კარებში ჩამდგარმა ჭიჭიკომ და თავის სართავს მიბრუნებულმა ნანაშამ კვლავ ჩუმად ჩაიცინეს: მოხუცს მინდვრად დაბრუნება უნდა? საოცარი ამბავია!

კუჩიკა მიუახლოვდა გედლაჩს, თავი ასწია, მიაჩერდა და უთხრა:

— როცა მუშაობას დაიწყებთ, მე მოგეხმარებით. ხარებს წინ მე გავუძღვებო.

ნუშნი პაპასკირი  
მოხუცი გედლაჩი

ამის გამგონე გედლაჩი ხელად გარდაიქმნა: თვალებთან 'ძარღვები აუცახცახდა, უღვაშები აებრიხა, გამშრალი ტუჩები შეუთრთოლდა და თამბაქოსაგან გაყვითლებული მაგარი კბილები გამოუნდა — გედლაჩი იცინოდა. ახლა ეს გახლდათ ადრინდელი ბაბუა გედლაჩი — ენამახვილი, მოლაპარაკე, გონებანათელი და გულმხურვალე. ჯოხი ძირს დააგდო, ჩაცუცქდა და განიერ მკერდზე მიიკრა ბიჭუნა. სიცილით სულშეგუბებული ძლიერ ამბობდა:

— შენ მომეხმარები, დად? ოხ, ჩემო ოქრო ბიჭო, შენოდენა რომ ვიყავი, უკვე სიმინდს ვთოხნიდი, ყანას ოფლით ვრწყავდი. შენ კი სწავლის მეტი არაფერი გეკითხება. და მაინც ხარების წინ წამოდგები, დად? გესმით, ხარებს გავძიდვებიო! რაკი ეგრეა, ჩვენი საქმე კარგად წავა. შენ ორი ფეხი გაქვს, ხარებს რვა, მეც ერთი ჯანსაღი ფეხი მაქვს. ჯერჯერობით გვეყოფა, ხომ?!

## II

დადგა გაზაფხული და თან მოჰყვა ყვავილების სურნელებით გაქვნილი ნიაგქარი. ზეცა უძიროა და კრიალა. მზეს სულ უფრო და ემატება მხურვალეობა. მისი სხივები თვალისმომჭრელად აბრწყვიალებენ შორეული, მწვერვალების თოვლს. შორიდან ისმის ნაკადულის ხალისიანი ჩხრიალი. ბაღებში ხეხილი ჰყვავის.

შუშბანდში, თავის ჩვეულებრივ ადგილას წევს ბაბუა გედლაჩი, თვლემს და ამ თვლემაში ჩაესმის ფუტკრების ზუზუნი, მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა სიმღერა.

გედლაჩს სძინავს კიდევ და არც სძინავს. მთელი თავისი არსებით ის ახლა შვილთანაა. ახლა ჭიჭიკო თავის ნაკვეთზე შრომობს და მოხუცი ცხადად ხედავს შვილის ოფლით გაწუწულ პერანგს და ღონიერ ხელებს, მძიმედ რომ აწვება გუთნის სახელურს. ჭიჭიკოს გაჩერებულს ვერ ნახავს კაცი. ჯერ ხვნა სად იყო, რომ ნაკელი მოაგროვა და დაწვა. ცეცხლი მხიარულად ბრიალებდა და ზეცისაკენ მიერეკებოდა კვამლის გაჩე-

ჩილ ფაფარს. ჭიჭიკომ ნაცრით გაანოყიერა მიწა, ურმებით ზიდა მდინარიდან შლამი, დააგროვა თხის ნაკელი.

ფრუტუნ-ფრუტუნით ჩაუარა სახლს საბარგო მანქანამ. მოხუცმა საბანი გადაიგდო, იდაყვზე წამოიწია და თვალი გააყოლა. ნაკვეთი ახლოსაა. აგერ, შეჩერდა მანქანა. ჭიჭიკომ ხარები ჩრდილში მიაყენა, მანქანასთან მივიდა და ნაკელის გადმოტვირთვას მიჰყო ხელი. ნახშირივით შავია ჭიჭიკოს მზემოკიდებული სახე, მხოლოდ კბილები უელავს თეთრად.

რამდენი წელია, რაც გედლაჩი ხედავს ამ ნაკვეთს? რაც თავი ახსოვს: მიწა ამ ნაკვეთზე მუდამ დაფარული იყო გაზაფხულის ნიაღვრებისაგან ჩამოტანილი ქვა-ღორღით. გვალვა თუ იყო, ხომ ერთი ნამცეცი მოსავალიც არ მოდიოდა. გედლაჩის მამას გულის მანკი ჰქონდა. ერთ ზაფხულს ამ ნაკვეთის მოსუფთავება დაიწყო, სიმინდი ბლომად მოვაო; დაიღალა, მიწაზე დაწვა დასასვენებლად და აღარც ამდგარა, ქვებზე დალია სული. უბედურმა დედამ შვილს აღარ დაანება ქვების გადაყრა — ვაი თუ ესეც მიწაზე დაწვეს დაღლილი და მამამისივით ქვებზე მოკვდესო.

ახლა სოფელში კოლმეურნეობაა და რახანია აქ ქვები აღარ ყრია. ეჰ, ნეტავი შეეძლოს გედლაჩს დაიბრუნოს სიჭაბუკე, როცა ღონეც ერჩოდა და გონიც — მაშინ აჩვენებდა ამ ყოყოჩა ახალგაზრდებს, რა ვაჟაკები იყვნენ მის გვარში...

## III

ჭიჭიკომ ოთხჯერ გამარგლა სიმინდი, მერე ხელოვნური დამტვერვა ჩაატარა და აპა: დიდრონი, თავქოჩორა ტაროები თავმომწონედ ირწყვიან ქარში.

ზოგჯერ მოხუცი გედლაჩი ღონეს მოიკრებს, ყავარჯენს აიღებს და ნაკვეთს დაუფლის ხოლმე. უყურებს და თვალს არ უჯერებს: ათასნაირი მოსავალი უნახავს — ცუდიც, საშუალოც და უხვიც, მაგრამ ამოდენა ტაროები თავის დღემდე არსად შეხვედრია.

„მიწა შეიცვალა და ადამიანს უფრო კეთილად ეპყრობა, თუ ადამიანებმა

ისწავლეს ჭკუა და უკეთესად უვლიან მიწას? მგონი სწორედ ასე უნდა იყოს: ხალხი გამოიცვალა, გამოიცვალა და მიწაც გამოიცვალა. ჭიჭიკო ვითომ რა ასეთი გადასარგები ბიჭია და არც მკლავებში აქვს მამა-პაპაზე მეტი ღონე, მაგრამ ნახე, როგორ მიუღის საქმე!"

თვითონ გედლაჩიც, სანამ მუხლები დაეხუთებოდა, კოლმეურნეობაში უკეთ მუშაობდა. ამას რა ლაპარაკი უნდა. ხალხი ერთმანეთს მხარში ამოუდგა.

„ეს ასეა, — ფიქრობს გედლაჩი, — მაგრამ მაინც მოატყუა ხალხი ჭიჭიკომ, წინდაუხედავად მოიქცა. ტყუილია, ეგ ათასი ფუთის მომყვანი არ არის და მოეჭრა თავი.“

დრო კი მიდიოდა. რთველიც დაიწყო. მოკრიფეს ვენახი. ჭიჭიკოს კომკავშირულ ნაკვეთზე უკვე აიღეს მთელი მოსავალი. მინდორში უზარმაზარ გროვად ეყარა სიმინდის დიდრონი, ოქროსფერი ტაროები.

მშვენიერი დარი დადგა იმ დღეს. თხმელის ჩრდილში წამოწოლილი გედლაჩი დინჯად ესაუბრებოდა მოხუცებს. ესაუბრებოდა, გული კი მოლოდინით ეღვოდა: მწონავი უკვე შეუდგა საქმეს. კოლმეურნეები გარს შემოხვეოდნენ სასწორს, გედლაჩი მხოლოდ მათ ზურგს ხედავდა.

— რა არის ახალგაზრდობა! ათასი ფუთი ჰექტარზეო, — იფ, რა იოლი პირობაა! ახლა მწონავი დაიძახებს, რამდენია... და ხომ დაესხა თავსლაფი ჭიჭიკოს. რითი იმართლებს თავს, რას მოიგონებს?

— ათას თორმეტი ფუთი! — გაისმა მწონავის ხმა.

გედლაჩს ძალ-ღონემ უმტყუნა და თხმელას ზურგით მიეყრდნო. ირგვლივ ყველა შემოეცალა. თვალთ დაუბნელდა მოხუცს, ხოლო როცა ბურუსი გაიფანტა, დაინახა ზღვა ხალხი, რომელიც ჰაერში ისროდა ჭიჭიკოს. გედლაჩი შეშინდა, ძალიან მალლა ისვრიან, არ დაშავდესო, და ისევ დახუჭა თვალები. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მუხლები უკანკალებდა.

ბერიკაცების ხმამ გამოარკვია. დინჯად და მხიარულად უახლოვდებოდნენ გედლაჩს ძმაკაცები, რომ მიელოცათ შეილის არგავონილი წარმატება. ჭიჭიკომ და მისმა ბიჭებმა ამასობაში უკვე ნამგალს მოჰკიდეს ხელი და შეუდგნენ ჩალის ქრას, რათა ყანაში მანქანები შემოსულიყვნენ სიმინდის წასაღებად. მათი შემხედვარე გედლაჩიც თითქოს გაქაბუქდა, სიმსუბუქე და ღონე იგრძნო.

— მადლობა ღმერთს, ჭიჭიკომ ასახელა ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა პირველმა მოხუცმა და ხელი გაუწოდა გედლაჩს.

— მართალი გითხრათ, არ მჯეროდა, თუ ამდენს მოიყვანდა, — გაიცინა გედლაჩმა.

მოხუცები ხის ძირას მოკალათდნენ მანქანების მოლოდინში. გედლაჩმა მტკივანი ფეხი გაუჭირვებლად მოღუნა და დაჯდა.

გაუკვირდათ მოხუცებს.  
— ამას რა ვხედავთ?! ფეხი მოგირჩა, გედლაჩ?!

— ჰო, ისე აღარ მტკივა, გულს რომ მიღრღინდა ხოლმე.

— ეტყობა, კარგი წამალი გამოუწერიხ ექიმს!

— მართლაც კარგი წამალია, — გაეცინა გედლაჩს.

მზე თანდათან გაიწვერა. ნიავს უკვე მოჰქონდა მთების სიგრილე. მოხუცების დავა-მსჯელობას ბოლო არ უჩანდა: ჭიჭიკოს სოციალისტური შრომის გმირის წოდებას ნამდვილად მისცემენ, სოფელი შენი ვაჟით ისე იამაყებს, როგორც შენ ამაყობ.

მოხუცი უსმენდა და თან იმას ფიქრობდა, შინ ჯდომა აღარ მარგია, მეც ჩემი პირობა უნდა შევასრულო და მინდვრად გავიდეო. მერე გაუელვა: ახლა კი უნდა გავუმხილო ჩემს ძმაკაცებს, რაც იყო ის უჩვეულო წამალი. ყველაფერი უნდა გუამბოო.

მუშნი პაპასკირი  
მოხუცი გედლაჩი

ჩიბუხს მოუკიდა და კარგად რომ მოქაჩა და ბოლში გაეხვია, დინჯად დაიწყო:

— მართალი რომ გითხრათ, ჩემო ძმაო, შინ ჯდომა და კალათების წვნა თავისმოჭრაა და სხვა არაფერი! არა მჯეროდა ჭიჭიკოსი, ჩემი დედაკაცი და ძმისწული რომ მარწმუნებდნენ, გაიმარჯვებო, ბრაზი მომდიოდა. ჩემს გულს ვასკდებოდი, ვინ ექაჩებოდა ენაზე, ათასი ფუთი რამ ათქმევინა-მეთქი. მაგრამ გავიდა დრო და ვნახე, ისეთი სიმინდი ამოვიდა, კაცი დავბერდი და ჯერ მსგავსი არაფერი მენახა. ახლა კი გადამიტრიალდა გული: ვაითუ ჭიჭიკომ ასეთი არნახული მოსავალი ვერ შეინარჩუნოს, ვაითუ მოვლა დააკლოს-მეთქი. გავზიდა კიდევაც ჯავრისაგან. როგორც კი ჭიჭიკო საღამოთი სადმე წავიდოდა თავის საქმეზე, მაშინვე თოფს

ვიღებდი და ღამით ჩუმად მივდიოდი მინდვრად. სულ ღობე-ღობე მივდიოდი, რომ გზაშარაზე არავინ შემხვედროდა. ჩემი ავადმყოფობაც ისე მიყურდა, როგორც ყურღება ხოლმე ავი კაცი, რაიმე გაუგონარი სიკეთით გაცბუნებული. სამკურნალოდ ქალაქში სასიარულოდ სადღა მეცალა და ხელი რომ არ შემწლოდა. სამკურნალო ბალახებს ვიღებდი ფეხზე. მაგრამ ბალახი კი არ იყო მთავარი წამალი. მთავარი იყო ეს ჩვენი მიწა, ჩემს ჭიჭიკოს, მის ნებას, მის ჯათას რომ ემორჩილებოდა. უკვე ღამეში დავდიოდი ყანაში და თვალგაფაცვიცებული ვდარაჯობდი, რაიმე შემთხვევამ ყანა არ დააქციოს-მეთქი. და არავინ იცოდა ეს ამბავი, იცოდა მხოლოდ ზეცამ, ამ მთებმა და ჩემმა სინდისმა.

აი ეს იყო ჩემი წამალი, ამ მთებმა, ამ მიწამ, ამ ყანამ მომარჩინა, ძმებო!

თარგმნა ციალა ჩხეიძემ





# ქარა და მხილვა

## მომხრობა

სიბატი და იასპატი ტყუბები იყვნენ. როგორც ორ ტყვიას ვერ გამოარჩევ ერთმანეთში, ისე იმათ ვერ გამოარჩევდი. ტანაყრილი, მხარბეჭიანი ვაჭკაცები ისეთი ტანწვრილები იყვნენ, ბეჭედში გაძვრებოდნენ. ხშირ წარბებს ქვემოდან ლურჯი თვალეები ვარსკვლავებივით უბრწყინავდათ. გული კეთილი ჰქონდათ და ვისაც იმათი თავი დასჭირდებოდა, მუდამ მზად იყვნენ დასახმარებლად. ჭირი იყო თუ ლხინი, ყველგან დამკლავებულები ტრიალებდნენ.

ძმები უფრო ნადირობას მისდევდნენ და მამისა — საწყალი რამშუხისა არ იყოს, უბრალოდ ერთ ტყვიას არ გააფუჭებდნენ და ნანადირევიც ზამთარ-ზაფხულ გამოუღეველი ჰქონდათ.

ხოლო როცა არემარე, როგორც ბუნების წესია, თეთრ საბანში გაეხვეოდა, ძმები თხილამურებს ამოიკრავდნენ და ვიდრე ზამთარი მიიწურებოდა, ტყე-ტყე დასდევდნენ ნადირს. ბალიშად ცივი ქვა ედოთ, ლეიბად სველი კლდე. ჯიხვები სუნითა სცნობდნენ მონადირე ძმებს და სუნს აიღებდნენ თუ არა, როგორც არწივის ჩრდილი გადაიღვებებს კლდეებზე, ისე ელვის სისწრაფით გადაიკარგებოდნენ ხოლმე იმ არემარიდან.

ზაფხული იყო. ერთ დღეს ძმებმა თავიანთი ბერდანა თოფები აიღეს და მთას მიაშურეს.

ცა ლურჯად კამკამებდა. ღრუბლის ნაგლეჯს ვერსად დაინახავდი. დილის მზის სხივები თოვლიან მწვერვალებს დასთამაშებდნენ. ცისკარს აასწრეს ძმებმა და მინც ჯერ ვერაფერი მოეცა. დაღლილ-დაქანცულებმა სანჭაროს უღელტეხილზე ერთ ლოდთან მუხლს ქარი ამოაღებინეს. დაბლა პატარა მინდორი მოჩანდა, მდინარე ხახმყარსი თეთრი ძაფივით მიიკლაკნებოდა შავად გადაშლილ მიწის გულზე.

— სწორე გითხრა, არაფრად მეჭაშინებდა დღევანდელი ჩვენი ხელის მოცარვა, — თქვა სიპატმა. თან გაცუდებულ ტყვიას დინჯად ატრიალებდა ხელში.

— ყველაფერი აყენაშას<sup>1</sup> ნებაა, ჩვენ რა შეგვიძლია, თორემ მეც გულში ეკლავდა მაქვს, რაც იმ ჯიხვმა გვიყო, — მიუგო იასპატმა და თვალწინ დაუდგა ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი რქაჯაგანიანი ჯიხვი და დიდხანს ჩაფიქრებული გაპყურებდა მიდამოს.

სამჯერ ესროლა ზედიზედ, ერთი არ აუცდენია, ჯიხვი კი ერცახუსავით<sup>2</sup> ამაყად იდგა და თვალებს არ ამორებდა. ფაშვი ტყვიას გაეგლიჯა და გადმოყრილ შიგნეულს ზანტად ასდიოდა ოხშივარი. თურმე ნადირსაც სცოდნია

<sup>1</sup> ნადირობის ლმერთი.  
<sup>2</sup> კავკასიონის ერთ-ერთი მაღალი მთა.



ვაკაცურად სიკვდილი. მიახლოვებული რომ დამინახა, ამაყად მოიღერა კისერი, თითქოს მეუბნებოდა: „ხედავ, სიკვდილისა არ მეშინიაო“. სამჯერ ვულგამგმირავად დაიბლაგლა, მერე კი შენი თვლით დაინახე, მალალი მთიდან საზარელ უსკრულში გადაეშვა და ნაფლეთებად იქცა. ასეთი სიკვდილი ირჩია შენს ხელში ჩავრდნას.

იასპატი ჯიხვებს თვალს არ აშორებდა. ჯიხვები თუმცა ვერა გრძნობდნენ ადამიანის სიახლოვეს, მაინც მოუსვენრად სძოვდნენ. გაჩქარებულები სწიწკნიდნენ ბალახს, გადასახტომად მოშვადებულებს ყურები დაეცქვიტათ, მერე უცებ ერთი ნიშანს მისცემდა ყურისწამლებად და თითქოს ხიფათი იგრძნესო, ყველანი ერთადა გროვდებოდნენ.

იასპატს, გეგონებოდა, ჯერ არ ენახა ჯიხვები, გული შეეკუმშა, ეკალი დააყარა და გააქრჯოლა.

სწორედ ამ დროს, იქით, საითაც სიპატი ეგულებოდა, თოფი გავარდა და დათვის ღრიალიც გაიგონა. ჯიხვები დაფრთხნენ და თვალისდახამხამებაზე მოსწყდნენ იქაურობას. იასპატი ზეზე წამოვარდა, უფსკრულის პირთან მიიჭრა და გულმა ფეთქვა შეწყვიტა; წყალგაღმა პატარა მინდორზე, იმისი ძმა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეპბმოდა დათვის.

რა ექნა? ჯერ ძმისკენ გაქანდა, დათვი კი სულ უფრო გავეშებული ღრია-

ლებდა. იასპატი მიხვდა, ვერ მივუსწრებ, ვიდრე მე მივალ, დათვი ძმას დამიგლეჯსო. ყალყზე შემდგარმა დათვმა ტორებში მოიქცია სიპატი და ქვეშ მოიგდო.

— ესროლე, ბიჭო, ესროლე! — მოისმა სიპატის განწირული ხმა. იასპატი ჭირის ოფლში გაიწურა. ესროლოს და ვაი თუ მისი ნასროლი ტყვია ძმას მოხვდეს... არა და...

— ესროლე, ესროლე! — ისევ მოისმა სიპატის ბღავილი...

და უფროსი ძმა ერთბაშად მიხვდა, უნდა ესროლოს, უსიკვდილოდ უნდა ესროლოს, რადგან დათვის ტორებში სიკვდილს ტყვიით სიკვდილი ერჩია სიპატს...

დათვი ვაკცოფებული ჯმუჯნიდა სიპატს. გამწარებული იასპატი აღარც დაფიქრებულა, დათვის დაუმინჯა, და... ესროლა.

დათვი და კაცი — ორივე ერთად გადაგორდა ხევში.

— ვაიმე, ძმაო! ხელმა მიმტყუნა? — კლდეებს შეპღრიალა იასპატმა და ხევში ჩაირბინა.

ფერდობზე ეგდო ენაგადმოგდებული მოკლული დათვი. სიპატი კი გასისხლულ მკლავეზე ჩაბალახს იხვევდა, დათვის დასცქეროდა.

ძმა რომ ახლოს მივიდა, თავი ასწია და ღიმილით უთხრა:

— დღეს გავიგე, ძმაო, დაუნდობელ ტყვიასაც კი სცოდნია დანდობა.

თარგმნა ქეთევან ქუჩუკაშვილმა



# ჯეჯი

მოთხრობა

— ნანა, რამდენი ხანია არ მინახავ-  
ხარ. კიდევ კარგი, იმ ქალაქში არ ჩარ-  
ჩი. რახან ღმერთმა შენი ნახვა გვალირ-  
სა, ამაღამ არსად გაგივებ. შენთან ლა-  
პარაკით უნდა გავძღე.

თაჯგუაგუას უნდოდა იმ ღამეს იმათ-  
თან დაფრენილიყავი. ქალიშვილებმაც  
ბანი მისცეს დედას. მე ხათრი ვეღარ  
გავუტეხე — დავრჩი.

სანამ მე და თაჯგუაგუა ვსაუბრობ-  
დით, მის ქალიშვილებს ადუს და ლიზას  
ვახშმის თადარიგი დაეჭირათ. ერთი  
მოზრდილა მამალი დაეკლათ და საცი-  
ვიც გაეკეთებინათ. მოლაპლაპე ნიგვზის  
წვეწში ჩაწყობილი ხორცი და სხვა საქ-  
მელები ტაბაკზე დაალაგეს. თაჯგუაგუას  
გარდა ყველამ ხელეები გადავიბანეთ და  
სუფრას შემოვუსხედით.

— ჯერ ვახშმისთვის სადა მცალია,  
მერეც მოვასწრებ. — მოიმიზეზა თაჯ-  
გუაგუამ და სამზარეულოს მიაშურა.

დიდი ხანია თაჯგუაგუა პირს არ  
აკარებს ნიგვზიან კერძს.

მეორე დღეს ჩამოცხა. თაჯგუაგუამ  
თავისი პატარა სკამი აიღო და ჭიშ-  
კართან რომ კაკალი ედგათ, იმ კაკალს  
მიაშურა. სკამი ხის ძირს მიადგა, თან  
ჩურჩულებდა. აკანკალებული დამჭკნარი  
ხელები ხეს მოხვია, მერე ცხვირსახო-  
ცით თვალები შეიმშრალა, ერთი ისე  
აშოიოხრა, გეგონებოდა, გული თან  
ამოაყოლო. მერე დაჯდა და ზურგით

შიეყრდნო ხეს. მისი დამჭკნარი ქუთუ-  
თოები დიდი ხნის დაკარგული ძმებივით  
ჩაეკვრნენ ერთმანეთს.

თაჯგუაგუას ამ კაკალქვეშ უყვარდა  
ჯდომა და მე ვიცოდი, რად უყვარდა.

თაჯგუაგუა თვალდახუჭული იჯდა,  
უმძიმდა თვალების გახელა.

ალბათ ახლაც ერთიმეორეს მიჰყავდა და  
გაცოცხლდა ის მწარე დღეები...

დიდხანს, დიდხანს გასცქეროდა,  
თვალს ვერ აშორებდა მიმავალ მანქანას  
თაჯგუაგუა. ამ მანქანას მისი ერთად-  
ერთი შვილი ლეუარსა მიჰყავდა. დედის  
გული ახლაც კანკალით უვლიდა გარს  
მანქანას, უკან მისდევდა.

ჭირი და კენესა ნუ გამოელიოთ  
ფაშისტ დამპყრობლებს ჩვენი სამშობ-  
ლოს აწიოკებისათვის. ფაშისტთა ბნელ  
ძალებთან ბრძოლა თაჯგუაგუას ერთად-  
ერთი შვილის ლეუარსას წმიდათა წმიდა  
ვალიც არის.

დგას დედა, ზეზეურად მკვდარი. მიჰ-  
ქრის მანქანა, მიჰქრის და თან მიაქრო-  
ლებს ლეუარსას. მერე, თითქოს მან-  
ქანა მიწამ ჩაყლაპაო, თაჯგუაგუამ თვა-  
ლი ვეღარსად მოჰკრა. დედის ძალ-ლო-  
ნეც თითქოს შვილივით იმ მანქანას გაჰ-  
ყვა. სხეული მოუღუნდა, მუხლების კან-  
კალით ეზოში შემოვიდა და გონებადაუ-  
ტანებლად იმ კაკლის ნერგთან შედგა,  
სწორედ იმ დილას რომ დარგო ლეუარ-  
სამ.

მაშინ ის ნერგი საშუალო ტანის კაცის სიმაღლისა იყო.

დედის თვალებიდან მომწყდარი ცრემლი ნორჩი ნერვის ძირს დაეპყრა.

ამ პატარა ნერვს პირველად დედის ცრემლმა დაუნამა ფესვები.

მთის ნაკადულივით ჩაიქროლა დრომ. კაკლის პატარა ნერგი, რომლის ფესვებსაც ამ ოცი წლის წინათ თაჯგუაგუას მწარე ცრემლი დაეცა, ვეებერთელა ხედ იქცა. ყოველ წელიწადს კარგ მოსავალს იძლევა. მოსავალი ხომ მოსავალია და ამ კაკლის შეხედვაც ერთ რამედა ღირს. იმ მიწასავით უხვია და ბარაქიანი, ტოტები მკლავებივით გაუშლია და დევივითა დგას ტანმაღალი და მხრებგანირომელზედაც ფესვი მოიკიდა. მსხვილი ერი.

თაჯგუაგუა ამ ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსაც კი ზედ დაჰკანკალებს.

ერთხელ თაჯგუაგუას მეზობლის ბიჭმა არდაშილმა ერთი ურემი შეშა მოუტანა და კაკალქვეშ დაყარა.

— ო, ნან, ყველა შენზე ძლიერი გემსახუროს, თაყვანი გცეს, სასახელოდ გავხადოს ჩემმა შემქმნელმა მწყალობელმა ღმერთმა. ცოდო ვარ, შვილო! — თაჯგუაგუა ლოცვით მიუახლოვდა არდაშილს. მაგრამ უცებ ისეთი რამ მოხდა, რამაც დედას გული გაუხეტია. არდაშილს, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ერთი სამგლე კამეჩი ჰყავდა. იმ დღეს სწორედ ის ოხერი კამეჩი შეება უღელში. კამეჩს საუნა ერქვა. ურჩი იყო და ვერ იოკებდა, ურემს ხან ხეს მიახეთქებდა. ხან ღობეს. ახლაც გაიწია იმ უკუდმართმა საუნამ და უღელი ისე მიანარცხა კაკლის ხეს, ქერქი გადააყვლიფა. ამის დამნახავ თაჯგუაგუას ელდა ეცა. ისე შეწუხდა. გეგონებოდა, მის ლეუარსას დაუშავდა ფეხიო.

არდაშილსაც ძალიან სწყინდა, ეს რა მომივიდაო.

არდაშილმა ურემი გაიყვანა თუ არა ეზოდან, თაჯგუაგუამ გადაყვლიფილ

ადგილს მიწა მიაყარა. პატივი წაუსვა და შეუხვია. სანამ ხეს ჭრილობა მოუშუსდებოდა, არც დედის გულს მოშუსებია ჭრილობა.

კარგ ამინდში თაჯგუაგუას მუდამ ამ კაკლის ძირში ნახავ. აქა საქმიანობს. მთელი სოფლის ბავშვებიც აქ იყრიან თავს. შერჩეულები არიან ამ ადგილს, უყვართ. თაჯგუაგუას გამოუღეველი აქვს ბავშვებისათვის პირის ჩასატკბარუნებელი. როცა ბავშვებს ხედავს, გული უმაგრდება და თვალშიც შუქი ემატება.

— შვილო, ლეუარსა, რა იქნებოდა. ერთი შენი შვილის ნახვა მეცა მღირსებოდა და მერე თუნდ მოვმკვდარიყავი. მაგრამ მე ვინ მალირსა ეს ბედნიერება! — მოსთქვამს დედა, როცა თავს დაიმარტოხელებს.

თაჯგუაგუას ბევრი რამ დარჩა ვაჭისეული. ეს ოდა-სახლიც ლეუარსას ხელით არის აშენებული, მაგრამ დედას ყველაფერს მაინც ჯარში წასვლის წინ ლეუარსას ხელით დარგული კაკლის ხე ურჩევნია, მოშრიალე კაკლის ხე.

თაჯგუაგუა შემოდგომაზე დასაბერტყად ამ კაკალს ხალას არ მიაკარებინებს. ხესაც ისე აქვს ტოტები გამოტანილი, თუ ახვედი და ოდნავ შეარხიე, ოქროსავით კაკალი რაკარუკით წამოვა. ზის თვალდახუტული და ფიქრს მისცემია. კაკალს უცებ ქარმა წამოუქროლა და გამხმარი ტოტები სწორედ თაჯგუაგუას წინ ჩამოცვივდა.

თაჯგუაგუამ თვალები გაახილა. გამხმარი ტოტები რომ დანახა, ელდა ეცა. ვეღარც ადგა, ვეღარც დაჯდა. უბედურების მომასწავებელი შავი აჩრდილი წამოსდგომოდა თავს.

ლეუარსას ხელით დარგული, თაჯგუაგუას იმედი — კაკლის ხე ხმებოდა.

— წილს გვალვები იყო. მომიკედეს თავი, — ჩასჩურჩულებდა თაჯგუაგუა, — შენ ფესვებს წყალი მოაკლდა. ცოდო ვარ, შენი ჭირიმე, მარტოკას ნუ დამტოვებ! — თაჯგუაგუა შესცქეროდა კაკალს და დიდხანს უხმოდ ევედრებოდა. მერე, ათასი ფიქრით დამძიმებული სამზარეუ-

ლოში შევიდა, სურებს დაავლო ხელი  
და წყალზე გაეშურა.

დედა ყოველ დღე კაკალს რწყავს. განა  
ეს უბრალო წყალია?

თაჯგუაგუა კაკალს ძირში უსხამს  
წყალს და ჰგონია, ეს წყალი მის ერთად-  
ერთ ვაჭიშვილს სიცოცხლის ძალასა ჰმა-  
ტებს.

თაჯგუაგუა აქამდის ძლივსა შლიდა  
მუხლებს, ძვლებს ტკაცატკუცი გაუდიო-  
და. ახლა თითქოს მუხლიც გაუმაგრდა,  
ლონეც მიეცა; ასე ჰგონია დედას.

— ჩემო ძალ-ლონეე, შენ არ უნდა გა-  
მომეცალო, — ამბობს თაჯგუაგუა უხ-  
მოდ, — ეს კაკლის ხე არ უნდა განმეს.

თარგმნა ქეთევან ქუჩუკაშვილმა





# ჩვენ კლასიკები

მოსე გვენსაიძე

## ქიაზმი ხუტაბა

ნარკვევი

მეშახტეთა ახალგაზრდა ქალაქი ტყვარჩელი ტყეშია ჩაფლული. ასწლოვან წაბლნარს ნაძვნარი მოსდევს, მერე შიშველი ალბური ზონაა, სულ ზემოთ კი მუდმივი თოვლისა და ყინულის სამეფო.

ოდიღვე ეს ადგილები საძოვრებს წარმოადგენდა. ხეობის გასწვრივ გრეხილად ჩაყოლებული მთები: კვეზანი, აკარმარა, ახიბლარა, ხილიკვარა, ხოჯალი მეჯოგეთა კარვებით იყო მოფენილი. ახლა კი იქ, მთაგანებზე წამოჭიმული მრავალსართულიანი კოხტა სახლები ზემოდან დაჰყურებენ ქვარტლისფერ ღლიძგას. ამ კლდეების შიგნით, გრანიტის შეუვალ კედლებს შორის, საბჭოთა გეოლოგებმა „შავი ოქროს“ მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს. მას შემდეგ საკმაო ხანმა განვლო. ამჟამად ტყვარჩელში მრავალი სახელგანთქმული მეშახტე მუშაობს. ჩვენ ერთ მათგანზე გვინდა გაიამბოთ.

ქიაზიმ ხუტაბა, ორმოცდაათი წლის, ჭარმაგი კაცი, გუდაუთის რაიონის სოფელ ბლაბურხვადანაა.

ჯანღონით სავსე, ფერხორციანი ვაჟკაცი. ცეცხოვანი შავი თვალები, განიერი მხარ-ბეჭი, მოუღრეკელი, სქელი კისერი... ყველაფერი ეს მეშახტისთვის ნამდვილი სამკაულია. უკან გადავარცხნილი ტალღისებური ჭაღარა შნოს მატებს მის გარეგნობას.

ქიაზიმი მხნედ არის და მას, როგორც მეშახტეს, მომავალი წლიდან პენსიაზე გასვლის უფლება აქვს, მაგრამ ახლა მოსვენებაზე როდი ფიქრობს იგი, მომავალი მუშაობის გეგმებით არის გატაცებული.

— ქიაზიმი წარმოების ნამდვილი სული და გულია, საქმისთვის თავდადებული, უანგარო მუშაკია, — მეუბნება შახტის პარტიბიუროს მდივანი კამო ბებუა.

ქიაზიმ ხუტაბა ჩემთან ერთად მიიბიჯებს გრძლად ჩამწკრივებულ, ელექტროლაშებით გაჩახჩახებულ შტოლნში. გრიალით მოჰქრის ქვანახშირით დატვირთული ელექტრომატარებლები, შხუის ვენტილატორები, საღააც ბნელში მიჩხრიალებს კლდეებიდან გამონახური შავი ნაკადული, შტრეკებიდან აფეთქებათა გუგუნი მოისმის, გვირა-



ბებში გრილი გამკოლი ნიავი უბერავს. მნახველს პირველად შეაკრთობს ეს მობუბუნე უყუნი, ქიაზიმისთვის კი აქაურობა ნაცნობი და ახლობელია. კომკავშირული საგზურით მოვიდა აქ დაუდგარი, მეოცნებე ჭაბუკი და მერე ოცდახუთი წლის განმავლობაში აქედან ფეხი არ მოუცვლია. ამოიწურა პირველი შახტი... ქიაზიმიც თავის შახტთან ერთად ცხოვრობდა, იზრდებოდა, კაქუდებოდა.

გაუხარელი ბავშვობა ჰქონდა ქიაზიმს. შვიდი წლისა დაობლდა. ეს იყო მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ წელს. სად იყო სოფლად მაშინ ექიმი და წამალი? მცირეწლოვანი შვილების დედა მშობიარობას ვადაპყვავ. ამის შემდეგ არც მამას, კუშანს უცხოვრია დიდხანს. უღდემაოდ დარჩა ხუთი დამამა: ხაბუგი, ქიაზიმი, კატო, ლადიკო და არზენია. ობლის კვერი ცხვა, ცხვა და კარგად გამოცხვა. ყველა გამოიზარდა. უფროსი ძმა ხაბუგი დღეს ხუთი შვილის მამა არის. იგი ბლაბუტრხვის ნესტორ ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის წევრია, კატო მეგუძირხევში გათხოვდა. იქვეა, „ოქროს სანაპიროზე“, ბლაბუტხვას მეზობლად. არზენია სამი ქალიშვილის დედაა, მეხუთე წელია სამუშაოდ ტყვარჩელში ვადავდა მძასთან. არც მამის კერა ჩამქრალა, ისევ დგას ბლაბუტრხევში ძველი სახლი და ობლების ძველი კერა. ახლა იქ შუათანა ძმის, ლადიკოს შვილები იზრდებიან.

ქიაზიმი 1938 წლის 15 თებერვალს ორმოცდაათ აფხაზ კომკავშირელთან ერთად ჩამოვიდა ტყვარჩელში.

პირველად გამგორებლად დანიშნეს. ნახშირით სავსე ვაგონტების ხელით გაგორება მძიმე საქმე იყო. მხოლოდ დიდ წოლხერელში ჰყავდათ ცხენი დამხმარედ. ერთი წელი აქ ამუშავეს. წესია ასეთი! ეს პირველი ნათლობა, გამოცდა არის ახალბედა მეშახტისათვის. ვინც ვარგა, წინ წაიწეეს, მხდალი და მშიშარა კი შინ გაიქცევა. ქიაზიმმა თავი გამოიჩინა შეუდრეკლობით, მონდომებით და, რაც მთავარია, დისციპლინით. მიწის

ქვეშ კი დისციპლინა ისეა საჭირო, როგორც ფრონტის მოწინავე ხაზზე ბრძოლის დროს. დაძაბული ყურადღებით უნდა უსმენდე ჰერის სამაგრებელი ბოძების ჰრიალს, აფეთქებათა ქუხილს, მახვილი თვალი უნდა გქონდეს, მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ რომ შენიშნო და უვნებელყო.

ქიაზიმ ხუტბამ მეშახტეთა ეს შეურყვევლი წესები გულის ფიცარზე დაიწერა და პირველი გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა. ამის შემდეგ ქიაზიმი გვირაბგამყვანთა ბრიგადაში ჩარიცხეს. მან აქ ორი წელი დაჰყო. გამყვანთა მძიმე და საპასუხისმგებლო შრომა ახალი საფეხური იყო სამთო საქმის დაუფლების გზაზე. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქიაზიმს ახალ უბანზე ვხვდავთ. ის უკვე მნგრეველია, ხელში პნევმატური ჩაქუჩი უჭირავს. ესაა ძირითადი მიწისქვეშა სამუშაო. ქიაზიმმა სწორედ აქ ისახელა ყველაზე მეტად თავი— დაუღალავი შრომითა და გულმოდგინე მეცადინეობით საფუძელიანად დაეუფლა თავის საყვარელ პროფესიას. ის უკვე სანიმუშო მეშახტე იყო: ნებისყოფიანი, გაბედული, შახტის ყოველი კუნძულის მცოდნე, ამავე დროს ფრთხილი, წინდახედული, საქმის ერთგული, ამხანაგების დამჯერე. ეს სანაქებო თვისებები ხელმძღვანელობას ყურადღებიდან არ გამოჰპარვია და აი, 1943 წელს ქიაზიმი საწარმოო სწავლების ოსტატად გადაჰყავთ; მას მომავალი მეშახტეების აღზრდისა და მომზადების სათუთ საქმეს ანდობენ. ქიაზიმი ერთ-ერთი პირველი იყო იმ აფხაზთაგან, რომლებიც სხვას წვრთნიან და ასწავლიან მიწისქვეშა რთულ წარმოებას. ექვსი წელი იმუშავა მან ოსტატად და ასამდე მეშახტე შესძინა ტყვარჩელს. ბევრი მათგანი დღეს საწვლმომხვეპილი, მოწინავე ადამიანია. აქ შეიძლება დავასახელოთ გლეხ ლაკობა — მნგრეველთა ბრიგადირი, იროდიონ აყიბა და მრავალი სხვა.

მოსე გვასალია  
ქიაზიმ ხუტბამ

1949 წლიდან ქიაზიმი ისევ მნგრეველია და დღემდე მამაცურად, სახელოვნად იღვწის. ათას ტონობით მოპოვებული ნახშირი, გადაჭარბებით შესრულებული გეგმები, პატროსნად განადგებულ ვალდებულებები, ჯილდოები და მადლობა, აი, რა ამშვენებს მისი შინაარსიანი ცხოვრების გზას. სწორედ ამიტომ დაიშახურა მან ტყვარჩელის მეშახტეთა ნდობა და სიყვარული.

1963 წლის 17 მარტს მეშახტეებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა თავიანთ ღვაწლმოსილ კანდიდატს და ქიაზიმ ხუტაბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

\*

ჩვენ ახლა შტრეკებში მივბაიჯებთ. პლასტმასის ქუდებზე მიკრული ელექტრონათურები ჰკეეთენ უკუნს. ქიაზიმი წინ მიდის.

ჭერი თანდათან დაბლდება, გვირაბის კიდევანი კლებულობს, ნახშირის კედელი ყოველი მხრიდან გვაწვება. უკვე წელში მოხრილნი მივიღივართ. გვირაბის სიმაღლე ოთხმოც სანტიმეტრს ძლივს აღწევს. ჯაბანსა და მშოშარას აქ ჯაჭვით ვერ დააბამ, ერთ დღესაც ვერ ამუშავებ. ეს არის პირველი უბანი. ბრიგადირი ალექსანდრე კობაიძე იქ დაგვიხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ. უნდა გამოვტყდე, ბევრი საუბრისა და შეკითხვების თავი არ მქონდა, ისე დაბლა იყო ჩამოწოლილი ნახშირის შავად მზინავი ჭერი. ჰაერი არ მყოფინდა, თითქოს თავმოკრულ ტომარაში ვიყავი. რამდენიმე ნაბიჯი უკან გადავდგი და ხის სამაგრეების ქვეშ შევდექი. ქიაზიმმა სამუშაო ადგილი ყურადღებით შეათვალიერა. ჭერს გახედა. წინ გამოშვერილი წვეტები შეამოწმა, რომ მუშაობის დროს თავზე არ დასცემოდა. მერე ელექტრობურღი ხელში მარდად შეათამაშა. აი, ამ ბურღმა და ამ პატარა ფოლადისკბილიანმა მანქანამ შესცვალა პრიმიტიული პნევმატური ჩაქუჩი, ხოლო ის მწარედმოსაგონარი დრო, როცა მნგრეველი წერაქვით ეჭიდებოდა ნახშირის კედლებს, დიდი ხანია დავი-

წყებას მიეცა. ხრჭილით ანგრევს მანქანა ფენას. ჩამოხვავებული ნახშირი ბზინავს და ხრჭიალებს.

შუტრები მზად არის, დატენილია. უკან წამოვედით, დენი ჩართეს... მიწისქვეშა აფეთქების ხმა მიინცდამინც დიდი არაა, მაგრამ მიუჩვეველ კაცს შეაძრწუნებს. არ იცი, საიდან გესმის ხმა, ჭერიდან, იატაკიდან თუ კედლებიდან.

ქიაზიმი კეთილად მიღიმის:

— მე ეს გუგუნი სიმღერად ჩამესმის ყურში. გუშინ დასვენების დღე მქონდა. ვერ ვიყავი კარგ გუნებაზე, მომწყინდა. აქ რომ ცოტას წავიმუშავებ, კუნთებს გავშლი, ავმოძრავდები, გული სულ სხვა ხალისით მეცება. უშახტოდ ჩემი ცხოვრება ძნელია. აქაურობას ვერ შეველევი.

\*

ამ ორიოდ წლის წინ ტყვარჩელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანავი ვ. პ. მკავანაძე და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხანავი მ. თ. ბლაქაბა ესტუმრნენ. სტუმრები დიდხანს ესაუბრნენ ღვაწლმოსილ მეშახტეს, ქიაზიმ ხუტაბას. ჯერ წარმოების ძველი და ახალი ამბები გამოჰკითხეს, შემდეგ ვასილ პავლეს-ძემ მეგობრულად გადასდო მხარზე ხელი და ჰკითხა:

- შვილი გყავთ?
- დიახ. ოთხი შვილის მამა ვარ.
- უფროსი რა ხნისაა?
- თექვსმეტის გახლავთ.
- უმცროსი?
- ხუთი წლისა.
- გვიან დაქორწინებულხართ! — შენიშნა ამხანავმა ბლაქაბამ.
- ომი იყო, ოჯახი ვის ახსოვდა! — თავი იმართლა ქიაზიმმა.

ის დღე დაუვიწყარი! რა გულითადი, ძმური საუბარი ჰქონდა უბრალო მეშახტეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. უფრო მონდომებით, სულ სხვა ხალისით, საკუთარი ღირსების მაღალი შეგნებით წავიდა ქიაზიმი იმ დღეს შახტში სამუშაოდ.

ქიაზიმის ოჯახში ვართ. სამი ოთახი აქვს აკარმარაში. ქუჩა ლამაზია, ყოველ თანამედროვე ქალაქს დამშვენებს. აქ არის 400 ადგილიანი კლუბი, სასტუმრო, სასადილო, საავადმყოფო, აფთიაქი, მუშათა საცხოვრებელი ინტერნატი, საშუალო სკოლა, უნივერსიტეტი, საკომუნისტური ბაზარი, ფოსტა, მაღაზიები. ქუჩები, მოედნები მოასფალტებულია. პირველი შახტის გამგებლობაში, კეზანიდან აკარმარამდე, ასამდე კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი სახლია. ქიაზიმს ოთხი შვილი ჰყავს. უფროსი ვაჟი, რომანი, ახლა უკვე თვრამეტი წლის არის და მასთან მუშაობს პირველ შახტში. შორეულ ბლბუტრხავშიც ხშირად წავლავ, ფრიადოსანი თინა კი მეექვსე კლასში გადავიდა, ერთდროულად მუსიკალურ სკოლაშიც სწავლობს, ხოლო ყველაზე პატარა, ლიანა, მეორეკლასე-ლია.

— დრო სწრაფად მიჰქრის, ასე მგონია, გუშინ შემოვდგი ფეხი ტყვარჩელში! — დიმილით ამბობს ოჯახის დიასახლისი, რაისა ზარქუა.

ბავშვებს ძალიან უყვართ დედულეთი: სოფელი ჩხორთოლი გალის რაიონში. შორეულ ბლბუტრხავშიც ხშირად ნახულობენ. ბიძაშვილებს, მაგრამ ტყვარჩელში დაბადებულებს და აღზრდილებს სამუდამოდ აქ დარჩენა სურთ. რომანი შახტის მექანიკოსის პროფესიას უნდა დაეუფლოს, ილარიონი სამთო ინჟინრობაზე ოცნებობს.

მხიარულად, ბედნიერად, მყუდროდ ცხოვრობენ ქიაზიმის ოჯახში. რაღაც დიდ სიტბოს იგრძნობთ, როცა ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს ერთად ნახავთ ერთი დიდი მაგიდის გარშემო.

„სოვეტსკი შახტიორის“ მიმდინარე წლის აპრილის ნომერში საინტერესო ფოტოა დაბეჭდილი: ქიაზიმი ზის, გაზეთს კითხულობს, რომანი და ილარიონი საუბრობენ, ლიანას დედისთვის მხარზე გადაუდვია ხელი, თინა პიანინოზე უკრავს.

— ეს პიანინო შარშან შევიძინეთ, 15 ავეისტოსს. ბავშვმა მთხოვა და ვუყიდე. მუსიკალურ სკოლაში კარგად სწავლობს. იმეცადინოს, გაიხაროს. ეს ავეჯიც ახლახან შევიძინე. მეშახტეებს დასაწუნი ხელფასი არა აქვთ. ახლა ძმისშვილებს მინდა დავეხმარო. ჩემს სამახსოვროდ ცოტა რამ იმათაც ჰქონდეთ. ახალი სახლი უნდა ავაშენოთ იქ. არასდროს არ უნდა ჩაქრეს მამისეული კერა!

მეზობელმა მეშახტეებმა თავი მოიყარეს ქიაზიმთან. ამ დროს თინაც დაბრუნდა მუსიკალური სკოლიდან; მკვირცხლი, შავგვრემანი, შავთვალა გოგონა. ზოგს აფხაზურად გამოელაპარაკა, ზოგს ქართულად, ზოგს რუსულად.

— აბა, თინიკო, ერთი შენებურად დაუკარი რამე! — ეუბნება ქიაზიმი. პატიყი არ დასკირვებია, მალე გოგონამ ოთახი ტკბილი ჰანგებით აავსო.

— შენ გაიხარე, თინიკო, დიდი ქალი გაიზარდე!

...სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. ნელა ჩამოწვა ბინდი, საესე მთვარე აქათქათდა ხოჯალის ციცაბო მწვერვალზე. გვესმოდა, როგორ ჟღერტულებდნენ ჩიტები ტყეში. ფანჯრები გავადეთ და აკარმარას გახვდეთ: ლამპიონებს გაეჩახჩახებინა ლალიძას ხეობა.

მოსე გვასალია  
ქიაზიმ სუტაბა





# ნაწილი ვიხსნა

ნარკვევი

ქალარა მოხუცმა ჩაღამებული თვალები ცას გააყოლა და დიდხანს იყურებოდა იქით, საითაც რეაქტიულმა გამანადგურებლებმა გადაიგრიადეს. ამ ოცი წლის წინათ დიდი უბედურება დაატყდა თავს. ოცი წელიწადია, ქვასავით დადუმებული, გულგაბობილი დადის, მაგრამ ვერავინ შეატყობს, რა ცეცხლი უტრიალებს გულში. ახლაც ცოცხალ-მკვდარივით გაშეშებული დგას, თვალს ვერ აშორებს ცას და საზარელი მოკონებები შავი ყორნებივით ეხვევიან. თვითმფრინავები ღრუბლებში მიიმალნენ. დანაღვლიანებული მოხუცი კი ისევ ცაზე გავლებულ სამ თეთრ ზოლს გასცქერის.

თქვენც ასე ლალად დაფრინავდით ცის ზღუდეში და თქვენი შემხედვარე მეც სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი. ბოლოს კი მიღალატეთ. როგორც დილის ნისლი გაქრება ხოლმე მინდვრებიდან, ისე გაჰქრით, აღარ დაბრუნდით. აღარ დამიბრუნდითო, ეს რა ვთქვი? განა მართლა არ დამიბრუნდით? მაშ, რად გაგზარდეთ, რად შეგაყვარეთ ჩემი მიწა-წყალი, ჩემი ხალხი? წყალში გადამიყარეთ ამაგი, უიმედოდ დამტოვეთ. ჯატი, ჩიჩ! არ გესმით, მამის ხმა? მე გეძახით. არ გვბრალებით მართო დარჩენილი მამა? ოცი წელია, უცრემ-

ლოდ იწვის კადირი, მაგრამ თავის ჯავრს გულში იკლავს. მაშ, ახლა რა მოუვიდა? ცრემლს რა უნდა ქვადქცეული კადირის ქალარა წვერზე? დაგუბებულმა ნაღველმა სადინარი იპოვა, ბოღმისაგან გულშეშებულმა კაცმა დარდთან ბრძოლას ვეღარ გაუძლო და წყვილი ცრემლი მოსწყდა მის ჩაწყალბულ თვალებს. ხელში წალდი უქირავს, ვიწრო ბილიკს მისდევს კადირი და თან თავის დაღუპულ შვილებს ელაპარაკება.

— საიდან მოდიხარ, ბაბუა? — წინ გადაუდგა პატარა ბიჭი. მოხუცი ფიქრებიდან გამოერკვა და თავი ასწია.

— ღობისთვის ძეძვი მოვქერი, შვილო. ასე ადრე გაგითავდა გაკვეთილები?

თავზე დამკნარ ხელს უსვამს კადირი შვილიშვილს და ნაღვლიან თვალებში უქი უდგება.

რედაქციაში ახალგაზრდა კაცი, კადირის შვილიშვილი მუშნი ბაბუაზე მიამბობს, მერე გაყვითლებულ საქალაქედს სსნის, ქალაქებს წინ მიწყობს და მეუბნება.

— ესენი უფრო კარგად გეტყვიან მამაჩემის ამბავს.

კუნაპეტი ღამე. ირგვლივ სამარისებუ-  
რი სიჩუმე გამეფებულა. შმაგ ქარსაც  
ფრთები დაუკეცია. საავიაციო ქვეგან-  
ყოფში მდღეეურ ესკადრილის გარდა  
ყველას სძინავს, მხოლოდ ახალგაზრდა  
პილოტს გაჰკრთომია ძილი.

„ვიქტორ არგუნო!“

„აქა ვარ, ამხანაგო ინსტრუქტორო.“

„მომილოცნია, დღიურში ჩაიწერე  
ხვალინდელი დღე და საათი!“

„რად ჩავეწერო, ამხანაგო ინსტრუქ-  
ტორო?“

„ხვალ მარტო გაფრინდები. ხვალ შენ  
იქნები ცის ბატონ-პატრონი.“

„მარტო გაგფრინდები?“

„ხვალ დიდი სიღინჯე გმართებს,  
დაიხსომე. თავი და თავი სიმშვიდე  
და სიღინჯეა“. — ღამის მყუდროებაში  
ესმის ინსტრუქტორის ხმა.

უფროს ლეიტენანტს ჩემი იმედი  
აქვს, მუდამ მაქებდა. მაგრამ როცა ერ-  
თად მივფრინავდით, თუ შეცდომით  
შტურვალს გადავწევდი, ის მასწავლი-  
და. ხვალ? ვთქვით შემეშალა რამე? ცას  
ტოტები არა აქვს, რას მოვეჭიდო?

„მეშინია, თუ რა არის ჩემს თავს?  
არა, მფრინავი მხალღი არ უნდა  
იყოს,“ — ვიქტორმა წარბები შეჰყარა.

ხელი შტურვალზე უდევს, ერთი არ  
შემდრკალა, ისე აფრინდა. ცის ლაყვარ-  
დში შეცურდა. ღრუბლებმა გზა მის-  
ცეს... ვიქტორი ოცნებამ წაიღო.

თენდებოდა. დიდი დრო არ გასულა,  
კურსანტები და მფრინავები აეროდ-  
რომზე შეიკრიბნენ.

— ვიქტორ არგუნი დღეს მარტო მი-  
ფრინავს, — ვიქტორმა ღმილით შეხედა  
თვითმფრინავის ფრთებზე შემდგარ  
ინსტრუქტორს.

— მართალი თქვი, ნუ დამალავ, ცო-  
ტა ხომ არ გეშინია?

— მე მეშინია?! — ვიქტორი უცებ  
გაწითლდა. ითაკილა ინსტრუქტორის  
ნათქვამი.

— გაგეხუმრე, ღმერთმა ხელი მოგი-  
მართოს აფხაზეთის არწივს, — ინს-  
ტრუქტორი ტრაპიდან ჩამოხტა.

ფინიშერმა თეთრი ალამი ასწია და  
თვითმფრინავი ჰაერში ავარდა. გამანა-  
დგურებელი ისარივით მიჰქრის. უნდა  
შემოტრიალდეს, ის კი ისევ სიმაღლეს  
იღებს.

— საღლა მიიწვევს, რატომ წრეს არ  
აკეთებს?

ესკადრილის მეთაურმა მიკროფონს  
დაავლო ხელი, მაგრამ ისევ დადო. ვაი-  
თუ იწყინოს, დაიბნეს. ბინოკლით გახე-  
და. ხომ არ გაგეყდა, რასა სჩადის.  
საფრთხეში აგდებს სიცოცხლეს.

— ვიქტორ, დაბრუნდი, — დაიქექა  
ინსტრუქტორმა.

თვითმფრინავი ტყვიასავით წამოვიდა  
დაბლა. დედამიწამდე ორიოდ მეტრი-  
ლა დარჩა. ახალგაზრდა მფრინავის სი-  
ცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაგრამ, უცებ,  
მოტორმა დაიგრუხუნა, თვითმფრინავი  
ისარივით ავარდა ცაში და ღრუბლებში  
მიიშალა...

1935 წელს ვიქტორმა საავიაციო სკო-  
ლა დაამთავრა და ინსტრუქტორად გა-  
ზავენეს ვოლგოგრადის აეროკლუბში. მა-  
ლე შეაყვარა თავი ვოლგოგრადის აერო-  
კლუბის მფრინავ-ინსტრუქტორებს.

როცა აეროდრომზე მომღიმარო, მა-  
ღალ-მაღალი, მხარბეჭიანი ვიქტორი გა-  
მოჩნდებოდა — ჩვენი მთის არწივი მო-  
დისო, იტყოდნენ მეგობრები.

დაიწყო დიდი სამამულო ომი, წელი-  
წადნახევარი ვიქტორი ისევ მფრინავ-  
ინსტრუქტორად იყო. 1942 წლის მიწუ-  
რულში პოლკი წნორის წყლიდან სო-  
ხუმში გადმოიყვანეს.

სოფელი კულანიჩხუა განთიადზე  
თვითმფრინავის გუგუნმა გამოაღვიძა.

— ვიქტორი მოფრინდა, ვიქტორი, —  
ერთმანეთს გასძახეს მეზობლებმა. დიდი  
და პატარა თვითმფრინავს შეჰკურებდა.  
ვიქტორი კი სოფელს გარს უვლიდა.  
უცებ ჰაერში თოვლის ფიფქივით და-  
ტრიალდა ქალაღის ნაგლეჯი.

მუშნი მიქიაი  
ნაცნობი ფეხის ხმა



— მამამ წერილი ჩამოგვიგდომ!

პატარა ბიჭი დასწვდა მამის წერილს.

„ვერა, გუშინ წნორის წყლიდან გადავინაცვლეთ. გესმის, რა გრიალია! გერმანელებს უნდათ ჩვენი მთების მყუდროება დაარღვიონ, მამა-პაპეული მიწა-წყალი აგვიოხრონ. მე და ჩემი ამხანაგები მიფერინავთ გერმანელების „გასაცნობად“. მალე გნახავთ. ვიქტორი“.

ამ დროს სამი გამანადგურებელი გამოჩნდა, ვიქტორი თავში მოექცა თვითმფრინავებს და გაფრინდნენ.

ვიქტორი მინდვრებს დასცქერის. რამდენი ურბენია ამ მინდვრებზე. მზეზე ალაპლაპებული კაბინიდან მდინარე გუდოუ მოჩანს. ჩქარი მდინარეა გუდოუ, თითქოს ზღვის გულში ჩასახვევად მიიჩქარის. თავის ტოლებთან ერთად რამდენჯერ უბანავია ამ მდინარეში. მაშინ ვიქტორს ჯატს ეძახდნენ. სოფელში ახლაც ასე ეძახიან.

ერთხელ ამ მდინარეში კამეჩები შერეკეს. კადირმა ბიჭებს შშვილდ-ისარი გაუყეთა. ჯატს არ უნდოდა ძმისთვის დაენებებინა შშვილდ-ისარი და ჩიჩი მიტყიბა.

— ჩიჩი, ბიჭო, რამდენი ხანია თვალი არ დამიკრავს შენთვის, იქნებ ახლა შენც მტერს ანადგურებ? დასცხე, ბიჭო, დასცხე ამ წყეულებს! — ვიქტორი საკუთარმა ხმამ გამოარკვია მძიმე ფიქრებიდან.

ვიქტორ არგუნი აფხაზეთში პირველი მფრინავი იყო. ვიქტორმა ბევრი უშიშარი მფრინავი გამოზარდა — ვაჟებიცა და ქალებიც: 1942 წელს ვიქტორი თავის გამოზრდილ მფრინავებთან ერთად იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს კურსანტებმა — მერი ავიძბამ, მიხეილ აჩბამ, ააზიზ ავიძბამ.

975 გამანადგურებელთა პოლიკიდან ვიქტორ არგუნის მეთაურობით საპაერო ბრძოლისათვის ემზადებოდნენ გამანადგურებლები. მეორე დღეს ცუდი ამინდი

გამოვიდა. შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ქარიშხალი არ ახსოვდათ. ტყვიასვით ღრუბლებმა გააშავეს ცა. ჭექა-ქუხილი ანგრევდა იქაურობას.

— დღეს ვერ გაფრინდებით, ამხანაგო კაპიტანო, — უთხრა აღელვებულმა პოლიკის მეთაურმა.

— რატომ ვერ გაფრინდებით, ამხანაგო პოლიკოვნიკო?

— ცუდი ამინდია, თვითმფრინავს ვერ დაიმორჩილებთ.

— ეგ მართალია, მაგრამ მტერი ჩვენ არ დაგვიცდის, არა, ამხანაგო პოლიკოვნიკო, ქარიშხალია, თუ ქვეყნის დაქცევა, დავალემა უნდა შევასრულოთ.

გერასიმოვი ერთ ხანს დუმდა.

— მაშ, ხელი მოგემართოს! — უთხრა ბოლოს კაპიტანს.

გათენებისას ხუთი გამანადგურებელი გაფრინდა, ქარი აქეთ-იქით აქანავებდა თვითმფრინავებს. წინ არაფერი ჩანდა.

მთაში ამინდი ცვალებადია. მფრინავები მიზანს უახლოვდებოდნენ, რომ მზემ გამოაჰყიტა და მტრის საზენიტო ქვემეხებმაც იგრიალეს.

— ღრუბლებს შეაფარეთ თავი! — გაისმა ვიქტორის ბრძანება. თვითმფრინავები ღრუბლებში მიიმაღნენ. საზენიტო ქვემეხები ჩაჩუმდნენ.

ვიქტორმა თვალი მოჰკრა სამ „მესერს“ ამოფარებულ მტრის ბომბდამშენებს.

უცებ მოისაზრა, როგორ ემოქმედა:

— საშინ ბომბდამშენებისაკენ! № 125 ჰფარავს კუდს, მე იერიშზე გადავდივარ.

გამანადგურებლებმა ბრძანება შეასრულეს, ვიქტორი თავისი ამხანაგით ეყვითა მტერს.

როცა მტრის თვითმფრინავები მალა აიჭრნენ, ვიქტორი შემოტრიალდა, უცებ დრო შეარჩია, დილს ხელი დააჰკრა, ტყვიამფრტქვევი აკაჟანდა. „მესერშიტი“ ცეცხლის ალში გაეხვია, ცხვირით წამოვიდა მიწისაკენ.

— როგორ არის საქმე, კისელიოვ? — დაუძახა ამხანაგს.

— ერთი არამზადა დამიძვრა, მეორეს კი ყოფა ვუტირე, — მოესმა მიკროფონში კისელოვის ხმა.

გერმანელების ორი გამანადგურებელი და ორი ბომბდამშენი ჩამოაგდეს და იმ დღესაც მშვიდობით დაბრუნდნენ აეროდრომზე.

კიბეზე ვილაც ამოდიოდა. ვერამ იცნო ვიქტორის ფეხის ხმა და სიხარული-საგან შეკრთა.

— ვიქტორის ფეხის ხმა! — ვერა წამოვარდა და კარი გაუღო.

ამ დროს ოთახიდან ანატოლის ხმა მოისმა.

— მამა, მამა!

ვიქტორმა შვილი ხელში აიტაცა.

— აკი გუშინ უნდა მოსულიყავი? — ჰკითხა ვერამ.

— უნდა მოვსულიყავი, მაგრამ უცებ კულანირხუაში ამოვყავი თავი. დიდი ხანია, შინ არ ვყოფილვარ. მოხუცებს გზისკენ ცქერით თვალები დააწყდათ.

— მამა, ხომ აღარ წახვალ?

ვიქტორი გათენებამდე ბავშვს ეთამაშებოდა და ეალერსებოდა.

— რა მოგივიდა, ვიქტორ, დასვენება აღარ გინდა? — ეუბნებოდა ვერა.

განთიადზე მანქანის საყვირის ხმა გაისმა. ვიქტორი წასასვლელად მოემზადა. კარებთან მისულ მამას ბიჭი ტირილით ჩაეკიდა ქამარში. ვიქტორი დიდხანს ჩასცქეროდა ბიჭს თვალებში.

— ანატოლი, ხომ არ შეარცხვენ მამას?

— არა, მამა, არ შეგარცხვენ. — და მამას ჩაეკრა ბიჭი.

კიბეზე ისევ გაისმა ვიქტორის ფეხის ხმა.

18 აგვისტოს დილა გათენდა, დილიდანვე ოხრავდა ვიქტორის ღელა.

— ასე რად მიკვენსის გული ჩიჩი, ბიჭო, რად დამიგვიანე წერილი! თუ რამე უბედურება გელით, დედათქვენს დაატყდეს თავს. მე გამეთხაროს საფლავი, ოღონდ თქვენა მყავდეთ კარგად.

თვალს არ აწორებდა ლაქვარდს, მაგრამ ცა ისევ დადუმებული დაჰყურებდა, ვიქტორის თვითმფრინავის ზუზუნს აღარ ისმოდა ციდან.

სწორედ იმ დილით სანჰაროს უღელტეხილზე ვიქტორის მეთაურობით გამანადგურებელთა ესკადრილია საჰაერო ბრძოლაში ჩაება. ცხარე ბრძოლა გაიმართა. მტრის ბომბდამშენები და გამანადგურებლები რიცხვით სჭარბობდნენ საბჭოთა გამანადგურებლებს, მაგრამ საბჭოთა მფრინავები თავგანწირულად იბრძოდნენ და გერმანელების ექვსი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

თვითმფრინავები გამარჯვებული ბრუნდებოდნენ. უცებ მტერმა საზენიტო ქვემეხებიდან ცეცხლი გახსნა და კისელოვის თვითმფრინავი დააზიანა. კისელოვი მძიმედ დაიჭრა. ბრძანების მიცემას აზრი აღარ ჰქონდა. თვითმფრინავი უფსკრულისკენ მიექანებოდა. რა ბედი ელოდა მფრინავს?

ვიქტორმა ბრძანება გასცა, ყველანი აეროდრომზე დაბრუნებულიყვნენ. თვითონ მარტო დარჩა. ისევ გაისმა საზენიტო ქვემეხების გრიალი, მაგრამ ვიქტორი ყუმიბარებს მარჯვედ უსხლტებოდა.

მთებში ძნელი იყო თვითმფრინავის დაშვება, მაგრამ ვიქტორმა თავი ვადასლო ამხანაგისთვის. მთებს შუა, მინდორზე უცებ კისელოვის თვითმფრინავი დაინახა. ვიქტორმა დიდი გაკირვებით დასვა თვითმფრინავი.

კისელოვი მძიმედ იყო დაჭრილი. საჩქაროდ გადაიყვანა თავის კაბინაში და აფრინდა.

მტერმა ისევ გახსნა ცეცხლი, ვიქტორის თვითმფრინავის გარშემო ჭურვები სკდებოდა. ნამსხვრევმა დააზიანა თვითმფრინავი. საჭე აღარ ემორჩილებოდა. ვიქტორიც დაიჭრა. თავბრუ დაეხვა. მოტორი ხან მუშაობდა, ხან ჩერდებოდა. სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. კაბინის დია კარიდან შემოვარდნილი ქარი სუნთქვას უადვილებდა. ქარის ზუ-

მუშნი მიქიაა  
ნაცნობი ფეხის ხმა

ზუნში ვიქტორს შვილის ხმა ესმოდა: „მამა, არ შეგარცხვენ.“ თვალები გაახილა. აეროდრომი ახლო იყო. უკანასკნელი ღონეც მოიკრიბა და აეროდრომზე დაეშვა.

ძლივს მიტრიალდა და ამხანაგს დახედა. კისელიოვი უსულოდ იწვა. ვიქტორმა ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, თვითონაც სამუდამოდ დახუჭა თვალები. უპატრონო, დაცხრილული თვითმფრინავი დადუმებული იდგა ტრიალ მინდორზე.

მეორე წელიწადს საპაერო ბრძოლაში ჩიხიც გმირულად დაიღუპა.

... შარშანდღამდე ყოველ დილა-საღამოს კადირი შვილების საფლავზე იყო და შვილებს ხმადაბლა ელაპარაკებოდა: ჯატი, ჩიჩ, სადა ხართ? თქვენი

ფეხის ხმას ას კაცში გამოვარჩევდი, არ გრცხვენიათ, ასე რომ დამტოვეთ... გესმით მამის ხმა?

კადირი აღარ დადის შვილების საფლავზე. აღარ ელაპარაკება შვილებს. წელიწადია, კადირი მიწას მიაბარეს, გმირი ვაჟკაცების გვერდით გაუთხარეს სამარე.

„არ შეგარცხვენ, მამა!“

ანატოლმა შეასრულა თავისი დაპირება. მამასავით უშიშარია, მამასავით უყვარს თავისი მიწა-წყალი. ჩვენც ვუყვარვართ, — ამბობენ მეზობლები კულანირხუაში.

ვერა მოტეხა დარდმა და ფიქრმა. თმაში ქაღარა გამოერია. ამ ოცდაორი წლის წინ უკანასკნელად გაიგონა ვიქტორის ფეხის ხმა. ამ ხმას ახლაც იმეორებენ დადუმებული კედლები.

თარგმნა ქეთევან ქუჩუაშვილმა





# კრიტიკა ზეგნობით

კონსტანტინე ლომაი

## შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე

როცა აფხაზურ ლიტერატურაზე, კერძოდ, მის პოეზიასა და პროზაზე ვფიქრობ, ჩემს თვალწინ მწვანე ხალიჩასავით იშლება ლიხნის ცნობილი მინდორი. ამ მინდორსაც აქვს თავისი გმირული წარსული და ბედნიერი აწმყო. იგი მრავალი ისტორიული მოვლენის ცოცხალი მოწმეა. საკმარისია ითქვას, რომ 1866 წელს სწორედ აქ იფეთქა მეცხრამეტე საუკუნის აფხაზეთის ისტორიაში გლეხთა უდიდესმა აჯანყებამ, რომელმაც თითქმის მთელი მხარე მოიცვა და ოლქის უფროსის, პოლკოვნიკ კონიარისა და სხვა ჩინოვნიკების მკვლელობით დამთავრდა. ლიხნის აჯანყების შემდეგ 1866 წელს კვლავ განმეორდა აფხაზი ხალხის ეროვნული ტრაგედია — დაიწყო აფხაზი ხალხის ძალდატანებითი გასახლება თურქეთში, ე. წ. მაპაჯირობა.

გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობდა აფხაზი ხალხი თავის მშობლიურ, მრავალტანჯულ მიწაზე. სიღარიბე მუდმივი თანამგზავრი გახდა აფხაზეთის, მაგრამ აფხაზი ხალხი არასოდეს არ დაცემულა სულიერად. იგი ოცნებობდა, ფიქრობდა უკეთეს მერმისზე. აქ, ლიხნის მინდორზე 1866 წლის შემდეგაც აფხაზი ხალხი არაერთხელ გამოსულა იარაღით ხელში ადგილობრივი მჩაგვრელებისა თუ თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ლიხნის განთქმული მინდორი კარგად იცო-

და დიდი ლენინის მოწაფემ და თანამებრძოლმა სერგო ორჯონიკიძემ, რომლის ხელმძღვანელობითაც აფხაზეთში გაიშალა მჩქეფარე რევოლუციური საქმიანობა და შეიქმნა აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური ორგანიზაცია. აქ, ამ მინდორზე ხშირად მსჯელობდა ხალხი თავის ბედობაზე, აქ, ამ მინდორზე მშრომელი ხალხის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის, ერთგული ლენინელის ნესტორ აპოლონის ძე ლაკობას მეთაურობით ხშირად იკრიბებოდა პარტიზან გლეხთა რევოლუციური წრე „კერაზის“ სახელწოდებით.

1921 წლის თებერვალ-მარტში ქართველი და აფხაზი მშრომელები საბოლოოდ გათავისუფლდნენ კაპიტალიზმისა და მენშევიზმის ბატონობისაგან. ზეიმობდა მთელი აფხაზეთი და ამ ზეიმის მონაწილე იყო ლიხნის ცნობილი მინდორიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთში არნახული ტემპით დაიწყო ეკონომიკისა და კულტურის აღორძინება და გაფურჩქვნა. ლიხნის მინდორი ახლა საერთო-სახალხო ზეიმისა და დღესასწაულების ადგილად იქცა. აქ ყოველწლიურად იმართება აფხაზური დოდი, მაგრამ ლიხნის მინდორი მარტო საუკეთესო აფხაზი მხედრების ასპარეზი როდია. იგი იქცა დიდი ლიტერატურული შეხვედრების ადგილად. ასე მაგალითად, გასულ წელს ლიხნში

ჩამოვიდა და თავის მკითხველებს შეხვდა აფხაზური პროზის დიდი წარმომადგენელი, რომანისტი ივანე გიორგის ძე პაპასკირი. საკოლმეურნეო კლუბმა ვერ დატია საღამოზე დასწრების ყველა მსურველი. მაშინ ხალხმა ლიხნის მინდორს მიაშურა. იგი თანდათან გაიქცა ხალხით, როგორც ეს მარულის დღეებში ხდება ხოლმე. და თუმცა აქ ერთმანეთს არ ეჯიბრებოდნენ მხედრები, მე, ამ ზღვა ხალხის შემყურეს, თვალწინ მაინც ორი არაა<sup>1</sup> მედვა. მეჩვენებოდა, რომ იმ მინდორზე, სადაც ჩვეულებრივ აფხაზური ცხენები სცილიან სისწრაფესა და გამძლეობაში ერთმანეთს, ახლა ორი არაა იყო გაჯიბრებული — აფხაზური პროზა და აფხაზური პოეზია. ეს უკანასკნელი დიდხანს უსწრებდა პროზას, მაგრამ ბოლო წლებში ორივე „არაა“ ერთმანეთის გვერდიგვერდ მიდიან: აფხაზური პროზა სიმწიფის ხანაში შევიდა. იგი კარგა ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და საკავშირო რეზონანსი მოიპოვა. და თუ ეს ასეა, ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის ივანე პაპასკირს.

ლიტერატურული სახელი მწერალს მოუტანა რომანმა „ხანგრძლივი სიცოცხლისათვის“.

ესაა პირველი რომანი აფხაზურ ლიტერატურაში, რომელიც სოფლის სოციალისტური გარდაქმნის თემას მიეძღვნა. ხსენებულ წიგნს მოჰყვა მრავალი მოთხრობა და რომანი. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქალის ღირსება“, — აფხაზურ ლიტერატურაში ყველაზე დიდი ნაწარმოები. რომანი სამი წიგნისაგან შედგება. რომანის თემაა თავისუფალი აფხაზი ქალი, სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი, ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი. რომანის მთავარი გმირი ქალის — საიდას სახის შექმნით ივანე პაპასკირი აგრძელებს ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელიც დიმი-

ტრი გულიას რომან „კამაქიჯი“ დაიწყო.

„ლამის გაფრინდე კაცი სიხარულით“, — ასე წერდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი იოსების ძე გულია, როცა ოცდაათიან წლებში აფხაზური მწერლობა მტკიცედ დადგა ფეხზე და უკვე ჰყავდა შესანიშნავი მწერლებისა და პოეტების მთელი ჯგუფი. მათ შორის ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ივანე პაპასკირი, რომლის დაბადების 60 წლისთავი გასული წლის მიწურულში უდიდესი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით აღნიშნა აფხაზმა ხალხმა.

გამოჩენილი აფხაზი ბელეტრისტის შემოქმედებას კარგად იცნობს რუსი და ქართველი მკითხველი. დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო ზეიმზე ცნობილმა ქართველმა მწერალმა დემნა შენგელიამ ასე მიმართა ივანე პაპასკირს: „ძვირფასო მეგობარო ვანო! ქართველი მწერლების სახელით გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ სახელოვან იუბილეს—დაბადებიდან 60 და სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავს. სამოცი წელი არაა პატარა დრო მწერლისთვის, რომელიც თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს და რომელსაც თავისი შემოქმედების ძნელ გზაზე არაერთი სიმწარე თუ დაბრკოლება შეხვედრია. მე წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი თქვენი რომანის „თემირის“ რედაქტორი, რომელიც გამოიცა ქართულად. მე კარგად ვიცნობ თქვენს წიგნს „ქალის ღირსება“ და მინდა გითხრათ: თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი ხართ არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში...“

— მე ბედნიერი ვარ, — იხსენებს ივანე პაპასკირი, — როცა ვიგონებ, თუ რა მზრუნველი ჰყავდა მთელ აფხაზურ ლიტერატურას და კერძოდ აფხაზურ პროზას დიმიტრი გულიას სახით.

მართლაც, აფხაზური მწერლობის აკვანი დიმიტრი გულიამ დააარწია. მან თავისი შესანიშნავი მოთხრობით „უცხო ცის ქვეშ“ შეაგულიანა და შთააგონა

<sup>1</sup> არაა — მერანი.



მომავალი აფხაზი პროზაიკოსები. ეს მოთხრობა აფხაზური პროზის წყაროა. ჩვენი პროზის დიდი მდინარე, რომელიც ახლა ღონიერ ტალღებს მიაგორებს უნაპირო ზღვისკენ, სწორედ მისგან იღებს სათავეს.

ყოველთვის, როცა აფხაზ ლიტერატორებს მიმართავდა, დიმიტრი გულია ამბობდა: „თამამად, ახალგაზრდა მეგობრებო! თამამად მოჰკიდეთ ხელი დიდი ლიტერატურის შექმნის საქმეს“. თავად კი ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოდა ნამდვილად დიდი, შთაგონებული ლიტერატურის შესაქმნელად. მისი რომანი „კამაჰიჭი“, აფხაზური პროზის უდიდესი ნაწარმოები, არაერთხელ გამოიცა რუსულ, ქართულ, აფხაზურ ენებზე. „კამაჰიჭი“ მწერალმა 1937 წელს დაასრულა. ამ დროისთვის იგი უკვე სამოც წელს იყო გადაცილებული. გასაკვირი არაფერია, რომ დიდი პროზაული ნაწარმოების შექმნას დიმიტრი გულიამ ასე გვიან მოჰკიდა ხელი. აფხაზური ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის ყველა უბანი ხომ მის ძლიერ მხრებს აწვა. და მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მათგანი ფეხზე დააყენა, მან წყნარად და აულეღვებლად მოხედა უკან შორეულ წარსულს და შექმნა რომანი. ნაწარმოებში გამოყვანილია აფხაზი ქალი კამაჰიჭი, რომლის ხასიათში თავიდან ბოლომდე ჩანს აფხაზი ხალხის დამახასიათებელი თვისებები: ვაჟკაცობა, სიამაყე, თავისუფლების სიყვარული, სიტყვის სიმტკიცე. თავისი რომანის მთავარ გმირად დიმიტრი გულიას შემთხვევით არ აურჩევია ქალი. აფხაზი ქალი ხომ გაჭირვების ქაშს მხარში ედგა ვაჟკაცს. არც ისაა შემთხვევითი, რომ როცა კამაჰიჭი დაიბადა, მას სწორედ ასეთი სახელი დაარქვეს—კამაჰიჭი ჩვენში ქალებსაც ქვიათ და ვაჟებსაც. კამაჰიჭი აფხაზი მკითხველის საყვარელი გმირია. სულიკოს მსგავსად, იგი უღარესად პოპულარულია ახლა აფხაზეთში და ხალხი თავიანთ ქალიშვილებს, სიხარულით არქმევს ამ სახელს.

მკითხველთა ფართო წრეებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დი-

მიტრი გულიას პატარა მოთხრობები, რომლებიც მწერალს თავისი მამის ნამბობთა მიხედვით შეუქმნია. ამ მოთხრობებში მწერალი დასცინის და ამთრახებს თავადებს, ბატონებს, ეკლესიის მსახურთ, მუქთახორებს. მოთხრობები ხასიათდება უკიდურესი ლაკონიურობით, ხატოვანი ფინალით, უღარესად დახვეწილი, სადა სტილით.

1919 წლის დასაწყისში გამოვიდა გაზეთი „აფხანის“ პირველი ნომერი. გაზეთის დიმიტრი გულია რედაქტორობდა. დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ დიმიტრი გულია გაზეთში წერდა: „1891 წელს ხელი მოვკიდე უმძიმეს საქმეს, რომელიც არაფრით ჩამორჩებოდა მიწის მუშის ჯაფას. იმავე წელს დაიწყო აფხაზური ანბანისა და დედაენის შექმნა (მათ შექმნაში მეხმარებოდა კ. მაკვაზარიანი). მაშინ მე ბევრს ვფიქრობდი და ვმარჩიელობდი, თუ რა გამოვიდოდა აქედან. მას შემდეგ 30 წელი გავიდა, და მე უკვე ვხედავ პირველ ყლორტებს... სამსონ ჭანბა ჩვენი გაზეთის დაარსების წუთიდან წერს სტატიებს თითქმის ყოველ კვირაში. მანვე დაწერა პიესა „მაჰაჯირები“, რომელიც ყველას ძალიან მოეწონა“.

**სამსონ ჭანბა** აფხაზური დრამატურგიის ფუძემდებელია. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც აფხაზური პროზის ბრწყინვალე ოსტატი, შესანიშნავი პოეტი, მოგზაურის შთაბეჭდილებების, ნარკვევებისა თუ მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური სტატიების ავტორი.

აფხაზურ პროზაში ჯერ კიდევ 30-იან წლებში მიიქცია ყურადღება სამსონ ჭანბას ნოველებმა და განსაკუთრებით მისმა მოთხრობამ „სეიდიკი“. აღნიშნული მოთხრობა აფხაზურ ლიტერატურაში დღესაც რჩება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეალისტური ნაწარმოები. მოთხრობაში აღწერილია ქვეყნის კოლექტივიზაციის პერიოდი. ავტორი მაღალმხატვრულად აღწერს კლასობრივ შეტაკებებსა და წინააღმდე-

**კონსტანტინე ლომია**  
შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე

გობებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ-  
ჯამად. მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ  
როგორ ეცლება საფუძველი კერძო სა-  
კუთრებას და ადამიანთა შეგნებიდან  
როგორ თანდათან ქრება ექსპლოატატო-  
რული წყობისაგან ჯერ კიდევ შემორ-  
ჩენილი მავნე გადმონაშთები.

სამსონ ჭანბა ცნობილია, როგორც  
ნოველის ოსტატი. მწერალი იყო სსრკ  
ცაკ-ის წევრი. 1924 წელს იგი მონაწი-  
ლეობდა ცაკ-ის სესიის მუშაობაში. მწე-  
რალი ესწრებოდა მსოფლიო პროლეტა-  
რიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლე-  
ნინის დასაფლავებას. მან მთელ პროფ-  
რესულ კაცობრიობასთან ერთად განი-  
ცადა უდიდესი სახალხო მწუხარება და  
მალაქმატკრულად გადმოსცა იგი ნა-  
წარმოებში „მატარებელი №6“.

დიდი სახელმწიფო და საზოგადოებ-  
რივი საქმეებით დატვირთული მწერალი  
მანაც პოულობდა დროს შეექმნა შესა-  
ნიშნავი ნოველები და მოთხრობები,  
რომლებითაც სამართლიანად ამაყოფს  
აფხაზური მწერლობა. მათგან განსაკუთ-  
რებული აღნიშვნის ღირსია „ტანჯვის  
სიმღერა“, „ო, ალლაპ, ალლაპ“ და  
სხვები.

1935-1937 წლებში სამსონ ჭანბა იყო  
სსრკ მწერალთა კავშირის სარევიზიო  
კომისიის წევრი. მას ახლო მეგობრობა  
აქავშირებდა მ. გორკისთან, ა. ფადეევ-  
თან, კ. ფედინთან, ა. ბარბიუსთან, ლ.  
ქიჩელოვთან, მ. ჯავახიშვილთან, ტ. ტა-  
ბიძესთან, და სხვა გამოჩენილ მწერ-  
ლებთან. ამგვარ შემოქმედებით ურთი-  
ერთობაში იზრდებოდა და ვაჟკაცდებო-  
და მისი ნიჭი.

აფხაზები ამბობენ: „თუ აფხაზის  
გულში ცოცხლობს ალამისი, მაშინ მას  
ადგილიდან ასი უღელი კამეჩიც ვერ  
დაძრავს“. სწორედ ამ ალამისზე და  
ხალხის სულზე მოგვითხრობს მიხეილ  
ლაკერბაის ნოველები. მისი ნოველების  
წიგნი შედგება მოკლე, მძაფრ სიუჟეტი-  
ანი, ხალხის სიბრძნით გაელენთილი ნა-  
წარმოებებისაგან. ეს წიგნი მოხუცების  
ნაამბობის მიხედვით შექმნა ავტორმა  
და სათაურად „ალამისი“, ე. ი. ხალხის  
ღირსება და სინდისი უწოდა. ალამისი

აფხაზისთვის ნიშნავს სამშობლოსადმი  
ერთგულებას, მეგობრის ვატანას, სიტ-  
ყვის გაუტეხელობას, სიყვარულის სიწ-  
მინდეს, ვაჟკაცობას, სიმამაცეს, თავაზი-  
ანობას... ნოველაში „ალამისი“ მიხეილ  
ლაკერბაი გადმოგვცემს მოხუცის ნაამ-  
ბობს: „ეს მოხდა ორმოცი წლის წინათ.  
ჩემმა უმცროსმა დაიკომ — უღამაზესმა  
ჩემსამ — თვალები დაიზიანა. იგი მხო-  
ლოდ 16 წლისა იყო. საღ არ მყავდა,  
რომელ ექიმს არ ვაჩვენე, მაგრამ თვა-  
ლების მორჩენა არ იქნა, დღით-დღე  
აკლდებოდა სინათლე. და როცა დარწ-  
მუნდა, რომ მისი ბოლო უსინათლობა  
იყო, მან ისარგებლა ჩემი შინ არ ყოფ-  
ნით და მატარებელს ჩაუვარდა... ხალხ-  
მა იცნო იგი, მოიტანეს მისი დასახი-  
რებული სხეული და საწოლზე დააწვი-  
ნეს.

ირგვლივ ირეოდა აურაცხელი ხალხი.  
მე შესმოდა მათი საუბარი:

— რატომ აცვია მამაკაცის შარვალი?

— იქნებ საცვლები არ ეცვა, ა?

მე ვიცანი ჩემი შარვალი. მეზობლის  
ქალემა გახადეს შარვლი ჩემსას, მას  
გაქაბათებული საცვლები ეცვა.

— რაშია საქმე, რატომ ჩაიცვა კაც-  
ის შარვალი? — გაკვირებული ფიქრობდა  
ხალხი, და მხოლოდ ერთი მათგანი მიხვ-  
და, თუ რატომ მოიქცა ასე ჩემი დაიკო:

— ალამისი!

მას შეეშინდა, რომ მატარებელს შეეძ-  
ლო მისი გაშიშვლება, და ძმის შარვალი  
ჩაიცვა...

მოხუცი დუმდა, მერე მომიბრუნდა  
და მითხრა:

— გიკვირს, არა? რომ სიკვდილს შე-  
რიგებული ჩემსა თავის სიშიშვლზე  
ფიქრობდა!

ასეა, სიკვდილზე ძლიერია ალამისი...“

მიხეილ ლაკერბაის ნოველებიდან  
ბევრი ხალხური სიბრძნისადრია მიძ-  
ღენილი. აი, ერთი მათგანი: „1946 წელს  
აფხაზეთში ჩამოვიდა ცნობილი ინგლი-  
სელი მწერალი ჯონ პრისტლი. მან მო-  
ინდომა მოხუცებთან შეხვედრა და  
აი, წარუდგინეს 147 წლის შხან-  
გერი ბეანია, რომელიც სოხუმიდან 40  
კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს.

— მე ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში, — მიმართა პრისტლიმ მოხუცს თარჯიმანის საშუალებით, — რათა გავეცნო აფხაზ ხალხს.

— მერე? მოგეწონათ ჩემი ხალხი? — ჰკითხა შხანგერამ მწერალს.

— ძნელია ჯერ ამაზე ლაპარაკი, მე ხომ მხოლოდ ოთხი დღეა, რაც ჩამოვედი, — უპასუხა პრისტლიმ.

— მაგრამ აფხაზი ხალხის ხასიათის ერთი თვისება თქვენ უკვე შეგეძლოთ შეგეტყვასებინათ!

— კერძოდ რომელი? — იკითხა მწერალმა.

მოხუცი ეშმაკურად წუთრავდა თვალებს და ილიმებოდა.

— გემოვნება, — თქვა მან. — მგონი ცუდი ქვეყანა არ აღუჩევია საცხოვრებლად ჩემს ხალხს, არა? ბევრი მზე, ყვაილები, ნაყოფი...“

მიხეილ ლაკერბაის ნოველებში ოსტატურადაა გახსნილი აფხაზი ხალხის ხასიათი, მისი კაცთმოყვარეობა, სიმამაცე, სტუმართმოყვარეობა, პატიოსნება, შრომის სიყვარული. ამიტომაც მწერლის „აფხაზურ ნოველებს“ ბევრი მკითხველი და დამფასებელი ჰყავს. ეს მოთხრობები თარგმნილია არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ ბევრ მათგანს იცნობს აგრეთვე ფრანგი, გერმანელი, ესპანელი, არაბი, კორეელი, პოლონელი და ინგლისელი მკითხველი.

აფხაზური პროზის განვითარების საქმეში თავიანთი მოკრძალებული წვლილი აქვთ შეტანილი უფროსი თაობის მწერლებს **მ. ხაშბას, ვ. აგრბას, დ. დარსალიას, პ. ჭკადუხას, ს. კუჩბერიას.**

ჩვენს ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობილი საბჭოთა მწერლის **გიორგი გულიას** შემოქმედებას. ჯერ კიდევ ომამდე დაწერილ მოთხრობაში „შურისძიება“ ავტორი მკითხველს აცნობს რევოლუციამდელი აფხაზეთის ყოფაცხოვრებას. 1948 წელს გამოვიდა გიორგი გულიას ცნობილი მოთხრობა „გაზაფხული საკენში“. ამ მოთხრობის გმირების შემდგომ ბედზე მოთხრობილია მწერლის სხვა ნაწარმო-

ებებში: „კეთილ ქალაქსა“ და „კამაში“. მოთხრობაში „შავი სტუმრები“ ასახულია თავისუფლებისმოყვარე აფხაზი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ომისშემდგომ წლებში აფხაზური მხატვრული პროზა გამდიდრდა ახალი ნაწარმოებებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებითაა გაყენებული **ქიაზიმ აგუშაას** შემოქმედება. მისი მოთხრობა „ტყვე“ ეხება დიდი სამამულო ომის თემას. მოთხრობის გმირი, პარტიზანი ადამური, რომელიც ტყვედ ჩავარდნია გერმანელ ფაშისტებს, მწერალს დახატული ჰყავს, როგორც უდრეკი პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი. ქიაზიმ აგუშაა თავად იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე. სწორედ ამან განაპირობა ის ამბავი, რომ მისი საუკეთესო მოთხრობებისა და ნოველების მეტი წილა ომის თემას ეხება („დაუღვრელი ცრემლები“, „დედის სიყვარული“, „თემრაზი და ცოცანა“). ნაადრევმა სიკვდილმა არ დაცალა მაღალნიჭიერ მწერალს დაესრულებინა საინტერესოდ მოფიქრებული რომანი „წყარო“.

პროზაიკოსმა **მუშინი პაპასკირმა**, რომელმაც შემოქმედებითი მარცხი განიცადა რომანის ქანრში მუშაობისას, ამ ცოტა ხნის წინათ ეურნალ „ალაშარას“ ფურცლებზე გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო მოთხრობა, დაწერილი თანამედროვე თემაზე.

აფხაზური პროზა აღმავლობას განიცდის. დიდი შემოქმედებითი გამოცოცხლება იგრძნობა მწერალთა ახალგაზრდა თაობაში. თანდათან დაწინაურდა ნიჭიერი ახალგაზრდა ბელეტრისტი **ალექსი გოგუა**. იგი ავტორია საინტერესო მოთხრობისა „მდინარე მისისწრაფის ზღვისაკენ“, რომელიც გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა რუსულად. მისი მოთხრობებისა და ნოველების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი „თოვლი და ელვა“, „თეთრი ცხენი“ და

„ახალი მთვარე“ უკანასკნელი წლების აფხაზური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. ამჟამად ახალგაზრდა პროზაიკოსი ამთავრებს მუშაობას თავის პირველ რომანზე „რკინის ვაშლი“. რომანის თემაა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, კომუნისტური შრომის დამკვირვებელი საქმიანობა.

ალექსი გოგუას თანატოლია ასაკითაც და შემოქმედებითი მუშაობის სტაქითაც ახალგაზრდა სინტერესო დრამატურგი შოთა ჭკადლა. მისმა მოთხრობებმა „ქარაფშუტა ქალი“ და „სიცილი ყველას შეუძლია“ აფხაზი მკითხველის მოწონება დაიმსახურა. გარკვეული წარმატებები მოიპოვა პროზაში ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ნელი თარბამ. მისმა მოთხრობამ „მაცისა“, რომელიც ყურნალ „ალაშარაში“ გამოქვეყნდა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

აფხაზური პროზის დიდ აღმავლობაზე მეტყველებს ლიტერატურაში ბელეტრისტთა სულ ახალი და ახალი ძალების გამოჩენაც. უკვე გამოსცეს თავიანთი პირველი წიგნები ალექსი ჯენიამ, შამილ აყუსბამ, შალოდია აფინჯალმა, ნური ბარათელიამ, მუშნი პაპასკირმა, თებ გურჯუამ, ჯუმეა ახუბამ და სხვებმა.

უკანასკნელ წლებში ბევრი ჩვენი პოეტი გაიტაცა პროზამ (ივანე თარბა, შალვა წიყება, ალექსი ჯონუა, ჭიჭიკო ჯონუა, ნელი თარბა). პროზით ამგვარი გატაცება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს პოეტებს პოეტური დენთი შემოაკლდათ. ეტყობა, ჩვენი პოეტები ხელმძღვანელობენ მაქსიმ გორაკის ცნობილი გამოხატულებით: „ნუ იქნებით მხოლოდ ლირიკოსი, ნუ გამოამწყვდევთ თქვენს სულს თქვენს მიერვე აგებულ გალენაში, სცადეთ იყოთ იუმორისტიც, ეპიკოსიც, სატირისკოსიც და უბრალო მხიარული კაციც. უნდა ყველაფერი აკეთოთ და ყველაფერი მისცეთ ცხოვრებას, ხალხს“.

ერთ-ერთმა ჩვენმა წამყვანმა პოეტმა ივანე თარბამ გამოსცა რომანი „ცნობილი სახელი“. ნაწარმოები ჩვენს დღე-

ვანდელ ცხოვრებას ეხება. რომანში სინტერესოდაა დახატული მთავარი გმირის, პარტიკომის მდივნის სახე.

ჩვენმა მეორე პოეტმა ჭიჭიკო ჯონუამ (სინტერესო მოთხრობის „გულისა შლარბას“ ავტორმა) 1962 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „თეთრი კლდე“. მოთხრობა „თეთრი კლდე“ სიყვარულის ნამდვილი ჰიმნია.

როგორც დავინახეთ, ჩვენი პროზა ნამდვილად აღმავლობის გზაზეა და გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული. მაგრამ მას ჯერ კიდევ გააჩნია არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ თითქმის არ ასახულა ქალაქური ყოფა, მუშებისა და ინტელიგენციის ცხოვრება. დაუმსახურებლადაა მივიწყებული აგრეთვე ისტორიული თემატიკა. უკონფლიქტობის მავნე თეორიის ნარჩენები ჯერ კიდევ ახდენს გავლენას ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ზოგიერთმა მწერალმა ვერ აქნა და ვერ დააღწია თავი შაბლონს, ტრაფარეტსა და წინასწარ აკვიატებულ სქემებს.

აფხაზი პროზაიკოსების ამოცანაა შექმნან სისხლსავსე, მაღალმხატვრული ნაწარმოებები ჩვენს მშობლიურ მხარესა და ხალხზე. ჩეხოვი ამბობდა: — „ზღაპრულ აფხაზეთში ყოველი ბუჩქიდან შემოგატყვრით გამზადებული პოემა თუ მოთხრობა“.

აფხაზები მომღერალი ხალხია. აფხაზი კაცი მღერის სიხარულის დღეებშიც და გაჭირვების ეპოქაც. კარგი სიმღერა ჭრილობას უამებს კაცს. აფხაზური სუფრა, რა მდიდრულიც არ უნდა იყოს, მწირ სუფრად ითვლება უსიმღეროდ. აფხაზთა პირველი სიმღერები უხსოვარ დროსაა შექმნილი მათი შორეული წინაპრების მიერ. ესაა დიდი ნართების სიმღერები. ნართული ეპოსის ერთ-ერთ გმირს ქიათავანს ფარა პყავდა მთებში. სიცხისაგან მოთენთილს თურმე ქვაზე მიიძინა. ცხვრები ველზე გაფანტულან. შესევნიან ლერწმოვანს და დაუწყიათ ტოტების მტკრევა. ვილაცას მძინარისათვის დაუყვირია: ეპეი, ქიათავან, რა მოგდის! ვერ ხედავ, როგორ დაამტკრი-

ეს ცხვრებმა ლერწამი, მთელი შენი ავლადიდება? ქიათავანი წამომბტარა, მაგრამ უკვე გვიანდა ყოფილა. ცხვრებს მხოლოდ ლერწმის ძირებიდა გადარჩენოდათ. ერთადერთი ძირი გადარჩენილიყო და მასაც ცხვარი მიეტანა. ქიათავანმა გამოსტაცა ცხვარს ლერწამი, მაგრამ ზედ კბილების ანაბეჭდები მაინც დამჩნეოდა. როცა ქარმა დაუბერა ლერწამს, ნახვრეტებიდან საამო მუსიკა გადმოიღვარა. ასე გაჩნდა სალამური, რომელზეც მწყემსმა იმღერა პირველად თავისი სინარულიცა და ტკივილიც:

ჩაპბერა ბიჭმა და სალამურის  
მუდარა მისწვდა ცისკიდეს ნათელს.  
იმ საგალობლით მწყემსმა ლომური  
მაჯა შეუქო დიდებულ ნართებს.  
და იმ წუთიდან ლერწამის ყელი  
აფხაზი ხალხის დიდებას მღერის.

მას შემდეგ დაიბადა ნართების დიდი სიმღერა და სალამურმა გაუძლო საუკუნეებს. და აი, 1912 წელს თბილისში გამოიცა აფხაზური ლექსების პირველი წიგნი, რომელიც თითქოს გაგრძელება იყო დიდი ნართების პირველი სიმღერი-სა. ამ წიგნის ავტორი იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი **დომიტრი გულაია**.

დომიტრი გულია დაიბადა გლეხის ოჯახში, მდინარე კოდორის ნაპირას, იმ ადგილას, რომელიც ასე შესანიშნავად აქვს აღწერილი მაქსიმ გორკის მოთხრობაში „ადამიანის დაბადება“. დომიტრი გულიამ, ისე, როგორც არავინ, შეიცნო მშობელი ხალხის სული და გამოხატა მისი მისწრაფებანი და გატაცებანი. დომიტრი გულიას მრავალმხრივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერად გაიშალა აფხაზეთში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ.

პოეტისთვის მშობელი ხალხის გათავისუფლება უდიდესი შთაგონება იყო. მას ერთნაირად აინტერესებდა ყველაფერი, რაც მის ხალხს, მისი პატარა ქვეყნის კულტურას შეეხებოდა: ანბანის განახლება, ლექსი და მოთხრობა, პიესა და რომანი, თეატრი თუ სამ-

შობლო ქვეყნის ისტორია, მეცნიერული ნაწარმოები თუ ეთნოგრაფიული წერილები.

დომიტრი გულია ხალხის წიაღში იშვა, მისმა ნიჭმა შეიწოვა ხალხური ზეპირსიტყვიერების სიტკბო და სიბრძნე. იგი ოსტატურად იყენებდა თავის შემოქმედებაში ხალხური პოეზიის სახეებს და აპყავდა იგი ნამდვილი კლასიკური ლექსის სიმადლემდე. დომიტრი გულია არ იკეტებოდა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში. იგი შემოქმედებითად ითვისებდა რუსული და განსაკუთრებით ქართული კლასიკური ლიტერატურის მიღწევებს. პირველი აფხაზი პოეტი სიყვარულით მიმართავდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ქართველ მწერალთა შემოქმედებას. ილია და აკაკი მისთვის მისაბაძი მაგალითი იყო. **ჯერ კიდევ 1918 წელს დომიტრი გულიამ აფხაზურ ენაზე თარგმნა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“**. ამ ბრწყინვალე პოემამ სამართლიანად დაიჭირა ღირსეული ადგილი აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში.

დომიტრი გულია, ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მსგავსად, შესანიშნავად იცნობდა რუსული კულტურის მიღწევებს და ხშირად მიმართავდა მას, როგორც შთაგონების წყაროს. მწერალი მუდამ აქტიურად იბრძოდა ყველა იმით წინააღმდეგ, ვისაც სურდა გაეთიშა და ერთმანეთისათვის წაეკიდებინა ხალხები. თავისი დიდი თანამედროვის აკაკის მსგავსად მასაც შეეძლო ეთქვა: „ჩემი ოცნებაა ყველა ხალხის საყოველთაო ბედნიერება, დაფუძნებული ერთმანეთის მეგობრობაზე“.

დომიტრი გულიას პოეზია, ეს უპირველეს ყოვლისა აფხაზი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლა და შრომაა. სწორედ ამიტომ, დომიტრი გულიას პოეზია მთელი ძალით გაიშალა და შემოქმედების მწვერვალებს მიწვდა ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ. მისი

**კონსტანტინე ლომია**  
შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე  
107





ლექსები და პოემები მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს საერთო კუთვნილებად იქცა.

დიმიტრი გულიამ ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა. იგი მოესწრო ჩვენს აფხაზეთს სწორედ ისეთს, როგორზედაც სიჭაბუკეში მხოლოდ ოცნება შეეძლო, და რომლისთვისაც მრავალი ღამე თეთრად ათია. ერთ თავის ლექსში პოეტი ამბობს:

სულ სხვა დიმილით იღივება ქვეყანა ჩვენი.

მე ამ ახალი აფხაზეთის აკვანს ვარწველი და ვაღიდეზღი მშობლიურ ლენინს გულთ, სიმღერით, საქმით, ნაწერით...

დიმიტრი გულიას სახელი განუყრელადაა დაკავშირებული აფხაზეთთან. ყველამ, ვინც იცის აფხაზეთი, იცის დიმიტრი გულიაც. და ეს სრულიადაც არაა შემთხვევითი. ამის შესახებ კარგად თქვა შვერალმა კონსტანტინე სიმონოვმა: „როცა დიმიტრი გულიაზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგას შორეული, პატარა, მაგრამ დიდებული აფხაზეთი. მე მიყვარს ეს კუთხე, მიყვარს, როცა მასთან ვარ, მიყვარს შორიდანაც. ვაცნობის, ზოლო შერე სულიერი დაახლოების პირველი დღეებიდანვე ეს კუთხე ჩემთვის განუყრელად იყო დაკავშირებული დიმიტრი გულიას სახელთან, მის პიროვნებასთან. მისი სახლი ჩემთვის ამ მშვენიერი ქვეყნის კარებად იქცა. მაგრამ მართო ჩემთვის როდია ეს ასე. ბევრს, ძალიან ბევრს შეუძლია გაიშეოროს ეს სიტყვები“.

დიმიტრი გულიას ესოდენ მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო ყოველთვის აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სახალხო პოეტის დამსახურებას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ოთხი ორდენით.

ხალხური შემოქმედების სახლში ერთი ძალზე საინტერესო სურათია. სურათზე გამოსახულია ასი წლის აფხაზი მოხუცები. მათ შორისაა დიმიტრი გუ-

ლიაც, თუმცა სურათის შექმნის მომენტში ის მხოლოდ 80 წელს იყო მიღწეული. დღეს, როცა ამ სურათს ვუყურებ, გული მწყდება, რადგან სურათზე გამოსახული ყველა მოხუცი ცოცხალია, დიმიტრი გულია კი აღარაა ჩვენს შორის. 1960 წლის 7 აპრილს შეწყვიტა ფეთქვა მისმა დიდმა გულმა. მან ვერ იცოცხლა სხვა აფხაზი მოხუცებზეთ ასი წელი, მაგრამ სამაგიეროდ მისი უკვდავ შემოქმედება გაუძღვებს საუკუნეებს.

რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა **სამსონ ჭანბა**. პოეზიაში მან, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა რამ დაავითოვია. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოემა „მთიელი ქალწული“. ეს მისი აღრინდელი ნაწარმოებია, რომელიც ღრმა ეროვნული თავისებურებებით ხასიათდება და განმსჭვალულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების რომანტიკით. შემდგომში სამსონ ჭანბას შემოქმედება სოციალისტური რეალიზმის გზებით წარიმართა.

ძალზე ადრე ჩაქრა აფხაზური პოეზიის ბრწყინვალე ვარსკვლავი. უნიჭიერესი პოეტი 30-იანი წლებისა — **იუა კოდონია**. მისი შემოქმედების მთავარი მასაზრდოებელი წყარო ხალხური ზეპირსიტყვიერება იყო. მოღვაწეობის მოკლე პერიოდში მან მოასწრო შეექმნა რამდენიმე უაღრესად საინტერესო პოემა: „ნავეი და იზაუჩი“, „მონადირე ხმინი“, „აბათაა ბესლანი“, „ხასხან აჩბა და ბესლან ჟანაას შვილები“, რომლებიც სამართლიანად დამკვიდრდა აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში. იუა კოდონიას შემოქმედება, — ეს იყო ახალი აღმოჩენები აფხაზურ ლიტერატურაში. მისი პოეზია გამოირჩევა ღრმა შინაარსით, შეკრული კომპოზიციით, სიუჟეტური სიტუაციების სიმძაფრით, უბრალოებითა და ლაკონიურობით, სინათლითა და ხატოვანი, მაგრამ გასაგები და დახვეწილი ენით. იუა კოდონიას ლექსები და პოემები იმდენად პოპულარულია აფხაზეთში, რომ ბევრ მათგანს ხალხი მღერის, როგორც ხალხურ

ნაწარმოებებს, და არ იცის, რომ ეს შე-  
სანიშნავი მარგალიტები მაღალნიჭიერი  
მხატვრის ფუნჯითაა შექმნილი.

არც ნიჭიერ პოეტს **ლევარსა კვიცი-  
ნიას** დასცალდა ბევრი. იგი 1939 წელს  
წავიდა საბჭოთა არმიაში. როცა ჩვენს  
სამშობლოს ფაშისტ დამპყრობთა ურ-  
დოები შემოესია, ლევარსა კვიციანია  
ერთ-ერთი პირველთაგანი დაეცა გმი-  
რული სიკვდილით, ჩვენი ქვეყნისა და  
ხალხების საკეთილდღეოდ.

და მაინც, თავისი ხანმოკლე სიცოცხ-  
ლის მანძილზე ნაყოფიერი იყო პოეტის  
შემოქმედება. მას დამსახურებული პო-  
პულარობა მოუტანა პოემებმა „შარი-  
ზანმა“ და „დაურმა“, აგრეთვე ლექსე-  
ბის კრებულმა „ახალი დრო“. ლევარსა  
კვიციანია ახალი, სოციალისტური აფხა-  
ზეთის მგზნებარე მომღერალი იყო. იგი  
არ წერდა ბევრს, მაგრამ მაინც მუდამ  
ლექსებით ცოცხლობდა. მის გულში ჩა-  
უჭრობლად ენთო ადამიანის სიყვარუ-  
ლი და ამ დიდ და წრფელ სიყვარულს  
მუდამ გამოხატავდა ლექსით თუ მოღვა-  
წეობით. იგი ენერგიული, დაუზარელი  
მშრომელი იყო. წლების მანძილზე ხელ-  
მძღვანელობდა აფხაზეთის მწერალთა  
ორგანიზაციას და თავდადებით ზრუნავ-  
და ჩვენს ლიტერატურაზე, ფიქრობდა  
მის ხვალისდელ დღეზე. იგი ინტენსიურ  
მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეო-  
და. ბევრი ქართველი, რუსი, ოსი და  
უკრაინელი პოეტი პირველად ლევარსა  
კვიციანიამ გააცნო აფხაზ ხალხს.

მას უყვარდა ზღვა, მწვანე მინდვრე-  
ბი, დაცემული ჭალები, მაგრამ ყველა-  
ზე მეტად მაინც მთები უყვარდა, მის  
კალთებზე ცოცვა, მწვერვალების და-  
პყრობა და მერე სიმაღლეებიდან შორს,  
ძალიან შორს ყურება.

ლევარსა კვიციანიას აქვს ლექსი  
„აფსნი“ (აფხაზეთი). პოეტი წერს:

აფსნი მე მიყვარს შენი მინდვრები,  
ნაკადულებით გადაზაზული.  
სადაც არ ვიყო, — შენ მომინდები  
და შენი ლურჯი ცა აფხაზური.  
რაც უფრო შორს ვარ,

რაც უფრო შორს ვარ,  
ვგრძნობ უფრო ახლოს, და მინდა ვუთხრა  
შენს ამაყ ქედებს სიმღერა-ლოცვა,  
და ჰაფს სიცოცხლე შეივებო სუნთქვად.

ისევე, როგორც შორს მყოფი პოე-  
ტისათვის ორჯერ უფრო ახლოა აფსნი,  
ჩვენთვისაც უფრო და უფრო ახლობელი  
ხდება პოეტის სახელი, დრო ვერ აბე-  
რებს მის უდავო ნიჭიერებით აღბეჭ-  
დილ ლექსებს.

როცა პიტლერელთა ურდოები თავს  
დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, ბევრმა აფხაზ-  
მა პოეტმა და მწერალმა თოფი აიღო და  
სამშობლო ქვეყნის დასაცავად გაემარ-  
თა. სამამულო ომის ფრონტებზე მამა-  
ცურად იბრძოდნენ ქიაშიმ აგუშაა, სან-  
დრო კუჩბერია, მიხეილ გოჩუა, ჭიჭიკო  
ჯოჩუა, ალექსი ჯოჩუა, ვლადიმერ ჩი-  
ჩერია და სხვები. ყველა მათგანს არ  
ხვდა ბედნიერება დასწრებოდა გამარ-  
ჯების დიდ დღესასწაულს.

ფრონტიდან დაბრუნებული ნიჭიერი  
აფხაზი პოეტი ქიაშიმ აგუშაა ბრძოლებ-  
ში მიღებული მძიმე ჭრილობებისაგან  
გარდაიცვალა. ბრიანსკის ტყეებში პარ-  
ტიზანად ყოფნისას ქიაშიმ აგუშაა ოცნე-  
ბობდა მარადიულ მშვიდობაზე, რომე-  
ლიც მისი ქვეყნისთვის ფაშისტზე გა-  
მარჯვებას უნდა მოეტანა.

ძალზე ძლიერია ქიაშიმ აგუშაას  
ფრონტული ლირიკა. ლექსში „გენაც-  
ვალე“ პოეტი სამშობლოს მიმართავს:

ამ ვოლითი მთებისთვის ვიბრძვი,  
მეჭახის შენი ზღვა და მინდვრები,  
მე შენი პირმშო და შენი ღვიძლი  
მტერთან ბრძოლაში არ შეეშინდები.

პოეტმა **ლეონტი ლაბაზუამ** თავისი  
საუკეთესო ნაწარმოებები ინდუსტრი-  
ულ ტყვარჩელს მიუძღვნა. მის პოემა-  
ში „ტყვარჩელის ხმა“ მკითხველს ესმის  
ლაღუმების აფეთქებათა გუგუნი, ჩაქუ-  
ჩების ხმები, მაღაროელთა შეძახილე-  
ბი. პოემა მართლაც რომ მშვიდობიანი  
შემოქმედებითი შრომის ხმასავით  
მღელვარე და მრავალფეროვანია.

**კონსტანტინე ლომია**  
შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე

აფხაზური პოეზია განსაკუთრებით გაიზარდა და დავაჟიკადა უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე. მისი ეროვნული სპეციფიკა უფრო და უფრო გამოიკვეთა, ახალი ფერები შეიძინა, გამრავალფეროვნდა რიტმული თვალსაზრისით. დღეს აფხაზური პოეზიის წარმატებები კარგადაა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. - აფხაზური პოეზიის მაგალითზე თვალნათლივ ვხედავთ, თუ საბჭოთა სინამდვილემ როგორ შეუქმნა ყოველგვარი პირობები მცირერიცხოვან ერებს დიდი ლიტერატურის, დიდი კულტურის შესაქმნელად.

ერთ-ერთი წამყვანი აფხაზი ლიტერატორი შალვა წვიჟბა უკანასკნელ წლებში ენერგიულად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის უნარში. მისი საბავშვო ლექსების კრებული „საუცხოო ბაღი“ გამოიცა მოსკოვსა და თბილისში.

1933 წელს გორკი წერდა აფხაზ მწერლებს: „შეისწავლეთ ხალხური ზეპირსიტყვიერება, შეავსოვეთ და ჩაიწერეთ აფხაზური სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდები, აღწერეთ ძველი წესჩვეულებანი“.

გორკის ამ კონკრეტულ რჩევა-დარიგებას კეთილსინდისიერად ასრულებენ აფხაზი პოეტები. ამ მხრივ ბევრი აქვს გაკეთებული გამოჩენილ აფხაზ პოეტს ბაგრატ შინკუბას, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის აფხაზური პოეზიის ფორმირების საქმეში. იგი არის პოეტიკ, ფოლკლორისტიკ და მეცნიერი-ლინგვისტიკ. მდიდარი და თავისებურია ბაგრატ შინკუბას ლირიკა. იგი გამოირჩევა აზრობრივი სიღრმით, ხალხურობით და გადმოცემული გრძნობების სიმართლით. ბ. შინკუბა ძლიერია აგრეთვე სინამდვილის ეპიური სურათების ხატვისას. მისი რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულენი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა აფხაზურ ლიტერატურაში. ესაა ფართო, მრავალპლანიანი ეპიური ტილო. ავტორმა გამოამკლავა ადამიანებს, ხასიათების, მთლიანად ცხოვრების ღრმა ცოდნა. რომანი „ჩემი თანამემამულენი“ პიროვნების კულტის ბატონობის წლებში დაიწერა. ამიტომ ცხა-

დია, პიროვნების კულტს არ შეიძლება და თავისი ერთგვარი დალი არ დამჩნია ნაწარმოებზე. ამჟამად ბაგრატ შინკუბამ გადაამუშავა და შეავსო პოემარომანი და უკვე მზად აქვს გამოსაცემად მისი ახალი ვარიანტი.

დღევანდელი აფხაზური პოეზია, თუ მისი საუკეთესო ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისწრაფვის უფრო ღრმად გამოხატოს ჩვენი თანამედროვე ადამიანის აზრები და მისწრაფებანი, უფრო ღრმად ჩასწვდეს და მაღალმხატვრულად ასახოს მისი სულიერი სამყარო. ყველა ამ თვისებითაა აღბეჭდილი ბაგრატ შინკუბას წიგნი „ზაფხული“, რომელიც 1962 წელს გამოქვეყნდა. კრებულის საუკეთესო ლექსები „ლენინთან“, „ჩემი რესპუბლიკა“, „ორ ზღვას შორის“ და სხვები გვხიბლავს აზრის სიღრმით, ფერების სიახლითა და ნამდვილად პოეტური, მძაფრი ტემპერამენტით. ამ ლექსებს უკვე იცნობს მკითხველთა ფართო წრე, ისინი გამოიცა მოსკოვსა და თბილისში.

ჩვენ დავიბადეთ და ვცხოვრობთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად შენდება კომუნიზმის ნათელი შენობა. ჩვენ მოწმენი ვართ უდიდესი საგმირო საქმეებისა. ამ საქმეების შემოქმედია ჩვენი ადამიანი, ჩვენი თანამედროვე, რომელმაც ყველა ზღაპარი და ლეგენდა გააუფასურა თავისი მართლაც და ზღაპრული სასწაულებით.

მხატვრული სიტყვის ოსტატის უწმინდესი მოვალეობაა უმღეროს ამ ადამიანთა ლეგენდარულ საქმეებს, მათს გამიჯულ შემართებას. თანამედროვეობა — საბჭოთა ლიტერატურის სული და გულია. ეს ლოზუნგი მუდამ იყო და არის ჩვენი კულტურის უცვლელი მამოძრავებელი ძალა. ყოველი მწერალი მოვალეა იაროს თანამედროვეობის მხურვალე ნაკვალევზე.

ამ დღეისი ერთგული იყო ყოველთვის გამოჩენილი აფხაზი პოეტი ივანე თარბა. უკანასკნელ წლებში იგი ბევრს მუშაობს სცენარებსა და პროზაზე,



ამასთან ყურნალ „ალაშარაში“ გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო ლირიკული ლექსები კორეაზე. ივანე თარბას პოეზია კარგადაა ცნობილი ქართველი, რუსი თუ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებისათვის. პოეტის თემატიკა მრავალფეროვანია. იგი არ იფარგლება შრობითი კუთხით. ამაზე მეტყველებს ივანე თარბას ლექსები მოსკოვსა თუ ვოლგა-დონის არხზე, ციმლიანსკის ზღვასა თუ მეფოლადების შრომაზე, მეტეზზეებსა თუ კოლმეურნეებზე.

ნიჟიერი პოეტები, ძმები **ალექსი და კიკიკო ჯონუები** ერთგულად ემსახურებიან აფხაზური პოეზიის განვითარების საქმეს. მათი შემოქმედების უმთავრესი თემა ჩვენი მღელვარე თანამედროვეობაა.

თავისი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდში გამოაქვდა აფხაზურ მწერლობას **ალექსი ლასურია**. იგი ლაპარაკობდა „მთელი ხმით“, ბეჯითად სწავლობდა მიაიკოვსკისაგან, მიჰყვებოდა მის პოეტურ ტრადიციებს და თავის საუკეთესო ლექსებში მგზნებარედ და მაღალემოციურად უმღეროდა ხვალინდელი დღის მშენებლებს. ალექსი ლასურიას ლექსები დიდ სულიერ მღელვარებას განაცდევინებს მკითხველს. ამ ლექსების ლირიკული გმირი, როგორც წესი, ჩვენი თანამედროვე კაცია. პოეტი მაღალოსტატურად გადმოგვცემს მის ფიქრს და სიხარულს, ტკივილს თუ იმედს. ლექსში „ყველაზე აუცილებლის შესახებ“ ალექსი ლასურია მღელვარედ ამბობს, რომ საბჭოთა პოეტი ვალდებულია მუდამ ისწრაფოდეს წინ, რომ იგი უნდა დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, რადგან მხოლოდ მაშინ შესძლებს ეპოქის მიერ დაკისრებული მისიის შესრულებას:

ლექსში რომ იყოს,  
მეგობრებო,  
ულრმესი აზრი,  
სიტყვა და საქმე  
ერთი რომ იყოს,  
რომ ბედნიერად ცხოვრობდეს კაცი,  
გათადვს მკვიწხად ყველა ომი

და სილატაკე...  
როგორც პაერი,  
როგორც წყალი და როგორც პური,  
ლენინიზმი ჩვენთვის საჭირო.

სატირის ქანრში ნაყოფიერად მუშაობს პოეტი **კ. ჩაჩხალია**. საინტერესო საბავშვო ნაწარმოებები დაწერა **დ. ტაბაღუამ**.

ჩვენი პოეზიის მომავალი საიმედო ხელშია. ამაზე მიუთითებს ჩვენი ახალგაზრდა პოეტების მრავალი ღრმაშინა-არსიანი, უდავო სიახლით აღბეჭდილი ლექსი. პოეტების ახალი თაობა ენერგიულად ეძებს გამოსახვის ახალ საშუალებებს, ეძებს და ხშირად პოულობს. აქტიურად მუშაობენ პოეზიის ქანრში **გ. გუბლია, ნ. თარბა, ვ. ანკვაბი, ა. აჯინჯალი, შ. ფილია, კ. გერხელია, ბ. გურგულია** და სხვები.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია კარგად თანამედროვეობის ასახვის უდიდესი მნიშვნელობა. ისინი ხშირად ექცევიან ძველი თემებისა თუ გამოხატვის ასევე ძველი საშუალებების ტყვეობაში, მთელ თავიანთ პოეტურ შესაძლებლობებს ახმარენ ძველებურ ბალადებსა და ზღაპრებზე მუშაობას. კარგი პოეტური ნაწარმოებების გვერდით ისინი ხშირად აქვეყნებენ არაფრისმთქმელ, სოციალურ ქვრივობას მოკლებულ ლექსებს. მაგრამ როცა ახალგაზრდა შემოქმედთა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ მათი წარმატებები, რაათა არ დავამციროთ ის წვლილი, რომლის შეტანაც მათ უკვე მოასწრეს აფხაზური პოეზიის განვითარების საქმეში. ბაკრატ შინკუბას, ივანე თარბას, ალექსი ჯონუას და სხვა აღიარებულ ოსტატთა გვერდით ახალგაზრდობა ნაყოფიერად შრომობს და მიიკვლევს შემოქმედებით გზას.

აფხაზური პოეზია აღმავლობის გზაზეა. იგი სულ უფრო და უფრო მაღ-

კონსტანტინე ლომია  
შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე

ლა მიიწევს, უფრო ღრმად და ოსტატურად გამოთქვამს ხალხის ნაფიქრსა და ნაზრევს. მისი წარმატებები ახარებს ჩვენს ხალხს, ჩვენს მეგობრებს. აფხაზური ლექსები დღეს იბეჭდება მოსკოვსა და თბილისში, მთელს ჩვენს დიად სამშობლოში. როგორც მთელს ქვეყანაში, ისე აფხაზეთშიც ყოველწლიურად ტარდება „პოეზიის დღე“. ეს დღე აფხაზური კულტურის ნამდვილი ზეიმიია. წელსაც, ივნისში, მთელს აფხაზეთში გაისმა ჩვენი პოეტების მღელვარე ხმა. აფხაზური პოეზიის დღესასწაული მოგვილოცეს მოსკოველმა და თბილისელმა მეგობრებმა.

აი, ირაკლი აბაშიძის გულთბილი დეპეშა: „ჩემო აფხაზო მეგობრებო, ძვირფასო ძმებო, პოეტებო! გილოცავთ პოეტური სიტყვის დიდ დღესასწაულს. ჩვენი აფხაზეთი ხომ თავად პოეზიაა — თავისი მარადმწვანე მინდვრებით, უბადლო ციხა და ზღვით. ვადიდოთ ერთად, ძმებო, მისი შთამავგონებელი სილამაზე, მისი მშვენიერი ხალხი...“

აფხაზური ეროვნული დრამატურგიის ფუძემდებლად **სამსონ ჭანბა** ითვლება. თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე მან დაწერა საკმაოდ ბევრი პიესა, რომელთაც სამართლიანად აქვს მიჩნეული თვალსაჩინო ადგილი მთელს აფხაზურ ლიტერატურაში.

სამსონ ჭანბას ისტორიულ დრამაში „მაპჯირები“ დახატულია თურქეთში აფხაზი გლეხების ძალით გასახლების შემადრწუნებელი, ტრაგიკული სურათი. პიესაში „აფსნი-ხანიმ“ ნაჩვენებია მენშევიკების ანტიეროვნული, ანტიხალხური პოლიტიკის შედეგები აფხაზეთში, ხოლო დრამაში „კერაზი“ ასახულია პარტიზანთა ბრძოლა მგზნებარე რევოლუციონერის ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით. სამსონ ჭანბა კიდევ ბევრი სხვა პიესის ავტორია, რომლებშიც მეტნაკლები სიძლიერითაა ასახული აფხაზი ხალხის ბრძოლა, შრომა და ცხოვრება.

დიმიტრი გულიამ უდიდესი როლი ითამაშა აფხაზური ეროვნული ხელოვნების განვითარებაში.

ნების განვითარების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაწერილმა მისმა ერთაქტიანმა პიესებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხელოვნებით ხალხის დაინტერესებას.

აფხაზურ ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრდა 30-40-იან წლებში დაწერილი ისეთი პიესები, როგორიცაა დ. გულიას „მოჩვენებები“, მ. კოვეს „კიანბა ხაჯარათი“ და სხვ.

აფხაზეთის ეროვნული დრამატურგიის განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მიხეილ ლაქერბაის. იგი ავტორია მშვენიერი პიესებისა. დრამაში „დანაქაი“ ნაჩვენებია აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დაუეიწყარი სურათი. პიესა წლების მანძილზე არ ჩამოსულა აფხაზური თეატრის სცენიდან. სოხუმის დრამატულ თეატრში მას ორი დასი უჩვენებდა — აფხაზური და ქართული.

აფხაზური თეატრი უდიდესი კულტურული ძალაა რესპუბლიკის ცხოვრებაში. სსრკ სახალხო არტისტის **აკაკი ხორავას** აზრით აფხაზური თეატრი ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენი სამშობლოს სხვა ეროვნულ თეატრებს შორის. აფხაზი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით ეყვრობა თავის გამოჩენილ არტისტებს: აზიზ აგრბას, ლევარსა კასლანძიას, ევატერინე შაკირბაის, ანა არგუნკონოშოკს, შარახ პაჩალიას, მინალორ ზუხბასა და სხვებს.

ჩვენი რეჟისორებისა და მსახიობების ოსტატობასთან ერთად იზრდება და ვაჟკაცდება ჩვენი დრამატურგიაც. ნიკიერი დრამატურგის სახელი დაიმკვიდრა ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა შარახ პაჩალიამ. მისი ცნობილი კომედია „გუნდა“, დაწერილი თანამედროვე თემაზე, აფხაზეთის დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა თბილისში 1957 წელს, აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

იზრდება ახალგაზრდა დრამატურგთა კადრები. უკანასკნელ წლებში მკითხველი და მაყურებელი ნიკიერი პიესებით



გაახარეს შოთა ჭკადუამ და ნელი თარბამ.

ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, დრამატურგია ჯერ კიდევ ითვლება აფხაზურ ლიტერატურაში ჩამორჩენილ უბნად. აფხაზმა დრამატურგებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ, რათა ჩვენს მაღალმომთხოვნ მკაყურებელს მიაწოდონ ახალი, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები.

აფხაზური ლიტერატურა მდიდრდება რუსული, ქართული თუ დასავლეთევროპის ლიტერატურების კლასიკური ნიმუშებით. აფხაზი მკითხველი მშობლიურ ენაზე კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედეგებს, როგორცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, პუშკინის, ი. ტაევკაძის, ა. წერეთლის, გოგოლის, ტოლსტოის, შევჩენკოს, მაიაკოვსკის, კ. ხეთაგუროვის, ბართაშვილის, ნინოშვილის, ოსტროვსკის, აგრეთვე საზღვარგარეთის კლასიკოსთა — შექსპირის, შილერის, მოლიერის ნაწარმოებებს. აფხაზურ ენაზე თარგმნილია თანამედროვე რუს და ქართველ მწერალთა — ა. ფადეევის, კ. ფედინის, ლ. ქიჩელის და სხვათა მრავალი ნაწარმოები.

კრიტიკაში ნაყოფიერად მუშაობენ შ. ინალ-იფა, ხ. ბლაჟბა, მ. დელბა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. ინალ-იფას წიგნი „აფხაზური ფოლკლორისა და ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი“.

აფხაზურმა ლიტერატურამ დიდი ხანია გადააბიჯა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. მოსკოვსა და თბილისში გამოცემულია აფხაზური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები. დიდი კულტურული მოვლენაა აფხაზეთის ცხოვრებაში უძველესი ეპოსის „ნართი სასრიკვა და მისი 99 ძმის“ გამოცემა. მოსკოვისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდება ჩვენი მწერლების ნაწარმოებები, ხოლო

გამომცემლობებში გამოდის მათი ნაწარმოებების კრებულები.

აფხაზური მწერლობა დიდი საბჭოთა ლიტერატურის რიგითი ჯარისკაცია. იგი იზრდება და ვაჟკაცდება იდეურად და უფრო სრულყოფილი ხდება მხატვრულად. აფხაზეთის ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა 1963 წლის 7—8 მარტს პარტიისა და მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. შეხვედრებსა და პლენუმზე სწარმოებდა დიდი საუბარი მხატვრულ შემოქმედებაში პარტიულობისა და ხალხურობის საკითხებზე, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანებზე, ხალხის წინაშე მხატვრის პასუხისმგებლობაზე, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე. ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო და ღრმად შინაარსიან სიტყვაში, აგრეთვე ამხანაგ ლ. ილიჩოვის გამოსვლებში ნათლადაა გარკვეული მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები, განსაზღვრულია მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის შემდგომი განვითარების გზები.

აფხაზური ლიტერატურა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ცოცხალი ყლორტია. ჩვენი მწერლები მომავალშიც ენერგიის დაუზოგავად იბრძობენ ნამდვილი, მაღალმხატვრული, სოციალისტური რეალიზმის შუქით განათებული ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლებშიც უდიდესი სიმართლით იქნება ასახული ჩვენი მღელვარე თანამედროვეობა, კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი.

კონსტანტინე ლომია  
შენიშვნები აფხაზურ ლიტერატურაზე



## გამოჩენილი აფხაზი მწერალი

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა დიდი აფხაზი პროზაიკოსის, მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატის, საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის ივანე გიორგის ძე პაპასკირის დაბადების სამოცი და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი.

ივანე პაპასკირი დაიბადა 1902 წლის 25 დეკემბერს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქუთოლში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი მშობლები მშრომელი ადამიანები იყვნენ და თუმცა თვითონ წერა-კითხვაც არ იცოდნენ, შვილების აღზრდასა და განათლებაზე მუდამ ზრუნავდნენ.

სოფელი ქუთოლი, სადაც მწერალმა ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა, მრავალმხრივია საინტერესო. მისი ნოყიერი ნიადაგი აძლევს სარჩოს შრომისმოყვარე და პატიოსან ხალხს, რომელიც აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობს. სოფელი განთქმულია თავისი ანკარა წყაროებითაც. დიმიტრი გულია ამბობდა, საკმარისია აქაურ მიწაზე ფეხი დაჰკრა და წყარო ამოხეთქავს.

მაგრამ ქუთოლის ყველაზე მშვენიერი წყარო მაინც მისი ადამიანებია. მართალია, იქ არაა ხელოვნების უძველესი ძეგლები, მაგრამ სამაგიეროდ მუდამ ანათებდა და ანათებს სამხრეთის მზე, მუდამ ენთო მზიარული და სტუმართმოყვარე აფხაზური კერა, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ უბრა-

ლო, მაგრამ გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანები. ისინი თხზავდნენ იმ გმირულ ლეგენდებსა და სიმღერებს, რომლებმაც საუკუნეების წყვილადიდან მოაღწიეს ჩვენამდე. ეს იყო სახალხო კულტურის ის მდიდარი წყარო, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღზარდა ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი პლეადა. საკმარისია გაეხსენოთ, რომ მწერალთა კავშირის შვიდი წევრი ამ სოფელშია დაბადებული და აღზრდილი. სწორედ ამ სოფლიდან არიან შესანიშნავი აფხაზი პოეტები იუა კლონია და ალექსი ლასურია. ქუთოლმა — ამ თავისებურმა აფხაზურმა პარნასმა— გვაჩუქა ჩვენ პაპასკირთა შემოქმედებითი ოჯახიც. ივანეს გარდა ლიტერატურულ სარბიელზე მრავალი წელია წარმატებით მოღვაწეობენ მისი ღვიძლი და-ძმა.

ამ ტიპიურ აფხაზურ სოფელში, „კურთხეული მიწის წარმოუდგენლად ლამაზ ნაქერზე“, როგორც გორკიმ უწოდა აფხაზეთს, გაატარა მომავალმა მწერალმა თავისი ცხოვრების პირველი ათეული წლები და მასთან დღემდე არ გაუწყვეტია მტკიცე კავშირი.

პატარა ივანე ცხოვრობდა სოფელური ბიჭების ჩვეულებრივი ცხოვრებით — უყვარდა მდინარეებში თევზის ჭერა, იყო სოფლის საუკეთესო მორბენალი, ბიჭებთან ერთად თამაშობდა ნაბდის ბურთებით, მინდერებში დააქენებდა ჩალის ცხენს, დასდევდა ჩიტებს. მო-

მაველი მწერალი პატარაობიდანვე ჩაება შრომაში, უვლიდა ვაზს, სიმინდს, თამბაქოს. მისი ბავშვური ხელები ფანქარზე ადრე თოხს მიეჩვია.

პაპასკირმა სწავლა მშობლიურ სოფელში დაიწყო. 1915 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა. წლების განმავლობაში ასწავლიდა მას სამსონ ჭანბა — მომავალში ცნობილი აფხაზი მწერალი. ამ სოფელშივე გაეცნო პირველად მხატვრულ ლიტერატურას: 1914 წელს მან პირველად წაიკითხა დიმიტრი გულის ლექსების წიგნი. მას განსაკუთრებით მოსწონებია ხალხურ თქმულებებზე აგებული პოემა „ეშხოუს ნავანი“ და ლექსი „ხოჯან დიდი“, სადაც ხალხის აღვირახსნილი მტარვალის საკადრისად ისჯება.

ადგილობრივი სკოლის დამთავრების შემდეგ პაპასკირმა კიდევ ერთი წელი დაპყო სოფელში: არ იყო სწავლის გასაგრძელებლად საჭირო სახსრები. 1917 წელი იღბლიანი გამოდგა: მამამ სარფიანად გაპყიდა სიმინდი და აღებული ფულით შეძლო შვილი სოფელ ვლადიმეროვის ორწლიან სკოლაში მიეზარებინა.

ვლადიმეროვკაში პაპასკირი მხოლოდ ერთ წელიწადს სწავლობდა. 1918 წელს მენშევიკები შემოვიდნენ, სკოლა დახურეს. სხვა სასწავლებელში გადასვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ასევე ხანმოკლე იყო მოქვეში სწავლის პერიოდიც: სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, მშობლებმა ბავშვი მოქველ სოფლის მწერალს მიაბარეს, რამეს მაინც ასწავლისო.

სოფლის მწერალი ბაჯგა ჩოლოკუა შემდეგში ოჩამჩირის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. მწერალი დღემდე სიყვარულით იგონებს თავის მასწავლებელს, რომელსაც კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, უაღრესად განათლებული კაცი იყო და ბევრი რამ, მათ შორის ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულიც, შთააგონა ნიჭიერ მოსწავლეს.

1919 წელს ჩვიდმეტი წლის სოფელი ბიჭი ივანე პაპასკირი სოხუმში

ჩამოდის. ამ დღიდან მისი ცხოვრება განუწყურელადა დაკავშირებული ამ უძველეს და მშვენიერ ქალაქთან. აქ ოცნებობდა იგი ხალხის ბედნიერებაზე, მის მტრებთან ბრძოლაზე, აქ გაღვივდა მის გულში სიყვარული მშობელი ხალხისადმი, რომელსაც აგერ ორმოც წელზე მეტია ერთგულად ემსახურება. სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლის პირველი პერიოდი დაემთხვა აფხაზეთში მენშევიკების ბატონობის ხანას. ეს იყო აღვირახსნილი ტერორისა და პოლიტიკური რეპრესიების დრო.

სემინარიაში ყოფნის დროს პაპასკირი აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ წრეში, რომელიც დიმიტრი გულისა ინიციატივით ჩამოყალიბდა. წრეს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი აფხაზი პოეტი იუა კოლონია. მომავალი მწერალი აქ უფრო ღრმად სწავლობს ლიტერატურას.

პაპასკირის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთი ლიტერატურის ფუძემდებლებთან დ. გულისთან და ს. ჭანბასთან ურთიერთობას. ისინი ასწავლიდნენ მას მშობლიურ ენასა და მათემატიკას სამასწავლებლო სემინარიაში.

1925 წელს პაპასკირმა დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო „აფსნი ყაფშის“ რედაქციაში. 1928—1929 წლებში პაპასკირი ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის მსმენელია.

ამ დროიდან მოკიდებული პაპასკირი აფხაზეთის კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების მოწინავე პოზიციებზე დგას და პრაქტიკულ და საზოგადო მოღვაწეობას დაძაბულ შემოქმედებით შრომასთან ათავსებს. 1930 წლიდან 1938 წლამდე ის განაგებს გაზეთ „აფსნი ყაფშის“ პარტიულ განყოფილებას, ხოლო 1938—1939 წლებში მისი მთავარი რედაქტორია.

**შალვა ინალ-იფა**  
გამოჩენილი აფხაზი მწერალი

1941—1942 წლების მრისხანე დღეებში მგზნებარე საბჭოთა პატრიოტმა კალამი ხიშტით შეცვალა და მოხალისედ შევიდა სოხუმის გამანადგურებელი ბატალიონის რიგებში. ბატალიონის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის პაპასკირი დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

პაპასკირს დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის შექმნასა და განმტკიცებაში, რომელსაც ის წლების მანძილზე (1943—1950) ხელმძღვანელობდა. ომის შემდგომ წლებში მწერალმა შექმნა თავისი ცნობილი ეპოპეა „ქალის ღირსება“.

უკანასკნელ წლებში, ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად, ის აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებაში, ხშირად ხედება მადლიერ მკითხველებს, უზიარებს მათ თავის გეგმებს, ამუშავებს ძველ, ადრე გამოცემულ ნაწარმოებებს, ქმნის ახლებს, წერს მოგონებებს. მის ირგვლივ ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდა ლიტერატორები, მწერალი ესმარება მათ რჩევით, უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

ივანე პაპასკირის შემოქმედება შეადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს აფხაზური ლიტერატურის ისტორიაში. მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა შესაფერისად შესწავლილი და შეფასებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. ივანე პაპასკირი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ოცდაათიან წლებში, იმ დროს, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის აფხაზეთში მიმდინარეობდა უდიდესი სოციალურ-ეკონომიური ძვრები და გარდაქმნები, ძველისა და ახლის გააფთრებული ბრძოლა ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ბრძოლა აისახა საბჭოთა ხელოვნების მრავალ ნაწარმოებში. ამ მხრივ ვითარდებოდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აფხაზური ლიტერატურაც. ის მაშინ იკრებდა ძალებს და მეტნაკლები სიმტკიცითა და რწმენით ქმნიდა საკუთარ ტრადიციებს. საუკეთესო აფხაზი მწერლები თანდათან

უარყოფდნენ მშრალ ილუსტრატობას, ფოლკლორული მასალების პირდაპირ გადატანას მხატვრულ ლიტერატურაში. იმდროინდელი კონკრეტული ისტორიული მდგომარეობა და აფხაზური ლიტერატურის მაშინდელი დონე მოითხოვდა, რომ მწერლები პირისპირ დამდგარიყვნენ ახალ, მღელვარე ცხოვრებასთან, აესახათ იგი თავისი მრავალფეროვნებითა და სირთულით, გამომხატურებოდნენ თანამედროვეობის მიერ წინა პლანზე წამოწეულ პრობლემებს.

დიმიტრი გულიას მოთხრობამ „უცხო ცის ქვეშ“ და რომანმა „კამაქიკი“, სამსონ ჭანბას მოთხრობამ „სეიდიკი“ და სხვა ნაწარმოებებმა ჩაუყარეს საფუძველი აფხაზურ ლიტერატურას, მაგრამ მათ შემოქმედებაში ჯერ კიდევ ბლომად იყო ფოლკლორული და რომანტიკული ელემენტები. პაპასკირი წავიდა კიდევ უფრო წინ, მან განამტკიცა რეალიზმი აფხაზურ პროზაში, გაკვალა მისი შემდგომი განვითარების გზები და საერთოდ წასწია წინ მთელი ჩვენი ლიტერატურა.

ივანე პაპასკირის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზური რომანის შექმნა. მისი რომანების გამოსვლა საერთოდ იყო დიდი მოვლენა ეროვნული კულტურის სფეროში. ამით აიხსნება მისი უმნიშვნელოვანესი ადგილიც აფხაზური ლიტერატურის განვითარების საქმეში და ისტორიაში. დიმიტრი გულიას, სამსონ ჭანბას და განსაკუთრებით მათი ტრადიციების საუკეთესო გამგრძელელების ივანე პაპასკირის წიგნებში ყველაზე მეტად იგრძნობოდა აფხაზური პროზის გადასვლა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე. პაპასკირის კალამს ეკუთვნის სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა „თემირი“, „ქალის ღირსება“, „ერცახუს კალთებზე“ და მრავალი მოთხრობა.

„თემირი“ არის პირველი და ჯერ-ჯერობით ყველაზე კარგი აფხაზური რომანი. ამ წიგნზე წლების განმავლობაში მუშაობდა ავტორი. გამოცემისთანავე, 1937 წელს, რომანმა თავისი

მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებე-  
ბებით ავტორს მოუტანა დამსახურე-  
ბული გამარჯვება და სახელი შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ მწერალს ასეთი სიყ-  
ვარულითა და მოწიწებით არაფერი  
დაუწერია. ეს არის მართლაც შესანიშ-  
ნავი წიგნი და მას ტყუილად როდი  
უწოდებენ აფხაზური ლიტერატურის  
„გატეხილ ყამირს“. „თემირში“ ასა-  
ხულია, საკოლმეურნეო მშენებლობის  
პირველი წლები, სოციალისტური გარ-  
დაქმნები ოცდაათიანი წლების აფხა-  
ზეთში, მძაფრი კლასობრივი ბრძოლა,  
მაენე გადმონაშთების ლიკვიდაცია  
გლებთა შეგნებაში. რომანში ავტორმა  
მიზნად დაისახა მთავარი გმირის, თე-  
მირის სახით ეჩვენებინა, თუ როგორ  
იმარჯვებენ ადამიანები ძველსა და  
დრომოკმულზე, როგორ უარყოფენ  
სისხლის აღების ძველ ადათ-ჩვევებს,  
როგორ ირღვევა „მთის რკინისებური  
კანონები“. რომანის ნათელმა და მკა-  
ფიო სახეებმა შეიძინეს სტენიური სი-  
ცოცხლე, დამკვიდრდნენ სცენაზე.

ივანე პაპასკირის კალამს ეკუთვნის  
აფხაზური ლიტერატურის ყველაზე  
დიდი ნაწარმოები „ქალის ღირსება“.   
ესაა. სამნაწილიანი, მრავალპლანიანი  
ეპოპეა. რომანში ასახულია მთავარი  
გმირის, საიდას ძნელი და რთული  
ცხოვრების გზა. უკანონო შეილი, მო-  
ტაცებული, შერცხვენილი და „გაშავე-  
ბული“ ჩამორჩენილ ადამიანთა თვალ-  
ში, — საიდა მაინც ახერხებს დაიცვას  
თავისი ღირსება. რომანი მაღალმხატ-  
ვრულად ასახავს სულიერ ზრდას  
აფხაზი საბჭოთა ქალისა, რომელმაც გა-  
დაღაზა წარსულის ცრურწმენანი და  
აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშე-  
ნებლობაში.

ივანე პაპასკირის უკანასკნელი დიდა  
ნაწარმოებია ორტომიანი რომანი „ერ-  
ცახუს კალთებზე“ (1953), სადაც მო-  
თხრობილია ახალმშენებლობების, ბა-  
რიტის ამოღების, მეგობრობის, მუშათა  
ინდუსტრიული კადრების შექმნის, კო-  
მუნისტური შრომის ბრიგადათა ჩამო-  
ყალიბების წარმატცი ამბები (ავტორი  
ამჟამად მუშაობს მეორე წიგნზე).

უკანასკნელ ხანებში ივანე პაპასკირ-  
მა საფუძვლიანად გადაამუშავა თავი-  
სი პირველი წიგნები, დაწერა ნოვე-  
ლები და მოთხრობები, სადაც უმღერა  
სამშობლოს სიყვარულს, მეგობრობას,  
თავისუფლებას, სიმამაცეს. ეს ნაწარ-  
მოებები აცნობენ მკითხველს ძველი  
და ახალი აფხაზეთის ბუნებას, ყოფა-  
ცხოვრებას, ჩვენი თანამედროვეების  
შრომით წარმატებებს.

პაპასკირის შემოქმედებისათვის და-  
მახასიათებელია თანამედროვე საბჭო-  
თა სინამდვილისათვის აქტიურ და  
უაღრესად სერიოზულ თემებზე მუშა-  
ობა. მწერალს უყვარს ფართო პლანი,  
ცხოვრებისეული სიმართლე. ის მუქი,  
მაგრამ მართალი ფერებით ხატავს რე-  
ვოლუციამდელ სამყაროს და უბირის-  
პირებს მას ნათელსა და წმინდა დღე-  
ვანდელობასა და მომავალს. პაპასკირი  
არის ხასიათების ძერწვის ოსტატი-  
მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს  
ეროვნულ კოლორიტსა და ელფერს.  
პაპასკირი ფსიქოლოგიური რომანის  
ოსტატი. ღრმა ფსიქოლოგიზმს ის აღ-  
წევს ადამიანის სულიერი მდგომარეო-  
ბის დეტალური და ზომიერი აღწერით,  
შინაგანი მონოლოგისა და დიალოგის  
გამოყენებით. ეს არის ადამიანის სულ-  
ში წვდომის ხელოვნება. პაპასკირისა-  
თვის დამახასიათებელია აგრეთვე  
მძაფრი კონფლიქტების ძიება და გან-  
სხვავებული ხასიათების დაპირისპი-  
რება და შეჯახება, თხრობის სილალე  
და სიღინჯე, ლექსიკის უჩვეულო სიმ-  
დიდრე და ენის ხალხურობა.

მწერლის შემოქმედებითი პათოსის  
მთავარი წყარო აფხაზეთია. მის რომა-  
ნებში მხატვრულადაა ასახული საბ-  
ჭოთა აფხაზეთის ისტორიული განვი-  
თარება, აფხაზი ხალხის სულიერი  
აღორძინება სოციალისტური და კომუ-  
ნისტური მშენებლობის ფონზე. მისი  
წიგნები უაღრესად ადამიანური და  
კეთილშობილურია. მან ლიტერატურა-  
ში შემოიყვანა დადებითი გმირებას

**შალვა ინალ-იფა**  
გამოჩენილი აფხაზი მწერალი



მთელი პლეადა თავიანთი რთული ხასიათებით, ბიოგრაფიითა და ბედით. მწერალმა აჩვენა ადამიანთა ბუნებრივი სწრაფვა თავისუფლების, სილამაზისა და ჰარმონიისაკენ.

პაპასკირის ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს მის მშობლიურ ხალხში. მრავალი მათგანი, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შეტანილია მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში. ამ ნაწარმოებებზე იზრდება აფხაზი ახალგაზრდობა.

პაპასკირის თხზულებანი კარგა ხანია იქცა ქართველი, რუსი და უცხოელი მკითხველების საკუთრებად. ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემულია რომანები „თემირი“ (1951 წელი), „ქალის ღირსება“ (პირველი წიგნი, 1956), „ერცახუს კალთებზე“ (1954 წ.), მოთხრობები „კარვალის თოფი“, „მზის ამოსვლის წინ“ და მრავალი სხვა. მოსკოვში „თემირი“ გამოიცა 1948 წელს, „ქალის ღირსება“ რუსულ ენაზე გამოვიდა სოხუმში 1958 და 1959 წლებში. რუსულ ენაზე თარგმნილია პაპასკირის სხვა მოთხრობებიცა და ნოველებიც. „ქალის ღირსება“ თარგმნილია ყაზახურ ენაზე, ხოლო მწერლის რამდენიმე მოთხრობა დაიბეჭდა ვარშავაში, პოლონურ ენაზე გამოცემულ კრებულში „აფხაზური მოთხრობები“ (1952 წ.).

პაპასკირის შემოქმედებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველ კუთხეში. აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობისა და თვით ავტორის სახელზე მოდის მრავალი ბარათი, სადაც მკითხველები გა-

მოთქვამენ თავიანთ მადლობას და გულწრფელ აღტაცებას.

ეს ბარათები პირველი დამადასტურებელია მწერლის დიდი პოპულარობისა, მისი ნაწარმოებების ხალხურობის და ნიჭიერებისა.

მხატვრის პიროვნება და მისი შემოქმედება განუყოფელია აფხაზური ლიტერატურის პატრიარქი ისევე ნათელი და სპეტაკი პიროვნებაა, როგორც მისი შემოქმედება. მის ხასიათში მონოლითურადაა შერწყმული ადამიანის, მოქალაქისა და კომუნისტის საუკეთესო თვისებები. ეს არის ნათელი აზრის, წმინდა გულისა და კეთილი სულის შემოქმედი. ადამიანური სიბო, მომხიბვლელობა — მისი განუყრელი თვისებებია. წყნარად, უხმაუროდ. მაგრამ შეუპოვრად ძლევდა და ძლევს იგი მრავალ სიძნელეს თავისი ცხოვრების გზაზე და აკეთებს დიდსა და საჭირო საქმეს. მას ადამიანებისათვის მოაქვს სიკეთე, ბედნიერება და სიხარული და ამვე დროს ის ყოველთვის რჩება პატიოსნების, მოკრძალებისა და უბრალოების განსახიერებად.

აი, ის ზის ჩვენს წინ, დიდი სათვალედან გიყურებენ ჭკვიანი, მშვიდი და კეთილი თვალები. ის არ არის ათლექტური აგებულების, მაგრამ რამდენი სულიერი ძალაა ამ გაქალარაგებულ ადამიანში! ხალხმა შეიყვარა მისი მართალი წიგნები, შეიყვარა მისი გმირები, შეიყვარა თვითონ მწერალი.

ასეთია მოკლედ ამ შესანიშნავი ადამიანისა და დიდი აფხაზი სახალხო მწერლის ცხოვრება და მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია.

### ბაგრატ შინკუბა

აფხაზური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოეტი ბაგრატ შინკუბა დაიბადა 1917 წელს, მთიანი აფხაზეთის სოფელ ჭლოუში.

პოეტზე დიდი გავლენა მოახდინა ბავშვობის წლებში გაგონილმა ხალხურმა თქმულებებმა, ზღაპრებმა, სიმღერებმა და ლეგენდებმა. როგორც ხალხური თქმულება გადმოგვცემს, ჭლოუს ცნობილ გამოქვაბულში იყო მიჯაჭვული აფხაზეთის ამირანი — ღმერთთან მებრძოლი გმირი აბრსკილი.

ბავშვობის შთაბეჭდილებები და მშობლიური სოფელი შემდგომ პოეტმა ასახა ლექსებში: „შინ დაბრუნება“, „ჭლოუ, ჭლოუ, აქ დაშერწა...“, „კუმანჩა“.

პოეტმა თავისი პირველი ლექსები ჯერ კიდევ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას გამოაქვეყნა 1938 წელს გამოვიდა შინკუბას პირველი წიგნი, რომელმაც ახალგაზრდა ავტორი აფხაზი პოეტების მოწინავე რიგში დააყენა.

ეს იყო ახალგაზრდა აფხაზური პოეზიის აღმავლობისა და ძიების ხანა, ხანა ლიტერატურის ძირითადი ჟანრების — რომანის, პოემის, მოთხრობის ფორმირებისა. არც თუ ისე ადვილი იყო მაშინ საკუთარი პოეტური ხმის მიგნება. ახალი ცხოვრება მძაფრი ტემპით ვითარდებოდა, საჭირო იყო ახალი გამომსახველობითი ფორმებისა და

ხერხების პოვნა, ტრადიცია და გამოცდილება კი მცირე ჰქონდათ — აფხაზური პოეზია ჯერ კიდევ ახალფეხადგმული იყო (დომიტრი გულიას ლექსების კრებული 1912 წელს გამოიცა. კოდონიას პოემები კი 1925 წელს). არ შეიძლებოდა მოძმე ხალხების ლიტერატურის ტრადიციებისა და პოეტური ფორმების ბრმად მიბაძვა, საჭირო იყო მშობლიური ენის თავისებურებათა გათვალისწინება, მაგრამ ხალხური ზეპირსიტყვიერების სტილით დამკვიფრებაც ვერ გადაჭრიდა საკითხს.

ბაგრატ შინკუბას პოეზიამ დიდი როლი შეასრულა თანამედროვე აფხაზური პოეზიის ჩამოყალიბებაში, მისი პოეტიკისა და სტილის განვითარებაში. პოეტი ითვალისწინებდა აფხაზურ ფოლკლორს, აგრეთვე მოძმე ლიტერატურების, უმთავრესად ქართულისა და რუსულის მიღწევებსაც.

1939 წელს ბაგრატ შინკუბამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ პერიოდში იგი დიდ ყურადღებას აქცევს აფხაზური ენის გრამატიკისა და პოეტიკის შესწავლას, წერს ლირიკულ ლექსებს.

სამაჟლო ომის მრისხანე დღეებში, საბჭოთა ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზების წლებში ბაგრატ შინკუბა ქმნის მთელ რიგ პო-

ეტურ ნაწარმოებებს, ლექსების ციკლს ცნობილ აფხაზ მებრძოლ ვლადიმერ ხარაზიაზე, პატრიოტულ პოემას — „მახვილი“, წერს ბალადებს, რომლებშიც აცოცხლებს მამაცი ნართების სახეებს.

1945 წელს პოეტმა დაიცვა დისერტაცია ენათმეცნიერების საკითხებზე.

ამ ხნიდან შინკუბა სოხუმში მუშაობს, სადაც წერს გამოკვლევას აფხაზური ენისა და ლექსთწყობის საკითხებზე, სწავლობს ფოლკლორს. იგი მოგზაურობს სოფლებში, სადაც ავროვნებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხოლო შემდეგ აქვეყნებს აფხაზური ზეპირსიტყვიერების ჩინებულ კრებულს, — თქმულებას აბრსკილზე და აფხაზურ ნართულ ეპოსს.

ბაგრატ შინკუბა წერდა — „როცა ვლადპარაკობთ პოეტურ ოსტატობაზე, ეროვნული პოეზიის სპეციფიკაზე, ენის სიმდიდრეზე და სხვა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობლიური ფოლკლორის ცოდნას, განსაკუთრებით კი იმ ხალხისათვის, ვისაც დამწერლობის დიდი ტრადიცია არა აქვს“.

ბაგრატ შინკუბას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ ბალადებს — „სალამური“, „როცა“, „ბალდი“ და პოემებს „ბუღბუღი და მელია“, „იბირუმა“, „მამაცი ციკანი“.

ფოლკლორის შესწავლის დროს შინკუბა ვაეცნო სიმღერას აფხაზეთის სახალხო გმირზე, 1905 წლის რევოლუციის მონაწილე კიახბა ხაჯარეთზე. ამ მამაცი ადამიანის ცხოვრებამ პოეტზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. უსწავლელი გლეხი ხაჯარეთი გმირულად ებრძოდა თავადებსა და მემამულეებს, იცავდა ღარიბ-ღატაკებს. ამ თემაზე შინკუბა წერს პოემას „სიმღერა კლდეზე“. ავტორს პოემა ჯერ არ დაუსრულებია, მაგრამ გამოქვეყნებული ნაწილები ცხადყოფენ, რომ პოეტს განზრახული აქვს შექმნას ვრცელი ეპიური ტილო, სადაც რეალურად იქნება ასახული აფხაზი ხალხის რევოლუციამდელი ყოფა.

იმის დამთავრების შემდეგ ბაგრატ შინკუბამ გამოაქვეყნა წიგნები: „ჩემი თანამემამულენი“ (1953 წ.), „ლექსები და პოემები“ (1956 წ.), „ზაფხული“ (1962 წ.).

ამ წიგნებში მძაფრად ისმის თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა.

ბაგრატ შინკუბას პოეზიის მთავარი მოტივი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის ჰიმნია. იგი უმღერის მშვენიერსა და ამბულბულს, მატერი-ალურსა და სულიერ სიმდიდრეს. „ჩემს თვალწინ გარდაიქმნა აფხაზეთი, — წერს პოეტი — და ესაა ჩემი პოეზიის მასაზრდოებელი და ჩემი შთაგონების წყარო. მე მახსოვს — იქ, სადაც ახლა ქალაქი ტყვარჩილია, მოტიტვლებული ადგილი იყო. გვიმრინანთა და კატაბარდებით დაფარულ ველებზე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეიქმნა, რამაც შეცვალა აფხაზი ხალხის ყოფა. ჩვენს ყოფაში დამკვიდრდა მძლავრი ტექნიკა, ელექტრონიკინო, თეატრი... მე ვცდილობდი არასოდეს არ ავცდენოდი ცხოვრების მთავარ გზას და ყოველთვის გვერდით ეულექვი ჩემს ხალხს შრომასა და მომავლისთვის ბრძოლაში. მე ვიცი — ჩემი მოვალეობაა ვწერო სიმართლე ჩემი ხალხის ცხოვრებაზე, ავსახო თანამედროვეობა, დავეხმარო ხალხს სინამდვილის ღრმად გაგებაში“.

პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულენი“.

რომანის მოქმედება ვითარდება სოფელ ამზარაში, იმის დამთავრების პირველ დღეებში. დემეი ფრონტიდან მშობლიურ სოფელში ბრუნდება, იგი გაიგებს, რომ მამა ფაშისტებთან ბრძოლაში დაეღუპა. მალე იგი ხვდება თავის სატრფოს ასთანდას და თავს ბედნიერად გრძნობს. დემეი ხედავს, როგორ აყვავებულა მისი ქვეყანა.

დემეი ხასიათით შემოქმედია, მშენებელი კაცია. მისთვის „ცოტაა ნახოს ბედნიერება“, მან ამ ბედნიერების შექმნაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მისი მჩქეფარე ენერგია, მაძიებელი გონება

და მოქმედების წყურვილი თანამემამულეთათვის მისაბაძი მაგალითია. „გუათი“ (დაუცხრომელი, ბობოქარი), ასე შეარქვეს მეტსახელად ამხანაგებმა დემეის და ასეთია იგი — წმინდა სიყვარულში, თავგანწირული შრომაში, თავდადებული, პირდაპირი და გულწრფელი მეგობარი. დემეის სახე უალრესად ტიპურია შემთხვევითი როდია, რომ დემეი პირველი აიმაღლებს ხმას უახლოესი მეგობრის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ძიკურის წინააღმდეგ.

დემეის სახით ავტორი საბჭოთა ადამიანის იდეალს, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ვაჟკაცის ტიპს ხატავს. ძიკურს კი სულ სხვა იდეური დატვირთვა აქვს. მისი სახით ავტორი დამაჯერებლად და ოსტატურად გადმოგვცემს იმ ადამიანის ტრაგედიას. რომელიც სულიერად ვერ გაიზარდა, ვერ აპყვა ცხოვრების მაჯისცემას.

ძიკური ცული ადამიანი როდია, მან ბევრი გააკეთა კოლმეურნეთა საკეთილდღეოდ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ძლიერმა და გამოცდილმა კაცმა დაპყარვა ადრინდელი სითამამე, აღმაფრენა და ცეცხლი.

ძიკურისათვის უტბოა ოცნება მომავალზე, იგი მხოლოდ ერთი დღით უპერსპექტივოდ ცხოვრობს. ძიკური, თუმცა უნებლიეთ, მაგრამ მინც აბრკოლებს კოლმეურნეობის შემდგომ განვითარებას. იგი ჩამორჩა ცხოვრებას, მაგრამ ამაში დამნაშავეა არა მართო მისი ხასიათი, არამედ ძველი ჩვეულებებისა და ადათის გადმონაშთიც.

პოემაში ბევრია რეალისტურად დახატული დასამახსოვრებელი სახე. მეზალე-მიჩურინელი ბაკური, რომელმაც ყინვა-გამძლე ციტრუსების ჯიშების გამოყვანით გაითქვა სახელი; დემეის მეგობარი, ახალგაზრდა ინჟინერი არსანი, რომელმაც შექმნა წყალსაქაჩი ტუმბოსა და ელექტროსადგურის პროექტი და, მიუხედავად ავადმყოფობისა, პროექტი განახორციელა. ასევე ოსტატურადაა დახატული მოწინავე მასწავლებელი ასთანდა; განთქმული მეჩაიე-

ბი, — დები გუნდა და თინა; სწავლული-ნოვატორი, პრიფესორი ნიკო ძნელაძე.

უალრესად მიმზიდველია მომღერლისა და სახალხო მოქმელის, მოხუცი ლუაქეს სახეც.

პოემაში გამოყვანილია ძველი თაობის წარმომადგენელი ელყანი, რომელიც „იცავდა რა წარსული დროების ზნე-ჩვეულებებს, ვერ ხედავდა დღევანდელ დღეს“.

ელყანს სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მოკლულ შვილს ქელები გადაუხადოს, სულის მოსახსენებლად ზეარაკი სკირდება — თეთრი ხარი. კოლექტივში ჰყავთ ასეთი ხარი და მაშინ, როცა კოლმეურნეები თავგანწირვით შრომობენ, ელყანი მთელ ენერგიას იმას ანდომებს, რომ თეთრი ხარი ხელში ჩაიგდოს.

ელყანის თემა ოსტატურადაა შერწყმული პოემის სიუჟეტის მთავარ ხაზთან — ელყანი თხოვს წვრილშვილიან რძალს, მთელი თავისი ქონება ქელებს დახაზარჯოს, ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობა ქერივს სახლს უშენებს და ყოველნაირად ეხმარება ცხოვრების გაუმჯობესებაში.

საინტერესოაა გადმოცემული სიყვარულის თემაც. დემეის მასწავლებელი ასთანდა უყვარს, მისი გრძნობა ფაქიზი და წმინდაა. ასთანდა უყვარს ვინმე საყუნსაც ავტორი დასცინის საკუნს—გარდასულ დროთა „იდეალს“. უსაქმურ „ღარდიმანდს“.

ავტორი არ იფარგლება მხოლოდ აფხაზეთით. მისთვის მშობლიური ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა და საბჭოთა კავშირის ნაწილი. იგი გულთბილი და გულისხმიერი სიტყვებით აღწერს მოსკოვსა და თბილისს.

დემეის მეგობრები — არსანი და პრიფესორი ძნელაძე მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღზრდილებია. მათი ცხოვრების გზები აფხაზეთ-

ხუხუტი ბლაძბა  
ბაგრატ შინკუბა

ში შეიყარა. ძნელაძე ეხმარება არსანს წყალსაქაჩისა და ჰიდროელსადგურის აშენებაში.

ამზარელი კოლმეურნეები მრავალ-მილიონიანი საბჭოთა ხალხის განუყოფელი ნაწილია. რომანში ნათლადა გამოხატული მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობის, ძმობისა და მეგობრობის იდეა.

ბაგრატ შინკუბას პოემა „ჩემი თანამემამულენი“ რთული სიუჟეტის მქონე ნაწარმოებია. კარგადაა დამუშავებული დეტალები, დახატული ხასიათები, ნათელია იდეა.

მაგრამ პოემას ზოგი ნაკლი მაინც აქვს. მაგალითად, სიმონ თოდუას — ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახე ცოტათი სქემატურია. იგი ნაჩვენებია მხოლოდ სამსახურში, რაც რამდენადმე აღარ იბეჭდს მის სახეს მხატვრულად და ფსიქოლოგიურად. გარდა ამისა, პოემაში ზოგიერთი სურათი გაზვიადებულია.

ბაგრატ შინკუბას პოეზია გამოირჩევა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით, თემატური და ქანობრივი ნაირსახეობით. იგი კარგად ფლობს პოეტური საუბრის, თხრობის, სიუჟეტური ლექსის ტექნიკას. მისი ლირიკა უაღრესად ნათელია.

ბაგრატ შინკუბას პოეზიას ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი სახეები, ზუსტი მხატვრული შედარებები, სადა, ხალხური მეტყველებას მიახლოებული პოეტური ენა. მისი ლირიკული გმირი აერთებს თავისი ხალხის საერთო, ტიპურ თვისებებს.

ბ. შინკუბას ლირიკა გზიბლავთ გრძნობებისა და აზრების სიღრმითა დავლწრფელობით.

პოეზია კამერტონია, იგი გვიღვიძებს იმ გრძნობებსა და ფიქრს, რომელიც პოეტურ ნაწარმოებებშია გამოთქმული, ყოველივე ეს კი მკითხველს გარდაქმნის, აღაფრთოვანებს და სულიერად ზრდის.

ბაგრატ შინკუბას პოეზიაში ფორმა, შინაგანი კომპოზიცია, ლირიკული სა-

ხეების განვითარება, ლექსიკა, რიტმი, თვით ფონეტიკაც კი ყოველთვის ექვემდებარება ლექსის საერთო განწყობილებას. აზრს ყოველთვის ჰარმონიულადაა შეთანხმებული დიდ ემოციუბთან.

თავის შემოქმედებით კრედოს ბაგრატ შინკუბა აყალიბებს ლექსში „გასწი, გაჰკაფე...“, სადაც ნათლადა გამოთქმული პოეზიის მალალი დანიშნულების შეგნება:

...ჩაგბერე ჩემი სულის ნაწილი,  
აგანთე, როგორც ოქრომ კანკელი,  
გზად გაგატანე თვალი არწივის,  
გზად არაღერი არ დაგაკელი.  
ჩაგიღგი ენა, ენა იმგვარი,  
არ დაგვირღება არსად მთარგმნელი;  
გასწი, გაჰკაფე ყველა გრივალი,  
იხარე, სძლიე ბედი მხავერდი.  
...ყრმა არ ხარ, თუმცა ვაჩნდი ამ დილით.  
ასაკის სუსხი არ მოგხვედრია;  
უასაკოა ლექსი ნამდვილი,  
ასაკი მხოლოდ მგონის ხვედრია.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ

თუ ლექსს მღელვარებით არ გაათბობ, მაშინ იგი ემსგავსება „ცივ ვარსკვლავსა“ და „სურნელებამოკლებულ ვარდს“.

როლი ანათებს ერთნაირად ყველა ვარსკვლავი,  
ყველა ყვავილით ერთნაირად არ ვართ  
დამტკბარი!  
ყრუდ მოგესმება, თუ სიტყვაა გაუჩარხავი,  
ჩანს, არ ყოფილა გულის ცეცხლზე სიტყვა  
გამთბარი.  
და ზღაპრე, სადაც ქროლვა იცის მძაფრმა  
ქარებმა,  
ტალა უმიზნოდ პირქუშ კლდეებს  
დაენარცხება,  
მგონად ვერ ჩათვლი, თუ გაუქრა გულს  
მხურვალემა,  
და სიტყვაც ბავშვის სიზმარივით მალე  
გაქრება.

თარგმნა რევაზ მარგალიანი

ლექსები „ლენინთან“ და „აპრილი მეშახტეთა ქალაქში“ დაწერილია დიდი აღმაფრენითა და ოსტატობით. ამ ლექსებში გამოთქმულია აზრი, რომ დიდი ბელადი ყოველთვის ჩვენთანაა, ყოვე-



ლი წამოწყება, შემოქმედებითი აღმა-  
ფრენა მისი სახელითაა გამთბარი:

ახალ-ახლად აშენდა  
ქალაქი და სოფელი.  
მაგრამ გულში მოხუცებს  
დარჩათ ჩაუქრობელი:  
— ვის ნახავდა უკეთესს  
ბალი ფერად-ფერადი, —  
და ვერ მოვიპატიყეთ  
სტუმრად თვითონ ბელადი!

თარგმნა კარლო კალაძემ

პოეტი ისეთ უბრალო სურათში, რო-  
გორცაა კლდეზე გახარებული ხე, პო-  
ულობს ახალ თვისებებს, ხატოვანი  
ასოციაციებისა და მხატვრული გან-  
ზოგადების საბაზს.

პოეტის მიერ აღწერილი ბუნების  
სურათები უაღრესად ემოციურია და  
ყოველთვის ავტორის განწყობილებას  
გამოხატავს, ხოლო მისი სატრფიალო  
ლირიკა სუფთაა და აშაღლებული,  
მოკლებული ყოველგვარ ნატურა-  
ლიზმს.

ბაგრატ შინკუბას პოეზიისათვის  
უცხოა დაშტამპული სახეები და შე-  
დარებები, „სხვისი“ მოტივების გადამ-  
ღერება. იგი მაღალოსტატურად გამო-  
ხატავს იმ დიდ გრძნობებს, რაც მკი-

თხველის გულს ყოველთვის იპყრობს.  
ბაგრატ შინკუბამ აფხაზურად თარგმნა  
პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის,  
გორკის, ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის,  
ა. წერეთლის, ლეონიძის, გოეთეს, მიც-  
კევიჩის ნაწარმოებები:

საბჭოთა აფხაზეთის თვალსაჩინო  
პოეტის ბაგრატ შინკუბას სახელს დი-  
დი ხანია იცნობენ საბჭოთა მკითხველე-  
ბი. მისი ლექსების კრებულები გამო-  
ცემულია ქართულ და რუსულ ენებზე.  
ბაგრატ შინკუბა დიდ საზოგადოებ-  
რივ და სახელმწიფო მუშაობასაც ეწე-  
ვა. იგი სსრკ მწერალთა კავშირის გამ-  
გეობის წევრია, აფხაზეთის ასსრ უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო-  
მარე და საქართველოს სსრ უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის  
მოადგილეა.

პოეტი თავისი შემოქმედების აღორ-  
ძინების ხანაშია და მკითხველი მისგან  
ახალ-ახალ ნაწარმოებებს მოელის, ნა-  
წარმოებებს, სადაც შესაფერისად იქ-  
ნება ასახული ჩვენნი დიადი ეპოქა.

---

ხუხუტი ბლაყბა  
ბაგრატ შინკუბა



## მიჩიან მიჩაელი

### ივანე თარბა

გამოჩენილი აფხაზი პოეტი ივანე კონსტანტინეს ძე თარბა დაიბადა აფხაზეთში, 1921 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლაბუხაში. საშუალო სკოლა ოჩამჩირეში დაამთავრა, ხოლო უმაღლესი განათლება სოხუმში მიიღო. 1941 — 1945 წლებში საოლქო გაზეთის რედაქციაში მუშაობს. 1948 წელს ამთავრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან კურსებს, ხოლო 1948—1953 წლებში ხელმძღვანელობს აფხაზეთის მწერალთა კავშირს. 1953 წლიდან ივანე თარბა მუშაობს ჯერ აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად, ხოლო შემდეგ — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1954 წელს ი. თარბა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იქნა არჩეული.

ამჟამად ი. თარბა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა.

პოეტის პირველი წიგნი აფხაზურ ენაზე გამოიცა 1949 წელს. 1951 წელს თბილისში გამოვიდა ივანე თარბას წიგნი ქართულ ენაზე, ხოლო 1953 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა პოეტის ლექსთა კრებული. მას შემდეგ ივანე თარბას ლექსებისა და პოემების მრავალი კრებული გამოვიდა აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

არიან პოეტები, რომლებიც ლექსში ვაღამწყვეტ მნიშვნელობას რომელიმე მოქნეულ სიტყვას, ფრაზას, ეპითეტს ან კარგად მიგნებულ სახეს ანიჭებენ. ცხა-

დია, უეპითეტოდ, უმეტაფოროდ და მხატვრული სახის გარეშე პოეტური ნაწარმოები არ არსებობს, მაგრამ ამასთანავე არანაცლები ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, თუ რა შინაარსს, რა იდეურ ჩანაფიქრს ემსახურება ეს კომპონენტები.

ივანე თარბას, როგორც პოეტის, მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი თვითმიზნურად არაა გატაცებული ფორმით, ლექსის გარეგნული სამკაულებით. მისი ლექსებისა და პოემებისთვის ნიშანდობლივია მძლავრ, ახალგაზრდულ პათოსთან შეზავებული ლირიზმი. ივანე თარბას პოეტური აზროვნება უაღრესად ნათელი და გამჭვირვალეა.

ივანე თარბას ნაწარმოებების ცენტრში ყველგან ახალი ცხოვრების შემოქმედი საბჭოთა ადამიანი დგას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ადამიანის სულისკვეთებას და ხედვას პოეტი ისტორიულ თემაზე დაწერილ ლექსებშიც ინარჩუნებს.

ივანე თარბას მრავალი ნაწარმოები გვხვბლვას უშუალობითა და ორგინალური გააზრებით. პოეტის ერთ ლექსში ასეთი აზრია გატარებული: ლექსის ლირიკული გმირი უცხო ქვეყნის მიწაზე იმყოფება; უეცრად საზღვართან „თვითმფრინავები აფრინდნენ მაღლა, ცას თითქოს მიჯნა არ უჩანს არსად; რომ დაარღვიონ საზღვარი ახლა, ხომ დაუჯდებათ სიცოცხლის ფასად...“ მაგრამ, აი, ახლა მტრედებმა გადასერეს საზღვარი.

მტრედი კი ადამიანთა ბედნიერების — მშვიდობის სიმბოლოა და მას ტყვიას არავინ ესვრის... ლექსი ამ სტრუქტურით თავდება:

წაიშლებოდა საზღვარი მართლა,  
ძმური ყიფინით ცას შევარხევილით, —  
რომ ქვეყნის საზღვრებს  
მტრედების ვარდა  
არეინ არღვევდეს  
სხვა განზრახვებით.

ივანე თარბას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ლექსში მან თავი დააღწია ექვლარაციულობასა და ჭარბ ბუბლიციანობას, რაც მსგავს თემებზე დაწერილ ნაწარმოებებში ხშირია. ივანე თარბას ნაწარმოებებში იგრძნობა ლირიკული გმირის შინაგანი წვა და ოცნება, ვნებათა ლელვა, რასაც ავტორი ხორცს ასხამს მხატვრული სახეებით. ეს მოვლენა განსაკუთრებით ხელშესახებად და თვალნათლივ ჩანს ლექსში — „ჩემი თეთრი ცხენი“:

... ცხენი კი არა, იყო ისარი,  
შევაჯდებოდი, ვავაქროლებდი  
და სიმარდესი მე და ზღვის ქარი  
უცებ ვხლებოდი თანატოლები,—

ასე იხსენებს ლექსის ლირიკული გმირი თავის ბავშვობას, რომელიც ზღვაურს დასწყვილებია, მასთან ერთად უჭროლია და მისი ტოლი გამხდარა. უფრო ქვემოთ ლექსში მინიშნებულია, რომ ეს ისარივით მსრბოლი ქურანიც ვერ გაუსწორდა ახალი დროის შემართებას. „სხვა დრო მოვიდა, ვერ იამაყებ, ჩემო ქურანო, შენი სიჩქარით“. ახლა ლექსის გმირს „მოტორის უწყვეტ გუგუნში“ ქურანის მხოლოდ ჭიხვინილა ჩაესმის. ლექსის ფინალში ლირიკული გმირი დიდი პოეტური უშუალობით ამბობს.

ჯერ არნახული წინსვლა ვიხილე,  
დღე გუშინდელი როგორ დავგვორდა  
ახლა, თეთრონო, ნუ იჭიხენებ,  
არ გააღვიძო ჩემი ბავშვობა!

ეროვნული კოლორიტი მკაფიოდ იგრძნობა ივანე თარბას ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა: „აფხაზეთი“, „მთები“, „ფაცხა“, „ჩვენში“, „ზღვა და

მდინარე“, „სოხუმი“, „ბავშვობის გახსენება“, „დედა“, „თოვს, ფანტელები ცვივან ციდან“, „მარულა“ და სხვ. მაგრამ პოეტის შემოქმედება როდი იფარგლება მხოლოდ ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით. ივანე თარბას პოეტური სამყარო მრავალფეროვანია. მისი ნაწარმოებების ლირიკულ გმირებს ჩვენ ვხედავთ ალაზანსა და ვოლგაზე, იალბუზის მწვერვალებთან და „ციმლიანსკის ზღვასთან“, კრემლის ზარების გუგუნსა და სამშობლოს თვალუწვდენი ველების სიჩუმეში.

ივანე თარბას შემოქმედებისათვის უცხოა მუქი ფერები, უიმედობა, მელანქოლიური წუწუნი. მისი ლექსების ლირიკული გმირები სიცოცხლით, ჯანსაღი ოპტიმიზმით აღსავსე ადამიანებია. მათ სწამთ სიცოცხლის უძლეველობა და მარადიულობა, ის დიდი სიხარული, რისთვისაც ადამიანი გაჩენილა.

პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „დიდი ხანია, მოვიფიქრე“, „ქალია და რა ქალია“, „მერე რა უშვავს“, „გუშინ დაეშორდი ოცნებას ჩემსას“, „გუფიცებით, არ მწყუროდა“, „ჩერქეზი ქალი“, „არ აქვს მშვენება ზღაპრული დალის“ და სხვ. ეს ლექსები შთაგონებული და ამღერებულია ახალგაზრდა კაცის ჯანსაღი სიყვარულით.

ივანე თარბა აფხაზეთის თვალწარმტაცი ბუნების შესანიშნავი მხატვარიც არის. მაგრამ ბუნების სურათების ხატვა პოეტისათვის თვითმიზანი არაა, იგი მას გმირის შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად იყენებს.

ზღვაური, ვით წიგნს, ლურჯ რტოებს  
კეცავს  
და ოცნებათა იხსენება კარი,  
ზღვაზე ვარსკვლავებს მოაბნევს ზეცა,  
ზეცა მაღალი,  
სიმღერის დარი.

მირიან მირნელი  
ივანე თარბა

ივანე თარბა მრავალი პოემის ავტორია. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა „პოემა უსათაუროდ“. ამ ნაწარმოებში ავტორი რელიგოზური ხერხებით გვიხატავს საბჭოთა ადამიანების საბრძოლო და შრომითს მამაცობას, მაგრამ აქვე დაუნდობლად ამოთრახებს კარიერისტებს, მლიქვნელებსა და წარსულის სხვა მავნე გადმონაშთებს.

ავტორი დიდი სიმბათით ხატავს ხალხის საქმისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის თავდადებულ ადამიანებს.

მთავარს, ვაფასებ ყველა მეგობარს, —  
დიდი მომავლის ერთგულ მსახურებს,  
მე წელიწადი არცაი შეყოფა,  
თუ ყველა მათგანს მოვინახულებ.

მაგრამ ნათელი მომავლისათვის, სახელოვანი საქმისათვის ყველა როდი იბრძვის. ყველას როდი შეაქვს წვლილი კომუნისმის მშენებლობის დიად საქმეში.

მაგრამ უთვალავ ტოლს და ამხანაგს  
გამორეგია ზოგიც უღირსი,  
თითქოს ისინი ქაფი გამხდარან  
ჩვენი ცხოვრების ნამღვილ ღულილში.

საინტერესო პოემა „გამოცდა“ მიმართულია აფხაზ ხალხში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი მავნე ჩვეულებების

წინააღმდეგ. ლირიკული პოემა „რაყდებ ქიბა“, რომელიც ჟურნალმა „ცისკარმა“ ამას წინათ გააცნო ქართველ მკითხველს, მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების შრომითს საქმეებზე.

პოეტის ლტოლვას ეპიკური ქანრისაკენ უშედეგოდ არ ჩაუვლია. მიმდინარე წელს აფხაზურ ენაზე გამოვიდა ივანე თარბას სქელტანიანი რომანი „ცნობილი სახელი“. წიგნი იმთავითვე იქცა მკითხველისა და ლიტერატურული კრიტიკის მსჯელობის საგნად. ნაწარმოებში დახატულია 50-იანი წლების აფხაზეთის საკოლმეურნეო ცხოვრების სურათები. რომანში ოსტატურადაა დახატული მთავარი გმირის — უნარიანი ორგანიზატორის, მაგრამ განდიდების მანიით შეპყრობილი არნოუ ნაურბას სახე. ნაწარმოების სიუჟეტი ბუნებრივად ვითარდება, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ნაურბას გარდაქმნა მეტ მხატვრულ დასაბუთებასა და დამაჯერებლობას მოითხოვდა. მთავარი მაინც ისაა, რომ თარბამ ამ ნაწარმოებში პროზაიკოსის კარგი თვისებები გამოამჟღავნა.

ივანე თარბა ამჟამად თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში შედის. ჩვენი მკითხველები მისგან კვლავ ბევრ ნიკიერად დაწერილ წიგნს მოელიან.



## ხალხის სიმღერა

აფხაზმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე უამრავი გაჭირვება და განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ სიცოცხლის გასაოცარი ხალისი არასდროს არ დაუკარგავს. ყველა აფხაზს უყვარს და თითქმის ყველამ იცის სიმღერა. აფხაზური სიმღერა აფხაზეთის ისტორიაა, ყველაზე წმინდა რამ, რაც აფხაზთა შინაგან სამყაროს, მათ ფიქრებსა და სულს გადმოსცემს. აფხაზური სიმღერებით ჩვენ ვეცნობით ამ ხალხის ღრმად ინდივიდუალურ ხასიათს.

აფხაზურ სიმღერას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ხელოვნების სხვა დარგების (მხატვრობა, ქანდაკება) წარსულის შესწავლა მუსიკის წარსულის შესწავლაზე გაცილებით ხელმისაწვდომია, თუმცა შემორჩენილი მატერიალური ძეგლები და ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი სიმღერის მუსიკალური და პოეტური ტექსტის არქაულობა სიმღერის წარსულის შესწავლას გვიადვილებს.

ყველაზე ძველი აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორში საკულტო სიმღერები და შელოცვებია. აღსანიშნავია „ქარიშხლის სიმღერა“, რომელსაც ავდარში მღეროდნენ, და „ატლარჩობა“ — ძველი აფხაზების რწმენით ავადმყოფის განმკურნავი მაგიური სიმღერა. „ლოცვა წვიმაზე“ გვალვის დროს იმღერებოდა, „ძიოუ“ წყლის ღვთაებისადმი იყო მიმართული.

ნადირობა აფხაზებისათვის ძველთაგანვე ერთ-ერთი საარსებო წყარო იყო. სიმღერები ნადირობაზე უძველესია აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორში. დღევანდელი „დათვების ცეკვა“ ადრე ალბათ საკულტო ცეკვა იქნებოდა. სიძველეზე თვით ამ სიმღერის შესრულება მიუთითებს. ამ სიმღერაში, როგორც სინკრეტული ხელოვნების ნიმუში, მუსიკა და ცეკვა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. „დათვების ცეკვა“ და მისი მსგავსი სიმღერები აფხაზური თეატრალური კულტურის სათავეებია.

აფხაზური სიმღერების უმრავლესობა შრომითი სიმღერებია. მათ შორის არის როგორც უძველესი, აგრეთვე ახალი, — აფხაზი ხალხის შთაგონებული შრომის ამსახველი სიმღერები. ბევრ სიმღერაში გამოხატულია აფხაზი კაცის დიდი სიყვარული შრომისადმი.

განსაკუთრებული სიყვარულით უმღერის ხალხი სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს. ხალხი უმღერის სამართლიანობისათვის ბრძოლას, ადამიანის ქედუხერლობას, მის მეამბოხე სულს.

აფხაზების საყვარელი სახალხო გმირებია აფგური-იფა კუჩუკი, კაპიტა კუჯბა, ფშკაჩი-იფა მანჩა, აჯირ-იფა დანაკეი, ინაფხა კიაფუა. ინაფხა კიაფუაზე მრავალი სიმღერაა. ყრმობიდანვე ბრძოლებში გამობრძმედილი გულადი ვაჟკაცი მედგრად ესარჩლებოდა მშრომელ ხალხს. იგი ერკინებოდა გა-



რეჟე მტრებს და უშიშრად ებრძოდა თავადს ხაამიტ მაზლოუს, რომელიც საწყალ გლეხებს მონებად ჰყიდდა. მოლატისგან სასიკვდილოდ დაჭრილი კიაგუა იმეორებს ძველ ხალხურ სიბრძნეს, რომ სამარცხვინო არსებობას სახელოვანი სიკვდილი სჯობია.

მაჰაჯირობა ყველაზე ტრაგიკული პერიოდია აფხაზეთის ისტორიაში. გასული საუკუნის 60—70-იანი წლების მიჯნაზე თურქებს ძალით და მოტყუებით მრავალი აფხაზი მიჰყავდათ სამშობლოდან. უცხოეთში მაჰაჯირები საშინელ ვაჭირვებას, შიმშილს განიცდიდნენ. თურქეთში მყოფი მაჰაჯირების ტანჯვით აღსაესე ცხოვრება დამაჯერებლად დახატეს აფხაზმა მწერლებმა (დ. გულიას „ჩემი კერა“, ს. ჭანბას „ტანჯვის სიმღერა“; ქართულ პოეტთა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია გ. ტაბიძის ვრცელი ლექსი „მაჰაჯირი“). მაჰაჯირთა ტანჯვა გადმოცემულია იმდროინდელ სიმღერებშიც; ა. გემზე მარტოხელა ქალია. გზაში მას ბავშვი გაუხდა ავად და მოუკვდა. დედა ზღვაში გადასადგებად ვერ იმეტებს შვილს, არ ამხელს მის სიკვდილს და ტკილ იავნანას უმღერის. ამ იავნანაში ბედნიერების რწმენაა, არ ისმის ქვითინი და ოხვრა. უბრალო, ბუნებრივი მელოდია ძლიერად გადმოსცემს აფხაზი დედისა და სოციალურად დაჩაგრული ხალხის ტრაგედიას.

აღნიშნული ჟანრის სიმღერებს გარდა აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორში უხვადაა ადათ-წესების, ისტორიული, ლირიული და სხვა სიმღერები. თანამედროვე ხალხური სიმღერების უმრავლესობა ბედნიერ ახალ ცხოვრებას, ხალხის გმირობას, მის შრომითს საქმიანობას და საუკეთესო მისწრაფებებს ეძღვნება.

სხვადასხვა ხალხების ეროვნული სიმღერები სხვადასხვანაირად ვითარდებოდა; უმეტესად ეს იყო ერთხმიანი, სოლო სიმღერები. ზოგიერთ ხალხს, მათ შორის აფხაზებსაც, მრავალხმიანი გუნდური სიმღერები მოეპოვება. აფხაზური სიმღერები ძირითადად ორხმიანი

ნია (სამხმიანი სიმღერები უფრო აღრინდელია, მაგრამ ისინიც ნათლად ატარებენ ეროვნულ ელფერს). ამ სიმღერებში მკაფიოდ ჩანს მისი შემოქმედი ხალხის სახე. აფხაზური სიმღერები მკვეთრად ინდივიდუალურია. სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის გარდა, ისინი ადვილად საცნობია მელოდიის, მეტრულ-რიტმული სტრუქტურის, ფაქტურის, პარმონის, პოლიფონიის თავისებურებებით.

მდიდარი და მრავალფეროვანი აფხაზური კულტურის სერიოზული შესწავლა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან იწყება. აფხაზური სიმღერების ნიმუშებით პირველად კ. ძიძარია და კ. კოვაჩი დაინტერესდნენ. ამას მოჰყვა შრომები — კ. ძიძარიას და კ. კოვაჩის „101 აფხაზური სიმღერა“ და კ. კოვაჩის „კოდორის აფხაზების სიმღერები“. აფხაზურ ხალხურ სიმღერებს პოპულარიზაციას უწყვეს გუნდი, რომლის ხელმძღვანელია აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე პ. ფანცულაია.

მოგვიანებით აფხაზურ მუსიკალურ ხელოვნებას იკვლევენ ცნობილი მუსიკოსები — ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, დ. შვედოვი, ი. სლონოვი, ნ. ნარიმანიძე და სხვები. მუსიკოსები მოხიბლა ამ პატარა ერის ხელოვნებამ და მის საფუძველზე სხვადასხვა ჟანრის მრავალი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოები შექმნეს.

კოდრათე ძიძარია პროფესიონალი მუსიკოსი არ ყოფილა, მაგრამ მას უყვარდა და ესმოდა ხალხური ხელოვნება. აფხაზური სკოლის დირექტორად ყოფნის დროს მან გუნდი ჩამოაყალიბა. ამ გუნდიდან შემდგომში ხალხური ხელოვნების კარგი მცოდნეები გაიზარდა. გუნდის ერთ-ერთ მეცადინეობაზე კ. ძიძარია და კ. კოვაჩმა ერთმანეთი გაიცნეს, რამაც დასაბამი მისცა მათს ერთობლივ შემოქმედებით მუშაობას. კოდრათე ძიძარია აფხაზური მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების შესწავლას დიდი ამაგი დასდო,

რაც სამწუხაროდ დღემდე არაა სათანადოდ შესწავლილი.

კონსტანტინე კოვაჩმა დიდად შეუწყო ხელი აფხაზური პროფესიული მუსიკის შექმნას, მუსიკალური განათლების საქმეს. ხალხური ხელოვნების შესწავლას. აფხაზი ხალხის წარსული და დღევანდელი ცხოვრების ამსახველი სიმფონიური პოემის („შენი გზა“) წინასიტყვაობაში კომპოზიტორი წერს აფხაზური ხელოვნების სიმდიდრეზე და ამ საგანძურის უყურადღებოდ დატოვება ბოროტებად მიაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორის ნაწარმოებები მალალი ოსტატობით არ გამოირჩევა, ჩვენ კ. კოვაჩს მაინც დიდად ვაფასებთ, რადგან იგი პირველი კომპოზიტორია, რომელიც აფხაზურ სანამდვილეზე აფხაზების მუსიკალური ენით წერდა. კ. კოვაჩის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია საორკესტრო პიესები—„ტყვარჩელი“, „სიმღერა რივის ტბაზე“, „ორი პარტიზანი“, „შენი გზა“; მინიატურა კვინტეტისათვის, „იავნანა“ ნაციონალურ საკრავთა ანსამბლის თანხლებით აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას სიტყვებზე.

აფხაზური მუსიკალური კულტურის განვითარებაში ქართველ კომპოზიტორებს დიდი დამსახურება მიუძღვით.

ქართული მუსიკის კლასიკოსმა ზაქარია ფალიაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა სუიტა ორკესტრისათვის. ამ სუიტაში მან აფხაზური ნაციონალური მელოდიები გამოიყენა. ცნობილი ქართველი დირიჟორის, ივანე ფალიაშვილის საორკესტრო მინიატურას „დათვების ცეკვას“ ამავე სახელწოდების აფხაზური ხალხური სიმღერა დაედო საფუძვლად.

აფხაზური მუსიკალური ფოლკლორი გამოყენებული აქვს აგრეთვე ცნობილ ქართველ კომპოზიტორს შალვა მშველიძესაც. მისი სამი პიესა ორკესტრისათვის — „აზარი“, „ფშაური“ და „ხორუმი“ ქართული სიმფონიური მუსიკის მნიშვნელოვანი შენაძენია.

საორკესტრო მინიატურა „აზარი“ ნათელი ფერებით შესრულებული, ტემპერამენტისანი ნაწარმოებია; იგი მხიარულ სახალხო დღესასწაულს განასახიერებს. „აზარს“ აფხაზური ხალხური მელოდიები უდევს საფუძვლად. შალვა მშველიძის „აზარი“ თანაბრად მიეკუთვნება აფხაზურ და ქართულ მუსიკას.

აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორს ხშირად იყენებს კომპოზიტორი დიმიტრი შვედოვი. მისი ოპერა „განდევნილები“ აფხაზურ ხალხურ სიმღერებზე დაწერილი პირველი საოპერო ნაწარმოებია. მისი სიუჟეტი მაჰაჯირობის მძიმე, დრამატულ პერიოდთანაა დაკავშირებული. ოპერაში ნაჩვენებია რუსი და აფხაზი ხალხის მეგობრობა. ოპერის გასინჯვა (ლიბრეტო დაწერა მიხეილ ლაკერბაიძე) შედგა თბილისში, 1937 წლის ოქტომბერს, ხოლო შემდეგ იგი მოსკოვში წარმოადგინეს.

საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა „განდევნილები“ დიდი გამომსახველობითი ძალისა და ზემოქმედების მქონე ნაწარმოებად აღიარეს. ცნობილი ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე განსაკუთრებით აღნიშნავდა ოპერის მაღალ ვოკალურობას, აზრიან და ღრმა მუსიკას.

უმთავრესი, რითაც ჩვენ დიმიტრი შვედოვის ოპერა გვხიბლავს, ისაა, რომ კომპოზიტორი აფხაზურ ხალხურ შემოქმედებას ეყრდნობა. დიმიტრი შვედოვი შესანიშნავად იცნობს ხალხურ ხელოვნებას. იგი აფხაზეთში ცხოვრობდა და აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის მრავალი ნიმუში ჩაიწერა.

ოპერა „განდევნილებიდან“ განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზი ქალის ღრმა მწუხარების გამომხატველი „შიტას იავნანა“, „სეიდის სიმღერა“—ქაბუკის ლირიკული აღსარება, რასაც საფუძვლად უდევს ხალხური სიმღერა სოლომონ ბლაკაზე. „თემურის სიმღერა“

სვეტლანა ქეცბა  
ხალხის სიმღერა

ღერა“, რომელშიც გადმოცემულია ნაზირასადმი გმირის სიყვარული და სხვ. ოპერის კულმინაციური ეპიზოდია კობლუნის მონოლოგი. სამშობლოსთან განშორებისას მოხუც კობლუნს თან მიაქვს ერთი მუჟა მშობლიური მიწა, რაც მას უცხოეთში თავის ძვირფას, მიტოვებულ მამულს გაახსენებს. საორკესტრო პარტიაში მონოლოგს მახაჯირების ხალხური სიმღერის მელოდია გასდევს.

დომიტრი შვედოვს ეკუთვნის აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორზე შექმნილი სხვა ნაწარმოებებიც. მათგან გამოირჩევა „საბავშვო პიესების კრებული“ ფორტეპიანოსათვის და „აფხაზური პოემა“ ვიოლინოებისათვის ფორტეპიანოს თანხლებით.

დომიტრი შვედოვის საბავშვო პიესები მტკიცედ დამკვიდრდა მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა საკონცერტო და სასწავლო რეპერტუარში. კომპოზიტორმა ამ პიესებში გამოიყენა ნაციონალური მელოდიები „ლაშქრული“, „გულისის დაჭრის სიმღერა“ და სხვ.

„აფხაზურ პოემას“ საფუძვლად უდევს ხალხური სიმღერა ხაჯარათზე. სიმღერის მელოდია ნაწარმოების მუსიკალურ ქსოვილში თანდათან იჭრება და ბოლოს ამ მელოდიით თავდება. „აფხაზური პოემის“ ინტონაცია და პარმონია ხალხურია, იგი აფხაზური მუსიკის კილოზეა დაწერილი.

1939 წელს ანდრია ბალანჩივაძემ მიხეილ ლაქერბაის მოთხრობის მიხედვით დაწერა ლირიულ-კომიკური ოპერა „ბედნიერება“. ოპერა მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის შთაგონებულ შრომაზე, მის ნათელ იდეალებზე. ამ თემის პარალელურად ვითარდება ორი ახალგაზრდის — ადამურისა და შაზინას სიყვარულის ისტორია-გაუგებრობანი და კურიოზები მათ ურთიერთობაში ქმნის კომიქსს. ოპერის საუკეთესო ადგილებია გუნდის სიმღერა დასაწყისში „მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ“, ადამურისა და შაზინას არიები, სიმფონიური ინტერმეცო „რიწის ტბა“ და სხვ.

ათი წლის შემდეგ „ბედნიერება“ (ახალი ვარიანტი) თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა.

ბოლო წლების ერთ-ერთი თვალახინო ნაწარმოებია ნ. ნარიშანიძის სიმფონიური პოემა „ორი ძმა“. ეს ნაწარმოები ორნაწილიანია. მას საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება მონადირე ძმებზე, — ერთგულების, ეჭვისა და შურისგების ამბავი. სიმფონიურ პოემაში უხვადაა გამოყენებული აფხაზური ხალხური შემოქმედება.

აფხაზური პროფესიული მუსიკის განვითარებას ხელს უწყობს კომპოზიტორ ა. პოზდნევევის ნაყოფიერი მოღვაწეობა. მან აფხაზი პოეტების ტექსტებზე დაწერა რამდენიმე რომანსი (აღსანიშნავია „მოჯირითე“ და „მეჩაიე ქალს“ პაგრატ შინკუბას ტექსტებზე), მასვე ეკუთვნის პიესები ფორტეპიანოსათვის, საორკესტრო სუიტა „აბრსკილი“ (იგი სამი ნაწილისგან შედგება: „მხედრების მარში“, „ლირიული სცენა“, „სტუმრების ვეკვა“), საბავშვო ოპერა „სახიფათო ნაცნობობა“ და სხვ.

ოპერა „სახიფათო ნაცნობობა“ ხალხური ზღაპრის სიუჟეტზეა დაწერილი და მისი მთავარი აზრი შრომის განდიდებაა. ლიბრეტოს ავტორია ახალგაზრდა აფხაზი პოეტი ქალი ნელი თარბა. ოპერაში სამი მთავარი მოქმედი პირია: მინდვრის თავგი, შინაური თავგი და კატა მოქმედება მსუბუქად და თავისუფლად ვითარდება. კომპოზიტორი ამ ნაწარმოებში იყენებს მასობრავ ცეკვებს და საგუნდო სიმღერებს.

აფხაზურ მუსიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კომპოზიტორ ი. სლონოვის კამერულ-ვოკალური შემოქმედება. იგი კარგად იყენებს აფხაზი პოეტების ლექსებს და აფხაზ ხალხზე, მის წარსულსა და აწმყოზე საყურადღებო ნაწარმოებებს ქმნის.

ვოკალურ ლირიაში მუშაობს აგრეთვე ს. კაცია. დომიტრი გულუას ლექსებზე დაწერილი მისი სიმღერები „აფხაზეთში იყო ერთი მოჯირითე“ და „სტუმრის მოსვლა გვიხარია“ აფხაზეთში მეტად პოპულარულია.

აფხაზი კომპოზიტორების ი. ლაკერბაის და ი. კორთუას სიმღერები ხალხმა აიტაცა და შეიყვარა. ისინი ხალხური სიმღერების კარგი მცოდნეები არიან. შესანიშნავად იყენებენ ხალხურ მოტივებს და ამდიდრებენ აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორს. საუკეთესო სიმღერებია ი. ლაკერბაის „მაჰაჯირული იანანა“, „სიმღერა მშვიდობაზე“, „ანტისა“ და ი. ქორთუას „მონადირეები“, „სანჩარა“ და სხვ.

აქვე უნდა დავასახელოთ ახალგაზრდა აფხაზი კომპოზიტორები, რომლებიც თავიანთ ძალებს ჯერჯერობით მხოლოდ სიმღერებსა და მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებში ცდიან. ესენია: ა. ჩიჩბა, რ. გუმბა, ბალათელია, ი. აქირთავა და სხვ. რ. გუმბას „შავულვაშა კვაჩალა“, ბ. ბალათელიას „მიყვარხარ“ და სხვ. ახალგაზრდა აფხაზი კომპოზიტორების შესაძლებლობებსა და ნიჭზე მეტყველებს ა. ჩიჩბა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტია. მან დაწერა კანტატა, რამდენიმე ნაწარმოები ფორტპიანოსათვის და სიმღერები.

სამი წლის წინათ სოხუმის არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სას-

წავლებელთან გაიხსნა თეორიულ-საკომპოზიტორო განყოფილება. აქ მოსწავლე აფხაზი ახალგაზრდები, იმედია, წვლილს შეიტანენ ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

სოხუმის არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური კადრების ერთ-ერთი სამკედლოა. არსებობის მანძილზე სასწავლებელმა მუსიკის არაერთი სპეციალისტი აღზარდა; მათ შორის 60-ზე მეტმა კაცმა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ერევნის, ბაქოს, კიევისა და სხვა ქალაქების კონსერვატორიებში მიიღო უმაღლესი განათლება. უმაღლესი განათლების მქონე მუსიკოსებში გვყავს ეროვნული კადრები: მუსიკათმცოდნეები — ა. კუკუბა და მ. ხაშბა, მევიოლინე ლ. ჯერგენია, პიანისტები — მ. ქეცბა, ე. ბლანბა, მომღერალი ა. ავიძბა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აფხაზურ მუსიკალურ კულტურას ფართო გასაქანი მიეცა და იგი წლითიწლით იზრდება და ვითარდება.

სვეტლანა ქეცბა  
ხალხის სიმღერა



## აფხაზეთის მხატვრობა

თვალწარმტაცი და ზღაპრულია აფხაზეთის ბუნება. მისი ზღვა და მთები, ტყე-ველები და მდინარეები განუყოფელი სილამაზით ამკობენ ამ პატარა მხარეს. ვისაც ერთხელ მაინც თვალი მოუქრავს აფხაზეთის სილამაზისათვის, შეუძლებელია მესხიერებაში სამუდამოდ არ აღებეჭდოს იგი.

სახელოვანმა მხატვრებმა — აივაზოვსკიმ, გაგარინმა, ვერეშაგინმა, რეპინმა, ვასნეცოვმა და სხვებმა თავიანთ სურათებში შესანიშნავად ასახეს აფხაზეთის მომხიბლავი ბუნება. ყველაზე მშვენიერი თვით ამ მიწის მკვიდრი, სტუმართმოყვარე აფხაზი ხალხია, რომელიც კომუნიზმის ცხოველყოფელი იდეებით შთაგონებული, სახელოვანი შრომით უფრო თვალწარმტაცს და მიმზიდველს ხდის თავის საყვარელ კუთხეს. დღეს სტუმრები და მოგზაურები კი არა, თვით აფხაზი მხატვრები უმღერიან მშობლიურ ბუნებას.

პირველი აფხაზი პროფესიონალი მხატვარი **ალექსანდრე შერვაშიძე** (ჩაჩბა) რუსული რეალისტური მხატვრობის სკოლამ (სეროვი, საიმოვი, ბენუა), აღხარდა. ალექსანდრე შერვაშიძე განსაკუთრებით საინტერესო იყო, როგორც თეატრალური დეკორატორი; გამოჩენილ მხატვრებთან — კოროვინთან და გოლოვინთან ერთად რუსულ თეატრალურ მხატვრობაში გადატრიალება მოახდინა.

ალექსანდრე შერვაშიძის თემატურად და ქანობრივად მდიდარ მეგვიდრობაში არის მრავალი ტილო, აკვარელი, პორტრეტი, ესკიზი, ნახატი და სხვისი ნამუშევრები ნათლად მეტყველებენ მხატვრის უაღრესად ორიგინალურ მანერაზე, სრულყოფილად გადმოსცემენ მის პოეტურ სამყაროს. ამ ნაყოფიერი და საყურადღებო მხატვრის 500-ზე მეტი ნამუშევარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისში ინახება; მხატვრის ნამუშევრები თავმოყრილია, აგრეთვე, აფხაზეთის დ. ი. გულის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, სოხუმში.

საინტერესოა ალექსანდრე შერვაშიძე, როგორც ხელოვნებათმცოდნე. სხვადასხვა დროს მას მრავალი მნიშვნელოვანი წერილი აქვს გამოქვეყნებული მხატვრებზე, კერძოდ, იმპერესიონისტების ხელოვნებაზე.

ალექსანდრე შერვაშიძის ინიციატივით სოხუმში 1918 წელს, თეატრ „ლიონთან“ ადგილობრივ მცხოვრებთა ბავშვებისათვის გაიხსნა სამხატვრო სტუდია.

აფხაზეთში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ნაყოფიერად მუშაობდნენ აფხაზეთში ჩამოსახლებული რუსი მხატვრები — **ა. სადკევიჩი**, **ა. ბუხოვი**, **ვ. კონტარევი** და სხვები, რომლებიც მხატვრობის პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. აღნიშნული მხატვრები ხან-



გამოშვებით გამოფენებსაც აწყობდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ აფხაზი ხალხის ნიჭს დიდი გასაქანი მისცა. ხელოვნებას დაეკისრა არა მარტო ხალხის გმირული ყოფის ასახვა, არამედ ნათელი მომავლის შვებულთა სულიერად მომზადება.

მხატვართა ეროვნული კადრების მოსამზადებლად ნესტორ ლაკობას ინიციატივით მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში გაიგზავნა ნიჭიერი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, მათ შორის, **ივანე ცომიაი**, რომლის პირველმა ნახატებმა ადრე აღექვანდრე შერვაშიძის ყურადღება მიიპყრო. მასწავლებელმა დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდაზე და იგი ა. შერვაშიძის აფხაზეთიდან წასვლის შემდეგაც (1921 წ.) გულმოდგინედ იმადლებს თავის ოსტატობას.

ივანე ცომიაიმ მალე მიადგინა სეროიზულ წარმატებებს და მის ნამუშევრებში მთელი სისრულით გამოჩნდა შშობელი კუთხის სილამაზე, მისი ხალხის ბედნიერი ცხოვრება.

აფხაზი მხატვრების რიცხვი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1935 წელს სოხუმში გაიხსნა ორწლიანი სამხატვრო სასწავლებელი, რომელიც 1937 წელს ხუთწლიანად გადაკეთდა. აფხაზეთის სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი დეწლი მიუძღვით ამ სასწავლებლის პედაგოგებს — ლ. ნეცკის და ო. სეგალს. სეგალი ვრუბელის და სეროვის მეგობარი იყო.

1938 წელს შეიქმნა აფხაზეთის მხატვართა კავშირი, რომელსაც სათავეში ი. ცომიაი ჩაუდგა. 1940 წელს სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების პირველი გამოფენა, რაც მისი მონაწილეების მზარდ ოსტატობაზე მეტყველებდა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველი აღზრდილებიდან თავისებურებითა და გამოსახვის საშუალებათა სიმდიდრით გამოირჩევა **ნაზიმ ხალვაშის** ნამუშევრები. მხატვარს უმთავრესად

ყოფითი, აფხაზთა ცხოვრების ამსახველი თემები იზიდავს.

დიდი სამამულო ომის წლებში აფხაზ მხატვართა უმრავლესობა ფრონტზე წავიდა. სოხუმის დაცარიელებული სამხატვრო სასწავლებელი დაიხურა.

ამ მრისხანე ეპოს აფხაზი მხატვრები მალალი პატრიოტული ელტადობის ნაწარმოებებს ქმნიდნენ. 1943 წელს სოხუმში მოეწყო გამოფენა: „სამამულო ომი“.

აფხაზეთში ომის განმავლობაში გამოდიოდა სხვადასხვა პოლიტიკური, სატირული ფურცლები და ანტიფაშისტური კარიკატურული ჟურნალი „ხიშიტი“.

1946 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 25 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში მოწყობილ საიუბილეო გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა მხატვრებმა. გამოფენაზე მოწონება ხვდა წილად ახალგაზრდა მხატვრის, **გ. გულიას** გრაფიკულ პორტრეტებს, რისთვისაც მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

1947 წლიდან სოხუმში ხშირად ეწყობა ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ამ გამოფენებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას მხატვრები — **ო. ბრენდელი**, **ვ. შჩეგლოვი**, მოქანდაკეები **ს. რაზმაძე** და **ბ. დოდობერიძე**; გრაფიკოსი **ჭ. კუკულაძე** და სხვები.

აფხაზური სახვითი ხელოვნების ნამდვილი ტრიუმფი იყო 1957 წელს, თბილისში, აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში მოწყობილი გამოფენა.

ამ გამოფენაზე ცნობილ ხელოვანთა გვერდით თავი გამოიჩინეს ფუნჯისა და საკრეთლის ახალგაზრდა ოსტატებმა.

5 წელზე მეტია აფხაზეთის მხატვართა კავშირში მუშაობს მეტად თავისებური და ნიჭიერი მხატვარი **ვ. ბუზნოვა**. მისი გრაფიკული ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყო

ანატოლი კაკია  
აფხაზეთის მხატვრები

მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, კიევი, ტაღინში, ბაქოსა და ერევანში. სოხუმსა და თბილისში მოეწყო ი. ცომაიას ანალოგიური გამოფენა, მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

1958 წელს სოხუმში დაბრუნდა პირველი აფხაზი მოქანდაკე ქალი **მარინე ეშბა**, რომელმაც 1951 წელს დაამთავრა მოსკოვის დეკორატიული და დანაგური ხელოვნების ინსტიტუტი. პირველსავე ნამუშევარში გამოჩნდა ახალგაზრდა მოქანდაკის ნიჭიერება და მაღალი პროფესიონალიზმი.

სოხუმში ჩამოსვლამდე შექმნილ მნიშვნელოვან ნაწარმოებთა გარდა („მუშა“ — ვარშავაში დადგმული ქანდაკება, აგრეთვე რამდენიმე პრემიერებული მედალი) ეშბამ შექმნა აფხაზეთის სახელოვან ადამიანთა—სახელმწიფო და კულტურული მოღვაწის ა. ჩოჩუას, მფრინავი ქალის მ. ავიძბას, ი. ავიძბას და სხვათა სკულპტურული პორტრეტები. ნიჭიერი მოქანდაკის ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მგზნებარე რევოლუციონერის, სერგო ორჯონიკიძის ბრინჯაოს ბიუსტი, რომელიც სოხუმში დაიდგა მისივე სახელობის პარკში. მოქანდაკის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მონუმენტურ ნამუშევარში ზედმიწევნით ზუსტად და მაღალი ოსტატობით გადმოსცა გმირის ხასიათი.

სრულიად განსხვავებული მანერით შეასრულა მ. ეშბამ „აფხაზი მოხუცი ქალი“. ჩაფიქრებული თავსაფრიალი მოხუცი დედის სიმბოლურ სახედ გვევლინება.

მარინე ეშბა თანაბარი წარმატებით მუშაობს ხეზე, ბრინჯაოსა და ქვაზე; შესანიშნავად იმორჩილებს ყველა ამ მასალას.

1961 წელს სოხუმში მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი და საინტერესო გამოფენა. გამოფენის შინაარსმა განსაზღვრა ნაწარმოებთა თემატიკა. გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ი. ცომაიას ტილო „ორჯონიკიძე და ლაკობა ნადირობაზე“, ვ. შჩეგლოვის „აჯანყება ლინში 1918 წელს“, კ. კუკულაძის „აფხაზეთის რევოლუციონერები“, ო. ბრენდელის „რევოლუციონერი მუზღვაურები სოხუმში 1918 წელს“ და სხვ. ქანდაკებებიდან გამოირჩეოდა მ. ეშბას „სოციალისტური შრომის გმირი ლაკოია“, ს. რაზმაძის „აფხაზეთის ასსრ სახალხო არტიტი ა. ავრბა“ და სხვ.

ამ საპასუხისმგებლო გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, რომელთა ნამუშევრები თვალსაჩინო პროფესიონალიზმით ხასიათდებოდა.

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ დიდად ზრუნავდა ეროვნული კადრების აღზრდაზე; ამჟამადც მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში აფხაზეთიდან გაგზავნილი მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობს. მანამდე ყველა მათგანი სოხუმის სამხატვრო სკოლაში მოემზადა. ახალგაზრდა მხატვრების დაოსტატებას უნარიანად ხელმძღვანელობს ამ სკოლის დირექტორი, მხატვარი ნ. თაბუკაშვილი.

წელს სოხუმში ჩამოვიდა ახალგაზრდა აფხაზ მხატვართა პირველი ჯგუფი, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მხატვრები — **გივი ნორმანია**, **ხუტა ავიძბა**, მოქანდაკე **იური ჰკადლა**, გრაფიკოსი **ზოია ჯინჯოლია** და სხვები აფხაზეთის ხელოვნების საიმედო ძალად გვევლინებიან.

მოქალაქეობრივი ვალის შეგნებაზე და დიდ პატრიოტიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი იქვე არიან, სადაც მათი პირველი მასწავლებელი ნიკოლოზ თაბუკაშვილი იღწვის მხატვართა ნორჩი თაობების აღსაზრდელად. შემოქმედებასთან ერთად ეს ახალგაზრდები ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან სოხუმის სამხატვრო სკოლაში.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ამ ახალგაზრდებზე და მათს სადიპლომო ნამუშევრებზე.

გივი ნორმანიამ 1962 წელს დაამთავრა აკადემია პროფესორ კ. სანაძის სახელოსნოში. „მეტალურგები“ — მხატვრის სადიპლომო ნაშრომი მის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ავტორმა აირჩია მეტალურგების შესვენების მომენტი მუშაობის შემდეგ. მეტად თავისებურია სურათის კომპოზიცია; ავტორმა თვალსაჩინო ოსტატობით გადმოსცა გმირთა ანდიდულური განწყობილებები, ამ მძიმე პროფესიის ადამიანთა მდიდარი სულიერი სამყარო.

ახალგაზრდა გრაფიკოსს ზოია ჯინჯოლიას ყოველთვის იზიდავდა ინდუსტრიული თემატიკა. ამასვე ადასტურებს მისი სადიპლომო ნაშრომი „ტყვარჩელი“. ზოია ჯინჯოლიამ მიზნად დაისახა ეჩვენებინა ტყვარჩელელ მემლაროელთა შრომა. მისი ნამუშევრები დახვეწილი მანერით გამოირჩევა. შინაარსით და ფორმით ისინი ღრმად რეალისტურია. ამას ჩვენ მის პედაგოგს, ვლადიმერ ქუთათელაძეს უნდა ვუმადლოდეთ.

შრომის თემას მიუძღვნა თავისი მონუმენტური ქანდაკება „მშენებელი“ დიპლომანტმა იური ჭკადუამ. რომელმაც წელს დაამთავრა აკადემია პროფესორ თოფურიძის ხელმძღვანელობით. ჭკადუას აღნიშნული ქანდაკება მეტად დინამიურია, აღსავსეა შინაგანი დამაბულობით, რითაც შესანიშნავად არის გადმოცემული მშრომელი კაცის ბუნება.

ხუტა ავიძბამ ხატვის ნიჭი ძალიან ადრე გამოავლინა. 1955—1956 წლებში იგი სწავლობდა მოსკოვის კრუპსკაიას სახელობის ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლში. ამის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1963 წელს.

მისი სადიპლომო ნამუშევარი, „მუშაობის შემდეგ“, გვხიბლავს ლაკონიზ-

მითა და პოეტურობით. მზით განათებული პეიზაჟის ფონზე გამოსახულია სამუშაოდან მომავალ კოლმეურნეთა ჯგუფი. ეს მაღალი ოსტატობით შესრულებული სურათი ოპტიმისტურად განაწყობს მნახველს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს: მხატვრებს — რუდოლფ ხაჩავას, სერგო გაბელიას; გრაფიკოსებს — ტარიელ ამბარს, ვალერი გამჩიას; მოქანდაკე ვიტალი ივანბას და სხვებს საიმედო მომავალი აქვთ.

მიმდინარე წელს აფხაზეთის მხატვართა კავშირის სალონში, სოხუმში, მოეწყო მათი ნამუშევრების სპეციალური გამოფენა. ივანბას ქანდაკებებმა, როგორცაა — „ლენინი“, „ბედნიერება“, „მეთევზეები“ და „გაწყვეტილი სიმი“, დიდი მოწონება დაიმსახურეს. ამპარმა გამოფენაზე წარმოადგინა ნახატების სერია აფხაზეთის ცხოვრებიდან. მისი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია დიდი ექსპრესია, ნათელი ფერებით და ტონებით გამოირჩევა ნიჭიერი მხატვრის სერგო გაბელიას ტილოები. მისი დახვეწილი ეტიუდები მნახველში აღტაცებას იწვევს.

მათგან, ვინც თბილისის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, შეგვიძლია, დავასახელოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, მხატვრები — ვენერა გაგულია, რუსლან თარბა, მოქანდაკე იაზბეი აგრბა და სხვები.

აფხაზეთის ახალგაზრდა მხატვრები მტკიცედ დგანან რეალიზმის პოზიციაზე. მათთვის უცხოა ყოველგვარი ფორმალისტური ცთუნება. აფხაზეთის, როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის მხატვართა ნიჭიერ წარმომადგენლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ დიდი საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.

ანატოლი კაცია  
აფხაზეთის მხატვრები



## ნიკოლოზ კიკნაძე

### ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში

ილია ჭავჭავაძეს. „მრავალ საქმით დატვირთულ კაცს“, როგორც თანამედროვენი უწოდებდნენ<sup>1</sup>, მოუცლევლობა არ აძლევდა საშუალებას ხშირად ემოგზაურა, მაგრამ სამსახურებრივი საბაზიცი საკმარისი იყო, რომ მწერალი სიხარულით გაჰყოლოდა გულის წადილს: ენახა საყვარელი სამშობლოს სხვადასხვა მხარე, უფრო დაახლოებოდა თავის ხალხს. შეხვედროდა თავის თაყვანისმცემლებსა და მეგობრებს.

ილიას მოგზაურობა, ისე როგორც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა მხარე და პოეტური შემოქმედება უმთავრესად ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებასა და გაფართოებას ემსახურებოდა, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარეობდა.

ი. ჭავჭავაძე ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა აფხაზეთის გარშემო წამოჭრილ საკითხებს. საქართველოს ამ კუთხის მოსახლეობაზე ზრუნვა მას მუდამ მიაჩნდა მოწინავე ქართველთა „ერთ უდიდეს საქმეთაგანად“.<sup>2</sup>

ამგვარი მოსაზრებით ყოფილა გამოწვეული ილიას მოგზაურობაც აფხაზეთში, რაც პოეტს 1903 წლის გაზაფხულისათვის გადაუწყვეტია.

ოლდენბურგელი პრინციის მიერ გავრავი სკოლა-თავშესაფარის გახსნასთან დაკავშირებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დეპუტაცია უნდა გაეგზავნა აფხაზეთში. ჩანს, ი. ჭავჭავაძეს, როგორც აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარეს, ეს მოგზაურობა სურდა გამოეყენებინა აფხაზეთში სასკოლო ქსელის გაფართოების პირობების გაცნობის მიზნითაც<sup>1</sup>.

პოეტთან ერთად აფხაზეთში გამგზავრებულან თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა მაშინდელი წინამძღოლი ალ. ორბელიანი<sup>2</sup> და დიმიტრი ჩოლოყაშვილი, — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრები.<sup>3</sup>

გაგრაში ოფიციალური შეხვედრის შემდეგ სტუმრებს, ცხადია, ი. ჭავჭავაძის გეგმის მიხედვით, გადაუწყვეტიათ ჩასულიყვნენ აფხაზეთის ცენტრში. 22 მაისს ისინი გაგრიდან გემით სოხუმში ჩამოსულან.

საღამო ყოფილა, ზღვისპირეთის გაზაფხულის უნაზესი საღამო. სასიეროდ გამოსულა ქალაქის თითქმის მთე-

<sup>1</sup> ა. მიძარია, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ, მნათობი, 1962, № 7, გვ. 170.

<sup>2</sup> Кавк. Календ. 1904, გვ. 143.

<sup>3</sup> ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 2, 14.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, 3. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, 1962, გვ. 746.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 322.

ლი მოსახლეობა. მოსეირნეთა შორის ისმოდა ჩურჩული: „ილია ჩამოსულა, ილია გვეწვევია!“

გახარებული საზოგადოება, სეირნობის საბაბით, ჯარ-ჯარად დასდევნებია ილიასა და მის თანმხლებთ. „ყველას უნდოდა, — წერდა „ივერია“, — ახლო დაენახა ეს სასიქადულო მამულიშვილი... ყველა ჰნატრობდა მის ხმის გაგონებას და ფეხაქრეფით მისდევდნენ უკან, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ილია დასასვენებლად წავიდა“.<sup>1</sup>

ქართველ-აფხაზთა ინტელიგენციის თავკაცებს გადაუწყვეტიათ ილიას პატივსაცემად ნადიმის მოწყობა. საქმეს დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდებია მაშო ანჩაბაძისა, ჩვენი დროის დიდი ქართველი დრამატურგის შალვა დადიანის შვიდობი და, ცნობილი საზოგადო მოღვაწე აფხაზეთში<sup>2</sup>.

„ორს თუ სამ საათში, — ვკითხულობთ გაზეთში, — დიდძალმა საზოგადოებამ გამოაცხადა სურვილი სადილის გამართვაში მონაწილეობის მიღებისა და 24 მაისს კიდევ გამართეს თავად შერვაშეთა ბაღში (დღევანდელ ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე — ნ. კ.). სადილზე მოწვეული იყო აგრეთვე ტფილისის დრამატული დასი, რომელიც იმჟამად სოხუმში იმყოფებოდა“.<sup>3</sup>

უკვე კარგა ხანი იყო უცდიდნენ ილიას. და აი, სანატრელი სტუმრებიც გამოჩნდნენ. „ი. ჭავჭავაძე ეტლიდან ჩამოვიდა თუ არა, სავანგებოდ მიწვეულმა სამხედრო მუსიკამ დაუკრა ფრანგული მარში და ალტაცებული საზოგადოება გაეცნო ილიასა და მის თანმხლებთ“.<sup>4</sup>

სუფრის მონაწილეთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონია. ნადიმზე ილიას ღრმანაზროვანი სიტყვა წარმოუთქვამს.

„ივერია“ გადმოგვცემს დიდი მგონის ამ სიტყვის შინაარსს, რომელშიც

იგრძნობა ილიასებური, ფრთხილი და თავდაპირველი, მაგრამ მტკიცე და მედგარი ტონი.

გისურვებთ ხსნას, ამბობდა ილია, „იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავივით თვალთამეტუხა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალვიერე“.<sup>1</sup>

ილიას ეს სიტყვა მიმართული ყოფილა ცარიზმის ტლანქი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაშინდელ სოხუმს, როგორც ცნობილია, თითქმის ყველაფერში ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უხეში, აშკარად საშიში კვალი ემჩნეოდა. იშვიათად გაიგონებდით ქართულ სიტყვასაც კი. მგოსანს სრული შესაძლებლობა მისცემია ორი დღის განმავლობაში პრაქტიკულად გაეცნობოდა არსებულ პირობებს.

ყოველივე ამის შემდეგ, დიდი ფიქრი არ არის საჭირო, გავიგოთ ილიას გამოსვლის ნამდვილი შინაარსი. აშკარაა, პოეტს თავის სიტყვაში, რომელიც ფორმალურად თითქოს მხოლოდ რუსული სავაპრო კაპიტალის გაკიცხვას შეიცავდა, გამოუთქვამს აღშფოთება და საერთო უკმაყოფილება, გამოწვეული მეფის რუსიფიკატორული წყობილებისა და კოლონიალიზმის საზიზღარი რეჟიმით. რა თქმა უნდა, ილიას სიტყვის მთავარი აზრი ოსტატურადაა შენიღბული კაპიტალიზმზე ზოგადი მსჯელობის საფარველით.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. „არაკეთილსაიმედოთა“ სიაში მყოფ მწერალს, რომელსაც ის-ის იყო განგებ ჩაუშალეს იუბილე, მდგომარეობისათვის რაღაც ანგარიში უნდა გაეწია. მაგრამ თავისი სათქმელი ილიას მაინც უთქვამს:

„დღე აქამდე, — გადმოგვცემს გაზეთი ილიას სიტყვებს, — ამ მშვენიერს

<sup>1</sup> ივერია, 1903, № 118.

<sup>2</sup> შ. დადიანი, „რაც გამახსენდა“, თბ., 1957, გვ. 12.

<sup>3</sup> ივერია, 1903, № 118.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>1</sup> იქვე.



აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევიინახეთ კლდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდურა და მპარავი. იგი ღიმილით და აღერსით მოგექცევათ, და ისე გამოგაცილით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანებში იქნება მადლობელიც გახდეთ<sup>1</sup>. ეს მტერი ფული-აო. — შენიშნავდა პოეტი.

მაგრამ დეე, — დამსწრეთა სახელით მოუწოდებდა ილია მთელ ხალხს — „ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან... და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშაშარ ფულისაგან და შევიინარჩუნოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონებლად“.

ნადიმი უჩვეულო აღტაცებას მოუცავს. შესრულებულა ქართულ-აფხაზური სიმღერები და ცეკვები. ღბინი დიდხანს გაგრძელებულა. სადღეგრძელოების შემდეგ მასპინძელთა ერთ-ერთ წარმომადგენელს ილია ჭავჭავაძისადმი მიმართულ სიტყვაში ულაპარაკნია სოხუმში ქართული სკოლის დაარსების აუცილებლობის შესახებ და ქალაქის მოსახლეობის სახელით პოეტისათვის დახმარება უთხოვია.

ილია ჭავჭავაძე დამსწრეთ კმაყოფილებით დაჰპირებია დახმარებას. სიტყვა მიუტია, რომ მათს თხოვნას — სოხუმში გახსნილიყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა — იშუამდგომლებდა მთავრობის

წინაშე. პოეტს მათთან ერთად სურათიც გადაუღია<sup>1</sup>.

ბოლოს, — გვამცნობს „ივერია“, — „ილია ხელში აყვანილი მიაცილეს ეტლამდე, ჩასვეს შიგ და აღტაცებულის ვაშას ძახილით და სიმღერით გაჰყვინენ. უკან და მიაცილეს გემამდე“<sup>2</sup>.

სტუმრები ფოთში გამგზავრებულან. არ არის ინტერესს მოკლებული იცოდეს მკითხველმა ისიც, რომ ი. ჭავჭავაძეს სოხუმის საზოგადოების თხოვნა სკოლის გახსნის თაობაზე დაუყოვნებლივ შეუხრულებია. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ იმავე 1903 წლის ივნისის ნომერში ვკითხულობთ:

„სოხუმის ქართველების შუამდგომლობა, სკოლის დაარსების შესახებ „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ განიხილა 30 ივნისს და დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. ნება მისცეს საზოგადოებას, დააარსოს სოხუმში სასწავლებელი“<sup>3</sup>.

ჯერ რევოლუციის ამბებმა, შემდეგ რეაქციის მძვინვარებამ და ბოლოს, ი. ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ იმ ხანად სკოლის გახსნა შეაფერხა. მაგრამ დიდი პოეტის მოგზაურობა აფხაზეთში მაინც იყო სოხუმში ქართული სკოლის გახსნის წინაპირობა, მისი საფუძველი.

ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული საქმის სისრულეში მოყვანა წილად ხვდა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ს. ჯანაშიას მამას, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ჯანაშიას.

ნიკო ჯანაშიას შეუხრულებელი ზრუნვით 1909 წ. სოხუმში დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი, რომლის მდივანიც იყო

<sup>1</sup> ივერია, 1903, № 118.

<sup>1</sup> „ილია სოხუმში“. ილია ჭავჭავაძე, პორტრეტები და ილუსტრაციები. 1959, გვ. 14.

<sup>2</sup> ივერია, 1903, გვ. № 118.

<sup>3</sup> „ცნობის ფურცელი“. 1903, № 2178.

თვითონ ჯანაშია, ხოლო თავმჯდომარე — ზემოხსენებული მარიამ ნიკოს ასული დადიანი-ანჩაბაძისა<sup>1</sup>.

საზოგადოების ამ ფილიალმა განახორციელა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ხნის სურვილი და 1910 წ. ქ. სოხუმში გახსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. სკოლის გამგედ წლების მანძილზე, მუშაობდა „მისი დამაარსებელი ნიკო ჯანაშია“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 152.

<sup>2</sup> პროფ. შ. მესხია, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თბ., 1960, გვ. 7.

ხალხმა სასწავლებელს მშვენიერი ორსართულიანი სახლი აუშენა, რომელშიაც შემდეგ, ბოლო ხანებამდე, ქართული პედაგოგიური სასწავლებელი იყო, ხოლო ამჟამად მე-11 ქართული საშუალო სკოლაა მოთავსებული.

ასე რომ, დიდი ილიას ნაკვალევზე სოხუმში შექმნილ კულტურის შესანიშნავ კერაში ქართველი ინტელიგენციის არა ერთი თაობა აღზრდილა.

---

ნიკოლოზ კილანავა  
ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში



# სატირა და იუმორი

კლავდიო ჭაქაძე

## საგესა

ნაწყვეტები იუმორისტული მოთხრობიდან

თქვენ განა საგესა გასბას არ იცნობთ? არც არაფერი გაგიონიათ მასზე? ეს შეუძლებელია! იშვიათად თუა სადმე აფხაზეთში ისეთი კუთხე, სადაც მას ფეხი არ დაედგას, ქორწილსა და ქელესში მონაწილეობა არ მიეღოს. საგესა ოც-ორმოც კილომეტრს უყოყმანოდ გაივლის, მხოლოდ სადმე პურმარილს არ დააკლდეს.

სოფლიდან სოფელში ეს განუწყვეტელი ხეტიალი საგესას იმდენად ქანცავდა, რომ მუშაობისთვის არც დრო რჩებოდა და არც ძალ-ღონე.

აი ახლაც, გუშინდელი ქეიფის შემდეგ, თავი ძლივს ასწია ბალიშიდან და ეზოში მთქნარებით გამოვიდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ძმობილო!—გასძახა მან მეზობელს. პაპანაქება სიცხის მიუხედავად მეზობელი თავის ყანაში ოყიან თოხს უხათქუნებდა.

— გაგიმარჯოს, საგესა! — მიუგო მან და შუბლზე ღვარივით წამოსული

ოვლი შეიწმინდა, — მე ვხედავ, ყონალო, შენ ეს-ესაა გამოიღვიძე.

— რას იზამ! ისეთი ჯაფა დამადგა გუშინ. ქეიფში მოვხვდი, ყველას კისერი მოვუგრიხე. სუფრიდან ყველაზე ბოლოს წამოვდექ! ჩვენი სოფელი არ შემორცხვენია.

— ამაში ბადალი არა გყავს, ჩემო საგესა, ეს მე დიდი ხანია ვიცი, მაგრამ ერთი შენს ეზოსაც მიხედე, იცოდე, თუ არ უჩქარე, გვალვას დაიჭერს, მიწა გახმება და თესვა დაგვიანდება.

— სწორია, ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ აბა, რაღა ვქნა? ჩემი თავის მტერი კი არავარ, ეზო დაუთესავი დავტოვო. მაგრამ რით უნდა მოვხნა? ხარები სადა მყავს, ან თესლი სად ვიშოვო?

— შე კაი ცაკო! თუ მარტო ეს გაბრკოლებს, მე დაგეხმარები. ხენა უკვე მოვამთავრე, ხარები თავისუფალია, თესლიც სამკაოდ მომრჩა.

...მეორე დღით, როცა საგესა ტკბილად ხვრინავდა, მეზობელმა ხარები

მართლა მორეკა და სათესლე სიმინდიც ტომრით მოიტანა.

საგესას მუშაობა ეზარებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, ძალაუვნებურად საქმეს შეუდგა.

გაზულუქებული, ღონიერი ხარები სწრაფად მიაბიჯებდნენ კვალში. საგესა ფეხს ძლივს უსწორებდა გუთანს. ჩრდილში გაწოლა ახლა ერთ რამედ უღირდა, მაგრამ მეზობლები შუკაში ტრიალებდნენ და იქიდან ერთის ამბით ისე ხმამაღლა აქებდნენ და ამხნევებდ-

ნენ, მუშაობისთვის თავის მინებება შეუძლებელი იყო. ეს მუშა ხარებიც ისე ჩქარა დადიოდნენ, თითქოს განზრახ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

საგესა ბედს იწყევლიდა. დაიღალა, მოიქანცა. წელი მოსწყდა, კბილიც კი ასტიკვდა საცოდავს.

მიწა ბევრი არ ჰქონდა და როგორც იქნა, საქმეს შუადღემდე მორჩა. ილაჯ-გაწყვეტილი ჩრდილში გაგორდა და სამომხდელ იქვე ეძინა.

### საბნას ტრაპტორისტი

ტრაპტორის გამოჩენა „ალაშარაში“ გასაკვირი ამბავი არ იყო.

საგესამ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მიიღბინა და თხოვა:

— ლადიკო, ძვირფასო, მე მითხრეს, რომ ჩვენს ტრაპტორისტს თანაშემწე სჭირდება. გამოშვი თუ გიყვარდე, მამუშავე, თორემ ხალხი მოსვენებას არ მამღლებს. მე მინდა. ყველას ვუჩვენო, თურისი გაკეთებაც შემიძლია, როცა გულით მოვიინდომებ.

ზარმაცისაგან ასეთი სიტყვები ლადიკოს ძალიან ეამა და ბევრი არ დაფიქრებულა, თანხმობა მისცა.

ტრაპტორისტს მანქანა მიჰყავს, ხნავს. ვახარებული საგესა კი უკან თანაშემწის სკამზე ზის და ასე ფიქრობს: „აი, მესმის, მართლაც ოქრო სამუშაო გამოიგონა ხე! დაჯექი და არხეინად ისეირნე. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი? ტრაპტორი ხარი კი არაა, უკან ფეხდაფეხ მისჩანჩალვებდე. თავისით ხნავს, თესავს, ფარცხავს. ამოწყდეს ხარისა და კამეჩის ჯილაგი. იმ დღეს ლამის ხელში შემიკლეს. ტრაპტორი სულ სხვაა. რა კარგი რამ გამოიგონა ადამიანმა! მიუჯექ სპექს და ატრიალე! საითაც გინდა, იქით წაიყვანე. ის იმუშავებს, შენ კი დაჯექი და სეირს უყურე.“

— წყალი, წყალი, საგესა! — ხმამაღლა შესძახა ამ დროს ტრაპტორისტმა, — ჩქარა წყალი!

— მოგწყურდა? — მორიდებით ჰკითხა თანაშემწემ.

— მე კი არა, ტრაპტორს მოწყურდა, — მიუგო მძლოლმა და თითოთ აჩვენა ის ადგილი, სადაც წყალი უნდა ჩაესხა.

საგესამ მდინარიდან, რომელიც არც ისე ახლოს იყო, წყალი ბუზლუნით მოიტანა.

— ეს ცოტაა, კიდევ, კიდევ! — საგესამ მეორე ვედროც მოარბენინა. ტრაპტორი კი იღვა და ახლა უფრო ხმამაღლა თუხთუხებდა.

— რამდენს სვამს ეს გასახეთქი? — უქმაყოფილოდ გაიფიქრა ზარმაცმა.

— ჩვენ დავალებული გვაქვს, დღეში ხუთი ჰექტარი მოვხნათ, — განმარტა ტრაპტორისტმა, — მაგრამ ხან წვიმაა და ტალახი, ხვან არ შეიძლება. ამიტომ კარგ ამინდში ღამითაც უნდა წავიმუშაოთ, რომ გეგმა დროულად შევასრულოთ.

— რა მითხარი? ღამითაც უნდა მოვხნათ? — კარგად ვერ გაიგო საგესამ, — მერე როდისღა უნდა დავიძინოთ?

— არაფერია, მუშაობასაც მოვასწრებთ და დასვენებასაც, ჯავრი ნუ გაქვს! — მშვიდად მიუგო ტრაპტორისტმა.

პლატონ ჰკადუა  
საგესა

„საითყენ გავიქეც, იქითყენ წავიქეც“, ფიქრობდა საგესა, როცა გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა. „რანაირი სამუშაო ავიტყე! მიდი, წყალი მოიტანე, აქ ნავთი ჩაასხი, იქ ზეთი! გაწმინდე, გუთანი გაასწორე, რა ჭირად მინდოდა ეს?“

სამუშაოზე გულაცრუებულ საგესას მეორე დღესვე შეეშალა და რადიატორში ნავთი ჩაასხა, ხოლო საწვავის ბაკში დღეოდან ამოღებული ნაწვიმარი წყალი.

ტრაქტორისტმა ბევრი იწვალა, მაგრამ მანქანა ადვილიდან ვერ დასძრა. ბოლოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე:

— შენ, საგესა, ეს რა გააკეთე! შენ ალბათ ტრაქტორის გაფუჭება გინდო-

და! მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, მე შენ გიჩვენებ! სად წამიხვალ, ეს ხომ ნამდვილი მავნებლობაა?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იმავე დღესვე საგესა სამუშაოდან მოხსნა:

— ამხანაგო ტრაქტორისტო, დამნაშავე მე ვარ, რომ ასეთი თანაშემწე დავინიშნე!

საგესა წყრომით დამშვიდობა ტრაქტორს, „მიწა გაგისკდეს და თან ჩაგიტანოს, ამიერიდან ახლოსაც არ გაგეკარები, შე უძღებო! შენ ჩვენი კამეჩები დიდად გჯობია. ისინი მივლენ და წყალს თვითონ სვამენ. შენს გამო კი ღამის ციხეში ამოვყავი თავი“.

საგესა ბოზარაში

საგესას ხალხი იცნობს, როგორც ქვირის. სინამდვილეში მას ცოლი კი არ მოკვდომია, გაქცა. ის ახალგაზრდა ქალი, ყოფილი მეუღლე, თავს ახლაც არხინად გრძნობს და ნაქმრევის ჯინაზე სიკვდილს სრულიადაც არ აპირებს.

საგესას ცოლი კეთილმა მეზობლებმა შერთეს. იმათ ეგონათ, დაცოლშვილება ამ უსაქმურს ჭკუაზე მოიყვანდა. ცოლი გამრჯე და შრომისმოყვარე შეხვდა. მოტყუვდა საწყალი! შესახედავად საგესას წუნი არ დაედებოდა, ხოლო სიტყვა-პასუხს ნუ იკითხავთ, ყვავს ჩამოიღებდა ხიდან:

— მერწმუნე, ჩემო ბტრედო, ჩემო თვალის სინათლევ, სანამ პირში სული მიდგია, შენი მონა-მორჩილი და თავყანისმცემელი ვიქნები, აბა, სხვებზე ნაკლები რითა ვართ, ვიმუშავებთ, სარჩოსაბადებელი ყელამდე გვექნება.

ეს ღამაში სიტყვები მალე თითქოს ქარმა წაიღო. უსაქმურმა ოჯახიც დაივიწყა და თავისი ცოლიც. მთელი დღე ისევ სოფელ-სოფელ დაეიპალობდა.

გამრჯე მეუღლე დატრიალდა, მიწა გადაბარა. გააფხვიერა. მალე სახლის გვერდით მშვენიერი ბოსტანი აბიბინდა, მაგრამ ეზო შემოუღობავი იყო და ერთ

ღამეს მეზობლის კამეჩებმა მწვანილ ძირიანად მოსვლიეს.

— მე რას გეუბნებოდი? — ეძგერა მეუღლე საგესას.

— მართალი ხარ! — კვერი დაუკრა ქმარმა.

— მერე ვინაა ამაში დამნაშავე?

— რა თქმა უნდა, კამეჩები და არა მე. მაგრამ, აბა, რას იზამ? კამეჩი ხომ პირუტყვია, რა მოეთხოვება, სამართალში ხომ არ გადასცემ? შენ რას იტყვი, ხომ ასე?



ერთხელ სოფელში ღრმად მოხუცი დედაბერი გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს ქელები მოეწყო. წესით, ვინც თავის თავს პატივს ცემს, ტირილში არ უნდა დათერეს. ეს აფხაზეთში დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. საგესა კი ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა იყო. ის სეფაში ჭირის პურს ფართოდ უჯდა და მერიქიფეებს ბოთლების გავსებას არ აცლიდა. ღვინოს ზედიზედ ყლაპავდა და თუ სადმე სხვის ჭიქებში ჩარჩენილს შენიშნავდა, არც იმას ტოვებდა უყურადღებოდ. ფლავისა და ლობიოს მთლადებს კი სულმოუთქმელად აცარიელებდა.



საგესა მალე ისე გამოიბრუნა, ფეხზე ძლივს დგებოდა, ხელს თითქოს საჩხუბრად იქნევდა და განუწყვეტლივ ქაქუნებდა. ხალხი ზურგს აქცევდა ღვინით გახეთქილს, ის კი თამამად მივიდა ოჯახის უფროსთან და წლის თავზე აღაპის ასევე ლამაზად გადახდა ურჩია.

უზომოდ მთვრალი საგესა მეზობლებმა ეზოდან გამოიყვანეს, ცხენზე ძლივს შესვეს და შინისაკენ გამოაცილეს. ცოლიც ფეხდაფეხ გამოჰყვა, მაგრამ ქვეითი ცხენოსნებს ვერ წამოეწია.

მეზობლებს საგესა ჭიშკართან ჩამოესვათ. მიწაზე გაშხლართულს იქვე დასძინებოდა. ცოლი ბევრი ეცადა, მაგრამ მარტო ვერაფერს ვახდა, საგესა ადგილიდან ვერ წამოსწია.

— რატომ იქვე სუფრაზე შენც არ მოკვდი, შე ნამუსგარეცხილო! — მოთ-

ქვამდა გამწარებული ქალი. საგესა კი უზრუნველად ხერინავდა. რა უნდა ექნა, როგორ წამოეყენებია ფეხზე ამოდენა ყაძახი?

ბოლოს ერთი რამ მოიფიქრა. სახლში გაიქცა და დიდი ტომარა მოარბენინა. გაჭირვებით გადააცვა ზედ მძინარეს და მძიმე ტვირთი მიწაზე გაათრია. კარგად რომ შეინჯლრა, საგესამ ზედიზედ სამჯერ ცხვირი დააცემინა და თვალი გაახილა.

— სად მივყავარ, ქალო! — უზრუნველად ჰკითხა ცოლს.

— სადა? სასაფლაოზე. მიცვალელებთან...

— კეთილი! წამოყვანე! ავაშენა ღმერთმა! — დამშვიდებით მიუგო საგესამ და იმავ წუთს ხვრინვა ამოუშვა.

საგესას ცოლი გაეცა

ერთხელ დილა ადრიან საგესა ეზოდან გავიდა და უკან მხოლოდ მეორე დღეს მობრუნდა:

— ძალიან... ძალიან კარგად ვიქვიფეთ, ჩემმა მზემ! ჩინებული ქორწილი იყო! — ფეხზე ძლივს იდგა, ენას უკიდებდა და ისე ამშვიდებდა გაანჩხლებულ ცოლს.

— სად ქორწილში იყავი, ვინ დაგპატიეთა? — არ ცხრებოდა გამწარებული ქალი.

— განა სულ ერთი არაა, დამპატიეთს თუ არა? რაკი ქორწილია — კაცი უნდა მივიდეს, მამ როგორ?

— შენთვის მართლაც ყველაფერი სულ ერთია. მეტის ატანა მე არ შემძლია, უნდა გაგშორდე, წავალ ჩემს სახლში.

ცოლმა თავისი ნივთები ჩემოდანში ჩაილაგა:

— მამ, მიდიხარ, პა? — ჰკითხა გულამოგჯდარმა საგესამ. განრისხებულმა ცოლმა პასუხი არ გასცა.

— კეთილი, შენზე ადრე, რაკი ასეა, მე წავალ ამ ქვეყნიდან! — მუქარით მიუგო საგესამ და ეზოში გამოვიდა.

— ჰეი, შენ, ლამაზო, ერთი გამოიხედე აქეთ! — დაუძახა ცოლს გარედან.

ცოლმა გამოიხედა და გახედა: საგესა ხეზე ასულიყო და მაღალ ტოტზე იჯდა:

— აი, ხომ ხედავ რა დღეს მაყრი? რაკი შენ მტოვებ, სხვა რა დამრჩენია? გადავწყვიტე, თავი მოვიკლა. ახლავე შენს თვალწინ აქედან გადმოვხტები, აი, მიყურე!

ცოლმა დოინჯი შემოიყარა და ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ძალიან კარგი, მერე რას უყურებ, აბა ჰე, გადმოხტი!

— იცინი კიდევ? შენ, ალბათ, გგონია, რომ მე ვხუმრობ, მართალს გეუბნები, ამას ახლავე ნახავ და დარწმუნდები, მხოლოდ მოიცა, ცოტა მაღლა ავალ, რომ დაცემისთანავე უსათუოდ სული გავაფრთხო! — საგესა კენწერომდე აცოცდა და ახლა იქიდან გადმოხედა ცოლს.

პლატონ ჭკადუა  
საგესა



— რას უციდი, გადმოხტი, ჰაჰაჰა, იმაზე დამიდგა ჯავრი! გისურვებ, კისერი ძირში მოიტეხო. შენ დიდი ხანია ამის ღირსი ხარ. გზაც იქით გქონია! — ცოლმა ხელი ჩაიქნია და სახლში შევიდა.

— რაო, რაო! ჰო, რაკი ასე ამბობ, შენს ჯინაზე არ ჩამოვხტები, არ მინდა, გადავიფიქრე. არ გიყვარვარ? წადი, სადაც გინდა. მე კი რაკი აქ ამოველ,

აქაც მშვენიერად დავისვენებ, — თქვა ეს, ჩახლართულ ტოტებს შუა კარგად მოკალათდა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა.

დაიძინაო! ამან მოთმინების ფილა აავსო. ცოლმა თავის ნივთებს ხელი დასტაცა და ეზოდან ისე გადაიკარგა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

აი, ამ დღიდან დაქვრივდა საგესა.

საგესა წყალმა წაიღო

ალაშარაში მალე მეორე დედაბერი გარდაიცვალა. მეზობელ სოფლიდან ხალხი უნდა მოეწვიათ. საგესა ცხენზე შესვეს და გზას გაუყენეს. სოფლიდან სოფელში სულ ქენებ-ქენებით გადადიოდა ავის მაცნე და სადაც კი ამბავს მიიტანდა, გარჯისათვის პატივისცემის ნიშნად უმასპინძლდებოდნენ. საგესას სწორედ ეს უნდოდა. მალე ძალიან კარგად გამოთვრა და დავთარი ისე აერ-დაერია, ვინც საჭირო იყო და არ იყო, ყველას ტირილში უძახოდა. ამასთანავე დასაფლავების დღეც ეშლებოდა. ზოგან ხუთშაბათს ამბობდა, ზოგან პარასკევს.

ბოლოს საგესა ერთ ოჯახს მიადგა და მასპინძელი ჭიშკართან გამოიხმო.

— მე ძალიან მეჩქარება, ერთი ცული ამბავი კი უნდა გაუწყოთ, — ნალვლიანი ხმით უთხრა მას საგესამ, თავს უნაგირზე ძლივს იმაგრებდა, — გარდაიცვალა ბიცოლათქენი, ხიფაფი. აცხონოს

ღმერთმა, კეთილი ადამიანი იყო, ასაფლავებენ ოთხშაბათს... — ენა ებმებოდა, თვალებს ძლივს ჰბლიტავდა. მასპინძელმა მხრები აიჩეჩა და მაცნეს მორიდებით გამოკითხვა უწყო: ვინ იყო ეს ხიფაფი, რომელი სოფლიდან.

საგესა მიხვდა, რომ შორს შეტობა და ცენი შეაბრუნა:

— ჩემი მოვალეობა იყო, ამბავი მეუწყებია, აწი თქვენ იცით! — თქვა ეს და გაფიცებულ ლაფშას მათრახი გადაუჭირა.

მდინარე დალიძგაზე ხიდი ქვემოთ იყო. საგესას შორი გზიდან მოვლა დაეზარა და გაქაფული ცენი წყალში შეაგდო. წვიმების შემდეგ აღიდებულმა დალიძგამ საგესა უნაგირიდან ჩამოიღო და ნაპირ-ნაპირ წაათრია. კიდევ კარგი, წყალწაღებული კაცი გზადმომავალმა ჯარისკაცებმა დაინახეს და ნაპირზე გამოიტანეს.

საგესა დაიპარბა

სალამოს ბინდ-ბუნდში სონუმიდან თბომავალი გავიდა. ათასი ლაშქონით გაჩახჩახებული გემი თვალს ნელ-ნელა მიეფარა.

— წამოეთრიე, აქეთ წამოეთრიე! — გაისმოდა გემბანზე. მეზღვაურებს ვიცაცა ძალით მოჰყავდათ.

რა თქმა უნდა, ეს იყო საგესა.

რა მოხდა?

იმ სალამოს საგესა ბაღში იჯდა და ლულს შეექცეოდა. მან დაინახა ის დი-

დი თბომავალი, ნავსადგურში რომ იდგა. მაშინვე გადაწყვიტა, ის გემი დაეთვალეირებინა. მთელი სანაპირო ხალხით იყო სავსე. საგესა მგზავრებსა და გამცილებლებში გაერია და გემბანზე ავიდა. თბომავალი ძალიან მოეწონა, გემის ბუფეტში არაყი გადაჰკრა და უცებ თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. გემბანი კარგად დაათვალიერა, მერე სამანქანო განყოფილებაში ჩავიდა, სადაც უცხო პირთათვის

შესვლა აკრძალულია. იქ მექანიკოსებმა და მატროსებმა ხელი სტაცეს:

— შენ აქ რას აკეთებ? რა გინდა?

— გამიშვით! — ყვიროდა საგესა და უცებ რომელიღაც ბერკეტს ჩაეჭიდა, რომ მეზღვაურებს ხელიდან გასხლტომოდა. იმავე წუთს ყველას ცხელი წყალი გადაესხა თავზე.

განრისხებულმა მეზღვაურებმა ონკანი დაკეტეს, უცნობი კი გემბანზე ამოათრის. აქ კი საგესამ დაინახა, გემი ნაპირიდან შორს წასულიყო და გულზე შემოეყარა:

### საგესა მხიარული დაღის

მას შემდეგ, რაც სოფელ ფსიშიდან სათანადო ცნობები და დახასიათება მოვიდა, საგესა გამოუშვეს. გზის ფულიც მისცეს და სამშობლოში გამოისტუმრეს.

თანასოფლელები დიდი ამბით შეხედნენ შორეული მგზავრობიდან დაბრუნებულს.

— რა მოხდა, როგორ იყო? დრო როგორ გაატარე? — ეკითხებოდნენ ხუმრობით. საგესას თავი დარცხვენით ეპირა:

— იქითობას გამიჭირდა, თორემ აქეთ დიდებულად ჩამოვედი. ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე. მტკიცედ ამოვიჭერ გულში, ამიერიდან ასე არ ვიყილო.

— რა ვუყოთ ამ საგესას? — ასეთი საკითხი ირჩეოდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში. ეს იყო ოდესიდან ამ უქნარას დაბრუნების მეორე დღესვე.

საგესა მეზობელ ოთახში იჯდა და განაჩენს იქ უცდიდა. სხდომაზე გამოუძახეს.

— თვითონ დაფიქრდი, საგესა, ასე ხომ არ შეიძლება? სადმე უნდა იმუშავო, საქმეს ხელი მოჰკიდო! ასე დღე-ღამე წანწალი ვის უნახავს? ტანთ არაფერი გაცვია, ხშირად მშვიერი დაეხეტები. ღმერთმა დაგიფაროს და რომ მოკვდე, ვინ დაგიტირებს?

— სად მივყავართ? ჩამომსვით! მე არსად არ მივდივარ, ჩემს სოფელში უნდა დავბრუნდე. გამიშვით, თორემ ზღვაში გადავხტები! — ღრიალებდა საგესა, მაგრამ გამგონე არავინ იყო.

— შენი ბილეთი, საბუთები? — დაქინებით მოითხოვდნენ მეზღვაურები, მაგრამ საგესას არც ერთი ჰქონდა და არც მეორე.

...მესამე დღეს თბომავალი ოდესაში ჩავიდა. საგესა სამმართველოში წარადგინეს.

საგესა ფეხზე წამოდგა:

— ძვირფასო თავმჯდომარე, შენ მე ამით ვერ შემაშინებ! აფხაზეთში ოდესმე კაცი შიმშილით მომკვდარა? მით უფრო ჩვენს დროში? ეს არასოდეს არ მოხდება! შენ ამბობ, რომ მე არავინ დამიტირებს?! მე თუ მოკვდი, სწორედ შენ უნდა დამიტირო და კიდევ დამმარხო. ეს შენი საზრუნავია და არა ჩემი. შენ ჩემზე პასუხს აგებ, სანამ მე ცოცხალი ვარ და მით უფრო, როცა მოკვდები. ერთი სიტყვით, შიმით კი არ მოვდივარ თქვენთან, არამედ გულით და გთხოვთ, ერთხელ კიდევ გამომცადოთ, სადმე მამუშავოთ!

— მე მაქვს ერთი კარგი წინადადება, — თქვა გამგეობის წევრმა. — ჩვენ ყველა ვიცნობთ საგესას, მას ერთ ადგილას ჯდომა არ შეუძლია! სოფელ-სოფელ სიარული უყვარს. მოდი, ფოსტალიონად დაენიშნოთ. მოძრავი კაცია, ანბანიც იცის. ატაროს წერილები, გაზეთები, ღებუშები, მე თავდებად ვუდგები, დარწმუნებული ვარ, კეთილსინდისიერად იმუშავებს.

— თანახმა ვარ! — წამოიძახა გახარებულმა საგესამ... და მართლაც მეორე დღესვე მხარზე დიდი ჩანთა გადაიკიდა და სოფლის შუკებს მიაშურა. სახე-გაბრწყინებული თამამად მიაბიჯებდა და მგონი მღეროდა კიდევ.

აფხაზურიდან თარგმნა მოსე გვახალიამ

## მეტყველი ფაქტები

შარშან შესრულდა 100 წელი პირველი აფხაზური ანბანის შედგენიდან (შეადგინეს 1862 წელს). აფხაზური ანბანი შეადგინა კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულმა რუსმა გენერალმა პეტრე კარლის ძე უსლარმა. მართალია, გენერალი უსლარი მონაწილეობდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას პატივი ეცა კავკასიის ხალხთა კულტურისათვის. იგი სწავლობდა მათ ენებს, ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს და რწმუნდებოდა, რომ ეს მცირერიცხოვანი ერები პატივისცემისა და დახმარების ღირსნი იყვნენ; ამასთან პ. კ. უსლარს მიაჩნდა, რომ თუ კავკასიის ხალხები თავიანთ მშობლიურ ენებზე დაიწყებდნენ სწავლა-განათლების მიღებას, მაშინ უფრო გაუადვილდებოდათ რუსული ენის შესწავლა და რუსული კულტურის შეთვისება.

უსლარმა დაწერა აფხაზური ენის პირველი გრამატიკა, რომელშიც შეიტანა პირველი აფხაზური ანბანი. მას რუსული ანბანი ედო საფუძვლად. პირველი ანბანი 55 ასოსაგან შედგებოდა. უსლარის ამ გრამატიკამ და ანბანმა აფხაზებს შორის პრაქტიკული გამოყენება ვერ პპოვა, რადგან პრინციპული ნაკლოვანებები ჰქონდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის კულტურის ისტორიაში, რადგან ამ შრომით ჩაეყარა საფუძველი აფხაზურ დამწერლობას, რომელმაც შემდეგ მთელი კულტურული რევოლუცია მოახდინა აფხაზთა ისტორიაში.

51 წლის წინათ, 1912 წელს, თბილისში გამოვიდა პირველი წიგნი აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა, — „ლექსები და შაირები“. წიგნის ავტორი იყო დიმიტრი გულია. აფხაზეთის დიდმა შვილმა იცოდა აფხაზურად ამ წიგნის გამოცემის მნიშვნელობა. წიგნი მან თავის ხარჯზე გამოსცა. მას აქეთ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ წიგნს დღესაც არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

აფხაზური ლიტერატურის ეს პირველი წიგნი დიდად საინტერესოა აფხაზური კულტურის ისტორიის შემსწავლელთათვის.

პარიზის ღვთისმობლის ტაძრის შინაგანი მდიდარი ორნამენტაცია გაკეთებულია აფხაზური ბზისაგან. აფხაზური ბზისაგანაა გაკეთებული აგრეთვე რომის ეპისკოპოსთა რეზიდენციის ტახტის სამკაულები.

ახლა აფხაზეთში ბზის ტყის მასივებს უკავია 2911 ჰექტარი მიწა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ძვირფას ხეს, რომელიც სიმაგრიტ ზოგიერთ ლითონს არ ჩამოუვარდება, უკავია აფხაზეთის ტყეების 0,8 პროცენტი.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამედროვე, პირველი აფხაზი მწერალი გიორგი შერვაშიძე (ჩაჩბა)

წერდა არა მარტო აფხაზურ, არამედ ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე. გ. შერვაშიძე იყო აგრეთვე პირველი აფხაზური სასკოლო სახელმძღვანელოების ერთ-ერთი რედაქტორიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთს თითო-ოროლა მეცნიერ-მუშაკი ჰყავდა. ახლა კი აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მათი რიცხვი 180 კაცს აღემატება. აქედან 82 კაცი სხვადასხვა მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია.

წლებადნელ თეატრალურ სეზონში სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზურმა და ქართულმა დრამატიულმა კოლექტივებმა განახორციელეს 15 პრემიერა. აქედან 9 პიესა აფხაზ და ქართველ ავტორებს ეკუთვნის.

ამჟამად აფხაზეთში თერთმეტი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა.

შვიდწლედის პირველი ოთხი წლის განმავლობაში აფხაზეთის მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებული 95280 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 99172 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

დღეს აფხაზეთში მუშაობს 103 დიდი და პატარა საწარმო. ძირითადად ყველა ეს საწარმო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაა აშენებული.

აფხაზური ფუტკარი მსოფლიოს ყველა ჯიშის ფუტკარებიდან ყველაზე მშვიდი, შრომისმოყვარე, ყინვაგამძლე და ნაყოფიერია. იგი ძალიან სწრაფად

მრავლდება. ამ უაღრესად სასარგებლო თვისებების გამოა, რომ აფხაზური ფუტკარი საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანას გაჰყავს გასამრავლებლად.

აფხაზეთში 4000 სხვადასხვა ჯიშის მცენარე და ხე ხარობს. მათგან მხოლოდ 1500 მცენარე და ხე ითვლება ადგილობრივად, დანარჩენები კი შემოტანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა აფხაზეთს „ჯადოსნური მთების კალთაზე გაშლილი ბოტანიკური ბაღი“ უწოდა.

დიდ სამამულო ომში პატარა აფხაზეთის თვრამეტ შეილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე ლაა (ბიჭვინთა) აფხაზეთის ისტორიული ადგილია. მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ იყო ცნობილი სეაქრო ქალაქი პიტინტი. აქ ახლაც დგას ათასი წლის მონასტერი. მონასტერში ამჟამად მოწყობილია მუზეუმი.

დღეს პარტიისა და მთავრობის მითითებით ბიჭვინთაში შენდება კურორტი, რომელიც ერთდროულად მიიღებს 10000 დამსვენებელს. ასე რომ ბიჭვინთა თითქმის გაუტოლდება მსოფლიოში ცნობილ ჩვენს შავიზღვისპირა კურორტ სოქსს.

შარშან ქალაქ ტყვარჩელის მშრომელებმა გეგმის ზევით სამშობლოს მისცეს 16 ათასი ტონა ქვანახშირი და მილიონობით კილოვატ-საათი ელექტროენერგია.



ახლო მომავალში ტყვარჩელში ერთ-  
დროულად აშენდება ქვანახშირისა და  
ელექტროენერჯის მომცემი მაღარო-  
ჰესი.

შოთა რუსთაველის გენიალური პოე-  
მა „ვეფხისტყაოსანი“, თარგმნილი დი-  
მიტრი გულიას მიერ, აფხაზურად ოთხ-  
ჯერ გამოიცა.

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“  
(„აფხაზეთი“) გამოვიდა 1919 წლის იან-  
ვარში დიმიტრი გულიას რედაქტორო-  
ბით. ამ პირველი აფხაზური გაზეთის  
პირველი ასოთამწყობები იყვნენ მუს-  
თაბეი მქანბა და ელისაბედ ხარბელია.

აფხაზურ ენაზე ცალკე წიგნებად გა-  
მოცემულია ძველი რუსული ლიტერა-  
ტურის შედეგები „ამბავი იგორის ლაშ-  
ქრობისა“, პუშკინის, ლერმონტოვის,  
ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია  
ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგ-  
ნატე ნინოშვილის, გორკის, ფადეევისა  
და სხვათა რჩეული თხზულებები.

აფხაზეთი სუბტროპიკული დეკორა-  
ტიული მცენარეების სრულიად საკა-  
შირო სანერგვა. მთელი წლის განმავ-  
ლობაში აქედან თვითმფრინავებით გა-  
აქეთ „მწვანე ტვირთი“ მოსკოვსა, ლე-  
ნინგრადსა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქა-  
ლაქებში. ქალაქებისა და მშრომელთა  
ბინების გასალამაზებლად აქედან გზავ-  
ნიან მიმოზებს, ნარცისებს, კამელიებს,  
ფინიკის პალმებს, დრაცენებს, აგავეებს,  
იუკებს, ვარდებს, ვიაციენტებს, გლადი-  
ოლუსებს და სხვა მცენარეებს.

მარტო 1962 წლის განმავლობაში  
აფხაზეთის რაციონალიზატორებმა და  
გამომგონებლებმა წარმოებაში 769 რა-

აფხაზეთში ყოველწლიურად 2000-  
მდე ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო  
სკოლას.

აფხაზი მწერლები: დიმიტრი გული-  
ას, მიხეილ ლაყერბაის, ბაგრატ შინკუ-  
ბას, გიორგი გულიას, ივანე თარბას,  
ალექსი ლასურიას რჩეული ნაწარმოე-  
ბები ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყ-  
ნაში, არამედ საზღვარგარეთაც. ისინი  
ითარგმნა ჩინურ, კორეულ, ინგლისურ,  
გერმანულ, ფრანგულ, ჩეხურ, პოლო-  
ნურ, ბულგარულ, არაბულ და სხვა  
ენებზე.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები-  
დან აფხაზეთში დასასვენებლად ჩამო-  
დის ათიათასობით დამსვენებელი. ისი-  
ნი ისვენებენ სანატორიუმებში, დასას-  
ვენებელ სახლებში, პანსიონატებში,  
ტურბაზებში... აფხაზეთში არის 13 სა-  
ნატორიუმი, 15 დასასვენებელი სახლი,  
სადაც ერთდროულად 4015 კაცი ისვენ-  
ებს და 7 პანსიონატი. სოხუმში მოწ-  
ყობილია 2 ტურისტული ბაზა.

რევოლუციამდელ აფხაზეთში ჩაის  
პლანტაციათა ფართობი არ აღემატებო-  
და 0,5 ჰექტარს. ახლა კი ამ შესანიშნა-  
ვი კულტურის ბუჩქებით დაკავებულია  
10 ათასი ჰექტარი მიწა.

თუ 1921 წელს მთელ საქართველოში  
მოკრიფეს 550 ტონა ჩაის მწვანე ფო-  
თოლი, შარშან მარტო გულდაუთის რაი-  
ონის კოლმეურნეობა „დურფში“  
1400 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბა-  
რეს სამშობლოს. მთელ აფხაზეთში კი  
26 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი  
მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ვაზი და ხეხილი აფხაზეთის მეურნეობის წამყვან დარგებს შეადგენს. მევენახეობას და მეხილეობას აფხაზეთში ძველთაგანვე მისდევდნენ. დღესაც კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა კერძო ნაკვეთებში — ყველგან შეხვდებით ადგილობრივი აფხაზური ჯიშის ვაზებს, მსხალს, ვაშლსა და სხვა ხეხილს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 3 600 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია ხეხილის ბაღებს, 2000 ჰექტარი მიწა კი ვაზს.

40 წლის წინ — 1923 წლის 2 მაისს, აფხაზეთში პიონერული ორგანიზაციის დაარსების პირველ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სულ 49 პიონერი იყო. ამჟამად კი აფხაზეთში 33 ათასი პიონერია.

სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის ჩოქოლი ქვაჩახიას მოწაფეა კომკავშირელი მესიმინდე კარლო ჯობაევა. შარშან კარლო ჯობაევას რგოლმა თვითიული ჰექტარიდან სამუალოდ 100 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მიიღო, ხოლო თვით ჩოქოლიმ მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარ ფართობზე 165 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

წელს შეუსრულდათ დაბადებიდან 50 წელი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღუადას სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს მარია ადღეიბას და ამავე რაიონის სოფელ კოჩარას კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ცაცა ქარდავას. ამ ორი კოლმეურნე ქალის იუბილე დიდი ზეიმით აღნიშნეს აფხაზეთის მშრომელებმა.

პირველი აფხაზი მფრინავი ქალია მერი ავიძბა. იგი ამჟამად პენსიონერია, ცხოვრობს სოხუმში. მეორე მსოფლიო ომის დროს მერი ავიძბამ მრავალ საპაელო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

დაბლობი, სადაც დღევანდელი სოხუმი მდებარეობს, პალეოლითის ხანაში დაფარული იყო შავი ზღვით, რომლის სიღრმე ამ ადგილას 60 მეტრს აღემატებოდა.

დიმიტრი გულის ცნობილი ლექსი „პარტია“ თარგმნილია 74 ენაზე.

ქალაქ სოხუმს 2000 ჰექტარი მიწს უჭირავს, მოსახლეობა 75 ათას კაცს შეადგენს. 1985 წელს მისი ტერიტორია 2820 ჰექტარამდე გაფართოვდება და მოსახლეობაც 100 ათას კაცამდე გაზრდებოდა.

1962 წლის 24 დეკემბერს 95 წელი შეუსრულდა ცნობილ აფხაზ მხატვარს, საყოველთაოდ აღიარებულ თეატრალურ დეკორატორს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძეს (ჩაჩხას). იგი ცხოვრობს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს საკურორტო ქალაქ მონტე-კარლოში, ხოლო მისი ქალიშვილი რუსუდანი კი თავის საყვარელ სამშობლოში — სოხუმში.

ა. შერვაშიძის სახელი დაკავშირებულია პეტერბურგის, მოსკოვის, პარიზის, ლონდონის, ბრიუსელის, მადრიდის დიდ თეატრებთან, რომლებშიც იგი სპექტაკლებს აფორმებდა.

1958 წელს მხატვარმა ა. შერვაშიძემ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს აჩუქა თავისი ნამუშევრები და პირადი არქივი. აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმშიც ინახება ამ მსოფლიო რეზონანსის მქონე აფხაზი მხატვრის ნამუშევრების ნაწილი.

1905 წელს აფხაზეთში რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდა მაქსიმ გორკი. აფხაზეთშია დაწერილი გორკის მოთხრობა „ადამიანის დაბადება“.

მომავალ წელს მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 90 წლისთავს.

ცნობილი რუსი მხატვარი აივაზოვსკი მოიხიბლა აფხაზეთის ბუნებით და მისი სილამაზის ასახვას მიუძღვნა რამდენიმე სურათი, რომელთა რიცხვში შედის ცნობილი ტილო „ქარიშხალი აფხაზეთის სანაპიროზე“.

დღეს აფხაზურ სცენას ჰყავს შვიდი საქართველოს სსრ სახალხო და ხუთი აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი.



## ჩემი ავტორები

### რ. ვ. გოგონია



გოგონია დამიანე ვლადიმერის ძე — დაიბადა 1919 წელს. 1941 წელს დაამთავრა სოხუმის ა. შ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

1945—1951 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომში; ჯერ მდივნად კადრების დარგში, ხოლო შემდეგ მეორე მდივნად.

1955 წელს მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ. 1956—1957 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომის პირველ მდივნად. ხოლო 1958 წლის იანვრიდან მუშაობს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. იგი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

### ბ. ვ. შინკუბა



შინკუბა ბაგრატ ვახილის ძე — დაიბადა 1917 წელს. 1939 წელს დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტი. 1945 წელს დაასრულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა.

არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. იბეჭდება 1935 წლიდან. ავტორია ლექსების რამდენიმე კრებულისა და პოემისა ლექსად „ჩემი თანამემამულენი“, რომელიც გამოცა რუსულ და ქართულ ენებზე. აფხაზურ ენებზე თარგმნა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვეია-ფშაველას, ა. ყაზბეგის, აგრეთვე რუსი მწერლების: ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, მ. გორკის და სხვათა ნაწარმოებები.

ბაგრატ შინკუბა დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. ის არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

### ი. კ. თარგა



თარგა ივანე კონსტანტინეს ძე — დაიბადა 1921 წელს. 1947 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა. სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივნად, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად და სხვ. ამჟამად ი. თარგა აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა. ლექსების ბეჭდვა დაიწყო 1937 წ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე.

### ა. ა. დასუკია

დასუკია ალექსი ედგის ძე (1927—1959) დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქუთოლში. იბეჭდებოდა 1944 წლიდან. 1953 წელს დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი. გამოცემულა აქვს ლექსების კრებულები აფხაზეთ, ქართულ და რუსულ ენებზე. იგი სრულიად ახალგაზრდა გამოაყლდა აფხაზ მწერალთა რიგებს.



### შ. ლ. ნვიტბა

ნვიტბა შალვა ლევარსანის ძე — დაიბადა 1912 წელს. წერა აღრე დაიწყო. 1954 წელს გამოსცა საბავშვო ლექსების წიგნი. გამოქვეყნებული აქვს რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.



### კ. ზ. ლომია



ლომია კონსტანტინე შირინის ძე — დაიბადა 1927 წ. 1950 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1952 წელს — სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული ლიტერატურის ინსტიტუტი. იბეჭდება 1945 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი. არის აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

### ა. ნ. ჯონუა

ჯონუა ალექსი ნესტორის ძე — დაიბადა 1920 წელს. იბეჭდება 1936 წლიდან. უმაღლესი განათლება მიიღო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გამოცემულ აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი. მუშაობს პროზაშიც. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. რედაქტორობს ჟურნალ „ალაშარას“.



### გ. ბ. თარბა

თარბა ნელი ზოლოტიანის ასული — დაიბადა 1934 წელს. იბეჭდება 1948 წლიდან. ავტორია ლექსების კრებულისა „მკ მიყვარს მთები“. პოეზიის გარდა მუშაობს პროზასა და დრამატურგიაში. 1958 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1963 წ. სოხუმის დრამატულმა თეატრმა დადგამის პიესა „სიმღერის შეთხზვა ალვილი როლია“.

### ა. ნ. გოგუა

გოგუა ალექსი ნოჩის ძე — დაიბადა 1932 წ. იბეჭდება 1948 წლიდან. 1961 წელს დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურული ინსტიტუტი. გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული.



### ი. ზ. პაპასკირი



პაპასკირი ივანე გიორგის ძე — დაიბადა 1902 წ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქუთოლში. ბეჭდვა დაიწყო 1937 წელს. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „თემირი“, „ქალის ღირსება“, აგრეთვე ტრილოგია, „ერცახუს კალთებზე“.

### გ. კ. გუბია

გუბია გიორგი კონსტანტინეს ძე — დაიბადა 1928 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს ლექტორად სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იბეჭდება 1950 წლიდან. 1956 წელს პოეტმა გამოსცა ლექსების პირველი წიგნი „ჩემი აფხიარცა“. გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული.



### ჯ. შ. ჩაჩხალია

ჩაჩხალია კირშალ შამილის ძე — დაიბადა 1918 წელს. ოჩამჩირის რაიონის სოფელ პოკეშში. 1958 წელს დაამთავრა უმაღლესი ლიტერატურული კურსები მოსკოვში. იბეჭდება 1937 წლიდან. გამოცემული აქვს სატირული ლექსების ოთხი კრებული.

### კ. შ. გეჩხალია

გეჩხალია კონსტანტინე მეჯგურის ძე — დაიბადა 1930 წ. 1959 წ. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. იბეჭდება 1951 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი. მისი საბავშვო პოემა „ნახირი“ გამოცა „საბლიტგაშა“ (თბილისი).



## ა. თ. აჯინჯალი



აჯინჯალი ანატოლი თარხუნის ძე — დაიბადა 1930 წელს. 1956 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იბეჭდება 1948 წლიდან. ავტორია ლექსების ორი და მოთხრობების ერთი კრებულისა.

## ვ. ჯ. ანკვაძე

ანკვაძე ვლადიმერ გეგიძის ძე — დაიბადა 1928 წელს, გუდაუთის რაიონის სოფელ ხუაპში. 1958 წ. დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული ლიტერატურის ინსტიტუტი. იბეჭდება 1953 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების ერთი კრებული. მუშაობს სოხუმის პედინსტიტუტში ლექტორად.



## მ. ნ. შილია

შილია შამილ ხუსეინის ძე — დაიბადა 1932 წელს. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იბეჭდება 1953 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების კრებული.

## მ. ი. მიქაია

მიქაია მუშნი იროლის ძე — დაიბადა 1932 წელს. დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტი. იბეჭდება 1949 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების წიგნი. მუშაობს აფხაზეთის გამომცემლობაში.



### ჭ. მ. ჯონუა



ჯონუა ჭიჭიკო მიხეილის ძე — დაიბადა 1915 წელს. 1939 წელს დაამთავრა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრთან არსებული სტუდია. მუშაობდა მსახიობად აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. 1946 წლიდან მუშაობს გაზეთ „აფხნის ყაფშის“ რედაქციაში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1936 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ლექსების, პოემებისა და მოთხრობების 9 კრებული.


### შ. ნ. კუსუბა

აკუსბა შამილ ზუსეინის ძე — დაიბადა 1914 წელს. დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ორი კურსი და 1936 წელს სხვა კომკავშირებთან ერთად საქართველოში კომკავშირის მიერ გაგზავნილ იქნა ოდესის საფრენოსნო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობდა სამხედრო-საჰაერო ფლოტში. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. 1958 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების პირველი წიგნი. თარგმნა ე. კატაევის „პოლკის შვილობილი“ და ანდერსენის ზღაპრები.



მუშაობს სოხუმის აეროპორტში.

### პ. ნ. ბეზია



ბეზია პლატონ ზუამის ძე — დაბადებულია 1935 წ. ბეკდუა დაიწყო 1952 წ. დამთავრებული აქვს სოხუმის პედინსტიტუტი. გამოცემული აქვს ლექსთა კრებული.

## მ. ი. ჭკალუა



ჭკალუა შოთა ევგენის ძე — დაიბადა 1932 წ. დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტი. იბეჭდება 1949 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობებისა და პიესების რამდენიმე კრებული. 1963 წელს მონაწილეობდა ახალგაზრდა მწერალთა მოსკოვის საკავშირო თათბირის მუშაობაში.

## მ. გ. პაპასკირი

პაპასკირი მუშნი გიორგის ძე — დაიბადა 1914 წ. პროზაიკოსი. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტი. ბეჭდება დაიწყო 1932 წ. მოთხრობების პირველი კრებული გამოაქვეყნა 1950 წელს. გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი.



## მ. კ. ჯენია



ჯენია ალექსი კამუგის ძე — დაიბადა 1930 წელს. 1955 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი. იბეჭდება 1949 წლიდან. 1959 წელს გამოაქვეყნა მოთხრობების პირველი კრებული „ჩემი სოფელი მთაში“.



## ბ. ა. გუჩუაძე



გურგულია ბორის აღმახსანის ძე — დაიბადა 1935 წელს. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. იბეჭდება 1952 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების წიგნი. მისი ლექსები და მოთხრობები ქვეყნდება სოხუმისა და თბილისის პერიოდულ პრესაში. მუშაობს საბავშვო ჟურნალ „ამცაბზის“ რედაქციაში.

## მ. ბ. გვასალია

გვასალია მოსე ბესარიონის ძე — დაიბადა 1912 წელს. ოცდაათიან წლებში გამოაქვეყნა რომანი „სურამი“. წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყო ლიტერატურულ ცხოვრებას.

1956 წლიდან მისი მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები ხშირად იბეჭდება. 1957 წელს გამოვიდა მ. გვასალიას მოთხრობების კრებული „ირმის ბილიჯზე“, 1958 წელს — „სურამი“ (ახალი გამოცემა), ხოლო 1959 წელს — ახალი მოთხრობების წიგნი „ენგურის ნაპირას“. მალე გამოვა მისი ახალი რომანი „ღაწუნებულ მიწაზე“.



## მ. ლ. ინაღ-იშა



ინაღ-იშა შალვა დენისის ძე — დაიბადა 1914 წელს. აფხაზი კრიტიკოსი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. მრავალი სამეცნიერო და ლიტერატურული შრომის, აგრეთვე კრიტიკული სტატიების ავტორი.


## ხ. ს. გლავა



გლავა ხუბუტი სოლომონის ძე — დაიბადა 1914 წელს, 1937 წ. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1941 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა. კრიტიკული წერილების ბეჭდვა დაიწყო 1933 წ. არის მრავალი კრიტიკული და სამეცნიერო შრომის ავტორი. მინიჭებული აქვს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

## მ. მ. შირნელი

შირნელი შირიან შიხელიძის ძე — (ციცოლია მ. შ.) დაიბადა 1928 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ ასპირანტურა ამავე უნივერსიტეტში. არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გამოცემული აქვს ლექსების ექვსი კრებული. იბეჭდება რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებზე.



## ს. ჯ. ქეცბა

ქეცბა ხვეტლანა პარკოფის ასული — დაიბადა 1939 წელს. მუსიკათმცოდნე. მუშაობს აფხაზეთის მუსიკალურ სასწავლებელში.



## ა. კ. კახია

კაცია ანატოლი კონსტანტინეს ძე — დაიბადა 1927 წ. და-  
ამთავრა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ხოლო შემდეგ ასპირანტურა საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიაში. არის ისტორიკოსი და ხელოვნე-  
ბათმცოდნე.



## პ. ს. ჭყარუა

ჭყარუა პლატონ სიმონის ძე — დაიბადა 1904 წელს. 1926  
წელს დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1952  
წელს — მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. გამო-  
ცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული.



რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 917. უე 05536. ჭალალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.400.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამმცემლობის ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР,  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



8. აგობა

მუშათა მუშაობა



9. ჯანჯალი

საბჭო ცხელი



3. მამაია  
მამაია



4. ჯანჯალი



ფასი 60 ჯკვ

9

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

**„ციסקარი“**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“  
ИНДЕКС 76236

საქართველოს საბჭოთა კავშირის მხარისგანაცხადით

შთის 5076025040ის  
ახალი დიქციონარი

ახალგაზრდა მწერლის  
ნოზარ ფულიძისპირის  
მოთხრობა

„თათრი მთა“

დ. ცუქინიძის  
ტრეკლი ნარკვევი

«როგორ აღმოაჩინეს  
აპირიკა»